ა. ნუცუბიძე

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას

სახელგამი
1957

წინასიტყვაობა

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა სწრაფი ტემპით წავიდა წინ. სოციალისტური მეურნეობის გაბატონებულ ფორმებად იქცნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები; მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, მექანიზაციის დონე, რამაც მთლიანად შეცვალა მიწათმოქმედების ძველი, ტრადიციული წესები.

ღრმა ცვლილებებს აქვს ადგილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. ჰავისა და ნიადაგის შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია წარმართა ისეთი დარგებისა და კულტურების განვითარების გზით, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, ვაზი, ხეხილი, თამბაქო, აგრეთვე მარცვლეული, მეცხოველეობა და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს გლეხობას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბევრი რამ მისცა საქართველოს გლეხებს, მუშებსა და ინტელიგენციას, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ამიტომ ის, რასაც ჩვენ საქართველოს გლეხების შესახებ ვამბობთ, შეეხება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების გლეხებსაც.

საბჭოთა წყობილებამ საქართველოს გლეხებს მისცა მიწა უფასოდ და უვადო სარგებლობაში, გაათავისუფლა ისინი

მემამულეებისა და კაპიტალისტების მონობისაგან, მიანიჭა ფართო პოლიტიკური უფლებები, შეუქმნა ახალი, ადამიანური, შეძლებული ცხოვრების პირობები, ფართოდ გაუხსნა გზა მათ კულტურულ განვითარებას. ჩვენ შევეცადეთ ყოველივე ეს აგვესახა ამ ნაშრომში.

უდავოა, ნაშრომს ექნება ნაკლოვანებები, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი მაინც არ იქნება მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული.

ავტორი

შესავალი

წელს სრულდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, საბჭოთა წყობილების დაბადების მე-40 წლისთავი. ამ თარიღს უდიდეს საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჩვენი ქვეყნის მშრომელები და მთელი მოწინავე კაცობრიობა. ეს გასაგებიცაა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.

რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბოლოოდ დაამხეს კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა. ამ გამოცდილების მიხედვით სხვა, როგორც მეტროპოლიების, ისე კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მშრომელებმა გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს ამ მიმართულებით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოასწავებდა უღრმეს გადატრიალებას ეკონომიკაში, საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ეროვნულ ურთიერთობაში, ხალხთა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის დიდ მონაპოვარს წარმოადგენს ის, რომ მთელმა რიგმა ქვეყნებმა როგორც ევროპაში, ისე

აზიაში თავი გაინთავისუფლეს კაპიტალისტებისა და მემამულეების მონობისაგან და განახორციელეს დემოკრატიული რეჟიმი; ისინი საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას.

ოქტომბრის რევოლუციის დიდ მონაპოვარს წარმოადგენს ის, რომ ჩვენს თვალწინ სწრაფად ირღვევა კოლონიური სისტემა როგორც აზიის, ისე აფრიკის ქვეყნებში და ხალხები თავიანთ საუკუნეობრივ იმპერიალისტ მჩაგვრელებისაგან ზედიზედ აღწევენ დამოუკიდებლობას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მთელი კაპიტალისტური სამყარო ორ სისტემად — კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებად გაჰყო, საფუძველი დაუდო კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, დასაწყისი მისცა პროლეტარული რევოლუციების ეპოქას, კაპიტალიზმის აშკარა რღვევის ეპოქას. მიუხედავად კაპიტალისტური მთავრობების და მათი მღსყიდული ლაქიების გააფთრებული წინააღმდეგობისა, ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, პირიქით, იგი კიდევ უფრო ძლიერდება.

რაც შეეხება მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, მისი დიდი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით საყოველთაოდ ნათელი გახდა. ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს მეტად მოკლე დროში საბჭოთა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა გიგანტური განვითარება, ძირეული ცვლილებები ხალხის მატერიალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ არ იცის კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი უმუშევრობა, კრიზისები, კონკურენცია; იგი თავისუფალია ბაზრის სტიქიური გავლენისაგან, ანარქიისაგან; სოციალისტური ეკონომიკა წარიმართება გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის შესაბამისად, რაც კიდევ უფრო ნათელყოფს მის პროგრესულ მნიშვნელობას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს მეფის რუსეთის იმპერიის პატარა, ჩამორჩენილი ერების ეკონომიური

და კულტურული აღმავლობისათვის ნამდვილი პირობების შექმნა, დიდი და პატარა ერების თანასწორუფლებიანობის განხორციელება, ხალხთა დიადი თანამეგობრობის წარმოქმნა. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს საბჭოთა საქართველო, რომელსაც ამჟამად საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ხალხთა ძმურ ოჯახში საპატიო ადგილი უჭირავს, იფურჩქნება და ვითარდება მათთან ერთად.

თუ ოქტომბრის რევოლუცია არა, არ გვექნებოდა საქართველოში საბჭოთა წყობილება, საბჭოთა წყობილების გარეშე კი შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი რესპუბლიკის სწრაფი ეკონომიური და კულტურული განვითარება, შეუძლებელი იქნებოდა მშრომელების განთავისუფლება კაპიტალისტებისა და მემამულეების კაბალისაგან, თავს ვერ დავაღწევდით ნახევრადკოლონიურ მდგომარეობას, ჩვენი დიდი ბუნებრივი სიმდიდრენი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩებოდა ხელუხლებელი და გამოუყენებელი.

ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი მოწინავე კაცობრიობა ასე უსაზღვრო სიხარულით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს, არ შეიძლება ეს უდიდესი სიამაყის გრძნობას არ იწვევდეს ჩვენში, თვითეულ საბჭოთა ადამიანში.

გავყურებთ რა წარსულს და ვადარებთ რა მას ჩვენს მიღწევებს, ნათლად ვხედავთ, როგორ გავიზარდეთ, რა უძლეველ ძალად იქცა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო — საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა ქვეყნის სიმტკიცისა და უძლეველობის ურყევ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნა და გამოაწრთო დიდმა ლენინმა.

40 წლის წინათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ვიმარჯვებდით ჩვენ სოციალიზმის მშენებლობის ყველა უბანზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის ჩვენი ქვეყანა წინ, დიადი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

თავი I

როგორ ცხოვრობდნენ გლეხები ოქტომბრის რევოლუციამდე

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, რა მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოს მშრომელ გლეხურ მოსახლეობას, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა წინათ მეფის თვითმპყრობელობის დროს გლეხობა.

გლეხობის მდგომარეობა მეფის რუსეთში

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველო მეფის რუსეთის იმპერიაში შედიოდა. მაშინ რუსეთი ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა; მას არ ჰქონდა განვითარებული მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების უმეტესი ნაწილი უცხოეთიდან შემოჰქონდა. რაც შეეხება ავტომობილების, თვითმფრინავების, ტრაქტორების, დაზგების, მინერალური სასუქების და სხვ. წარმოებას, ამის ნასახიც კი არ იყო ძველ რუსეთში.

მეფის რუსეთში სოფლის მეურნეობის ძირითად მწარმოებლურ იარაღს წარმოადგენდა კავი და გუთანი. 1910 წლის აღწერით, რუსეთის გლეხურ მეურნეობაში ითვლებოდა სულ 7,8 მილიონი კავი და სახნისი, 4,2 მილიონი რკინის გუთანი, 2,2 მილიონი ხის გუთანი. 17,7 მილიონი ხის ფარცხი[1].

ტრაქტორების, კომბაინების, ავტომანქანების, ლოკომობილების და სხვ. შესახებ მაშინდელ გლეხობას წარმოდგენაც

[1] Развитие Советской экономики, стат. материалы, 1946, стр. 69.

კი არ ჰქონდა. იგი უმნიშვნელო რაოდენობით იყო თავმოყრილი მსხვილი მემამულეების ხელში.

მთავარ ცოცხალ გამწვე ძალას სოფლის მეურნეობაში ცხენი წარმოადგენდა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებთან ერთად ცხენებიც უმეტესად კულაკურ მეურნეობათა ხელში იყო თავმოყრილი. უცხენო გლეხთა უმეტესობა ხელით ამუშავებდა მიწას ოჯახის წევრთა მონაწილეობით, ან ხარისა და ცხენის ნაცვლად ხვნის, თესვის, ლეწვის, მოსავლის აღების და სხვ. დროს თვითონ ებმებოდნენ უღელში.

მწარმოებლურ ძალთა ჩამორჩენილობისა და მანქანა-იარაღების პრიმიტიულობის გამო მიწა მეტად უხარისხოდ მუშავდებოდა, რის გამოც ადგილი ჰქონდა დაბალმოსავლიანობას. ამ მხრივ რუსეთი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე გამოდიოდა მთელ მსოფლიოში. დაბალმოსავლიანობა და ხშირი მოუსავლიანობა გლეხობის განუწყვეტელ შიმშილს იწვევდა. მშიერი გლეხები, განსაკუთრებით მოუსავლიანობის დროს, იკვებებოდნენ ხის ქერქით, სხვადასხვა ველური მცენარის ძირებით, რკოთი და სხვ.. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც შიმშილისაგან გლეხები მასობრივად იხოცებოდნენ.

რუსეთის გლეხთა ღატაკური მდგომარეობა შესანიშნავად დაახასიათა ვ. ი. ლენინმა მთელ რიგ თავის ნაშრომებში, განსაკუთრებით ცნობილ ბროშურაში «სოფლის ღარიბებს»[1].

რუსეთის სოფლის მშრომელ მოსახლეობას უდიდეს ტვირთად აწვა სხვადასხვა გადასახადი და დავალიანება. ის უხდიდა გადასახადებს მემამულეებს საიჯარო ქირისა და რენტის სახით, აგრეთვე უხდიდა გადასახადებს — ბანკებს, ეკლესიას, ვაჭრებს, მევახშეებს, კომპანიებს და სხვ.. ეს გადასახადები და დავალიანება ხშირად იმდენი იყო, რომ გლეხს მის დასაფარავად არ ჰყოფნიდა მეურნეობის მთელი წლიური შემოსავალი. ეს გარემოება მას აიძულებდა გაეყიდა ან გადაეცა მეურნეობა მევალისათვის ვალის ანგარიშში, თვითონ კი ცარიელ-ტარიელი რჩებოდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 447.

ვ. ი. ლენინი წერს: «...ყველაზე მძიმეა პატარა ადამიანების—წვრილი ხელოსნისა და წვრილი გლეხის მდგომარეობა: ისინი ყოველთვის უკან ჩამორჩებიან მდიდარ ვაჭარს ან მდიდარ გლეხს. მათ არასდროს არა აქვთ არავითარი მარაგი, ისინი ცხოვრობენ დღე-დღეზე; ყოველი გაჭირვების დროს, ყოველი უბედურების დროს მათ უნდა დააგირაონ უკანასკნელი სარჩო-საბადებელი ან ჩალის ფასად გაჰყიდონ მუშა პირუტყვი. ერთხელ რომ ჩავარდებიან ისინი რომელიმე კულაკის ან მევახშის კლანჭებში, შემდეგ ძალიან იშვიათად თუ შესძლებენ ხუნდებისაგან თავის დაღწევას, მეტწილად კი სრულიად ჩანაგდებიან. ყოველწლიურად ათეული და ასეული ათასობით წვრილი გლეხები და ხელოსნები გამოჰკეტავენ ხოლმე თავის ქოხის კარს, თითქმის მუქთად აძლევენ საზოგადოებას თავის ნადელს და ხდებიან დაქირავებულ მუშებად, მოჯამაგირეებად, შავ მუშებად, პროლეტარებად»[1].

სხვა მიზეზებთან ერთად რუსეთის მშრომელი გლეხური მოსახლეობის უკიდურესი სიღატაკის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს უმიწობა და მცირემიწიანობა წარმოადგენდა, თუმცა რუსეთის მთელ იმპერიაში მიწა საკმაოზე ნაკლები არ იყო. ან კი როგორ არ იქნებოდა მიწების სიმცირე მშრომელი გლეხებისათვის, როცა მის უმეტეს ნაწილს მემამულეები ფლობდნენ.

თავის ცნობილ სტატიაში «ს.-დ. აგრარული პროგრამა რუსეთის პირველ რევოლუციაში» ვ. ი. ლენინს მოჰყავდა მონაცემები, რომლებიც გარკვევით ასახავდნენ ევროპული რუსეთის სოფელში მიწათმფლობელობის მდგომარეობას. მონაცემები გვიჩვენებენ, რომ 30 ათას მემამულეს, უმთავრესად თავადაზნაურობას, აგრეთვე საუფლისწულო უწყებას, ეკუთვნოდა 70 მილიონი დესეტინა მიწა, მაშინ როდესაც 10,5 მილიონი გლეხური კომლი და ყველაზე წვრილი მეზაკუთრე ფლობდა 75 მილიონ დესეტინა მიწას. თვითეულ მსხვილ მემამულეზე მოდიოდა 2 333 დესეტინა, მაშინ როდესაც თვითეულ გლეხურ კომლზე 7 დესეტინა მიწა მოდიოდა[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 462 — 463.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 177.

მიწების დიდი რაოდენობა — 7 მილიონ დესეტინამდე მოდიოდა საუფლისწულო უწყებებზე. მეფე თავისი ოჯახით რუსეთში პირველი მემამულე იყო.

აი რას წერდა მეფე-თვითმპყრობელი ნიკოლოზ რომანოვი თავის საკუთარი ხელით სრულიად რუსეთის აღწერის ფურცელზე:

გვარი, სახელი, მამის სახელი — რომანოვი ნიკოლოზი ალექსანდრეს ძე.

მთავარი საქმიანობა — რუსეთის მიწის მეპატრონე.

არამთავარი საქმიანობა — მიწათმფლობელი[1].

რუსეთში დიდ მემამულეებად ითვლებოდნენ — ხუცები, რომელთა ხელში თავს იყრიდა 6 მილიონი დესეტინა მიწა, ხაზინა, რომელსაც ეკუთვნოდა — 150 მილიონი დესეტინა მიწა.

მემამულეთა მიწების დიდი ნაწილი — 41 400 613 დესეტინა 6 084 მფლობელობას შეადგენდა და ეკუთვნოდა მიწის მაგნატების მცირე ჯგუფს. მარტო 699 მაგნატს ეკუთვნოდა 10 798 504 დესეტინა მიწა. მიწების მსხვილი მფლობელები იყვნენ, მაგალითად, გოლიცინები, რუკავიშნიკოვები, ბალაშოვები, ბობრინსკები და სხვ.

გრაფი კლეინმიხელი დიდძალ მიწებს ფლობდა ერთდროულად კურსკის, ჩერნიგოვის, ხარკოვისა და სხვ. გუბერნიებში. ცხადია, მიწათმფლობელობის ასეთი სისტემა იწვევდა მიწის სიმცირეს, გლეხობის სიღატაკეს. ეს დღის წესრიგში აყენებდა რუსეთში აგრარული საკითხის გადაწყვეტას.

ვ. ი. ლენინმა რუსეთში აგრარული საკითხის გადაწყვეტა 1905 — 1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძვლად და ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებათა განმსაზღვრელად გამოაცხადა[2].

რატომ იყო აგრარული საკითხი რევოლუციის საფუძვე-

---

[1] იხ. М. Яковлев, Что дала советская власть крестьянам, 1947, стр. 4.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 529.

ლი? უეჭველია, ამას განაპირობებდა ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების უხვად შენარჩუნება რუსეთისა და მისი განაპირა ქვეყნების სოფლის მეურნეობაში. ბატონყმური წყობილების ნაშთები უაღრესად აფერხებდა სოფლად მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, იწვევდა «უმიწობას» და «მცირემიწიანობას». ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: «...აგრარული საკითხი წყვეტს პროგრესის ბედს რუსეთში» [1].

საქმე ისაა, რომ მემამულეებმა «საგლეხო რეფორმის» შედეგად მიწების დიდი რაოდენობა წაართვეს გლეხებს, მათ გლეხებს ჩამოაჭრეს მიწების საუკეთესო ნაწილი. მაგალითად, რუსეთის შავნიადაგიან გუბერნიებში ჩამონაჭრები 1/5-ზე მეტს შეადგენდა, ზოგიერთ გუბერნიებში 1/3-მდე და 2/5-მდეც კი აღწევდა. ცალკეულ ადგილებში, როგორიც იყო, მაგალითად, სარატოვის გუბერნიის ვოლსკის მაზრა, ჩამონაჭრები გლეხთა მიწების 1/2-ს აღემატებოდა. ეს გარემოება რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ჩამოჭრა შეეხო საუკეთესო მიწებს, აგრეთვე გლეხებისათვის მეტად აუცილებელ და საჭირო მიწებს — წყალსასმელებს, სათიბებს, საძოვრებს და სხვ.. გლეხები «ქვიშაზე» დაასახლეს. მემამულეთა მიწები სოლებივით იყო შეჭრილი გლეხთა მიწებში. მემამულეებმა გაძოსაყიდ გლეხებს წააგლიჯეს მიწის ნამდვილ ფასზე ორჯერ-სამჯერ მეტი.

მართალია, მეფის «მოწყალებით» ზოგიერთ გლეხს გამოუყიდავად დაუტოვეს უმაღლესი ნადელის 1/4 ნაწილი, მაგრამ ეს ისე მცირე იყო, რომ მასზე, როგორც მაშინ ამბობდნენ, ქათამიც ვერ მობრუნდებოდა. ამიტომ გლეხებმა მას «მათხოვრული», «ქათმის» ნადელი უწოდეს.

გლეხებს თავიანთ განკარგულებაში «მუდმივი სარგებლობისათვის» დატოვებულ მიწებზე მემამულის სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ ხარკი — შრომით და ფულით. ეს უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ მემამულეებსა და გლეხებს

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 344.

შორის მიღწეული არ იქნებოდა სხვა შეთანხმება, სახელდობრ, შეთანხმება მიწების გამოყიდვის შესახებ. ასეთ შეთანხმებამდე კი გლეხები «დროებით ვალდებულებად» ანუ იგივე ყმებად ითვლებოდნენ. განსხვავება ის იყო, რომ მებატონეებს ახლა არ შეეძლოთ თვითნებურად გლეხის ოჯახის აკლება, მისი ცოლშვილის გაუპატიურება, გაყიდვა, შინაყმად წაყვანა, ე. ი. გლეხი გაათავისუფლეს მებატონეთა პირადი დამოკიდებულებისაგან.

ნათქვამიდან ვხედავთ, რომ რუსეთის გლეხთა სილატაკის მოსასპობად, სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა ასამაღლებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მემამულეთა კლასის მოსპობა, მიწაზე კერძო სკუთრების გაუქმება, მიწის ნაციონალიზაცია, რაც 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში საფუძვლად დაედო ბოლშევიკების აგრარულ პროგრამას. მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლო ვერც 1905—1907 წლების, ვერც 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. ბოლშევიკური პარტიის აგრარული პროგრამის მოთხოვნები განახორციელა მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც, თავის ძირითად სოციალისტურ ამოცანებს გარდა, გზადაგზა გადაჭრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებიც.

გლეხობის მდგომარეობა საქართველოში

გლეხები უკეთესად არ ცხოვრობდნენ არც საქართველოში. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ აქ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იყო. ეს რამდენადმე აიხსნებოდა საქართველოში ბატონყმობის ნაშთების ხანგრძლივად შემორჩენით, რაც მეტად ამწვავებდა მიწის საკითხს.

როგორც ცნობილია, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ აქ «დროებით ვალდებულებითმა» ურთიერთობამ, ე. ი. გლეხთა ყმების მდგომარეობაში დატოვებამ, გაჭიანურებული ხასიათი მიიღო.

თუ, მაგალითად, რუსეთში «დროებით ვალდებულებითი» ურთიერთობა გაუქმდა ჯერ კიდევ 1881 წელს და 1883 წლიდან დაწესდა გამოყიდვა, ხოლო 1906 წლიდან გაუქმებულ იქნა გამოსაყიდი გადასახადებიც, საქართველოში «დროებით ვალდებულებითი» ურთიერთობა გრძელდებოდა 1912 წლამდე, ხოლო გამოსაყიდი გადასახადების გადახდა, რაც 1913 წლის 7 ივლისის კანონით იქნა შემოღებული, საბოლოოდ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოისპო.

«დროებით ვალდებულებითი» ურთიერთობის გაუქმება და მიწის გამოყიდვაზე გადასვლა დამოკიდებული იყო მემამულის ნება-სურვილისაგან. მემამულეს კი ასეთი სურვილი არ ჰქონდა, უარს როგორ იტყოდა გლეხის ყმად ყოლაზე? ამიტომ იყო, რომ ბატონყმობამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეტად გაჭიანურებული და მწვავე ხასიათი მიიღო.

მარტო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში დროებით ვალდებულ გლეხთა რიცხვი შეადგენდა არა ნაკლებ 40 ათას კომლს. აქედან 22 ათასი ქუთაისის გუბერნიაზე მოდიოდა.

გლეხთა მიწების მემამულეთა საკუთრებად გამოცხადებამ, ხოლო გლეხებისათვის «მათხოვრული» ნადელების დატოვებამ, «დროებით ვალდებულებითი» ურთიერთობის არსებობამ და საქართველოში მისმა ხანგრძლივად შენარჩუნებამ უაღრესად გაამწვავა მიწის საკითხი, წარმოშვა «მცირემიწიანობა» და «უმიწობაც» კი.

ამას ნათლად ვხედავთ შემდეგი მონაცემებიდან: თბილისის გუბერნიაში, მაგალითად, ძირითად ნადელად მიღებული იყო კომლზე 5 დესეტინა ურწყავი, ხოლო 2,5 დესეტინა სარწყავი მიწა, ქუთაისის გუბერნიაში კი — 1,5 დესეტინა, ანუ 4 ქცევა. ზოგიერთები ნადელს თვითეულ კომლზე დროებით ვალდებულ გლეხებისათვის საშუალოდ 1 — 1,5 ქცევას, სახელმწიფო გლეხებისათვის 0,5 — 1 ქცევას, მესაკუთრეებისათვის 1 — 4 ქცევას ანგარიშობდნენ[1].

---

[1]იხ. ჟურნ. Кавказское сельское хозяйство, 1905, № 574.

ცალკეულ მაზრებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო. მაგალითად, მიწათმოქმედების სამინისტროს საფილოქსერო კომიტეტის 1892 — 1893 წლების კომლობრივი აღწერის მასალები შორაპნის მაზრაში გვიჩვენებს, რომ დროებით ვალდებული გლეხების 66 პროცენტმა ორივე სქესის თვითეულ სულზე მიიღო 0,1 დესეტინიდან 0,6 დესეტინამდე ანუ 0,5 — 3 დესეტინამდე კომლზე[1]. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა გორის მაზრაშიც. ორივე მაზრა ტიპიური იყო როგორც ქუთაისის, ისე თბილისის გუბერნიისათვის.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ თავის ცნობილ სტატიაში «გადასახლების საკითხი» ხაზგასმით მიუთითებდა იმ მწვავე მდგომარეობაზე, რომელიც არსებობდა საქართველოში მცირემიწიანობის გამო. ვ. ი. ლენინს მოპყავდა ცნობები, რომელთა მიხედვით, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 29 977 კომლზე ითვლებოდა უმიწაწყლო და 1 დესეტინამდე ნადელის მქონე 2 541 კომლი, ერთიდან ორ დესეტინამდე — 4 227, ორიდან სამამდე—4 016, სამიდან ხუთამდე — 5 321 კომლი, ქუთაისის გუბერნიაში მიწით უზრუნველყოფილი არ იყო 33 პროცენტამდე კომლი[2].

თბილისის გუბერნიაში დროებით ვალდებულ გლეხთაგან სრულიად უმიწოდ დატოვებული იქნა 1 444 კომლი, ხოლო 386 კომლს საკარმიდამო მიწაც კი არ მიუღია. ეს თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხთა საერთო რაოდენობის 13 პროცენტს შეადგენდა[3].

ორივე გუბერნიაში გაბატონებული იყო თავადაზნაურული მიწათმფლობელობა. მაგალითად, თბილისის გუბერნიაში კერძო მფლობელობაში არსებულ 1 285 747,77 დესეტინა მიწიდან თავადაზნაურობაზე მოდიოდა 99 216,11 დესეტინა, ანუ 77,17 პროცენტი. თავადაზნაურულ მფლობელობათა რიცხვი უდრიდა 5 884-ს, წვრილი მფლობელები (0 — 25 დესეტ.) — — 3 151-ს, ანუ 53,55 პროცენტს, საშუალონი (25 — 100

---

[1] იხ. Орест Семин, Великая годовщина, стр. 96.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 99.

[3] იქვე, გვ. 100.

დესეტ.)— 1373-ს, ანუ 23,33 პროცენტს, მსხვილი მფლობელები (100 — 500 დესეტ.)— 999-ს, ანუ 16,98 პროცენტს, უმსხვილესი მფლობელები (500 დესეტინაზე მეტი) — 361-ს, ანუ 6,14 პროცენტს[1].

ეს მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ თბილისის გუბერნიაში რაოდენობრივად სჭარბობდნენ წვრილი მფლობელები, რომელთა მამულები შეადგენდა თავადაზნაურთა მთელი მამულების 53,55 პროცენტს. საშუალო მფლობელებთან ერთად წვრილ მფლობელთა რაოდენობა შეადგენდა 76,88 პროცენტს, ე. ი. დიდ უმრავლესობას. მათ ხელში თავს იყრიდა მიწების მცირე რაოდენობა, ხოლო რიცხობრივად მცირე რაოდენობის—მსხვილ და უმსხვილეს მფლობელთა ხელში თავს იყრიდა გაცილებით მეტი რაოდენობის მიწები. მაგალითად, წვრილ მფლობელებს (53,55 პროც.) ეკუთვნოდა 22 693,12 დესეტინა მიწა, ანუ 2,29 პროცენტი; საშუალო მფლობელებს (23.33 პროც.) — 74 353,92 დესეტინა, ანუ 7.49 პროცენტი; მსხვილ მფლობელებს (16,98 პროც.) 219 397,60 დესეტინა, ანუ 22,11 პროცენტი; უმსხვილეს მფლობელებს (6,14 პროც.) — 675 771.47 დესეტინა, ანუ 68,11 პროცენტი.

ისე როგორც თბილისის გუბერნიაში, მსხვილ და უმსხვილეს მფლობელთა რაოდენობა ქუთაისის გუბერნიაშიც თუმცა დიდი არ იყო. მაგრამ თვითეული მათგანის ხელში თავს იყრიდა მიწის მეტად დიდი ფართობები, ლატიფუნდიები. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო თავადი მინგრელსკი ფლობდა 300 ათასამდე დესეტინა მიწას. მიწის ასეთივე დიდი ფართობი ეკუთვნოდათ გურიელებს და სხვ.. თბილისის გუბერნიაში უმსხვილესი მემამულენი იყვნენ ორბელიანები. ციციშვილები, ერისთავები, ამილახვრები და სხვ.[2]

---

[1] იხ. Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях под редакцией Ф. Г. Гогичайшвили, 1910.

[2] უმსხვილეს მემამულეთა რაოდენობა მეტი იყო თბილისის გუბერნიაში.

1890 წლის ცნობით, აქ მემამულეები, რომლებიც 3 ათას დესეტინაზე მეტ სახმარ მიწას — ბაღ-ვენახს, სახნავ-სათესს, ტყეს, სათიბს, საბალახოს — ფლობდნენ, იყვნენ ახალქალაქის მაზრაში: ფალავანდიშვილები

სულ საქართველოში ერთ ნუკა მესაკუთრეთა ხელში ირიცხებოდა 3 ნილიონამდე დესეტინა კარგი მიწა, რაც საქართველოს მთელი ტერიტორიის თითქმის ნახევარს შეადგენდა.

უმიწობა და მცირემიწიანობა მუდამ წარმოადგენდა ქართველი მშრომელი გლეხის საყოველთაო უბედურებისა და განუწყვეტელი გოდების საგანს. სოფლის მეურნეობაში მიწა არის ძირითადი საწარმოო საშუალება. ამ საშუალებას მოკლებული გლეხი თავიდან ვერ იშორებდა იმ დარდებს და სასოწარკვეთილებას, რაც რ. ერისთავმა შესანიშნავად გამოხატა თავის ცნობილ «ბერუას ჩაფიქრებაში».

ე შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ — რა ვიცი,
მე რაღა დამაღონებდა?[1].

(ბეგები), რომელთაც ეკუთვნოდათ 7 500-მდე დესეტინა მიწა; ახალციხის მაზრაში: ქობლიანელ-ათაბეგოვს (ბეგს) ეკუთვნოდა — 19 400 დესეტინა; ვ. და ი. ორბელიანებს — 5 600 დესეტინა; ბორჩალოს მაზრაში: თავად ზარიატინსკის (კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის ქვრივს)—42 700 დესეტინა; ბარათაშვილს — 8 400 დესეტინა, ქობულაშვილს 12 900 დესეტინა; ბარონ ა. კუჩენბახს — 9 600 დესეტინა; თავად მუხრან-ბატონებს — 13 100 დესეტინა; ორბელიანებს—67 400 დესეტინა; გორის მაზრაში: გ. ამირეჯიბს — 3 ათასი დესეტინა; ი. კ. მუხრან-ბატონს 13 100 დესეტინა; კ. ყიფშიანს — 4 800 დესეტინა; დიდ მთავარს მიხ. ნიკ. რომანოვს (კავკასიის ყოფილ ნამესტნიკს) — 68 600 დესეტინა; მაჩაბელს — 13 200 დესეტინა; ფალავანდიშვილებს—19 ათასი დესეტინა; ციციშვილებს 41 700 დესეტინა; ზ. ერისთავს — 11 800 დესეტინა; სიღნაღის მაზრაში: ე. ჩოლოყაშვილს — 2 400 დესეტინა; თბილისის მაზრაში: ჩერქეზიშვილს — 6 600 დესეტინა; ი. კ. მუხრან-ბატონს—4 300 დესეტინა; თიანეთის მაზრაში: გ. და ა. ჩოლოყაშვილებს — 6 900 დესეტინა; ჭავჭავაძეებს — 15 600 დესეტინა და ა. შ.

ამავე ხანებში ქუთაისის გუბერნიაში ისეთი მამულები, რომლებიც 7 ათას ქცევაზე (ე. ი. 2 625 დესეტინა) მეტ მიწას შეიცავდნენ, სულ იყო 12. ამთაგან ორი რაჭის, 1 ქუთაისის, 4 ოზურგეთის, 2 ლეჩხუმის, 2 ზუგდიდის მაზრებსა და 1 სვანეთში. უკანასკნელი 9 ყველაზე მსხვილი მამული ეკუთვნოდა: თავად კ. დადიანს (სენაკის მაზრა) — 14 625 დესეტინა, თავად გრიგოლ დადიანს — 29 ათასი დესეტინა (ლეჩხუმის მაზრა), თავად გურიელების ოთხ ოჯახს — სამს თვითეულს 7 ათასი დესეტინა, და ერთს 9 373 დეს. (ოზურგეთის მაზრა), თავად გიორგი დადიანს — 9 988 დესეტინა (პ ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი ამიერკავკასიაში, ტ. მეორე, 1955, გვ. 23 — 24).

[1] რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ლექსები, ტ. 1, 1935, გვ. 178.

უმიწო და მცირემიწიან გლეხთა ნაწილი ლუკმაპურის სამოვნელად იძულებული იყო გარესამუშაოზე გასულიყო ან მუქთად მიქირავებოდა შეძლებულ გლეხებს. მემამულეები კი პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

მცირემიწიან ან უმიწო გლეხს ერთი ქცევა მიწის ყიდვა რომ გადაეწყვიტა, წლობით უნდა შეეგროვებია ფული. ეს კი გლეხს არ შეეძლო, თუ მკვეთრად არ შეამცირებდა თავისი ოჯახის აუცილებელ მოთხოვნილებას, თუ არ გაიუარესებდა ცხოვრების პირობებს.

მშრომელ გლეხებს უდიდეს ტვირთად აწვა სხვადასხვა გადასახადი. კავკასიის ფილოქსერის კომიტეტის დასკვნით ასეთ გადასახადებს შეადგენდა: გადასახადი ხვნის დასაწყისში ქცევაზე 1 — 1 ½ მან. მემამულისათვის მიხმარება 2 — 3 დღე ყოველწლიურად, სადილის მიტანა მოსავლის განაწილების დროს, ძღვენი: 1 ქათამი, 9 პური და სხვ. 6 მანეთის ღირებულებით, ქრთამი 1 — 3 მან. და სხვ.

გორის მაზრაში, მაგალითად, თავისებური გადასახადი იყო: ყოველ ნახევარ დესეტინა მიწაზე 3 კოდი პური, ორი დღის მუშაობა მემამულის მიწაზე, ორი ურემი შეშა. შემდეგ მიდიოდა ტყის, სათიბის, საძოვრით სარგებლობისა და სხვ. გადასახადები. ამ გადასახადებს გარდა გლეხები იხდიდნენ აგრეთვე მთავრობის, სამღვდელოების, ბანკების, ვაჭრების, მევახშეების და სხვ. გადასახადებს. მათ მძიმე ტვირთად აწვათ ადგილობრივი გადასახადებიც, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები პირველი მოხმარების საგნებზე — ჩაიზე, ასანთზე, ნავთზე, მარილზე, შაქარზე, თამბაქოზე და სხვ.

პირველი მოხმარების საგნები დაბეგრილი იყო არაპირდაპირი გადასახადით. მაგალითად, რუსეთის ნავთი, რომელიც უცხოეთში ბათუმიდან გადიოდა, ფუთი შეფასებული იყო 20 — 25 კაპიკად, გურიაში კი იგი იყიდებოდა გირვანქა 4 — 7 კაპიკად, ე. ი. თვითეულ ფუთზე გლეხი 28 — 77 კაპიკით მეტს იხდიდა.

დიდი იყო სააქციზო გადასახადიც. ასეთ გადასახადს გლეხები იხდიდნენ არყის გამოხდის, თამბაქოს წარმოებისა და

სხვ. დამატებითი საქმიანობისათვის. დიდ ჯარიმებს იხდიდნენ გლეხები დაჭრილი თამბაქოს გაყიდვისათვის.

გადასახადები ხშირად აღემატებოდა გლეხის წლიურ შემოსავალს, რის გამოც გლეხური მოსახლეობის უმეტესობა ძონძებში დადიოდა, სისტემატურად შიმშილობდა.

სათანადო მონაცემებით დადასტურებულია, რომ, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში, სადაც 1917 წლის აღწერით სოფლის მოსახლეობის თვითეულ სულზე 0,2 დესეტინა ნათესი მოდიოდა. მარცვლეულის წლიური მოსავალი თვითეულ სულზე შეადგენდა მხოლოდ 8 — 9 ფუთს, ე. ი. დღეში დაახლოებით 400 გრამს[1]. პირუტყვის კვება და სხვა სამეურნეო მოთხოვნილება გლეხს აიძულებდა ეს ნორმა კიდევ უფრო შეემცირებია.

სასოფლო-სამეურნეო იარაღთაგან საქართველოს სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყო მამაპაპური ხის კავი, ფარცხი, ნაწილობრივ გუთანი, კაბტო (დასავლეთ საქართველოში) და სხვ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ენერგეტიკის თითქმის ერთადერთ სახეს ცოცხალი გამწევი ძალა — ხარი და კამეჩი წარმოადგენდა.

მაგრამ გლეხური მოსახლეობა ამითაც არ იყო უზრუნველყოფილი: 1917 წლის აღწერით საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 39 პროცენტს არ ჰყავდა მუშა პირუტყვი[2], ყოველ 100 დესეტინა ნათესზე საშუალოდ მოდიოდა 34 უღელი ხარი და 8,8 უღელი კამეჩი. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, იგი მოდიოდა გაცილებით უფრო ნაკლები[3]. ოზურგეთის მთელ მაზრაში (გურიანთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის საპოლიციო უბნები) ყოველ 100 გლეხურ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა მუშა-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX — XX სს, 1956, ტ. II, გვ. 915.

[2] სტატისტიკური კრებული 1909 — 1921, გვ. 33.

[3] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX — XX სს, გვ. 919 — 920.

პირუტყვი: ცხენი — 1,5 სული, ხარი — 9,8 სული, კამეჩი — 1,6 სული.

ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო გლეხთა მდგომარეობა. მუშა-პირუტყვის როლი, გამწევი ძალის ფუნქცია მთელ რიგ სამუშაოზე თვით გლეხს უნდა შეესრულებია.

ვეცნობით რა საქართველოს სოფლის მშრომელ გლეხობის მდგომარეობას ცოცხალი გამწევი ძალის ნაკლებობის მხრივ, გვაგონდება რუსეთის გამოჩენილი მწერლის გლებ უსპენსკის «მეოთხედი ცხენი».

ერთხელ გლებ უსპენსკიმ ადგილობრივი სტატისტიკური «მონაცემები» გადაათვალიერა და მეტად გაკვირვებული დარჩა ამ მონაცემების ერთ-ერთი სტრიქონით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ერთ დიდ მაზრაში თვითეულ სულ მცხოვრებზე საშუ ლოდ მეოთხედი ცხენი მოდიოდა. აღწერა რა გლეხთა მძიმე, არაადამიანური სურათი, მწერალმა გაკვირვებით წარმოთქვა: «რას იზამ! ღარიბ ადამიანებს მხოლოდ ცხენის მეოთხედი ნაწილი გააჩნიათ. ამიტომ დანაკლისი ცხენის ძალა თავისთავზე უნდა მიიღონ»[1].

პრიმიტიული იარაღების არსებობა, ისიც არასაკმაო რაოდენობით, გამწევი ცოცხალი ძალის სიმცირე (მექანიკურ ძალაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა) და სხვ., იწვევდა არა მარტო მიწის ცუდად დამუშავებას და ნაკლებ მოსავლიანობას, არამედ ნიადაგის გამოფიტვას და მიწათმოქმედების ჩამორჩენილობას.

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოს ხელსაყრელ-ბუნებრივი კლიმატური პირობების შესაბამისად თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა და არც შეიძლებოდა მიქცეოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურისა და დარგის განვითარებას, რომლებიც გაზრდიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას და გააუმჯობესებდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობას.

---

[1] Г. Успенский, Четверть лошади и другие рассказы, 1930, стр. 26.

საქართველო მეხილეობის უძველესი ქვეყანაა, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამდე მეურნეობის ამ დარგს ეკონომიკაში უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. საქართველო ძველად მევენახეობის განთქმული ქვეყანა იყო, მაგრამ 1900-იანი წლებიდან მეურნეობის ამ დარგს სავსებით მოსპობით ემუქრებოდა ფილოქსერა. პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა მეურნეობის სხვა დარგებიც. გავრცელებულ კულტურას წარმოადგენდა მხოლოდ მარცვლეული — ხორბალი, სიმინდი და სხვ.

სიმინდი დასავლეთ საქართველოში მეურნეობის მონოკულტურად იქცა, რომელიც დამატებით ფიტავდა ნიადაგს და ამცირებდა მოსავალს. ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, ეთერ-ზეთოვანი მცენარეები და სხვ. ვერ პოულობდა გავრცელებას. ბევრი კულტურა კი, რომელიც ახლა ამშვენებს საბჭოთა საქართველოს მინდვრებს, წინათ გლეხობისათვის სავსებით უცნობი იყო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ

1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) რუსეთის მუშათა კლასმა, ღარიბ გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და პირველად კაცობრიობის ისტორიაში დაამყარა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

საბჭოთა მთავრობის უახლოეს საზრუნავ საგანს ხალხისათვის წარმოადგენდა ომის შეწყვეტა. ამიტომ, ვ. ი. ლენინმა რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე ხელი მოაწერა დეკრეტს ზავის შესახებ, რის შედეგადაც მალე გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ომი შეწყვეტილ იქნა.

შემდეგი საზრუნავი საგანი იყო გლეხებისათვის მიწების გადაცემა. 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ იქნა დეკრეტი მიწის შესახებ. ამ დეკრეტის ძალით საბჭოთა მთავრობისაგან გლეხებმა უსასყიდლოდ და შრომით სარგებლობაში მიიღეს 150 მილიონი დესეტინა მიწა, რომელიც წინათ მემამულეებს, მონასტრებს, მეფის გვარეულობას და სხვ. ეკუთვნოდა.

ამასთან გლეხები განთავისუფლდნენ სხვადასხვა გადასახადისაგან, რაც დიდ თანხას შეადგენდა.

საკმარისია ითქვას, რომ მარტო საიჯარო გადასახადი და მიწის ყიდვით გამოწვეული ხარჯები, რასაც გლეხები ყოველწლიურად უხდიდნენ მემამულეებს, შეადგენდა 700 მილიონ მანეთს ოქროთი[1]. გარდა ამისა, გლეხებს რეფორმაციის მომენტში საგლეხო ბანკის დავალიანება უნდა გადაეხადათ 1300 მილიონი მანეთი ოქროთი, რისგანაც აგრეთვე განთავისუფლდნენ.

დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობა ღარიბ გლეხებს და მოჯამაგირეებს კრედიტით, სათესლე მასალით, ინვენტარით, იცავდა მათ კულაკის ექსპლოატაციისაგან; რიგ შემთხვევებში ხდებოდა კულაკების განკულაკებაც. მათი უძრავ-მოძრავი ქონება გადადიოდა «ღარიბთა კომიტეტების» განკარგულებაში ღარიბ გლეხთა გაერთიანებებს შორის გასანაწილებლად.

საბჭოთა მთავრობამ მოსპო ძველი პოლიცია, სასამართლო, სასოფლო ერობები, რომლებიც ექსპლოატატორთა ინტერესებს ემსახურებოდნენ. მათ ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფოებრივი მმართველობის ახალი აპარატი ქალაქად და სოფლად, რომლებშიც შევიდნენ ხალხის წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობამ გლეხების დასახმარებლად დასახა აგრეთვე მრავალი სხვა ღონისძიება, რომელთა განხორციელებასაც ხელი შეუშალა სამოქალაქო ომის დაწყებამ.

სხვაგვარი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში. აქ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ქართველი ხალხის მტრებმა — მენშევიკებმა, რომლებმაც საქართველო მოწყვიტეს რუსეთს. ისინი გამოხატავდნენ არა ხალხის, არამედ ბურჟუაზიის ინტერესებს, მემამულეთა კლასის ინტერესებს. ქართველი მენშევიკები მხოლოდ დემაგოგიურად ლაპარაკობდნენ ხალხის, მუშებისა და გლეხების სახელით. ამიტომ იყო, რომ მათი ბატონობა საქართველოში უდღეური აღმოჩნდა.

---

[1] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატ. კრებული, 1956, გვ. 97.

მიუხედავად ამისა, მათ მოასწრეს დიდი ზიანი მიეყენებიათ საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის; განსაკუთრებით დაზარალდა სოფლის მეურნეობა. მან სრული დეგრადაცია განიცადა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის შედეგად მოშლილი სოფლის მეურნეობის მწარმოებლური_ძალები კიდევ უფრო განადგურდა, მიწათმოქმედების ისედაც პრიმიტიული იარაღები გაიცვითა და დაიმტვრა, კატასტროფულად შემცირდა ნათესების ფართობი, დიდი ზიანი განიცადა მეცხოველეობამ.

იმის გამო, რომ მენშევიკებმა საქართველო მოწყვიტეს რუსეთს, გაართულეს გარედან პურის მიღების შესაძლებლობა, სერიოზულად გამწვავდა სასურსათო კრიზისი. ამის გამო გლეხობაში გაიზარდა მისწრაფება უკუეგდოთ სპეციალური და ტექნიკური კულტურები და შეუდგნენ უფრო მეტად მარცვლეულის თესვას. თითქმის სავსებით გაქრა ბამბა, რომელსაც 1913 წელს 8193 ჰექტარი ეჭირა; თამბაქოს კულტურის ფართობი 1920 წელს დავიდა 1457 ჰექტარამდე. 1913 წლის 10 444 ჰექტარის ნაცვლად; თავმინებებულ იქნა ჩაის პლანტაციები; დაიწყეს ვენახებისა და ხეხილის ბაღების რეხვა.

თვით «დემოკრატიული» მთავრობის მიწათმოქმედების საშინისტროს ცნობით აჩესილი და ამოძირკული იქნა სულ 6 ათასი ჰექტარი ვენახის ნარგავები და 2 ათას ჰექტარამდე ხეხილის ბაღები. სპეციალური და ტექნიკური კულტურების რაიონებში 1918 — 1920 წლებში ეს კულტურები იდევნებოდა პურეული კულტურებით, თუმცა საერთო ანგარიშით. რესპუბლიკის მასშტაბით, პურეული კულტურების ნათესები ~~ეთ~~ გაზრდილა, შემცირდა კიდეც. ასე, მაგალითად, 1913 წელს იგი შეადგენდა 697 900 ჰექტარს, 1920 წელს კი 479 300 ჰექტარს.

კატასტროფულად შემცირდა წვრილი პრომდუქტიული მეცხოველეობა. მაგალითად, ცხვრის რაოდენობა 1913 წელს 1 663 500 სულიდან 1920 წელს შემცირდა 1200 ათას სულამ-

დე, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იმავე წლებში 1 301 700 სულიდან შემცირდა 900 ათას სულამდე[1]. განსაკუთრებით შემცირდა ცხენების სულადობა. მათი რაოდენობა 1913 წლის 1 20 500 სულიდან 1920 წელს შემცირდა 70 ათას სულამდე.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში გლეხობის მდგომარეობას უკიდურესად ამწვავებდა ფულის გაუფასურება. გლეხს არ შეეძლო ეშოვნა არც სამეურნეო, არც პირადი მოხმარების საგნები. თუ იშოვნიდა, ორმაგი და სამმაგი ფასი უნდა გადაეხადა. ამიტომ გლეხები უმეტესად ძონძებში დადიოდნენ. არსებობის შესანარჩუნებლად ბევრი მათგანი მასობრივად ყიდდა საოჯახო ნივთებს. სიღატაკე საყოველთაო მოვლენად იქცა.

1917 წლის აღწერით საქართველოში გლეხურ მეურნეობათა 5,2 პროცენტს სრულებით არ გააჩნდა მიწა, 15 პროცენტს არ გააჩნდა პირუტყვი, უძროხო მეურნეობათა რიცხვი უდრიდა 37 პროცენტს[2]. უმიწო გლეხურ მეურნეობათა გაცილებით მეტი რაოდენობა, სახელდობრ 23,6 პროცენტი, თვლებოდა აფხაზეთში[3].

გლეხთა ამ მდგომარეობას და სოფლის მეურნეობის აწარმოებლურ ძალთა დაცემას კიდევ უფრო აღრმავებდა ყოფილ სათავადაზნაურო და მემამულეთა კლასის მისწრაფება აღედგინათ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა. ბევრი მათგანი ისევ განაგრძობდა გლეხების ჩაგვრას და ექსპლოატაციას. ისინი აშკარა ტერორის ქვეშ აყენებდნენ ქართველ მშრომელ მოსახლეობას.

ამ გარემოების გამო ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულზე ი. სტალინი წერდა: «...ამიერკავკასია წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით კიდეებზე, ზღვების ნაპირებზე, და პირწმინდა ბატონყმური წყობის ჯერ კიდევ მტკიცე ნაშთებით ცენტრში. თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს გუბერნიებში დღემდე

---

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, კრებული, 1931, გვ. 66.

[2] სტატისტიკური კრებული 1909 — 1921, გვ. 33.

[3] იქვე.

ბლომად არიან მებატონე თათარი ბეგები და ფეოდალი ქართველი თავადები, რომლებიც უზარმაზარ ლატიფუნდიებს ფლობენ, სპეციალური შეიარაღებული ბანდები ჰყავთ და თავიანთ ხელში უპყრიათ თათარ-სომეხ-ქართველ გლეხთა ბედი»[1].

მენშევიკური მთავრობა არათუ არ ცდილობდა დაეცვა მშრომელი გლეხების ინტერესები, პირიქით, ყოველმხრივ აქეზებდა მემამულეებს მძარცველური და ექსპლოატატორული როლის გაძლიერებაში, აშკარად იცავდა ბურჟუაზიის ინტერესებს.

გლეხთა მოძრაობით დამფრთხალმა მენშევიკურმა მთავრობამ მემამულეთა ინტერესების შესაბამისად გაატარა ყბადაღებული აგრარული «რეფორმა», რომელიც ფაქტიურად სტოლიპინის რეფორმის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ «რეფორმის» თანახმად მემამულეთა მფლობელობაში რჩებოდა სხვადასხვა რაიონის მიხედვით — 7 — 15 — 40 დესეტინაზე მეტი მიწა, რაც შემდეგში შეიძლებოდა კიდევ უფრო გადიდებულიყო. მემამულეებს საშუალება ეძლეოდათ მიეღოთ მიწის ორი, სამი და მეტი ნორმა ოჯახის ფიქტიური გაყოფის გზით. მენშევიკების ეს ყბადაღებული აგრარული «რეფორმა» მემამულეების ხელში ტოვებდა საუკეთესო მიწებს; ე. წ. გასანაწილებელ ფონდში გადადიოდა უვარგისი მიწები, რომლებზეც მთავრობამ ისეთი მაღალი ფასები დააწესა, რომ მისი ყიდვა უძნელდებოდათ საშუალო გლეხებსაც კი.

ამ გზით მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწები გლეხების მიერ შეყიდულ იქნა 85 419 დესეტინის რაოდენობით. მენშევიკების ყბადაღებული კონფისკაცია შეეხო 3 412 მემამულისა და 411 გლეხის კომლს; მემამულეების, სამღვდელოებისა და ვაჭრების 37 971 კომლს დარჩა 204 785 დესეტინა მიწა, 274 721 გლეხის კომლს კი—1.019 767 დესეტინა. ამრიგად,

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 56.

მემამულის კომლზე მოდიოდა საშუალოდ 7,3 დესეტინა, ხოლო გლეხის კომლზე — 3,7 დესეტინა მიწა[1].

სულ მშრომელ გლეხობას დარჩა ყველა გამოსაყენებელი მიწის მხოლოდ — 5,4 პროც., თავადაზნაურობას, ვაჭრებს და სასულიერო წოდებას — 34,7 პროც., სახელმწიფოს ხელში იყო— 59,9 პროც., მთელი გლეხობის 40,2 პროც. მიწა არ აღემატებოდა საშუალოდ კომლზე 1,5 დესეტინას, რაც მათ სრულ სიღატაკეს უდრიდა.

როგორც ვხედავთ, მემამულეები და კულაკები ფაქტიურად ხელუხლებელნი რჩებოდნენ.

სიტყვიერად მენშევიკები თითქოს «ებრძოდნენ» მიწის სიმცირეს, აღნიშნავდნენ, რომ სწორედ მიწის სიუიწროვის წინააღმდეგ არის მიმართული «დემოკრატიული რესპუბლიკის» მთავრობის მიერ გატარებული მიწის რეფორმაო. ამ რეფორმის მიხედვით, აღნიშნავდნენ ისინი, მიწის მუშას უნდა ჰქონდეს სამუშაო ნორმა, ოჯახზე 7 — 14 დესეტინა. დანარჩენი მიწებისაგან, რომელიც თავადაზნაურობას უსასყიდლოდ ჩამოერთვა, უნდა შედგეს სათადარიგო სახელმწიფო მიწის ფონდი[2], მაგრამ ნამდვილად ეს იყო სრული სიცრუე. რითაც მენშევიკები ხშირად უმასპინძლდებოდნენ მშრომელებს.

გასაგებია, რომ მენშევიკების ამ აგრარულ პოლიტიკას საქართველოს გლეხებმა უპასუხეს აჯანყებებით და მემამულეთა მიწების დატაცებით.

1918—1920 წლებში გლეხთა აჯანყებებმა მოიცვა საქართველოს მრავალი მაზრა. ამ აჯანყებებს მენშევიკური ჯალათები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ 1919 წელს ნ. ჟორდანიამ გლეხთა აჯანყებების მიზეზების გამოსარკვევად კომისია დანიშნა, რომელიც თავის მოხსენებაში წერდა:

«ჩვენ ვიცით, თუ როგორ იმედებს ამყარებდა მოსახლეობა აგრარულ რეფორმაზე, განსაკუთრებით თბილისის გუბერ-

[1] УГАОР Груз. ССР, ф. 288, оп., 1, д. 2705.

[2] ჟურნ. საქართველოს ეკონომისტი, 1919, № 7 — 8, გვ. 36.

ნიაში. თვითონ რევოლუცია მიმდინარეობდა ამ ლოზუნგის ქვეშ, რომელიც ამბობდა: «მიწა და თავისუფლება»; აგრარული რეფორმა ჩატარებულია, კანონი მიღებულია თითქმის ორი წლის წინ და აქამდე კანონის პირველი ნაწილიც კი არ არის გატარებული ცხოვრებაში. მიწები მემამულეებისათვის, ზოგიერთების გამოკლებით, არ ჩამოურთმევიათ. სახელმწიფო საადგილმამულო ფონდი ფიქცია შეიქმნა. ხშირად საადგილმამულო კომისიები რამდენიმე ნორმას უტოვებენ თავადაზნაურთა ერთ ოჯახს. ეს აღელვებს მასას, რომელიც ამბობს, რომ მიწას წინანდებურად უტოვებენ ან აძლევენ აზნაურებს რამდენიმე ნორმას, ანდა იჯარის სახით. ეს გარემოება ხელს უწყობს აგიტაციას: «თუ მენშევიკთა მთავრობა თავადაზნაურთა მთავრობა არ არის, მაშინ რატომ უტოვებს ის მიწებს აზნაურებს». მიწა მოსახლეობას სრულებით არ მიუღია, აგიტატორები კი გაიძახიან: «მენშევიკები დაპირდნენ ხალხს მიწას. მაგრამ მისი მიცემა არ უნდათ, რადგან თვითონ ისინი აზნაურები არიან». ამაში მოსახლეობა დარწმუნდა იმ ბოროტმოქმედებათა მიხედვითაც, რომლებსაც სჩადიოდნენ საადგილმამულო კომისიები და მიწის მზომელები»[1].

ამიერკავკასიის მენშევიკური, მუსავატური და დაშნაკური მთავრობები განგებ აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს და ხალხთა შორის გამუდმებული ომების ორგანიზატორები იყვნენ.

---

[1] გაზ. კომუნისტი, 1925, 23 ივლისი.

თავი II

რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს გლეხობას

იმ ბრძოლებს, რომლებსაც საქართველოს მუშები და გლეხები ათეული წლების მანძილზე ეწეოდნენ თავიანთი მჩაგვრელების — მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, უშედეგოდ არ ჩაუვლია. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლები თავის დროზე შიშის ზარს სცემდა მეფის თვითმპყრობელობას, ხშირად აიძულებდა მას თავდაცვაზე გადასულიყო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მძლავრი ბიძგი მისცა, დიდად დაეხმარა საქართველოს მშრომელ მოსახლეობას, მათ შორის გლეხობას. თავიანთი საზიზღარი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1921 წლის 25 თებერვალს დადგა ქართველი მშრომელი ხალხის სანატრელი დღეც. რუსეთის პროლეტარიატის მხარდაჭერით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმულმა საქართველოს მშრომელებმა განდევნეს მენშევიკები. დაამხეს კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა და რუსი ხალხის მსგავსად დაამყარეს მუშებისა და გლეხების ძალაუფლება. ეს იყო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, ახალი ერის დასაწყისი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

პირველი დახმარება გლეხობისადმი

მაგრამ პირველ ხანებში საქართველოში მეტად რთულ და ძნელ ვითარებაში მოუხდა საბჭოთა მთავრობას მოღვაწეობა. მენშევიკებმა საზღვარგარეთ გაქცევისას ააოხრეს და გაანა-

დგურეს ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ; გაძარცვეს და დაწვეს ისედაც ღარიბი სასურსათო საწყობები, რათა ხალხში შიმშილი გამოეწვიათ. ამ მიზნით მათ სხვა ქონებასთან ერთად დიდი სასურსათო მარაგი გაიტაცეს საზღვარგარეთ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს თბილისში აღმოჩენილი იქნა მხოლოდ დღენახევრის საყოფი ხორბლეულის მარაგი[1].

მდგომარეობას დიდად ართულებდა ისიც, რომ 1921 წელს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, ძლიერი გვალვის, ხანგრძლივი წვიმებისა და სეტყვის გამო, ადგილი ჰქონდა დიდ მოუსავლიანობას.

ამიტომ ბრძოლა შიმშილობასთან და სასურსათო საკითხის მოგვარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებიდანვე მთავრობის ერთ-ერთ სერიოზულ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა.

ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა სასურსათო კომისარიატმა, რომელმაც შეძლო როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის გარეთ დაემზადებინა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გარკვეული რაოდენობა. დამზადება წარმოებდა ფულის ნიშნების საშუალებით, გადაცვლით, სასურსათო გადასახადის სახით, რსფსრ-ის დახმარებით და სხვ.

საქართველოს სსრ საბჭოთა პირველ ყრილობაზე აღნიშნული იყო: «რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაგვეხმაროს. რუსეთმა საქართველო შეიტანა თავის ბიუჯეტში, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ერთი წლის განმავლობაში უნდა მისცენ 600 000 ფუთი პური, ე. ი. დაახლოებით 50 ათასი ფუთი თვეში. ეს დაახლოებით ნახევრად ფარავს ჩვენს მოთხოვნილებას»[2].

ქალაქების მომარაგება ხდებოდა სასურსათო ულუფით, რაც მოსახლეობას თავისუფალი ბაზრის ფასებთან შედარებით 25—30 პროცენტის ფასდაკლებით ეძლეოდა.

---

[1] გაზ. კომუნისტი, 1921, 9 ივლისი.

[2] საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1922, გვ. 61.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობასთან ბრძოლის მიზნით საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1921 წლის 21 მარტის თარიღით გამოსცა დეკრეტი: «ყველა თავისუფალი მიწების სავალდებულო დათესვის შესახებ». დეკრეტში ნათქვამი იყო: «რადგან 1920 წლის შემოდგომაზე... მეტად მცირე მიწები იქნა დათესილი და რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება, რევოლუციური კომიტეტი საჭიროდ ცნობს დათესილ იქ ეს როგორც ის თავისუფალი ადგილები, რომლებიც წარსულ შემოდგომაზე დაუთესავი დარჩა, აგრეთვე გაზაფხულზე დასათესი ყველა ანეული.

ამ საქმის განხორციელებას საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივ მცხოვრებთა ფართო თვითმოქმედება»[1].

საქართველოს საბჭოთა მთავრობის 1921 წლის 18 მარტის დადგენილებით შეიქმნა ცენტრალური დამთესი კომისია. მთავრობამ კომისიას თესლის შესაძენად 1 087 614 ათასი მანეთის კრედიტი გაუხსნა ქართული ბონეებით. ამ თანხით თვით საქართველოში შეძენილ იქნა სათესლე მასალა და გლეხებს დაურიგდა სიმინდი, ხორბალი, ქერი, კარტოფილი და სხვ. 66 381 ფუთის რაოდენობით. ამ სათესლე მასალით დაითესა 21 ათასი დესეტინა მიწა.

სულ 1921—1922 წლებში გლეხებს სხვადასხვა სათესლე მასალა მიეცა 3 699 000 ფუთი. მთავრობა დაეხმარა გლეხებს აგრეთვე ინვენტარით. ჯერ კიდევ 1921 წლის გაზაფხულზე გლეხებს დაურიგდა 300-ზე მეტი გუთანი.[2]

---

[1] საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტთა, დადგენილებათა და ბრძანებათა კრებული, 1921, № 2, 22 სექტ., გვ. 21.

[2] გაზ., მიწის მუშა, 1923, 28 მარტი.

დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ღარიბი გლეხობისათვის შეღავათიანი სახელმწიფო და კოოპერაციული კრედიტების მიცემას. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მესამე ყრილობამ მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო: „გაეხსნას შეღავათიანი სახელმწიფო და კოოპერაციული კრედიტი უმთავრესად ღატაკსა და მცირე შეძლების გლეხობას საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად. ამ მიზნით დაარსდეს სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებანი, ამხანაგობები, არტელები და სხვ. უმთავრესად მცირე შეძლების გლეხებთაგან, საშუალო შეძლების გლეხთა

ამ და მთელ რიგ ჩატარებულ სხვა ღონისძიებათა შედეგად საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა სძლევდა აღნიშნულ სიძნელეებს და ქმნიდა რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების განვითარების ყველა საჭირო პირობას.

ერთ-ერთი დიდი ღონისძიება, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში სოფლის მეურნეობის აღდგენას და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა გლეხობის წარმოებრივი საქმიანობის ამაღლების საქმეში, იყო მიწის ნაციონალიზაცია და ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 6 აპრილის თარიღით გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ. დეკრეტში ნათქვამი იყო:

«1. ყველა მიწა მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა;

2. ის მიწები და მსხვილი მამულები, რომლებიც ყოფილი მთავრობის დროს ჩამოურთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა მსხვილ მფლობელებს, შენობებით, ყოველივე ინვენტარით და სამეურნეო იარაღებით. ერთმევათ დღევანდელ მფლობელთ სრულიად უსასყიდლოდ და წინათ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაირიცხებიან მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადიან მშრომელთა სასარგებლოდ»[1].

შემდეგში დეკრეტი განმტკიცებულ იქნა მიწის კოდექსით, რომელშიც ნათქვამი იყო: «მთელი მიწა-წყალი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ვის სარგებლობაშიც უნდა იყოს იგი, შეადგენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას»[2].

ჩარიცხვით" (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებანი, 1924, გვ. 28).

[1] საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი მიწის შესახებ, № 17, იხ. ЦГА ОРСС, ф. 281, Д. 223, 1, 42—43.

[2] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1925, გვ. 70.

დეკრეტს მიწის შესახებ ჰქონდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. მიწის ნაციონალიზაციის შედეგად საქართველოს მშრომელ გლეხობას სახნავ-სათესებით, ტყეებით, საბალახო-სათიბებით და საერთოდ ყოველგვარი სახმარი მიწებით სარგებლობის ფართო შესაძლებლობა მიეცა. რაც მთავარია, მშრომელმა გლეხობამ ნაციონალიზაციის შედეგად საბჭოთა ხელისუფლებისაგან 1921 წლიდან მოკიდებული შემდგომი უახლოესი წლების განმავლობაში იმ მიწების გარდა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მის სარგებლობაში ან საკუთრებაში იყო, 896 ათასი ჰექტარი მიწა მიიღო. ეს მიწები წინათ მემამულეებს, ბურჟუაზიას, ხაზინას, მონასტრებს და ეკლესიას ეკუთვნოდა.

1927 წელს უკვე გლეხობის შრომით სარგებლობაში იყო 2015 ათასი ჰექტარი მიწა, ნაცვლად 1917 წლის 343 ათასი და 1921 წლის 1245 ათასი ჰექტარისა.

მიწის ნაციონალიზაციის შედეგად საბჭოთა გლეხობამ მიიღო სხვა სახის დახმარებაც. ყოფილი «დროებით ვალდებული» გლეხები სამუდამოდ განთავისუფლდნენ მემამულეთა მიწების სარგებლობისათვის ყოველწლიურად 802,2 ათასი მანეთი ღალის გადასახადისაგან, აგრეთვე მიწის გამოსაყიდი 233,9 ათასი მანეთი ოქროთი გადასახადისაგან. საბოლოოდ განთავისუფლდნენ გადასახადების წინანდელი მძიმე ტვირთისაგან სხვა წოდების გლეხებიც[1].

უეჭველია, ამ ღონისძიებას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო სოფლის მეურნეობის აღდგენის თვალსაზრისით, არამედ «უმიწობის» ლიკვიდაციისათვისაც.

საქართველოს მთელი ტერიტორია, რომელიც 1921 წელს 6535 ათას დესეტინას შეადგენდა, მჭიდროდ იყო დასახლებული, მაგალითად, 1 კვ. კილომეტრზე მოდიოდა 34 სული. ასეთ პირობებში გასაგებია ღარიბთა «უმიწოპისა» და «მცირემიწიანობის» დიდი სიმწვავე.

---

[1] ვ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, სოფლის მეურნეობის გადასახდელები საბჭოთამდელ საქართველოში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1953, გვ. 434.

1921 წელს საქართველოს მიწის მთელი ფონდიდან სახმარი მიწის ფართობი უდრიდა 4372636 დესეტინას, ე. ი. 66,9 პროცენტს. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში სახნავ-სათესი და სახმარი მიწა თვითეულ სულზე მოდიოდა 1 დესეტინა, დასავლეთ საქართველოში — 0,4 დესეტინა, აფხაზეთში— 0,7 დესეტინა, აჭარაში — 0,3 დესეტინა, სამხრეთ ოსეთში — 0,3 დესეტინა, მთელ საქართველოში — 0,7 დესეტინა.

ამ მხრივ საქართველო გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკები. მაგალითად, სომხეთში სახმარი მიწები მოდიოდა თვითეულ სულზე — 1 დესეტინა, ევროპულ რუსეთში — 2 დესეტინა, უკრაინაში — 1,6 დესეტინა, ბელორუსიაში — 1,6 დესეტინა და სხვ.

უეჭველია, საბჭოთა ხელისუფლების დროს მიწაზე კერძო სკუთრების მოსპობას, მეურნეობის სოციალისტურ ორგანიზაციას, ექსტენსური მეურნეობის დარგებიდან ინტენსური მეურნეობის დარგებზე გადასვლას, სარწყავი სისტემის გაფართოებას, მელიორაციული სამუშაოების ჩატარებას და სხვ. შეეძლო მიწის სიმცირით გამოწვეული სიღატაკის დაძლევა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მემამულეთა კლასის მოსპობის შემდეგ გლეხობა უკვე აღარ იყო იძულებული მიემართა მიწის იჯარით აღებისათვის, რისთვისაც იგი ყოველწლიურად 2500 ათას მანეთს იხდიდა ოქროთი[1]. გლეხობა განთავისუფლდა სხვა გადასახადებიდანაც. ეს იყო დიდი მონაპოვარი, რომელიც გლეხობამ მიიღო საბჭოთა ხელისუფლებისაგან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

ვ. ი. ლენინი ახასიათებდა რა გლეხებისათვის მიწის ნაციონალიზაციის დიდ მნიშვნელობას, აღნიშნავდა, რომ «გლეხურ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურით პირველ რიგ-

---

[1] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლა საქართველოში (1921 — 1925 წლები), საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1955, გვ. 7.

ში მოიგეს, ყველაზე მეტად მოიგეს, ერთბაშად მოიგეს საერთოდ გლეხებმა»[1].

საბჭოთა მთავრობა დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა ღარიბ გლეხურ მეურნეობებს, მტკიცედ ემყარებოდა მათ, ანმტკიცებდა კავშირს საშუალო გლეხობასთან, ეწეოდა კულაკობის შეზღუდვას.

კომუნისტური პარტიის ამ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, ვინაიდან, თუ გადასახადის მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოში ღარიბი გლეხობის რაოდენობა ამ პერიოდში მთელ გლეხურ მეურნეობათა ნახევარზე მეტს შეადგენდა, ე. ი. შეადგენდა უფრო მეტს, ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა რესპუბლიკაში.

1925 წლის მარტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა მესამე ყრილობაზე, ამხ. ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა: «...მთელ საბჭოთა კავშირში ვერ ნახავთ ჩვენზე უფრო ღარიბ კუთხეს, ყველაზე ღარიბი ჩვენ ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ბუნება ხელს გვიწყობს... ჩვენი გლეხი დილიდან საღამომდე დაუსვენებლად მუშაობს და იმდენი ნაყოფი ვერ მოყავს, რომ პერანგი ჩაიცვას.

გიხარია კაცს, როდესაც ხედავ ამ კრებაზე ნამდვილ გლეხებს, მაგრამ იმავე დროს გული გიკვდება, როდესაც ხედავ, რომ მათ ფეხზე დახეული ქალამნები და ტანზე დახეული ჩოხები აცვიათ. ეს არის ჩვენი უბედურება, და რომ დავაღწიოთ თავი ამ სიღარიბეს, ქალამანი წუღით მაინც შევცვალოთ თუ ჩექმით არა, საჭიროა, რომ განვავითაროთ ტექნიკა, შემოვიტანოთ მიწის სახნავი ტრაქტორები, პურის სამკელი, სალეწი და სხვა მანქანები»[2].

საბჭოთა მთავრობის დახმარება ღარიბი გლეხობისადმი არ გამორიცხავდა სოფლად იმის შესაძლებლობას, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში ღარიბი გლეხი ისევ ჩავარდნილიყო კუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 115.

[2] საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა მესამე ყრილობა, ოქმები და რეზოლუციები, 1925, გვ. 70.

ლაკის კაბალაში, გახლართულიყო მევახშეობის ქსელში, რასაც აქა-იქ კიდევ ჰქონდა ადგილი. ეს მით უფრო შეიძლება ითქვას, რომ ხშირად კულაკები არწმუნებდნენ ღარიბ და საშუალო გლეხებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაშალ-ცხდებაო. ამიტომ პირველ ხანებში მშრომელი გლეხების ერთი ნაწილი გადამჭრელ ნაბიჯებს არ სდგამდა ან ვერ სდგაჭდა კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს გლეხების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით ღარიბებს და მოჯამაგირეებს, სახელმწიფოსაგან მიღებული მიწის დასამუშავებლად არ გააჩნდა საკუთარი ინვენტარი და გამწევი ძალა, რის გამოც ზოგიერთი მათგანი კულაკებს მიმართავდა და ვარდებოდა მათ კაბალაში [1].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ ზომებს ღებულობდნენ კულაკის გავლენისაგან ღარიბი და საშუალო გლეხობის გათავისუფლებისათვის. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, როდესაც კულაკები რამდენადმე გამოცოცხლდნენ.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას არ შეეძლოთ ნამდვილი ქმედითი დახმარება გაეწიათ გლეხობისათვის და მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის, მათ არ შეეძლოთ განეხორციელებიათ მრეწველობის აღდგენა და მისი განვითარება, თუ აღდგენილი არ იქნებოდა პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების პერიოდში კატასტროფამდე მიყვანილი სოფლის მეურნეობა. ამას მოითხოვდა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების ინტერესები.

---

[1] კულაკების ეკონომიური გავლენის ლიკვიდაციისა და პოლიტიკური იზოლაციისათვის, აგრეთვე მუშებისა და გლეხების ბლოკის განსამტკიცებლად ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის დიდი მუშაობა წარმოებდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად იზრდებოდა ღარიბთა და მოჯამაგირეთა პოლიტიკური აქტიობა, მაღლდებოდა მათი სოციალისტური შეგნება.

მაგრამ ეს რთულ ამოცანას წარმოადგენდა. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის აღდგენა უნდა წარმართულიყო ინდივიდუალურ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა პირობებში, რომლის რაოდენობაც მაშინ სისტემატურად იზრდებოდა. მდგომარეობას ართულებდა სასურსათო და სამრეწველო პროდუქტების ნაკლებობაც. სერიოზულ ხელშემშლელ მიზეზს წარმოადგენდა როგორც შინაგანი, ისე საგარეო მტრების პროვოკაციები, რაც ხშირად აშკარა საფრთხეს უქმნიდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში.

მიუხედავად ამისა, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ რსფსრ-ის მთავრობის დახმარებით სერიოზული ღონისძიებები დასახა სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ღონისძიებებს, რომლებიც მდგომარეობდა ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის კრედიტების, ინვენტარის, სასუქისა და სხვ. მიწოდებაში, სოფლის აგროტექნიკური ღონისძიებების დანერგვაში, სარწყავი სისტემის გაფართოებაში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში და სხვ.

1923 წელს ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის აღსადგენად სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 700 ათასი მანეთი გამოყო ოქროთი, საიდანაც მნიშვნელოვანი თანხა მოდიოდა საქართველოზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში აღდგენით პერიოდში სახელმწიფოს მიერ დაბანდებულ იქნა 15,5 მილიონ მანეთზე მეტი. ჩატარებულ იქნა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი აღდგენითი სამუშაოები.

უწინარეს ყოვლისა, აღდგენილ იქნა და ომამდელ დონეს გადააჭარბა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესმა ფართობმა, რამდენადმე გადიდდა მოსავლიანობა და საქონლიანობა, მალე საბოლოოდ იქნა დაძლეული შიმშილობა და სასურსათო სიძნელეები.

1925 წელს საქართველოს სსრ-ში მთელმა ნათესმა ფარ-

თობმა 1913 წლის ნათეს ფართობს გადააჭარბა 5,3 პროცენტით და 1921 წლისას — 40.4 პროცენტით[1].

ამას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რაც აშკარად გვიჩვენებდა საბჭოთა წყობილების პირობებში სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების ფართო შესაძლებლობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

მაგალითად, საფრანგეთმა 1925 წლისათვის ნათესი ფართობის მხრივ ომამდელი რაოდენობის მხოლოდ 82 პროცენტს მიაღწია. გერმანიაში 1924 წელს ხორბლის ნათესი ფართობი 11,5 პროცენტით შემცირდა 1911 — 1913 წელთან შედარებით, ნაცვლად 1 657 309 ჰექტარისა იგი უდრიდა 1 466 305 ჰექტარს [2].

ასეთსავე მდგომარეობას ადგილი ჰქონდა იტალიაში, უნგრეთში და მთელ რიგ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საქართველო, თვით საბჭოთა კავშირშიც კი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც უკვე 1924 — 1925 წლებში მიაღწია და გადააჭარბა ომამდელ დონეს ნათესი ფართობის მხრივ.

ცალკეული კულტურების დარგში ადგილი ჰქონდა შემდეგ მდგომარეობას: ხორბლის ნათესი ფართობი 1925 წელს უდრიდა 257,1 ათას ჰექტარს და 1913 წლის დონეს აჭარბებდა — 9,3 პროცენტით, 1921 წლის დონეს — 93,0 პროცენტით. ასეთივე ტენდენციით ხასიათდებოდა ნათესი ფართობი ტექნიკური კულტურების დარგშიც.

ტექნიკური კულტურების: თამბაქოს, მზესუმზირას, სელისა და სხვ. ნათესების ფართობი 1917 წლის 14 782 ჰექტარიდან 1925 წელს — 21 344 ჰექტარამდე გაიზარდა, ე. ი. გადააჭარბა 44,4 პროც.. ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ 1917 წლიდან მოკიდებული ზოგიერთი კულტურის წარმოება თითქმის სავსებით შეწყდა. ამ კულტურების მოყვანა არ განახლებულა არც 1921 — 1922 წლებში.

---

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1951, გვ. 168.

[2] Jahreshefte zur statistic des Deutschen Reiches, 1925, Berlin, s. 150.

1923 წლიდან საბჭოთა მთავრობას ხელახლა დასჭირდა ზოგიერთი მათგანის აღდგენა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ძომენტში ერთ-ერთ მივიწყებულ კულტურას თამბაქო წარმოადგენდა. კიდევ მეტი, არ იყო დადგენილი ამ კულტურის წარმოების მთავარი რაიონიც კი[1].

1925 წელს ომამდელ დონესთან შედარებით შემცირებული იყო მრავალწლიანი ნარგავების ფართობიც, იგი შეადგენდა 38 982 ჰექტარს, ნაცვლად 1913 წლის 50 324 ჰექტარისა, ე. ი. 22,7 პროცენტით ნაკლებს.

მართალია, ჩაის ფართობი 1913 წლის 894 ჰექტარიდან 1925 წელს გადიდდა 1325 ჰექტარამდე, ე. ი. 48,2 პროცენტით, მაგრამ სამაგიეროდ დიდად შემცირებული აღმოჩნდა ვენახის ფართობი. /იგი 1913 წლის 49 430 ჰექტარიდან/1925 წელს შემცირდა 37 557 ჰექტარამდე, ე. ი. 24 პროცენტით. ამის მიზეზი იყო ფილოქსერით ვენახების მწვავე დაავადება, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლას და ვენახების აღდგენისათვის ზრუნვას საბჭოთა მთავრობა ახორციელებდა როგორც მთელი აღდგენითი პერიოდის, ისე მომდევნო წლების განმავლობაში.

აღდგენით პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად წამყვან კულტურას სიმინდი წარმოადგენდა. 1921 წელს სიმინდი ითესებოდა 314 900 ჰექტარზე, /1925 წელს სიმინდის ნათესი ფართობი გაიზარდა 387 796 ჰექტარამდე და ომამდელ დონეს 10,9 პროცენტით გადააჭარბა.

[1] ნათესი ფართობის მიხედვით სიმინდის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა ხორბალს, რომლის ფართობი/1921 წელს უდრიდა 133,2 ათას ჰექტარს/ხოლო 1925 წელს — 257,1 ათას ჰექტარს.

სიმინდი, ხორბალი და საერთოდ მარცვლეული კულტურები მაღალ შემოსავალს არ იძლეოდა. ამიტომ, მიუხედავად მათი დიდი სამეურნეო მნიშვნელობისა, გლეხურ მეურ-

---

[1] Пути развития народного хозяйства Закавказья, 1925, стр. 10.

ნეობათა ფულად შემოსავალში ამ კულტურების ხვედრიწონა დაბალი იყო.

სოფლის მეურნეობის მთელ ფულად შემოსავალში ტექნიკურ კულტურებს — თამბაქოს, ჩაის, ბამბას და სხვა, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტებს შედარებით მეტი ხვედრიწონა ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ არასრული მონაცემებით ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ინტენსური კულტურები, რომლებსაც ომამდე 249 ათასი დესეტინა მიწა ეჭირა, იძლეოდა მთლიან შემოსავალს 69 მილიონ მანეთს, მაშინ როდესაც მარცვლეულის მეურნეობა, რომელსაც 1,6 მილიონი დესეტინა ეჭირა, იძლეოდა 35 მილიონ მანეთს შემოსავალს[1]. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის, სადაც ძვირფასი, ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარებისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

ამიტომ, ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა ექსტენსური მეურნეობის დარგებიდან გადაგვეყვანა ინტენსური მეურნეობის დარგებზე, რათა მისი ბუნებრივ-კლიმატურ ხელსაყრელ პირობებთან შესაბამისად ფართო მასშტაბით განვითარებულიყო ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურები. ამას ექნებოდა უდიდესი მნიშვნელობა როგორც გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ისე მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

პარტიას სწორედ იქითკენ ჰქონდა გეზი აღებული, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა წარმართულიყო ინტენსიფიკაციის გზით, ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურების უპირატესი განვითარების ბაზაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მეოთხე ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია: «აღვნიშნავთ რა უდიდეს მიღწევებს სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში, პარტიამ უნდა უჩვენოს, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი გან-

---

[1] Пути развития народного хозяйства Закавказья, 1925, стр. 11

ვითარება უნდა წავიდეს ხორბლეული კულტურის ძვირფასი კულტურებით შეცვლის და გლეხური მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის გზით»[1].

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად სათანადო წარმატებები. იქნა მოპოვებული მეცხოველეობის აღდგენის საქმეშიც. თუმცა მეცხოველეობის ზოგიერთ დარგში (მაგალითად, მეცხენეობა) აღდგენითი პერიოდის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღწეული ომამდელი დონე, სამაგიეროდ მეცხოველეობის სხვა დარგებში 1925 წელს 1913 წლის დონე 8,2 პროცენტით იქნა გადაჭარბებული. განსაკუთრებული სისწრაფით გაიზარდა ღორების რაოდენობა. მან ომამდელ დონეს გადააჭარბა 13,2 პროცენტით. მთლიანად პირუტყვის სულადობა ომამდელ დონეს აღემატებოდა 19,7 პროცენტით[2].

ასეთივე მდგომარეობით ხასიათდებოდა მეაბრეშუმეობაც, რომლის პროდუქცია 1913 წლის 1 556 ტონიდან 1925 წელს გაიზარდა 2 129 ტონამდე, ე. ი. ომამდელ დონეს გადააჭარბა 36,8 პროცენტით, 1921 წლისას კი 2,6 პროცენტით.

მნიშვნელოვან წარმატებებს მეცხოველეობის დარგში ადგილი ჰქონდა არა მარტო მისი რაოდენობრივი ზრდის, არამედ პროდუქციის საერთო ღირებულების გადიდების მხრივაც.

წვრილი და მსხვილი მეცხოველეობის პროდუქციის საერთო ღირებულება 1913 წლის 35 110,6 ათას მანეთიდან 1924 — 1925 წელს გაიზარდა 35 466,8 ათას მანეთამდე, ე. ი. 1,1 პროცენტით. ეს გვიჩვენებს, რომ მეცხოველეობა თავისი საერთო პროდუქციის ღირებულების მიხედვითაც აღემატებოდა ომამდელ დონეს[3].

აღდგენით პერიოდში სოფლის მეურნეობის კულტურების ნათესი ფართობის გადიდებასთან ერთად იზრდებოდა

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მეოთხე ყრილობა, ბიულეტენი 9, 1925, გვ. 6.

[2] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გვ. 174.

[3] საქართველოს სსრ მთავრობის 1925 — 26 წწ. მოქმედების ანგარიში, 1927, გვ. 67.

მოსავლიანობაც. მაგალითად, საქართველოში სოფლის მეურ-ნეობის ძირითადი კულტურების საერთო მოსავალმა 1925 წელს არა მარტო მიაღწია ომამდელ დონეს, არამედ გადაა-ჭარბა კიდეც მას: მარცვლეულის დარგში — 16,4 პროცენ-ტით, მეთამბაქოობაში — 15,3 პროცენტით, მეჩაიეობაში — 78,4 პროცენტით, მებამბეობაში — 133 პროცენტით და სხვ.

ამ პერიოდში ევროპის ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნებიც კი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ ომამდელ დონეს როგორც ნათესების, ისე მოსავლიანობის მხრივ. მაგალითად, საფრანგეთმა 1924 წელს 1913 წლის ნათესების დონეს მიაღწია მხოლოდ — 82 პროცენტით, მოსავლის დონეს კი — 88,8 პროცენტით. გერმანიამ ნათესების მხრივ—88,5 პროცენტით, ხოლო მოსავლის მხრივ — 56,6 პროცენტით. იტალიამ შესაბამისად — 96,2 პროცენტით და 92,8 პროცენტით, რუმინეთმა — 172,2 პროცენტით და 84,7 პროცენტით, უნგრეთმა — 38,5 პროცენტით და 29,7 პროცენტით [1].

როგორც ვხედავთ, დასახელებულ ქვეყნებიდან მხოლოდ რუმინეთმა გადააჭარბა ნათესი ფართობის მხრივ ომამდელ დონეს, მაგრამ მოსავლიანობის მხრივ ისიც ჩამორჩებოდა ამ დონეს.

საქართველომ კი ომამდელ დონეს გადააჭარბა როგორც ნათესი ფართობის (5,3 პროც.), ისე მოსავლიანობის მხრივ (16,4 პროც.).

საგრძნობლად გაიზარდა რესპუბლიკის სოფლის მეურ-ნეობის პროდუქციის საერთო ღირებულებაც, მაგალითად, 1922 — 1923 წლებში იგი უდრიდა 58 693 500 მანეთს, 1923 — 1924 წლებში კი — 142120 ათას მანეთს, 1924—1925 წლებში—188 867 060 მანეთს ანუ ზრდა შეადგენდა 321,8 პროცენტს[2]. შემდეგ წლებში ეს მონაცემები კიდევ უფრო გაიზარდა.

სოფლის მეურნეობის კულტურების საერთო პროდუქციის ზრდის შედეგად გადიდდა მისი საქონლური ნაწილი. ამასთან

[1] Annuaire International de statistique Agricole, 1922, 1923, 1924 და Bulleten statistique Agricole et Commerciale 1924—1925.

[2] სტატისტიკური კრებული 1922 — 1926 წწ., 1927, გვ. 106 — 107.

დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ წარმატებით სრულდებოდა სახელმწიფო დამზადებათა გეგმები, აგრეთვე ნატურალური გადასახადები, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქალაქისა და კიდევ უფრო სოფლის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს გარემოება დამახასიათებელი იყო არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისთვისაც.

ამიტომ იყო, რომ ი. ბ. სტალინი საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობაზე აღნიშნავდა: «გლეხი ახლა უკეთესად იკვებება, და ის თავის წარმოებაში, თავისი პირადი მოხმარებისათვის გაცილებით მეტ წილს იტოვებს...» [1].

ამის საილუსტრაციოდ საქართველოში შეიძლება შემდეგი ფაქტი მოვიყვანოთ. 1925 წლის ნოემბერში სოფლის მოსახლეობის კვება კალორიულობის მიხედვით ერთ მჭამელზე შეადგენდა: ღარიბი გლეხობისათვის — 3 981-ს, საშუალო გლეხობისათვის — 4 387-ს, კულაკებისათვის — 4 951-ს. შემდეგ წლებში თვითეულ მჭამელზე კალორიულობა კიდევ უფრო იზრდება. რაც შეეხება მუშების კვებას, ერთ მჭამელზე იმავე წელს იგი უდრიდა—3 583 კალორიას, მოსამსახურეებისა — 3 049 კალორიას [2].

როგორც ვხედავთ, გლეხების კვება აღემატებოდა მუშებისას და მოსამსახურეებისას. მეფის თვითმპყრობელობისა და მენშევიკების დროს კი გლეხები სისტემატურად შიმშილობდნენ.

მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა იყო, რომელიც ხელს უწყობდა ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობის წარმატებებს, მოსახლეობის ჩაბმას სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 353.

[2] საბჭოთა საქართველო ციფრებში 1921—1929 წწ., 1929, გვ. 254—255, 258.

ტექნიკური აღჭურვილობისათვის ზრუნვა

სოფლის მეურნეობის აღდგენა წარმატებით იქნა განხორციელებული 1921 — 1925 წლების განმავლობაში. მაგრამ ეს კიდევ არ იყო საკმარისი მშრომელი მოსახლეობის, კერძოდ გლეხობის უკეთესი ცხოვრებისათვის. საქმე ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში ისევ ფართოდ იყო შემორჩენილი პრიმიტიული იარაღები, გლეხობის უმეტესობას კი ესეც არ ჰქონდა.

1923 წელს სოფლის მეურნეობის აღწერით საქართველოში მეურნეობათა რიცხვი უდრიდა — 388 480-ს, აქედან სახნავი იარაღები არ გააჩნდა — 210 092-ს, ე. ი. 54 პროცენტს, ხოლო ტრანსპორტის ინვენტარს მოკლებული იყო 235 674 მეურნეობა, ე. ი. 60 პროცენტი[1].

იმავე წლის აღწერით საქართველოს სოფლის მეურნეობაში ითვლებოდა ხის გუთანი — 7 406 ცალი, კავი—162 947 ცალი, რკინის გუთანი—17 785 ცალი, ადგილობრივი ფარცხი—54 752 ცალი, რკინის ფარცხი — 3 002 ცალი[2] და ა. შ.

ეს გარემოება აუტანელს ხდიდა გლეხობის მდგომარეობას. მძიმე იყო მისი შრომის პირობები. ამხ. ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა: «მრეწველობა ჩვენში არ არის, მხოლოდ გლეხის მეურნეობაა და ისიც სასტიკად დაცემული. დღემდე ჩვენი გლეხი დასავლეთ საქართველოში ხნავს ძველი კავით, მიაჩოჩებს ამ ძველ მამაპაპურ კავს, მაგრამ ხეირი კი ცოტა არის. ქართლში და კახეთში შეაბმენ გუთანს 7 — 8 უღელ ხარკამეჩით. რა თქმა უნდა, ასეთი ტექნიკით, ასეთი იარაღით ვერც სოციალიზმს შევქმნით, ვერც კულტურას წამოვაყენებთ, ვერც გლეხის ოჯახს ავწევთ ეკონომიურად.

რად ხდება, რომ ყველა, ვინც ნახულობს ჩვენს ქვეყანას, გაკვირვებული არის, ამბობს: საქართველო მდიდარია, ბაღია, სამოთხეა. ამხ. კალინინმა დაიარა დასავლეთ საქართველო და ახლა წერს მოსკოვიდან: ეს უბრალო სოფელი კი არ ყოფი-

---

[1] საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. 1, 1925, გვ. 503.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 502 — 503.

ლა — ბაღი არის მთლადო. მას რომ დაევლო ქართლ-კახეთი, კიდევ მეტს იტყოდა. მიუხედავად ამისა ჩვენს ქვეყანაში მეურნეობა მეტად დაცემულია, გლეხი ღარიბი და ღატაკი არის...»[1].

ცხადია, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდნენ ამ გარემოებას და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებისათვის, მშრომელი გლეხობის შრომის შემსუბუქებისათვის.

საბჭოთა მთავრობა სერიოზულ ღონისძიებას ატარებდა სოფლის მეურნეობის მანქანებით მომარაგების გასაძლიერებლად. უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა, თუნდაც არსებული ინვენტარის სათანადო რაოდენობით, ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო უინვენტარო მეურნეობები.

ამ მიზნით საბჭოთა მთავრობას უმთავრესად უცხოეთიდან შემოჰქონდა მანქანა-იარაღები, მაგალითად, მარტო 1925 წელს შემოტანილი და განაწილებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობაში: გუთანი — 700 ცალი, ფარცხი — 150 ცალი, სათესი მანქანა — 20 ცალი, კულტივატორი — 500 ცალი, ძნის შესაკრავი — 30 ცალი, სათიბავი მანქანა — 50 ცალი, ტრიერი — 50 ცალი, სალეწი — 3 ცალი, სიმინდის საცეხვი — 100 ცალი, სანიავებელი — 70 ცალი, საცხენე ფარცხი — 50 ცალი[2].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით მომარაგებაში თანდათანობით თვალსაჩინო ადგილს იჭერდა ტრაქტორები, რომლებზეც მენშევიკების ბატონობის პერიოდში მშრომელ გლეხობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. 1924 წლამდე საქართველოში შემოზიდულ იქნა 42 ტრაქტორი,

---

[1] საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა მესამე ყრილობა, ოქმები და რეზოლუციები, 1925, გვ. 60.

[2] მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის (1928 — 29 და 1929 — 30 წწ.), 1931, გვ. 85. აგრეთვე, УАОР, ф. 288, оп. 1, д, 1956, стр. 7.

1924 — 1925 წლებში — 25 ტრაქტორი, 1925 — 1926 წლებში — 80 ტრაქტორი[1].

თავდაპირველად ტრაქტორებს იძენდნენ სოფლის მეურნეობის ამხანაგობები. ტრაქტორები შეეძლოთ შეეძინათ აგრეთვე ცალკეულ გლეხებსაც. პირველად ერთდროულად უნდა გადაეხადათ 500 მან. ტრაქტორის საერთო ღირებულებიდან (2000 მ.). მთელი ფასი კი გადახდილი უნდა ყოფილიყო 2 წლის განმავლობაში, რისთვისაც გლეხებს ეძლეოდათ სათანადო კრედიტი.

თვითეული გლეხი ან ორგანიზაცია ვალდებული იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის ეცნობებინა განსაკუთრებული ანკეტით ტრაქტორის მუშაობის შედეგები. ამას ჰქონდა მნიშვნელობა, ვინაიდან ჩვენ მაშინ საკუთარი წარმოების ტრაქტორები არ გაგვაჩნდა, უცხოეთის ფირმის ტრაქტორები კი შეუფერებელი იყო ჩვენი რესპუბლიკის პირობებისათვის.

გაითვალისწინა რა ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგების თავისებურება, ცნობილმა ფირმამ „საკომ“ თუჯის ღერძები გუთანში შეცვალა რკინით, ვინაიდან თუჯი მალე ტყდებოდა სველ ნიადაგში. «ეკერტმა» საქართველოსათვის სპეციალური გუთანი გააკეთა — ს. კ. № 1, რადგან მანამდე გავრცელებული გუთანი ს. კ. № 2 მძიმე იყო და ძვირი ჯდებოდა.

ერთ-ერთი ტრაქტორი 1924 წლის გაზაფხულზე კასპის რაიონის სოფ. ზემოხანდაკის სოფლსაბჭომ მიიღო და მოაწყო მისი გამოცდა. მას მრავალი გლეხი დაესწრო, ბევრი სტუმარი ჩამოსული იყო თბილისიდანაც. ჩამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები მ. ორახელაშვილი და ს. ორჯონიკიძე. ამხ. ს. ორჯონიკიძემ სოფ. ზემოხანდაკელ გლეხებს მიმართა სიტყვით, მიუ-

---

[1] საქართველოს სოფლის მეურნეობა სკპ(ბ) VII ყრილობისას, 1930, გვ. 78.

სალანტაჟო ხვნისათვის ორთქლის 40-ძალიანი ტრაქტორი „ჯონ-ფაულერი“ საქართველოში შემოტანილი იყო ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე, გამოჩნდა აგრეთვე „ჰარტ-პერ“ 60 ძალისა. УАОР, ф. 288, 0.1, д. 1956, გვ. 21.

ლოცა მათ ტრაქტორის მიღება და უსურვა შემდგომი წარმატებები ახალი ტექნიკის ბაზაზე სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

პირველი საბჭოთა მეურნეობები

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მეტად დამახასიათებელი იყო სამეურნეო მიწების დაქუცმაცებულობა. აქ დაახლოებით მიწის 2 — 2,5 მილიონი ნაკვეთი ითვლებოდა. თვითეულ კომლზე მოდიოდა დაახლოებით 6 — 7 ნაკვეთი. თვითეული ნაკვეთი კი საშუალოდ 0,64 დესეტინას უდრიდა. იყო მეურნეობანი, რომელთა 2 — 3 დესეტინა ნათესი 80 ნაჭერ მიწაზე იყო გაფანტული[1].

ასეთ პირობებში გლეხებისათვის უდიდესი მისაბაძი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც მოწყობილი იყვნენ ფართო მასივებზე და წარმოება შედარებით უკეთ ჰქონდათ დაყენებული.

საბჭოთა მეურნეობები გაცილებით უფრო მეტ შესაძლებლობას იძლეოდნენ რთული მანქანა-იარაღების ეფექტურად გამოყენებისათვის. ახლო-მახლო სოფლებისა და რაიონების გლეხები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს, თუ როგორ აადვილებდა შრომას ტრაქტორი და გამოთქვამდნენ სურვილს თავიანთ მეურნეობაში მისი გამოყენების შესახებ.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა საქართველოში 1921 წლიდან დაიწყო იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც უკვე ჰქონდა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან.

1919 წლის 15 თებერვალს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს: «დაწესებულებებისა და სამრეწველო პროლეტარიატის გაერთიანებების მიერ საბჭოთა

---

[1] საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1929, გვ. 381.

მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ»[1]. ამ დეკრეტში შემდეგნაირად იყო განსაზღვრული საბჭოთა მეურნეობის ამოცანები: «საბჭოთა მეურნეობა ამოცანად ისახავს თანდათან შეასწავლოს სოფლის მოსახლეობას დამოუკიდებლად შეიმუშაოს ახალი წესი, საერთო შრომის წესი, როცა შეუძლებელი იქნება ერთი მუჭა მდიდრების კვლავ წარმოშობა და ღარიბთა მასების ჩაგვრა...»[2].

საქართველოში, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, პირველად საბჭოთა მეურნეობები გაჩნდნენ რევოლუციამდელი მსხვილი ნაციონალიზებული «სახალხო მამულების» და ნაწილობრივ მსხვილი კერძო მეურნეობების ბაზაზე.

ამ მეურნეობების, «სახალხო მამულების» დანიშნულებას შეადგენდა საკუთარი მეურნეობის რაციონალურ მოწყობასთან ერთად ხელი შეეწყოთ გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის — ვაზისა და ხეხილის ნამყენის, გაუმჯობესებული სათესლე მასალის, ჯიშიანი პირუტყვისა და ახალი სისტემის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდებით; ამავე დროს «სახალხო მამულები» წარმოადგენდნენ მთავრობის მიერ განსახორციელებელ აგროღონისძიებათა მთავარ ბაზას და გლეხური მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვან გამსაღებელ-გადამმუშავებელ აპარატს[3].

ამიტომ ბევრგან, სადაც ასე თუ ისე «სახალხო მამულებს» შეეძლოთ სანიმუშო მაგალითი მიეცათ გლეხობისათვის მათი სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, ისინი შენარჩუნებულ იქნენ.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტში მიწის შესახებ ნათქვამი იყო: «მსხვილი მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობისა და მაღალი

---

[1] Аграрная политика советской власти (1917—1918), документы и материалы, 1954, стр. 432.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 35.

[3] საქართველოს სსრ მთავრობის 1925 — 1926 წლების მოქმედებისანგარიში, 1927, გვ. 100.

კულტურის პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორანჟერიები და სხვ. არ იქნებიან დანაწილებულნი, არამედ გადაიქცევიან კულტურულ-საჩვენებელ სახალხო მამულებად და გადაეცემიან თავისი სიდიდისა და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს ან ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში» [1].

ასეთ მამულთაგან საქართველოში იყო, მაგალითად, ჩაქვის ჩაის მეურნეობა, ვარციხის მევენახეობის მეურნეობა, მუკუზნის მევენახეობის მეურნეობა, ნაფარეულის, წინანდალის, კარდანახის, მუხრანის, მანავის, სკრისა და სხვ. მეურნეობანი [2].

რევოლუციამდელ საუფლისწულო მამულებს [3] გლეხები ექსპლოატაციის მკაცრ მარწუხებში ჰყავდათ მომწყვდეულნი; მემამულეები ქირაობდნენ გლეხებს და უხღიდნენ მათ უმნიშვნელო ხელფასს. კერძო მამულებზე გლეხები მიწების იჯარით აღების გამო იყვნენ დამოკიდებულნი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში კერძო მემამულეების მიერ გლეხებზე იჯარით გადაცემული აღმოჩნდა 30 ათასი ჰექტარი მიწა. ეს მიწები საბჭოთა მთავრობამ ისევ გლეხებს დაუტოვა. მეურნეობათა მიწების სხვა მასივები კი სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

როგორც საუფლისწულო, ისე კერძო მამულები გაჩანაგებულ მდგომარეობაში გადაეცა საბჭოთა მთავრობას.

საქართველოში მიწათმოქმედების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი დიდ მუშაობას ეწეოდა მათ აღსადგენად, რაც ძირითადად 1929 წლამდე გრძელდებოდა. ტრესტის განკარგულებაში გადასული მამულების 500 ჰექტარი ვენახიდან უდიდესი რაოდენობა ფილოქსერით იყო დაავადებული. ტრესტი შეუდგა ძველი, დაავადებული ვენახების აჭრას და ახლის გაშენებას. მაგალითად, 1923 წელს ვენახები გაშენებულ იქნა

---

[1] ორცსა, ფონდი 303, საქმე № 1, ფურც. 18.

[2] საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მოქმედების ანგარიში, 1923, გვ. 122 — 123.

[3] საუფლისწულო მამული ეწოდებოდა იმ მამულს, რომელიც სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდა.

4,4 ჰექტარზე, 1924 წელს — 24 ჰექტარზე, 1925 წელს — 42 ჰექტარზე.

1923 წლისათვის (სოფლის მეურნეობის აღწერის მასალების მიხედვით) საქართველოში მოქმედ საბჭოთა მეურნეობების მიერ დაკავებული მთელი მიწების ფართობი 189 715 დესეტინას უდრიდა[1].

აღნიშნულ მეურნეობებში თავმოყრილი იყო შემდეგი ინვენტარი: 104 რკინისა და 1 ხის გუთანი, 51 რკინისა და 12 ადგილობრივი ფარცხი, 165 სასხურებელი აპარატი, 24 ყურძნის საჭყლეტი აპარატი, 27 ურემი, 26 საზიდი, 18 ფურგონი და სხვა წვრილი ინვენტარი.

მეურნეობებს ჰყავდათ ცხენი 194 სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—360 სული (მათ შორის, ძროხა 110 სული), ღორი — 139 სული. გარდა ამისა, ფრინველი — 32 ფრთა და ფუტკარი — 29 სკა.

როგორც ვხედავთ, აღდგენით პერიოდში საბჭოთა მეურნეობები თავიანთი სამეურნეო შესაძლებლობით და ტექნიკური აღჭურვილობით მეტად დაბალ დონეზე იდგნენ.

მიუხედავად ამისა, მსხვილი სოციალისტური მეურნეობა ამ სახითაც ნათლად გვიჩვენებდა თავის დიდ უპირატესობას ინდივიდუალურ, დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით.

საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა მეურნეობების შემდგომ განვითარებას. მარტო «სამტრესტის» ხაზით 1925 წელს საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალ-დაბანდება შეადგენდა 434,9 ათას მანეთს. აქედან ახალი მეურნეობების მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯა 45,3 ათასი მანეთი.

დიდი თანხები იხარჯებოდა ვენახების აღდგენასა და გაფართოებაზე, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო.

---

[1] ლ. კარბელაშვილი, საბჭოთა მეურნეობები 1921—1929 წწ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერის მიხედვით (ეკონომიკის ინსტიტუტის ფონდი, № 20).

მეევნახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობებში ვენახების ფართობების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავლიანობაც, რაც 1921 წელს უდრიდა 54 ათას ვედროს, 1924 წელს — 76,6 ათას ვედროს.

საკუთარი ყურძნის მასალის გადამუშავებასთან ერთად საბჭოთა მეურნეობების ტრესტი ფართოდ ეწეოდა აგრეთვე ყურძნის დამზადებას გლეხურ მეურნეობებში.

საბჭოთა მეურნეობების ტრესტი საწარმოო საქმიანობის გარდა ფართო აგროტექნიკურ დახმარებას უწევდა გლეხურ მეურნეობებს; ნერგავდა მათ შორის აგრონომიულ ცოდნა-გამოცდილებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ტრესტის სისტემაში შემავალი ვაზის სანერგეების საქმიანობა, რომელიც მაღალხარისხოვანი ნამყენი ვაზის ჯიშებს ავრცელებდა მოსახლეობაში. ასეთ სამუშაოებს ატარებდნენ: ჩუმლაყის, კონდოლის, იყალთოს, აღაიანის, ვარდისუბნის და სხვ. სანერგეები.

«სამტრესტი» გლეხურ მოსახლეობას ეხმარებოდა არა მარტო ნამყენი ვაზის მიწოდებით, არამედ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ვაზის ჯიშიანი ლერწის გადაცემითაც. მაგალითად, 1925 წელს უცხოეთიდან შემოტანილ იქნა 1200 ათასი მეტრი ლერწი[1], რომლის ნაწილი გლეხურ მოსახლეობას გადაეცა. ასეთ მუშაობას ინდივიდუალურ გლეხურ მოსახლეობაში ეწეოდნენ სხვა მიმართულების საბჭოთა მეურნეობების ტრესტებიც, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის შეგნების გარდასაქმნელად, მათ დასარწმუნებლად მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის უპირატესობაში.

სოფლის გლეხური მოსახლეობის კოოპერირება

სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში დიდი როლი შეასრულა სოფლის გლეხური მოსახლეობის კოოპერირებამ. ეს იყო ლენინის მიერ ნაჩვენები გზა, წვრილგლეხურ მეურ-

---

[1] საქართველოს სსრ მთავრობის 1925 წლის მოქმედების ანგარიში, 1926, გვ. 163.

ნეობათა სოციალისტური გარდაქმნისაკენ, გზა სოციალიზმისაკენ.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წლის 28 მარტს თავის სტატიაში: «პირველადელი მონასახი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ წერდა: «კოოპერატივების მდგომარეობა პრინციპულად სავსებით იცვლება პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის დროიდან, იმ მომენტიდან, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება შეუდგა სოციალისტური წესების სისტემატურ შექმნას. აქ რაოდენობა გადადის თვისებაში. კოოპერატივი, როგორც პატარა კუნძული კაპიტალისტურ საზოგადოებაში, არის დუქანი. კოოპერატივი, თუ იგი მოიცავს მთელ საზოგადოებას, რომელშიც სოციალიზებულია მიწა და ნაციონალიზებულია ფაბრიკა-ქარხნები, არის სოციალიზმი. საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზია ექსპროპრიირებულია პოლიტიკურად და ეკონომიურად, აშკარად (უმთავრესად) იმაში მდგომარეობს, რომ გაავრცელოს კოოპერაციული ორგანიზაციები მთელ საზოგადოებაზე, რომ გადააქციოს მოცემული ქვეყნის უკლებლივ ყველა მოქალაქე ერთი საერთო ნაციონალური ან, უფრო სწორად, საერთო-სახელმწიფოებრივი კოოპერატივის წევრებად»[1].

კოოპერაციის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ეხმარებოდა გლეხებს, კოოპერაციის წევრებს რთული მანქანა-იარაღების შეძენასა და სოფლის მეურნეობაში მის დანერგვაში, ეხმარებოდა კრედიტების მოწოდებაში და სხვ..

გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების მხრივ პარტიის პოლიტიკის შესაბამისად საქართველოში მნიშვნელოვან წარმატებებს ჰქონდა ადგილი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გამოცოცხლდა კოოპერაციის ქსელის მუშაობა. საქართველოს გლეხურ მეურნეობას მომსახურებას უწევდნენ სამომხმარებ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 249 — 250.

ლო კოოპერაცია — «ცეკავშირი» და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია — «წარმოკავშირი».

«ცეკავშირი» დიდ მუშაობას ატარებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების: სიმინდის, ხორბლის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, ხილის, ბამბის, თამბაქოს, ღვინისა და სხვ. დამზადების საქმეში, ამასთან ამ პროდუქტებზე ფასების მერყეობის პირობებში გლეხებისათვის უზრუნველყოფდა შედარებით ხელსაყრელ ფასებს, ეწეოდა აგრეთვე მოსახლეობისათვის საქონლის მიწოდებას, ეხმარებოდა გლეხებს მეურნეობის მოწყობაში და სხვ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 24 იანვრის დეკრეტში «სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ» ნათქვამი იყო: «სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირს (ცეკავშირს) უფლება აქვთ მოაწყონ საწარმონი პროდუქტების მოპოვებისა და გადამუშავებისათვის. აგრეთვე მოაწყონ ბოსტნები, რძის ფერმები და სხვა ამგვარი საწარმონი; შეასრულონ მომარაგების, დამზადებისა და განაწილების საქმეში ნებაყოფლობითი სამომხმარებლო შენაერთების, სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთა დავალებანი»[1] და სხვ.

«წარმოკავშირი» პროდუქტების დამზადებისა და გასაღების გარდა ეწეოდა გლეხების მომარაგებას საწარმოო მნიშვნელობის მასალებით, მანქანა-იარაღებით, ტრაქტორებით, აგრეთვე ამარაგებდა გლეხებს ფართლით, სანოვაგით და სხვ.. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის «წარმოკავშირი» აერთიანებდა 163 კოოპერატივს 32 053 გლეხის მეურნეობით.

1923 წლის დასაწყისში ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილის «კოოპერაციის შესახებ» გამოქვეყნებამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს კოოპერაციის მუშაობაში. მასობრივად იქმნებოდა ახალი კოოპერატივები, მათი რაიონული კავშირე-

---

[1] საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1923, გვ. 8.

ბი. მაგალითად, გორის მაზრაში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ახალი კავშირი «წითელი ქართლის» სახელწოდებით, რომელშიც შევიდა მაზრის «მეხილეობის ამხანაგობა». ამ კავშირმა გორში ააგო ახალი შენობა 50 ათასი ფუთი ხილის ტევადობით და შეუდგა წევრებისაგან ხილის მიღებას გასასაღებლად, მოაწყო გამსაღებელი პუნქტები თბილისში, ბაქოში, ხარკოვში, მოსკოვში; გაყიდა ვაშლი თბილისში 50 ათასი ფუთი, 1 ფუთი — 2 მანეთად და 50 კაპიკად, ბაქოში — 20 ათასი ფუთი, 1 ფუთი — 4 მანეთად, მოსკოვში — 10 ათასი ფუთი, 1 ფუთი — 3 მანეთად და ა. შ.

უფრო ნაკლები ხარისხის ხილი 20 ათასი ფუთის რაოდენობით კავშირმა გადასცა გორის საკონსერვო ქარხანას, ფუთი 1 მანეთად და 50 კაპიკად. გარდა ამისა, «წითელი ქართლი» წევრებისაგან იღებდა და ასაღებდა ბოსტნეულს — კომბოსტოს, ხახვს, ჭარხალს, აგრეთვე სიმინდს და სხვ.[1].

გასაღების გარდა «წითელი ქართლი» ეწეოდა წევრთათვის იარაღ-მასალის, შესაწამლავი ნივთიერების, ჯიშიანი ნერგის, თოხ-ბარებისა და სხვ. მიწოდებას.

კავშირი ეხმარებოდა გლეხებს ჩარჩებისა და მევახშეებისაგან განთავისუფლებაში კრედიტების მიცემით.

მსგავსი კავშირები შეიქმნა სხვა მაზრებშიც, აგრეთვე აჭარის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

1923 წლის 24 იანვრიდან საქართველოს მთავრობის დეკრეტით გამოცხადდა კოოპერაციაში მოსახლეობის სავალდებულო წევრობა. ამ დროისათვის ცეკავშირი აერთიანებდა ყველა დარგის კოოპერატივებს: სამომხმარებლოს, საკრედიტოს, სასოფლო-სამეურნეოს; შერეული ტიპისას — მეღვინეთა, მეხილეთა, მეცხვარეთა, მეთამბაქოეთა, მებამბეთა და სხვ. სულ — 400 ათასი წევრით.

შერეული ტიპის ამხანაგობათა რიცხვი 1924 წელს უდრიდა 107-ს, რომელშიც გაერთიანებული იყო 20 487 გლეხური

---

[1] ჟურნ. კავშირი, № 11, 1924, გვ. 28 — 29.

მეურნეობა, 1925 წელს 269-ს, მასში გაერთიანებული 68 990 გლეხური მეურნეობით [1].

ამ პერიოდში გლეხურ მოსახლეობაში მოქმედი ყველა სახის კოოპერაციის მიზანს უმთავრესად შეადგენდა წევრთა მომსახურება გაყიდვისა და გასაღების დარგში, ნაწილობრივ საწარმოო მომსახურების დარგშიც. ეს იყო დაბალი ფორმის, უმთავრესად ბრუნვის სფეროს მომსახურების კოოპერაცია, რაც მაშინ გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. იყო მაღალი ფორმის საწარმოო ტიპის კოოპერაციული გაერთიანებანიც კოლმეურნეობების სახით, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ გაბატონებულ ფორმას.

პირველი კოლმეურნეობები

პირველი კოლმეურნეობების შექმნა საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდანვე დაიწყო.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტში მიწის შესახებ ნათქვამი იყო: «საბჭოთა მთავრობა, როგორც სასოფლო მეურნეობის წარსამატებლად და განსავითარებლად, ისე მშრომელი მასის საკეთილდღეოდ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სათემო — ან კოლექტიური მეურნეობის სხვადასხვა ფორმების (კომუნების, არტელების და სხვ.) შემოღებას და ზრდა-განვითარებას. კოლექტიურ მეურნეობაში მოწვეულ უნდა იქნენ სოფლის პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები, ან ის გლეხები, რომელთაც ან სრულებით არა აქვთ საკუთარი მეურნეობა ან თუ აქვთ მეტად უმნიშვნელო, ე. ი. არ მოეპოვებათ არც სამყოფი მიწა და არც სამყოფი სამეურნეო იარაღი მის დასამუშავებლად. ასეთ კომუნებს თუ არტელებს განსაზღვრულ პირობებში გადაეცემა თავისუფალი მიწის ნაკვრები, გარდა ამისა, სახელმწიფო აღმოუჩენს მათ როგორც აგრონომიულ დახმარებას, ისე ნივთიერ სახსარსაც მიწის დამუშავების საუკეთესოდ მოსაწყობად» [2].

---

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გვ. 376.

[2] ორცა, ფონდი 30, საქმე № 1, ფურ. 18.

ჯერ კიდევ 1921 წლის მაისიდან საბჭოთა საქართველოს მიწსახკომის მიწათმოქმედების საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილებას, რომელთანაც შექმნილი იყო კოლმეურნეობათა ქვეგანყოფილება, თავის ერთ-ერთ ამოცანად მიჩნეული ჰქონდა კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა და რეგისტრაცია. შემუშავებული იქნა კომუნებისა და არტელების სათანადო, ე. წ. «ნორმალური წესდებაც» [1].

უკვე 1921 წლის 1 ოქტომბრისათვის შექმნილი იყო 35 კოლექტიური მეურნეობა, მათ შორის ორი კომუნა და 33 მშრომელ-მწარმოებელი ამხანაგობა, რომელშიც გაერთიანებული იყო 1338 კომლი და განსაზოგადოებული — 1 475 დესეტინა მიწა [2].

1921 წლის ბოლომდე კოლმეურნეობათა რიცხვი გადიდდა 47-მდე, კომუნებისა — 3-მდე, მშრომელ-მწარმოებელი ამხანაგობისა — 38-მდე. 1922 წლიდან განუხრელად იზრდებოდა როგორც კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი, ისე მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აღდგენითი პერიოდის მთელ მანძილზე კოლმეურნეობათა მშენებლობა განვითარების მეტად დაბალი ტემპით ხასიათდებოდა. 1921 — 1925 წლებში საწარმოო ქმედითუნარიანობით გამოირჩეოდა მხოლოდ 11 კოლმეურნეობა. აქედან კომუნა — 4 (სოფ. მოხისის, მეჯვრისხევისა და სამთავისის გორის მაზრაში, ზემო-ქედის სიღნაღის მაზრაში), სოფლის მეურნეობის არტელი — 6 და მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა — 1.

ერთ-ერთ პირველ კოლმეურნეობას წარმოადგენდა ბორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევის კომუნა, რომელიც დაარსდა 1921 წლის 23 მარტს. მასში გაერთიანდა 200 წევრი.

აღნიშნული კომუნის დაარსება პასუხი იყო იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მთავრობამ მიიღო მიწის საკითხში. რო-

---

[1] საქ სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე", 1921, № 17, გვ. 19 — 40.

[2] მიწათმოქმედების კომისარიატის მოღვაწეობა 1921 წლის 25 თებერვლიდან 2 ოქტომბრამდე, თბილისი, გვ. 28.

ლესაც სოფ. მეჯვრისხევის გლეხობა მიტინგზე სხვა საკითხებთან ერთად გაეცნო საქართველოს საბჭოთა მთავრობის დეკრეტს მიწის შესახებ, როცა გლეხებმა მოისმინეს მოწოდება «მიწა იმას, ვინც მასზე მუშაობსო», მათ გადაწყვიტეს კომუნა დაეარსებინათ.

არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა. წევრებმა გააერთიანეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მუშაპირუტყვი, დამუშავებული და დასამუშავებელი მიწები, ამასთან კომუნას გადაეცა განსაზღვრული ნაწილი ჩამორთმეული მამულიდან. თვითეულ წევრს დაუტოვეს საკარმიდამო მიწა და საბალე ნაკვეთი ოჯახის წევრთა დასაკმაყოფილებლად.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კოლმეურნეობა წარმოიშვა სტიქიურად, ხელმძღვანელობის გარეშე. ასეთ შემთხვევებს მაშინ სშირად ჰქონდა ადგილი, რაც გრძელდებოდა თითქმის 1926 წლამდე. მთელი რიგი კოლმეურნეობები აღდგენით პერიოდში თითქმის უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი, ისინი განიცდიდნენ ფინანსურ გაჭირვებას, ნაკლებად ეძლეოდათ საჭირო მატერიალური დახმარება.

1924 წლის 15 აგვისტოდან საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელობის, კოლმეურნეთა ორგანიზაციის საქმის სწორად დაყენების, მათთვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენისათვის საქართველოს სსრ მიწსახკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან შეიქმნა კოოპერაციული ბიურო[1]. ხოლო 1926 წლის სექტემბერში კოლმეურნეობების

---

[1] ორცსა, ფინდი 288, ფურც. 48 — 49. ბიუროს ამოცანას შეადგენდა: სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეის პროპაგანდა, ამ მიზნით პერიოდული პრესის გამოყენება, გლეხებს შორის გასავრცელებლად ბროშურების გამოცემა, სამაზრო აგრონომიული ორგანიზაციების მომარაგება სპეციალური ლიტერატურით, აგრონომებისათვის როგორც კოლექტივიზაციის საკითხების გასაცნობად, ისე მათთვის ზეპირი პროპაგანდის მასალების მისაწოდებლად, კოლექტიური მეურნეობისათვის ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა კოლმეურნეობების მუშაობის შესახებ, ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების გამოცემა, ნორმალური წესდებების გამოცემა, „კოლმეურნეობათა სანიმუშო გეგმების შედგენა, კავშირი პოლიტგანათლების ორგანოებთან, კომკავშირთან, მათი საშუალებით კოლ-

ხელმძღვანელობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად და მუშაობის გასაუმჯობესებლად მოეწყო რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ინსპექცია[1].

ხელმძღვანელობის სისუსტის, კლასობრივი მტრის აგიტაციისა და ხშირად აგრეთვე შრომის ორგანიზაციის, ზოგჯერ წევრთა მუქთახორული განწყობილების, პირდაპირი ხელშეშლის შედეგად კოლმეურნეობები არაიშვიათად იშლებოდნენ, ხოლო ზოგან წამგლეჯური ტენდენციების მატარებელთა თავშესაფარად იქცეოდნენ. ამიტომ ისინი რაოდენობრივ ცვალებადობას, დაშლა-წარმოშობას და ორგანიზაციულ გადახალისებას განიცდიდნენ.

ასე დაიშალა, მაგალითად, შორაპნის მაზრის სოფ. კაცხის კოლმეურნეობა «წინსვლა», რომელიც დაარსებული იყო 1924 წელს. 1925 წლის ბოლოს და 1926 წლის დასაწყისში დაიშალა თელავის, ყვარლის და მთელი რიგი სხვა მაზრების სასოფლო-სამეურნეო არტელები, კომუნები და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობები.

ამ საქმეში დიდ უარყოფით როლს ასრულებდა კომუნებში შემოღებული ე. წ. განაწილების წესი: «ყველას უნარის მიხედვით და ყველას მოთხოვნილების მიხედვით», რომელიც საშუალებას არ იძლეოდა მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

1921 წლის ივნისში მიღებულ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი კომუნების ნორმალურ წესდებაში ნათქვამი იყო: «კომუნის ყველა წევრი შრომობს პირადად, კომუნის ყველა წევრს უნდა დაევალოს შეძლებისამებრ ის შრომა, რომლისთვისაც მას უფრო შესწევს უნარი... კომუნის წმინდა შემოსავალი ნაწილდება ასე: ქველმოქმედებისათვის და კულ-

---

მეურნეობებში პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ჩასატარებლად, კავშირის განმტკიცება აგრონომიული ორგანიზაციებისა კოლმეურნეობებთან, მათ შორის აგროკულტურული მუშაობის ჩასატარებლად, არსებულ და ახალ დაარსებულ კოლმეურნეობათა აღრიცხვა და შემოწმება, კოლმეურნეობათა შორის ურთიერთკავშირის დამყარება და სხვ.

[1] საქართველოს სსრ მთავრობის „1925 — 1926 წლების მოქმედების ანგარიში, 1927, გვ. 83.

ტურულ-განმანათლებელ საქმეებისთვის — 5 პროცენტი, სახელმწიფოსათვის დასახმარებლად — 10 პროცენტი, კომუნის საჰსართა გასაძლიერებლად — 10 პროცენტი, ხოლო დანარჩენი განაწილდება წევრთა შორის მათი საჭიროების მიხედვით ან საერთოდ მოისმარება მთელი კომუნის მიერ»[1]. ეს გვიჩვენებს, რომ კომუნებს უფრო მეტად ჰქონდათ სამომსმარებლო ხასიათი.

პირველად კოლმეურნეობებში ერთიანდებოდნენ ღარიბი გლეხები. პარტია და მთავრობა მათ დახმარებას უწევდნენ და შეღავათებს ანიჭებდნენ. მიუხედავად ღარიბ გლეხთა მცირე და მარტივ იარაღთა გაერთიანებისა, კოლმეურნეობები დასაწყისშივე გვიჩვენებდნენ დიდ უპირატესობას ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით.

მართალია, პირველი კოლმეურნეობები სუსტნი იყვნენ, მაგრამ ნათლად ჩანდა, რომ მათ ჰქონდათ განვითარების დიდი პერსპექტივა, მათ ეკუთვნოდა დიდი მომავალი.

1924 წლის მარტში პარტიის XIII ყრილობამ, ხოლო შემდეგ 1925 წლის მაისში საბჭოთა კავშირის საბჭოების III ყრილობამ, საჭიროდ სცნეს კოლმეურნეობებში, გარდა ღარიბებისა, გაერთიანებულიყვნენ საშუალო გლეხებიც. საშუალო გლეხების შესვლამ კოლმეურნეობებში გააძლიერა კოლმეურნეობების ავტორიტეტი, აამაღლა მათი შრომის მწარმოებლურობა, სამეურნეო საქმიანობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენის საქმეს დიდად აფერხებდა სოფლის მეურნეობის მუშაკების, სათანადო სპეციალისტების — აგრონომების, ზოოტექნიკოსების უკიდურესი სიმცირე, რის გამოც ჯერ კიდევ არასაკმაო ღონეზე იდგა სოფლისადმი აგრონომიული დახმარება[2].

---

[1] საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე", 1921, № 17, გვ. 19 — 20.

[2] აღსანიშნავია, რომ 1913 წლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობას არავითარი აგრონომიული დახმარება არ ეწეოდა. 1913 წელს ყოფილ მეფის ნაცვლის კანცელარიასთან დაარსდა აგრონომიული ორგანიზაცია, რომელშიც შევიდა 14 აგრონომი და 8 სხვა სპეციალისტი. მსოფლიო ომისა და რევოლუციის პერიოდში ეს ორგანიზაცია დაიშალა. მის ნანგრევებზე

1925 წლის შემოდგომისათვის საქართველოში მუშაობდა სულ 15 სამაზრო აგრონომი; თვითეულ მაზრაში მუშაობდა მაზრის 1 აგრონომი, რაიონის 20 აგრონომი და 22 ინსტრუქტორი. თვითეულ აგრონომზე მოდიოდა 8 თემი, 57 სოფელი, 5 856 კომლი, 29 295 სული და 11 376 დესეტინა მიწა[1].

ამიტომ პარტია და მთავრობა ხშირად მობილიზაციის წესით გზავნიდნენ სოფლის მეურნეობის სამუშაოთა ჩატარების დროს სათანადო სპეციალისტებს სოფლად.

საარწყავი სისტემის აღდგენა-გაფართოება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმ ღონისძიებათა შედეგად, რაც სოფლის მეურნეობის ხაზით პარტიისა და მთავრობის მიერ იქნა გატარებული, კერძოდ დიდ კაპიტალურ დაბანდებათა სახით, ყველაზე უფრო შესანიშნავ მიღწევათა შორის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს მიწათმოქმედების ფართობის გადიდება.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის აღდგენით პერიოდში საფუძველი ჩაეყარა მელიორაციის და, საერთოდ, შანამდე უხმარი და გამოუყენებელი მიწების ათვისების სამუშაოებს.

საქართველოს სსრ საბჭოთა პირველი ყრილობის თეზისებში «ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში» ნათქვამი იყო: «გლეხობის ჩაბმა საბჭოთა სამეურნეო მშენებლობაში შესაძლებელია მხოლოდ ენერგიული ზომების მიღებით სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად, რაც შესაძლებელია მასობრივად გატარებულ

მენშევიკების დროს აღმოცენდა საერობო აგრონომიული ორგანიზაცია, რომელიც ფორმალურად არსებობდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობისადმი აგროდახმარების საქმეს პირველ დღეებიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია — შეუდგა სათანადო აგროპერსონალის მომზადებას, დაარსებულ იქნა აგროპუნქტები, აგროკაბინეტები; ჩამოყალიბდა მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტები, აგრეთვე მოსახლეობაში ტარდებოდა აგროსაუბრები, ლექციები, მოხსენებები, ეწყობოდა კონსულტაციები და სხვ.

[1] გაზ. კომუნისტი, 1925, 20 ოქტომბერი.

იქნას მთელი რიგი ზომებისა, რომელიც შემოწმებულია მეცნიერულად, დადასტურებულია გამოცდილებით და ხელმისაწვდომია გლეხთა ფართო მასისათვის. ერთი ასეთი ზომაა სარწყავი არხების გაყვანა, რომელიც გააძლიერებს მიწათმოქმედების მოსავლიანობას, საერთოდ მაღლა ასწევს სოფლის მეურნეობას და ამავე დროს შესძლებს გააერთიანოს მთელი რაიონების გლეხების ინტერესები, და მელიორაციული და მათგვარი ამხანაგობათა მეოხებით რამდენიმედ გააწესრიგებს მათ საერთო სამეურნეო ცხოვრებას»[1].

საქართველოში სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოები არც მეფის თვითმპყრობელობის დროს და არც მენშევიკების ბატონობის პერიოდში თითქმის არ წარმოებდა.

მეფის თვითმპყრობელობის დროს საქართველოში მხოლოდ ერთი საინჟინერო სარწყავი სისტემა—ყარაიას სარწყავი სისტემა არსებობდა. სხვა უმნიშვნელო სიდიდის არხები ძლიერ პრიმიტიული წესით იყო აგებული და სულ 112 ათას ჰექტარამდე მიწის ფართობს რწყავდა.

მენშევიკების დიქტატურის პერიოდში სარწყავი არხების მშენებლობა არათუ არ გაფართოვდა, პირიქით, რაც იყო, ისიც შემცირდა, ვინაიდან მანამდე აგებული მთელი რიგი პრიმიტიულად აგებული არხები სავსებით დაინგრა. ამის შედეგად, ბუნებრივია, საქართველოში სარწყავი მიწების ფართობი შემცირდა. 1921 წელს იგი უდრიდა 95 ათას ჰექტარს[2].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში სარწყავი არხების გაყვანა და რწყვის სისტემის გაფართოება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა ამაღლება და მიწათმოქმედების მეტი ეფექტურობა, საქართველოს საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ რკპ(ბ) პროგრამაში, რომე-

---

[1] საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1922, გვ. 110 — 111.

[2] Грузинская ССР за 20 лет, 1941, стр. 66.

ლიც მიღებული იყო 1919 წლის ნოემბერში პარტიის VIII ყრილობაზე, შეტანილი იყო პუნქტი, რომელიც მიუთითებდა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მელიორაციას სოფლის მეურნეობისათვის.

უფრო ადრე, 1918 წლის 17 მაისს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს თურქესტანში მიწების მორწყვის სამუშაოთა ორგანიზაციისა და ასიგნების შესახებ. ასიგნებული იქნა 50 მილიონი მანეთი. შემდეგში ვ. ი. ლენინს ერთი წუთითაც არ შეუნელებია ყურადღება რწყვის საკითხისადმი. იგი სათანადო მითითებებს აძლევდა ადგილებს ამ საქმის კიდევ უფრო წინ წასაწევად.

1921 წელს ვ. ი. ლენინმა «აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს» მიმართა წერილით. ამ წერილში ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: «ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას»[1].

ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა რწყვისა და მელიორაციის საქმეს ი. ბ. სტალინი, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე 1921 წლის ივლისს აღნიშნავდა, რომ მელიორაციული სამუშაოების ჩატარების საქმეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და ეს ამიერკავკასიის ბოლშევიკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პარტიის პოლიტიკის შესაბამისად, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, კერძოდ, საქართველოში მნიშვნელოვნად გაიშალა მუშაობა სარწყავი არხების გაყვანის, აგრეთვე ძველი არხების წესრიგში მოყვანისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდშიევე დაიწყო არხების მშენებლობა: მათხოჯის (11 ვ. 2000 დეს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 399 — 400.

სარწყავი ფართობით), კულაშ-ღანირის (25 ვ. 2 500 დეს. სარწყავი ფართობით), ლაში მისაქციელის (16 ვ. 300 დეს. სარწყავი ფართობით), ხოხოულის ჭალების (16 ვ. 2 500 დეს. სარწყავი ფართობით), დოეს-გრაკალის (18 ვ. 2000 დეს. სარწყავი ფართობით), რიონის (17 ვ. 9 000 დეს. სარწყავი ფართობით), მაშველის (16 ვ. 12 200 დეს. სარწყავი ფართობით), წილკანის (21 ვ. 3 500 დეს. სარწყავი ფართობით), როზენფელდის (5 ვ. 500 დეს. სარწყავი ფართობით) და სხვ. ეს არხები გაიხსნა 1922 — 1924 წლებში.

დაიწყო მუშაობა შემდეგი არხების გასაყვანად: ტირიფონის (52 ვ. 20 ათასი დეს. სარწყავი ფართობით), სკრა-ქარელის (22 ვ. 3 000 დეს. სარწყავი ფართობით), დიმი-როკითის (11 ვ. 1800 დეს. სარწყავი ფართობით), მაჯიდიას (13 ვ. 1 600 დეს. სარწყავი ფართობით) და სხვ[1].

დიდი მუშაობა ჩატარდა ამოშრობისთვისაც. ამ საქმეზე მარტო 1921 წლიდან 1922 წლის 10 მაისამდე დაიხარჯა ქართული ბონებით 1 160 000 000 მან., ანუ 11 330 მან. ოქროთი.

სამელიორაციო საქმის ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შექმნილი იქნა სპეციალური განყოფილება «ჰიდრომშენებლობა»[2].

1924 წლის 20 აგვისტოდან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა სამელიორაციო განყოფილება. ამ განყოფილების დაარსების დღიდანვე ჩატარებულ იქნა სხვადასხვა გამოკვლევა და დამუშავდა სამელიორაციო ხასიათის სამუშაოს რამდენიმე პუნქტი[3].

* *
*

საბჭოთა ხელისუფლების წარმატებები და ჩვენი მეურნეობრივი მიღწევები, მშრომელი მოსახლეობის მატერიალური

---

[1] საქართველოს სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, 1925, გვ. 59.

[2] ორცსა, ფ. 319, საქ. 45, ფ. 1 — 4.

[3] საქართველოს სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, გვ. 58.

და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი საბოლოო განთავისუფლება მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპლოატაციისაგან მოსვენებას არ აძლევდა კლასობრივ მტრებს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთაც.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდნენ საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობა როგორც საგარეო, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მხარს უჭერდნენ ღარიბი და საშუალო გლეხების ძირითადი მასები, რომლებიც თანდათან რწმუნდებოდნენ საბჭოთა წყობილების დიდ უპირატესობაში კაპიტალისტურთან შედარებით. მშრომელი გლეხები საბოლოოდ იშორებდნენ კულაკების, ვაჭრების, მევახშეების გავლენას, თავს აღწევდნენ მათ ექსპლოატატორულ დამოკიდებულებას.

კულაკების მიმართ პარტია და მთავრობა ატარებდა შეზღუდვის პოლიტიკას, ბეგრავდა მათ მაღალი გადასახადებით, აძლევდა მტკიცე დავალებებს. ყოველივე ეს შემდგომი განვითარების დიდ შესაძლებლობას უქმნიდა სოციალისტურ სოფლის მეურნეობას, მთელ საბჭოთა სისტემას.

თავი III

გზა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისაკენ

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა პარტიისა და მთავრობის მიერ სერიოზული ღონისძიებების გატარებასთან და სათანადო პირობების წინასწარ მომზადებასთან იყო დაკავშირებული. ეს წარმოადგენდა სერიოზულ ამოცანას, რომლის წარმატებით გადაწყვეტაზე დიდად იყო დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება. ამავე დროს ამ ღონისძიებების გარეშე შემდგომში შეუძლებელი იქნებოდა გლეხობისათვის ეფექტური დახმარების გაწევა, სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა ამაღლება.

ახალი ღონისძიებანი

როგორც დავინახეთ, 1924-1925 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკამ ძირითადად დაამთავრა სოფლის მეურნეობის აღდგენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. უწინარეს ყოვლისა, მან შესაძლებლობა მისცა მშრომელ გლეხებს ფართოდ გამოეყენებიათ მთავრობის მიერ მათზე გადაცემული მიწები, დარაზმულიყვნენ მწარმოებლურ ძალთა განვითარებისა და მოსავლიანობის განუხრელი ამაღლებისათვის.

1926 წლიდან, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა, საქართველოს სახალხო მეურნეობაც შედის რეკონსტრუქციის პერიოდში.

როგორც ცნობილია, ეს ხაზი განსაზღვრა საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ (1926 წლის დეკემბერი), რომელმაც მტკიცედ აიღო კურსი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით განვითარებისაკენ.

მძიმე მრეწველობის განვითარება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით წარმართვისათვის.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მიზნით პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ჰქმნიდნენ აგრეთვე ყველა სხვა პირობებს. როგორც აღვნიშნეთ, დიდი ყურადღება ექცეოდა კოოპერაციის განვითარებას, კრედიტებს, კადრების მოამზადებას და სხვ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა სახის ამხანაგობათა რიცხვი, 1926 წლის ოქტომბრისათვის 225-დან 1929 წელს 375-მდე გაიზარდა. მასში გაერთიანებული იყო 253 166 გლეხური მეურნეობა, ნაცვლად 1926 წლის 106 335 გლეხური მეურნეობისა.

დიდი ყურადღება ექცეოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აშაღლებას, აგროტექნიკის დანერგვას, მიწათმოწყობას, სოფლის მეურნეობის დაფინანსებას, დაკრედიტებას. მაგალითად, 1926-1927 წლებში სულ, მოკლე და გრძელვადიანი კრედიტების სახით, სოფლის მეურნეობამ 12 684,4 მანეთი მიიღო, ე. ი. 217,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1925-1926 წელს, ხოლო 1928-1929 წელს — 14 550,8 მანეთი, ე. ი. 114,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1926-1927 წელს[1]. ღარიბ გლეხობას ეძლეოდა სხვა სახის დახმარებები და შეღავათებიც.

საქართველოს ღარიბი გლეხობისათვის მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის და კრედიტების ფონდში გადადებული თანხები 1926-1927 წლებში შეადგენდა 535 ათას მანეთს, ე. ი. 1925-1926 წლებთან შედარებით — 5,8 პროცენტზე მეტს, ხოლო 1927 წელს — 58 პროცენტზე მეტს. წინათ ამ ფონდიდან გლეხობა იხდიდა 6 პროცენტს, 1928 წელს კი 2 პროცენტს[2].

---

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გვ. 382.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1927, 14 აპრილი.

გარდა ამისა გლეხობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სარგებლობდა აგრეთვე სხვა სახის ფულადი დახმარებითაც. მარტო გორის მაზრის სოფლის მეურნეობამ მიიღო დახმარება ბიუჯეტით: 1923-1924 წ. 18 119 მან., 1924-1925 წ. 26 653 მან., 1925-1926 წ. 63 789 მან., 1926-1927 წ. 59 679 მან., 1927-1928 წ. 75 223 მანეთი [1].

უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას სოფლის მეურნეობის ხაზით წარმოადგენდა კაპიტალდაბანდებათა ზრდა. ამ დანიშნულებისათვის ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობას 1925-1926 წლებში მიეცა 447 ათასი მანეთი, 1926-1927 წლებში 6220 ათასი მანეთი, 1927-1928 წლებში 7 980 ათასი მანეთი. შემდეგ წლებში იგი კიდევ უფრო მეტი იყო.

რაც შეეხება კაპიტალურ მშენებლობას სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში, აქ შემდეგ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი: დაბანდებული იყო 1925-1926 წელს— 3 314 700 მან., 1926-1927 წელს 5 065 700 მან., 1927-1928 წელს — 7 813 200 მანეთი [2].

დიდი თანხები დაიხარჯა მიწათმოწყობის, ტყის მოწყობის, მელიორაციის, გადასახლება-დასახლების, აგროღონისძიებების, მანქანა-იარაღებით მომარაგების, ცხენსაშენის, ვეტერინარიის და სხვ. დარგში.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდების გარკვეული რაოდენობა ხმარდებოდა თვით ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებს და იფარებოდა მათი საკუთარი საშუალებებით.

დიდი ყურადღება ექცეოდა მიწათმოწყობის საკითხების გადაწყვეტას. თავდაპირველად მიწათმოწყობა მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. 1925 წლიდან სახელმწიფომ იკისრა ღარიბ მოსახლეობის მეურნეობათა ნაწილის მიწათმოწყობის ხარჯები.

ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხურ მეურნეობათა მიწათმოწყობის მიღება სახელმწიფოს ბიუჯეტზე შესაძლებ-

---

1 გაზ. კომუნისტი, 1928, 1 მარტი.

2 ს. ჯ უ ღ ე ლ ი, ჩვენი მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში, გაზ. კომუნისტი, 1928, 25 თებერვალი.

ლობას იძლეოდა: 1. მიწათმოწყობის ღონისძიებანი პირველ რიგში მიღებული ყოფილიყო იქ, სადაც ეს განსაკუთრებით საჭირო იყო; 2. გავრცელებული ყოფილიყო მიწის სარგებლობის ისეთი ფორმები, რომლებსაც უახლოესი გზით მივყავდით სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებისაკენ, 3. სწორად და სისტემატურად ყოფილიყო გატარებული სოფლად კლასობრივი პოლიტიკა.

მიწათმოწყობა წარმოადგენდა იმ ღერძს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იყო სოციალისტური სახელმწიფოს გეგმიანი მომწესრიგებელი ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე. ამიტომ, ბუნებრივია, ამ მიმართულებით ფართოდ იყო გამახვილებული როგორც მთავრობის, ისე პარტიის სათანადო ორგანოების ყურადღება, მიღებული იქნა სათანადო ღონისძიებები, წარმოებდა მუშაობა[1].

მიწის სახელმწიფოებრივი საკუთრების სარგებლობის წესებს ნათლად განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წლის 15 დეკემბრის მეოთხე სესიის გადაწყვეტილება, რომელიც უმნიშვნელოვანეს იურიდიულ აქტს წარმოადგენდა. ამ დადგენილებაში სასტიკად იყო დაგმობილი მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები, გათვალისწინებული იყო დანაშაულობის ჩამდენი პირების მკაცრი დასჯა, დადგენილება სერიოზულად ზღუდავდა კულაკების მიერ მიწების იჯარით აღებას და მუშახელის დაქირავებას.

უეჭველია, ეს ღონისძიება მოასწავებდა მიწის ნაციონალიზაციის კანონის შემდგომ განმტკიცებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სესიის დადგენილებას საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლისათვის. დადგენილება ითვალისწინებდა შეღავათებს კოლმეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის მანქანების, მინერალური სასუქების, ჯიშიანი პირუტყვის და სხვ. შეძენის საქმეში, იგი შეღავათებს აძლევდა კოლმეურნეობებს

---

[1] იხ. ინსტრუქცია მიწათმოწყობის ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ-ში, 1926.

აგრეთვე გადასახადების გადახდაში, კრედიტების პირველ რიგში მიღებაში და სხვ.

კოლმეურნეობებს შრომით სარგებლობაში გადაეცა ის მიწები, რომლებიც მათ წინათ სახელმწიფოსაგან იჯარით ჰქონდათ აღებული.

- სესიის გადაწყვეტილებამ დიდი როლი შეასრულა კოლმეურნეობების შექმნისა და მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში.

პარტია და მთავრობა სისტემატურ დახმარებას უწევდნენ წვრილ და საშუალო გლეხებს მეურნეობის უკეთ მოწყობაში.

მიუხედავად ამისა, წვრილგლეხურ მწარმოებლებს თავიანთ ძირითად მასაში არ შეეძლოთ უზრუნველეყოთ გაფართოებული აღწარმოება, ხშირ შემთხვევაში მათ არ შეეძლოთ განეხორციელებინათ მარტივი აღწარმოებაც კი.

ინდივიდუალურ, წვრილგლეხურ მწარმოებლებს შორის გრძელდებოდა დაწვრილერთეულების პროცესი, რაც კიდევ უფრო აფერხებდა მათს ძირითად მასაში გაფართოებული აღწარმოების გზით განვითარების შესაძლებლობას.

1925 წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა. ამასთან ერთად გრძელდებოდა გლეხურ მეურნეობათა დიფერენციაციის პროცესი, თუმცა მისი ხასიათი და ტემპი ძირეულად განსხვავდებოდა კაპიტალიზმის პერიოდში გლეხთა დიფერენციაციის პროცესისაგან.

გლეხურ მეურნეობათა დიფერენციაციის პროცესი ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში დაიწყო. ამ გარემოებას დიდად შეუწყო ხელი, ე. წ. «მაკრატლის» პრობლემის გამწვავებამ, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1923 წლის შემოდგომისათვის.

გლეხთა დიფერენციაციის პროცესი ჩვენში მიმდინარეობდა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ამიტომ იგი აქ განსაზღვრულ ჩარჩოებში იყო მოქცეული. პარტიისა და მთავრობის დახმარება საშუალებას აძლევდა ღარიბ გლეხობას არა მარტო შეენარჩუნებია თავისი არსებობა, არამედ ამაღლებულიყო საშუალო გლეხობის დონემდე.

1929 წელს საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობაზე აღნიშნული იყო ჩვენი რესპუბლიკის გლეხური მოსახლეობის ფენებად დაყოფის შემდეგი სურათი:

საშუალო გლეხობის მეურნეობანი შეადგენდნენ 62,9 პროცენტს, აერთიანებდნენ სოფლის მოსახლეობის 67,5 პროცენტს და ჰქონდათ პირობითი წმინდა შემოსავლის[1] საერთო მასის 68,3 პროცენტი.

ღარიბი გლეხობის მეურნეობანი შეადგენდნენ 32,1 პროცენტს, აერთიანებდნენ მოსახლეობის 24,3 პროცენტს და ჰქონდათ პირობითი წმინდა შემოსავლის საერთო მასის 10,1 პროცენტი.

შეძლებული (კულაკური) მეურნეობანი შეადგენდნენ 5 პროცენტს და ჰქონდათ მთელი პირობითი შემოსავლის 21,6 პროცენტი[2].

ერთ-ერთ დიდ შეღავათს ღარიბი გლეხობისათვის წარმოადგენდა მისი მთლიანად განთავისუფლება გადასახადისაგან.

---

[1] პირობითი წმინდა შემოსავალი ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად იყო მიღებული გლეხის ამა თუ იმ ჯგუფზე მისაკუთვნებლად. პირობითი წმინდა შემოსავლის გასაგებად მეურნეობის მთელ წლიურ შემოსავალს გამოაკლდებოდა მიმდინარე დანახარჯები. წმინდა შემოსავალი გვიჩვენებდა გლეხის სამეურნეო საქმიანობის „რეალურ ეფექტს" მთელი წლის განმავლობაში. იგი შეიცავდა: ა) ოჯახის წევრთა ხელფასს, ბ) მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა პროცენტებს და გ) მიწის რენტას (სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე № 6 — 7, 1928, გვ. 17).

ერთი გლეხის წმინდა შემოსავლად საქართველოში, საშუალოდ, მიღებული იყო 163 მანეთი. გლეხური მოსახლეობის 75 პროცენტის საშუალო შემოსავალი რესპუბლიკურ საშუალოზე ნაკლები იყო და არ აღემატებოდა 152,5 მანეთს. ამ ჯგუფის ხელში იმყოფებოდა საერთო შემოსავლის 44,5 პროცენტი, დანარჩენი 55,5 პროცენტი თავმოყრილი იყო გლეხთა 25 პროცენტის ხელში. მასში შედიოდა გლეხთა მაღალი ფენა, რომლის შემოსავალი 1 მეურნეზე 361,4 მანეთს უდრიდა. თუ გლეხთა 25 პროცენტიდან გამოვყოფთ კიდევ უფრო შეძლებულთა 10 პროცენტს, მის ხელში მთელი გლეხური შემოსავლის 33,3 პროცენტი ანუ $^1/_3$ იყრიდა თავს. ამ ჯგუფის 1 მეურნეობაზე მოდიოდა 542,6 მანეთი. გლეხთა 90 პროცენტის ხელში თავს იყრიდა შემოსავლის $^2/_3$ ნაწილი. ამგვარად ეს მონაცემები ამკარად გვიჩვენებდა დიდ ჭონებრივ უთანასწორობას საქართველოს ინდივიდუალურ გლეხთა მასაში.

[2] საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა, სტენოგრაფული ანგარიში, 1929, გვ. 553 — 554.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების ბიზნით 1926-1927 წელს მთელ საქართველოში ჩატარებული აღწერის მიხედვით მეურნეობათა 429 787 რიცხვიდან 263 293 მეურნეობა, ე. ი. 61 პროც. განთავისუფლებული იყო გადასახადისაგან[1], 133 233 მეურნის, ე. ი. 31 პროცენტის გადასახადის თანხა შეადგენდა 852 692 მანეთს, ხოლო შეძლებულ მეურნეობებზე 34 383-ის რაოდენობით, ე. ი. 8 პროცენტზე მოდიოდა გადასახადი 1 074 635 მან.

აქედან ვხედავთ, თუ რა შეღავათი ეძლეოდა დაბეგვრის დროს საშუალო გლეხობას. იგი იხდიდა გადასახადს, მაგრამ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე შეძლებულები. თუ საშუალოდ ერთ შეძლებულ მეურნეზე მოდიოდა გადასახადი 31 მან. 25 კაპ., საშუალო შეძლების მეურნეზე მოდიოდა 6 მან. და 40 კაპ., ე. ი. ხუთჯერ ნაკლები.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ პარტია და მთავრობა როგორ მტკიცე კლასობრივ პოლიტიკას ატარებდნენ სოფლად, როგორ იცავდნენ ღარიბი და საშუალო გლეხობის ინტერესებს და ზღუდავდნენ კულაკებს, რაც ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში.

გლეხობისადმი დამოკიდებულების ხაზის განსაზღვრაში პარტია მტკიცედ ხელმძღვანელობდა დიდი ლენინის გენიალური მითითებებით. ვ. ი. ლენინი ამბობდა: «სოფლად ჩვენი ამოცანაა მოვსპოთ მემამულე, გავტეხოთ ექსპლოატატორისა და სპეკულანტ-კულაკის წინააღმდეგობა; ამისათვის ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ დავეყრდნოთ მ ხ ო ლ ო დ ნახევრადპროლეტარებს, «ღარიბებს». მაგრამ საშუალო გლეხი ჩვენი მტერი არ არის. ის მერყეობდა, მერყეობს და შემდეგშიც გამოიჩენს მერყეობას: მერყევებზე ზემოქმედების ამოცანა და ექსპლოატატორის დამხობისა და აქტიურ მტერზე გამარჯვების ამოცა-

[1] მხოლოდ გადასახადის მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ გლეხთა მეურნეობების ამა თუ იმ კატეგორიაზე მიკუთვნების შესახებ. გადასახადისაგან განთავისუფლებულთა ჯგუფში ხშირად მოქცეული იყვნენ საშუალო შეძლების გლეხებიც.

ნ ა ე რ თ ნ ა ი რ ი ა რ ა რ ი ს. შეგვეძლოს საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევა — ამავე დროს ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბებს — ასეთია მომენტის ამოცანა, რადგან სწორედ ახლა გარდუვალია საშუალო გლეხობაში ჩვენსკენ მობრუნება ზემოაღნიშნული მიზეზების გამო»[1].

საბჭოთა მეურნეობების როლი

უდიდეს როლსა და მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში გვიჩვენებდნენ საბჭოთა მეურნეობები როგორც მსხვილი, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი თანმიმდევრული სოციალისტური ტიპის მეურნეობები.

საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი ფართო სამოქმედო ასპარეზისა და დიდი მატერიალური შესაძლებლობის მეოხებით ფრიად მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს გლეხებს კოლექტივიზაციის გზაზე.

საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა მეურნეობები მათი ახალი ტექნიკით, იმ დახმარებით, რასაც ისინი მახლობლად მცხოვრებ გლეხებს უწევენ, მათი უმაგალითო მეურნეობრივი გაქანებით, ის წამყვანი ძალა გახდნენ, რომელმაც გააადვილა გლეხთა მასების მობრუნება და დასძრ. ისინი კოლექტივიზაციის გზით.

საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციას, მათ მატერიალურ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ამავე დროს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას ჰქონდა სხვა არა ნაკლებ დიდი მნიშვნელობაც. მათ, სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე. უნდა უზრუნველეყოთ შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, აგრეთვე ნათესი ფართობის გადიდების გზით საქონლური პროდუქციის სწრაფი ზრდა. ამას მოითხოვდა მშრომელი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 221.

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების, აგრეთვე მრეწველობის ნედლეულით მომარაგების აუცილებლობა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა წარიმართა როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური მნიშვნელობის ორგანიზაციების ხაზით. ასეთები იყო, მაგალითად, საქართველოს მიწსახკომი, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი «საქართველოს ჩაი», «ნოელუბტრესტი», «სოვხოზხლოპოკი», «სკოტოვოდი», სამომხმარებლო კოოპერაცია, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის მიწსახკომები და სარაიონო აღმასკომები[1].

1929 წელს საბჭოთა მეურნეობების რიცხვი უდრიდა 45-ს, მათ შორის 21-ს «სამტრესტი» აერთიანებდა[2]. ასეთები იყო მევენახეობა-მეღვინეობაში: წინანდლის, კარდანახის, მუკუზნის, ნაფარეულის, მანავის, აღაიანის, ვარციხის, ვაზისუბნის. სალხინოს და ვაჭევის; მებაღეობა-მეხილეობაში: სკრის, გომბორის და მერეთის; მემინდვრეობაში: ყულარის, გიაურ-არხის, სადახლოს და ყარაიას; მეცხოველეობაში: ბეთანია-აკურის, ნორიოს, ციხიჯვარის და უდაბნოს.

«სამტრესტში» გაერთიანებული საბჭოთა მეურნეობების მიწის საერთო ფართობი უდრიდა 20 987,58 ჰექტარს[3]. აქედან ვენახები შეადგენდა 528 ჰექტარს, ნამყენი ვაზისა და ამერიკული ვაზის სადედეების ფართობი უდრიდა 208,58 ჰექტარს, ბაღებს ეჭირა —-125,19 ჰექტარი, ხეხილის სანერგეებს — 28,75 ჰექტარი, სახნავ სათეს მიწებს —- 806,19 ჰექ-

---

[1] 1929 წლამდე გარდა ორი საბჭოთა მეურნეობისა (ჩაქვისა და სალიბაურის) ჩაის პლანტაცია არც ერთ სხვა საბჭოთა მეურნეობას არ გააჩნდა. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ სამი წლის მოქმედების განმავლობაში არც ერთი ჩაის საბჭოთა მეურნეობა არ მოუწყვია. აღნიშნულ წლებში ჩაის კულტურის განვითარება წარმოებდა, უმთავრესად, ინდივიდუალურ და საწილობრივ კოლექტიურ მეურნეობებში. ფართობის გადიდება არასაკმაოდ ხდებოდა ჩაქვისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობებშიც კი (იხ ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობა, 1929, გვ. 18).

[2] საბჭოთა საქართველო ციფრებში, გვ. 72 — 73.

[3] იქვე, გვ. 74 — 75.

ტარი, სათიბებს — 1781,15 ჰექტარი, საძოვრებს — 6 503,77 ჰექტარი, ბოსტანს — 23,09 ჰექტარი, — ტყეს—10 349.93 ჰექ-ტარი, კარმიდამოს — 120,45 ჰექტარი, გამოუყენებელ ადგილებს 517,48 ჰექტარი[1].

სულ საბჭოთა მეურნეობებს ეჭირა მიწის ფართობი 98 66: ჰექტარი, მათ შორის სახნავი — 21 428 ჰექტარი, ბაღი—646 ჰექტარი, ვენახი — 1 178 ჰექტარი, საძოვრები და საბალახო — 46 381 ჰექტარი, პლანტაციები — 6 549 ჰექტარი[2].

ამასთან აღნიშნულ წელს მხოლოდ ტრესტის ხაზით საბ-ჭოთა მეურნეობებს ყავდა ცხენი — 208 სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 566 სული, ცხვარი და თხა — 22 930 სული.

ტრესტის ხაზით საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალური და-ბანდება შეადგენდა — 1 130,0 ათას მანეთს. თუ როგორ სის-ტემატურად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდებანი, გვიჩვე-ნებს შემდეგი მონაცემები: 1926 წელს იგი უდრიდა 421,7 ათას მანეთს, ე. ი. წინა წლის 97 პროცენტს, 1927 წელს 500,9 ათას მანეთს, ე. ი. 1925 წლის 115,2 პროცენტს, 1928 წელს 609,1 ათას მანეთს, ე. ი. 140,1 პროცენტს, 1929 წელს 1 131,3 ათას მანეთს, ე. ი. 260,1 პროცენტს[3].

გარდა კაპიტალური დაბანდებისა, რომელიც უმთავრესად ხმარდებოდა ახალ მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტს, ახალი ვენახების გაშენებას, სოფლის მეურნეობის ინვენტა-რისა და მოწყობილობის შეძენას, საბჭოთა მეურნეობები აწყობდნენ სასათბურო მეურნეობას, გამოჰყავდათ ვაზის ნამ-ყენი და სხვ.

დიდი მუშაობა წარმოებდა მეცხოველეობის საბჭოთა მე-ურნეობების ხაზითაც, უმთავრესად საორგანიზაციო სამუ-შაოების შესასრულებლად.

---

[1] გაზ. კომუნისტი, 1929, 12 სექტემბერი.

[2] Стат. Экон. справочник ЗСФСР в районном разрезе (1900-1932 гг.) стр. 194 — 200.

[3] მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის 1928 — 1929 და 1929 — 1930 წწ., 1931, გვ. 59.

სხვა ორგანიზაციების ხაზითაც 1929 წლიდან საბჭოთა მეურნეობების მძლავრი მშენებლობა დაიწყო ჩაის კულტურის დარგში («საქართველოს ჩაი»). 1929 წელს გაშენებული იქნა 171 ჰექტარი ჩაი. ჩაის პლანტაციების ზრდასთან ერთად, ხდებოდა საბჭოთა მეურნეობების გამსხვილება როგორც ფართობების, ისე მოწყობილობის გაძლიერების მხრივ[1].

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ძალად იქცეოდნენ საბჭოთა მეურნეობები და როგორ მაგალითს უჩვენებდნენ ისინი კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებს.

საბჭოთა მეურნეობების სახით ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები ნათლად რწმუნდებოდნენ მსხვილი მეურნეობების უპირატესობაში და ისწრაფეოდნენ მათი მაგალითის მიხედვით გარდაექმნათ თავიანთი მეურნეობა, აემაღლებიათ მიწათმოქმედების კულტურა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება

მშრომელი გლეხობისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დახმარების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობისათვის ზრუნვა. სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოო ფონდები. იგი უფრო სწრაფად იზრდებოდა განსაზოგადოებულ სექტორში, ვიდრე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა სექტორში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის სურათს ნათლად გვიჩვენებდა მანქანა-იარაღების რაოდენობის მკვეთრი გადიდება, ტრაქტორების რიცხვის გამრავლება.

თვალსაჩინო ადგილს იკავებდა ტრაქტორების შემოზიდ-

---

1 მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის 1928 — 1929 და 1929 — 1930 წწ., 1931, გვ. 62. აგრეთვე, ЦАОР, ф. 600. оп. 1, д. 3299.

ვა[1]. მაგალითად, შემოზიდული იყო ტრაქტორები: 1925-1926 წლებში — 80 ცალი, 1926-1927 წლებში — 75 ცალი, 1927-1928 წლებში — 41 ცალი, 1928-1929 წლებში — 35 ცალი, 1929-1930 წლებში — 226 ცალი[2].

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ძირითად რაიონებში 1929 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს ითვლებოდა 348-ზე მეტი ტრაქტორი, ნაცვლად 1926 წლის 80-მდე ტრაქტორისა[3], 1930 წელს კი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინდვრებზე მუშაობდა 524 ტრაქტორი. აქედან 343 ცალი კოლმეურნეობებში, დანარჩენი საბჭოთა მეურნეობებში.

ტრაქტორების გარკვეული რაოდენობა სხვა მანქანა-იარაღებთან ერთად თავმოყრილი იყო მანქანა-იარაღების გამქირავებელ პუნქტებში, ნაწილი კოლმეურნეობებში, ნაწილიც სააქციო საზოგადოება «საქართველოს ჩაის» განკარგულებაში იყო.

მანქანა-იარაღების გამქირავებელმა პუნქტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გლეხური მეურნეობებისადმი დახმარების საქმეში. სოფლის მეურნეობის სამუშაოების ჩატა-

---

[1] საბჭოთა კავშირში შემოზიდული იქნა ტრაქტორები ამერიკის შეერთებული შტატებიდან 1921 — 1922 წელს 60 ცალი, 1925 — 1926 წელს — 10 000 ცალი. 1922 წლის 1 იანვრისათვის რუსეთში ითვლებოდა სულ 1500 ცალი ტრაქტორი (ჟურნ. სოფლის კომუნისტი, 1926, № 1 — 2, გვ. 53).

1924 წელს მშობლიური ტრაქტორები შექმნეს „კრასნი პუტილოვეცის" მუშებმა ქ. ლენინგრადში. 1924 — 1925 წლებში ამ ქარხანამ გამოუშვა სულ 47 ცალი ტრაქტორი, 1925 — 1926 წელს — 722 ცალი, 1926 — 1929 წელს — 3 ათასი ცალი, 1930 წელს — 10 ათასი ცალი, ხოლო პირველი ხუთწლედის ბოლოს—38 ათას ცალზე მეტი (იხ. БСЭ ტ. 21, გვ. 128; აგრეთვე „მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, კოლექტივიზაცია და ბრძოლა მოსავლის მოვლა-აკრეფისათვის", 1931, გვ. 7).

[2] საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა სკპ (ბ) VII ყრილობისას, 1930, გვ. 78.

[3] მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის 1928 — 1929 და 1929 — 1930 წწ., 1931, გვ. 103; აგრეთვე, გაზ. კომუნისტი, 7 ნოემბერი, 1930.

რების პერიოდში აღნიშნული სადგურები განსაკუთრებულ დახმარებას უწევდნენ წითელარმიელთა ოჯახებს, ქვრივობლებს, ღატაკებს, უინვენტარო გლეხობას. გარდა ამისა გაუმჯობესებული სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების პროპაგანდისა და პოპულარიზაციის მიზნით წარმოებდა რიგზე სათესი მანქანების, კულტივატორების, რკინის ფარცხების, დამხარისხებლების და სხვ. მეტად ხელსაყრელ ფასებში გაქირავება.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლების საქმეს.

როგორც ცნობილია, საქართველო ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს. მაგალითად, 1 ჰექტარ სათეს ფართობზე მანქანები ფულადი გამოხატულებით მოდიოდა: რსფსრ-ში 7 მან. და 40 კაპ., უკრაინის სსრ-ში 18 მან და 20 კაპ. ბსსრ-ში 11 მან. და 23 კაპ., ამიერკავკასიაში 2 მან. და 71 კაპ., საქართველოში 3 მან. და 90 კაპ.[1]. ამ მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო მეტად ჩამორჩებოდა მთელ რიგ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს, გერმანიას და სხვ.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ და იმ დახმარებამ, რომელსაც სოფლის მეურნეობას სოციალისტური სახელმწიფო უწევდა, შესამჩნევად დააჩქარა გლეხობის მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდებოდა ტრაქტორების გამოყენებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

ტრაქტორების წინანდელი წესით, დაქსაქსულად გამოყენება ახალი ვითარებისათვის შეუფერებელი ხდებოდა. წვრილ კოლმეურნეობებში, სადაც საშუალოდ, მაგალითად, 1928 წელს ნათესი — 19,3 ჰექტარს, ხოლო 1929 წელს — 32,5 ჰექტარს არ აღემატებოდა, ტრაქტორების დატვირთვა მეტად

---

[1] საქართველოს კპ(ბ) VI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1929, გვ. 697; ჟურ. საქართველოს ეკონომისტი, 1929, № 2, გვ. 24.

დაბალი იყო, იგი 25-30 და ზოგჯერ 40 პროცენტს უდრიდა. მეტად დაბალი იყო ტრაქტორების დატვირთვა გლეხების მიერ მათი ინდივიდუალურად გამოყენების პირობებშიც.

ამის გამოსწორება შეიძლებოდა ტრაქტორთა რაზმების (კოლონების) მოწყობის გზით. ტრაქტორთა რაზმებს შეეძლო მომსახურება გაეწიათ მეტი რაოდენობის კოლმეურნეობებისათვის, გაეზიდებიათ თვითეული ტრაქტორის დატვირთვა, გაუმჯობესებულიყო მათდამი ხელმძღვანელობა და სხვ.

ტრაქტორთა პირველი რაზმების დაარსება იწყება 1929 წლიდან[1]. ერთ-ერთი პირველი რაზმი შეიქმნა გარდაბნის რაიონში, სადაც თავმოყრილი იყო 18 ტრაქტორი, მეორე ყვარლის რაიონში — 16 ტრაქტორით, მესამე ლაგოდეხის რაიონში — 48 ტრაქტორით[2]. 1929 წელს რესპუბლიკაში ტრაქტორთა კოლონების რიცხვი უდრიდა 6-ს, 109 ტრაქტორით. 1929 წლის შემოდგომიდან ტრაქტორები ეძლეოდათ კოლმეურნეობათა ჯგუფურ საწარმოო გაერთიანებებს კოლონების მოსაწყობად.

იმავე წლის შემოდგომიდან ტრაქტორების კოლონები გადაკეთებულ იქნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებად, რომელთა ხელმძღვანელობა დაეკისრა «ტრაქტორცენტრს».

ამ დროისათვის მთელ საბჭოთა კავშირში თავისი დადებითი გამოცდილებით დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი უკრა-

---

[1] კ. შ უ ვ ა ე ვ ი, ტრაქტორთა კოლონები და მათი მუშაობა, 1930, გვ. 16.

[2] 1928 წ. საბჭოთა კავშირში შექმნილი იყო 14 სატრაქტორო რაზმი 320 ტრაქტორით. თვითეულ რაზმში შედიოდა 10 — 12 ტრაქტორი. ამ რაზმების საშუალებით დამუშავდა 60 ათასი ჰექტარი მიწა, რომელიც 67 სოფლის სარგებლობაში იმყოფებოდა.

ტრაქტორთა რაზმების შექმნა მოასწავებდა კოლმეურნეობრივ მოძრაობის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას. ტრაქტორების თავმოყრა რაზმში დიდ ეფექტს იძლეოდა, ორჯერ და უფრო მეტად იზრდებოდა თვითეული ტრაქტორის დატვირთვა.

გაეცნო რა ტრაქტორთა რაზმების მუშაობას 1928 წელს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა მსხვილმა ფერმერმა კემბელმა აღნიშნა: „არაფერი ახალი არ შემიძლია ვთქვა იმის შემდეგ, რაც მე ვნახეო“ (გაზ. კომუნისტი, 1929, 9 მარტი).

ინის სსრ ოდესის ოლქის შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს[1], რომელიც მისაბაძს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკისათვის.

ეს იყო პირველი ხუთწლედის დასაწყისი პერიოდი. ამის შემდეგ მტს-ები სისტემატურად ვითარდებოდნენ როგორც რაოდენობრივად, ისე კოლმეურნეობებისადმი მათი მომსახურების მხრივ.

1929 წელს მტს-ები დაარსდა აბაშის, აგარის და ბორჩალოს რაიონებში, რომლებშიც თავმოყრილი იყო 133 ტრაქტორი, მათი სიმძლავრე 1 425 ათას ცხენის ძალას შეადგენდა.

მტს-ების მშენებლობის უდიდესი მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მათი სახით სოციალისტური სახელმწიფო ახორციელებდა ხელმძღვანელობას და დახმარებას კოლმეურნეობრივი გლეხობისადმი ამ უკანასკნელთათვის ყველაზე უფრო გასაგები და მისაწვდომი საშუალებითა და ფორმით.

«მტს-ის სახით განოვლინებულია და მასობრივი ცდებით შემოწმებულია საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მაღალ ტექნიკურ ბაზაზე მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ფორმა, რომელშიც ყველაზე უფრო სრულად არის შეთანაწყობილი პროლეტარული სახელმწიფოს ხელმძღვანელობასთან და ორგანიზაციულ და ტექნიკურ დახმარებასთან კოლმეურნეთა მასების თვითმოქმედება თავიანთი კოლექტიური მეურნეობის მშენებლობაში»[2].

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობის ფართოდ გაშლის შედეგად, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოშიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მტს-ების ქსელის გაფართოება. სისტემატურად წარმოებდა ტრაქტორების გამოცდა მათ გამოსაყენებლად საქართველოს რელიეფურ და ნიადაგობრივ პირობებისათვის.

---

[1] ა. მარკევიჩი, სასოფელთაშორისო მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 1930.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1930 წ. 29 დეკემბრის დადგენილებიდან.

დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით წარმართვამ, საბჭოთა სახელმწიფოს დასმარებამ კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებისადმი, კულაკობის როგორც კლასის, სისტემატურმა შეზღუდვამ, საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებამ, სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის ზრდამ ახალი წარმატებები შექმნა სოფლის მეურნეობაში, კიდევ უფრო გადიდდა ნათესი ფართობი და განხორციელდა დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები, ამაღლდა ინტენსიფიკაციის დონე.

მაგალითად, საქართველოს სსრ-ში 1929 წელს ნათესი ფართობი 1926 წელთან შედარებით გადიდდა 49 703 ჰექტარით, ე. ი. 6,3 პროცენტით, ხოლო 1913 წელთან შეადრებით გადიდდა 123 129 ჰექტარით, ე. ი. 17,2 პროცენტით[1]. შეიცვალა ნათესების სტრუქტურაც, სახელდობრ, გაიზარდა ტექნიკური კულტურების ფართობი და რამდენადმე შემცირდა მარცვლეულის ნათესი.

თუ რა მიმართულებას ღებულობდა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარება და როგორ იცვლებოდა მისი დარგობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს ის, რომ მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების ხვედრი წონა ნათესების საერთო ფართობში ნაწილობრივ შემცირდა, სამაგიეროდ გადიდდა თამბაქოს, კარტოფილის, ნათესი ბალახის დ. სხვ. ხვედრიწონა.

ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა მრავალწლიან ნარგავთა დარგშიც. მაგალითად, ჩაის ფართობი გადიდდა 1913 წლის 894 ჰექტარიდან 1926 წელს — 1334 ჰექტარამდე და 1929 წელს — 7830 ჰექტარამდე, ხეხილის ბაღების ფართობი 1926 წლის 16 900 ჰექტარიდან გადიდდა 1929 წელს — 17 900 ჰექტარამდე და სხვ., ამასთან ზრდას უფრო მეტად ადგილი ჰქონდა განსაზოგადოებულ სექტორში, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების სექტორი კი სერიოზულად

---

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1931, გვ. 168

ვერ უზრუნველყოფდა ტექნიკური და, საერთოდ, ძვირფასი კულტურების განვითარებას.

აღნიშნულ პერიოდში ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გაბატონებული ფორმა სხვა მხრივაც ახდენდა უარყოფით გავლენას სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

ნათესი ფართობის ზრდას იმავე ზომით ვერ შეესაბამებოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები მთელი შესაძლებლობით ვერ უზრუნველყოფდნენ მოსავლიანობის გადიდებას, ვერ უზრუნველყოფდნენ ტექნიკის რაციონალურ გამოყენებას, არაწესიერად იყენებდნენ სასუქებს, აგროტექნიკურ ღონისძიებებს და სხვ.. მაგალითად, საგაზაფხულო ხორბლის ნათესი ფართობი 1926 წელს უდრიდა 1913 წლის — 44,2 პროცენტს, მოსავალი კი შეადგენდა 1913 წლის მოსავლის 34,1 პროცენტს, 1929 წელს ნათესი ფართობი გადიდდა 66,6 პროცენტამდე, მოსავალი კი 58,6 პროცენტამდე. ფართობი სიმინდისა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ერთ-ერთ ძირითად კულტურას წარმოადგენდა, 1913 წლის დონეს აღემატებოდა 12 პროცენტით, მოსავალი კი — 8,3 პროცენტით. მაგრამ 1929 წელს სიმინდის მოსავალიც დაეცა. იგი შეადგენდა 1913 წლის მოსავლის მხოლოდ 73;7 პროცენტს.

მთლიანად მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი (ხორბალი, ქერი, სიმინდი და დანარჩენი პურეული) 1929 წელს აღემატებოდა 1913 წლის დონეს 6,7 პროცენტით, მაგრამ ჩამორჩებოდა ამ კულტურების 1913 წლის მოსავლის დონეს 13,2 პროცენტით.

1926 წლის მიმართაც მსგავს მდგომარეობას ჰქონდა აღგილი. 1928 წელს პურეული კულტურების ნათესი ფართობი აღემატებოდა 1926 წლის დონეს 6,4 პროცენტით, მაგრამ ჩამორჩებოდა მოსავლიანობის მხრივ — 27,7 პროცენტით.

მსგავს მდგომარეობას ადგილი ჰქონდა არა მარტო პურეული კულტურების დარგში, არამედ მთლიანად მარცვლეულის, აგრეთვე ტექნიკური კულტურების დარგშიც.

ყოველივე ეს იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ინდივიდუალური, წვრილი, დაჭუცმაცებული გლეხური მეურნეობის პირობებში არ შეიძლებოდა სერიოზულად გაგვეუმჯობესებია სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, სერიოზულად წაგვეწია წინ მისი ყველა დარგი.

კიდეე უფრო არასასურველ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სოფლის მეურნეობის საქონლური პროდუქციის დარგში. ინდივიდუალური, წვრილგლეხური მეურნეობა აქაც ვერ უზრუნველყოფდა მაღალი საქონლური პროდუქციის წარმოებას. მაგალითად, 1925-1926 და 1928-1929 წლებში საქართველოში სოფლის მეურნეობის საქონლიანობა 27 პროცენტს არ აღემატებოდა[1]. ეს ცოტათი მაღალია მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბით საქონლური პროდუქციის დონესთან შედარებით, სადაც იგი 1925-1928 წლებში 21-25 პროცენტს შორის მერყეობდა, მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება, მაგალითად, უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის საქონლური პროდუქციის დონეს, სადაც იგი 1927 წელს 37 პროცენტს უდრიდა[2].

მთლიან საქონლურ პროდუქციაში მთავარ როლს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის სექტორი ასრულებდა, რომლის ხვედრიწონა 1928 წელს 99,4 პროცენტს შეადგენდა. დანარჩენს 0,6 პროცენტს იძლეოდნენ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. ამის გამო განსაზოგადოებული სექტორის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების როლი საქონლურ პროდუქციაში ძლიერ უმნიშვნელო იყო, თუმცა მთელი რიგი ტექნიკური კულტურების — შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას და სხვა დარგებში, მათ ეჭირათ მნიშვნელოვანი ადგილი.

ინდივიდუალური წვრილგლეხური მეურნეობის რუტინას და მის წაქცევ მეურნეობრივ ეფექტურობას გვიჩვენებდა

---

[1] ცსორსს საქ. სსრ ფონდი 634, საქმე 6617, გვ. 52 — 53.

[2] Очерки развития народного хозяйства Украинской ССР, 1954, стр. 283.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულების დაბალი დონე, ამასთან მთელი რიგი წლების განმავლობაში მისი უცვლელობა. ეს აიხსნებოდა სოფლის მეურნეობაში მაღალი საქონლური დარგების არარსებობით, მისი მცირე რაოდენობის დარგიანობით, უმთავრესად მარცვლეული კულტურების გაბატონებით. მდგომარეობა შეიძლებოდა შეცვლილიყო სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობის განვითარებით, რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად ახალი, მაღალი შემოსავლიანი კულტურების დანერგვით. მაგრამ ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარების საფუძველზე — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება

დაამუშავა რა პარტიამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზა, გადაწყვიტა რა სოციალისტური მრეწველობის სწრაფი ზრდის საკითხები, დასახა ღონისძიებები ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტური გარდაქმნისათვის, კოლმეურნეობათა მშენებლობის გაძლისათვის. ამ საქმის განხორციელებაზე უშუალოდ აიღო კურსი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XV ყრილობამ, რომელიც 1927 წლის 2 დეკემბერს გაიხსნა.

ყრილობის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტია და მთავრობა შეუდგნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ისინი ემყარებოდნენ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკების — რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის, უკრაინის სოსოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გამოცდილებას, ამასთან დიდ მონაპოვრად სთვლიდნენ არსებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ანმტკიცებდნენ კოლმეურნეობებს, დახმარებას უწევდნენ მათ ტრაქტორთა რაზმებით,

აგრონომიული მომსახურებით, მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტებით და სხვ.

1926 — 1929 წლებში საქართველოს კოლმეურნეობებისათვის, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების კოლმეურნეობებისათვის, დამახასიათებელი იყო ის, რომ მასში უფრო მეტად ერთიანდებოდნენ მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხობა.

1929 წლის მეორე ნახევრიდან მეტად გაძლიერდა გლეხობის ძირეული მობრუნება კოლმეურნეობებისაკენ, საშუალო გლეხებმაც მასობრივად იწყეს შესვლა კოლმეურნეობებში.

თუ 1929 წელს საშუალო გლეხთა **რაოდენობა** კოლმეურნეობებში შეადგენდა 3244 კომლს, ე. ი. 21,6 პროცენტს, 1930 წელს საშუალო გლეხთა რაოდენობა კოლმეურნეობებში გაიზარდა — 53159 კომლამდე, ე. ი.—36,1 პროცენტამდე [1].

კოლმეურნეობებში პირველები შედიოდნენ კომუნისტები და კომკავშირლები. 1929 წელს კომუნისტური პარტიის წევრი კოლმეურნეობებში იყო — 2028 კაცი, 1930 წელს — 6230 კაცი, კომკავშირელი 1929 წელს იყო — 1066 კაცი, 1930 წელს— 15065 კაცი [2]. კოლექტივიზაციის გატარების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტური და კომკავშირული ორგანიზაციები.

საკოლმეურნეო მშენებლობის საქმის წარმატებებით განხორციელებისათვის პარტიამ მობილიზაცია უყო მთელ თავის ძალებს როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ქალაქებიდან რაიონებზე მიმაგრებულ იქნა პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებებთან და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის მსვლელობასთან დაკავშირებით წარმატებით ხორციელდებოდა ახალი მიწათმოწყობა. ეს ღონისძიება დიდად უწყობდა ხელს საკოლმეურნეო მშენებლობის ფართოდ გაშლას და კულაკების საბოლოოდ განდევნას, მათი როგორც კლასის ლიკვიდაციას.

---

[1] საბჭოთა საქართველოს 13 წელი, 1934, გვ. 81.

[2] იქვე.

დიდ ღონისძიებას წარმოადგენდა ახალი საგადასახადო კანონი, რომელიც საკავშირო მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 1930 წლის 23 თებერვალს, ხოლო მის საფუძველზე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ იმავე წლის 9 მარტს «1930 — 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა შესახებ»[1]. ამ დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1930 წლის 16 მარტის თარიღით მიიღო დადგენილება «საქართველოში 1930 — 1931 წწ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ»[2].

ახალი საგადასახადო კანონი მიზნად ისახავდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მასობრივი კოლექტივიზაციის ხაზით, დაეჩქარებია კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია, შეექმნა დამატებითი მძლავრი სტიმული სოფლის მეურნეობის მოსავლიანობისა და საქონლიანობის გასადიდებლად.

ახალი კანონის მიხედვით, პროგრესული დაბეგვრის ნაცვლად, რომელიც ძალაში რჩებოდა ინდივიდუალური გლეხობის სექტორში, შემოღებულ იქნა პროპორციული დაბეგვრის პრინციპი, რომლის თანახმადაც კოლმეურნეობის შემოსავლიანობის ზრდა არ იწვევდა გადასახადის გადიდებას. გადასახადის ოდენობა განისაზღვრებოდა იმით, თუ რამდენად იყო განსაზოგადოებული ქონება კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობას, რომელიც მეტი რაოდენობით განაზოგადებდა ქონებას, შეღავათიც მეტი ეძლეოდა. კოლმეურნეობები ნაკლებად იბეგრებოდნენ ინდივიდუალურ საშუალო გლეხურ მეურნეობასთან შედარებით, ხოლო მცირე შეძლების კოლმეურნეობები სავსებით თავისუფლდებოდნენ. მნიშვნელოვნად გადიდდა კულაკების გადასახადები, მთლიანად თავისუფლდებოდნენ ღარიბი გლე-

---

[1] იხ. გაზ. Заря Востока, № 64, 1930, 11 მარტი; აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ, 1931.

[2] კანონთა და განკარგულებათა კრებული საქ. სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობისა, № 5, მუხ. 55, 1930 წ. 24 მარტი, გვ. 85 — 86.

ხები. გადასახადისაგან თავისუფლდებოდა ახალი ნათესები, აგრეთვე ტექნიკური კულტურები.

როგორც ვხედავთ, გადასახადის ახალი კანონი სავსებით შეესაბამებოდა არსებულ ვითარებას, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მოთხოვნებს. კოლექტივიზაციის შემდეგში წარმატებების უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობებისადმი გატარებულ იქნა მთელი რიგი სხვა შეღავათები და დახმარება.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რა დიდ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი სოფლად, რა შორს წავიდა კოლექტივიზაციის განვითარება და როგორი ხასიათი მიიღო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციამ. ეს იყო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. კულაკობის ლიკვიდაციით საბოლოოდ ისპობოდა უკანასკნელი ექსპლოატატორი კლასი, რომელსაც მრავალ თაობათა მანძილზე მძიმე კაბალაში ჰყავდა ჩაყენებული ღარიბ-საშუალო გლეხთა ფართო მასები.

მაგრამ, ამავე დროს, საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მოძრაობაში უხეშ დამახინჯებებს, პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევებს, ადგილი ჰქონდა კოლექტივიზაციის გაბერილ ციფრებისადმი გამოდევნებას, ადმინისტრირებას და ზემოდან დეკრეტირებას, საშუალო გლეხებთან კავშირის გაწყვეტის შემთხვევებს, გლეხთა გარკვეულ ნაწილს იძულებითი წესით აერთიანებდნენ კოლმეურნეობებში, ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის არტელური ფორმის გამოტოვების და კომუნებზე გადახტომის ხშირ შემთხვევებს და სხვ.

საკავშირო კ.პ.(ბ) ტენტრალურმა კომიტეტმა დროზე ამხილა მთელ რიგ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც გადახვევები პარტიის ხაზიდან საკოლმეურნეო მოძრაობაში და სასტიკად დაგმო იგი.

1930 წლის 8 მარტს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება «ზორიგი ამოცანები საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზა-

ციის დარგში»[1]. დადგენილებაში აღნიშნული იყო კოლექტივიზაციის მეტისმეტად დაჩქარება და დამახინჯებანი, შეცდომად იყო მიჩნეული ისეთ რაიონებში კოლექტივიზაცია და კულაკების ლიკვიდაცია, სადაც წინათ კულაკობის შეზღუდვის კანონიც კი მთლიანად არ ტარდებოდა. დადგენილება ავალებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, დაუყოვნებლივ გამოესწორებიათ შეცდომები და გადახვეულები.

მდგომარეობის გამოსასწორებლად კოლმეურნეობებში ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი. შედგენილი იქნა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-საწარმოო გეგმების ფორმები, კოლმეურნეობები გადაყვანილ იქნენ ახალ წესდებაზე, რომელიც შესწორებული სახით 4 მარტს გამოქვეყნდა[2]. შედგენილი და გამოქვეყნებულ იქნა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების დებულება[3], სასოფლო-სამეურნეო სამუშაო-

---

[1] კოლმეურნის თანამგზავრი, ოფიციალური დოკუმენტები, 1930, გვ. 275.

[2] სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, 1930.

[3] შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება კოლმეურნეობებში. საქართველოს კოლმეურნეობცენტრის დადგენილება, 1930.

ეს დადგენილება არ იყო სრულყოფილი და ახლანდელი თვალსაზრისით, შეიცავს შეცდომებს. მაგალითად, იქ ლაპარაკია შრომადღის ნაცვლად შრომის ხელფასზე, წამოყენებულია მოთხოვნა უპირატესად „სეზონური ბრიგადების შექმნის“ შესახებ. დაწესებული იყო „შრომის ხელფასის შემდეგი 5 კოეფიციენტი: I — 1,0; II — 1,25; III — 1.5; IV — 1.75; ბოლო V — 2,0-ს. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „სანარდო შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით ყოველ კოლმეურნეობაში დაწესებულ იქნეს შეფასების ერთეულები, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სანარდო მუშაობისათვის“ (გვ. 8). მაგრამ რა იყო ეს ერთეული არ იყო ცნობილი.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ დადგენილებას, რომელიც საკავშირო პარტიულ და საბჭოთა უმაღლეს ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე იქნა მიღებული, ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, მნიშვნელოვან საინსტრუქციო ხასიათის ნაშრომს წარმოადგენდა. „Организация и оплата труда в колхозах“ (1930 г. Москва), ეს - ნაშრომი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე საკავშირო კოლმეურნეცენტრის დადგენილების ფართო პოპულარიზაციას იძლეოდა, დღესაც არ არის ინტერესს მოკლებული. მასში მოცემულია კოლმეურნეობებში შრომის ბალანსის შედგენის მეთოდიკა, გამომუშავების ნორმების დადგენის, ნამუშევარის შემოწმების, დარიცხვის და ასხვ. ტექნიკა (გვ. 84).

ების ტარიფიკაცია[1]. შრომის აღრიცხვის წესი[2], ჩატარებულ იქნა ღონისძიებები განსაზოგადოებული პირუტყვის მოვლის გასაუმჯობესებლად. ძისი საკვებით და სადგომებით უზრუნველსაყოფად; მანქანებისა და ინვენტარის რემონტისათვის მოწყობილ იქნა სახელოსნოები; კოლმეურნეობათა ჯგუფებზე მიმაგრებულ იქნა აგრონომები, ზოოტექნიკოსები; კოლმეურნეობათა კადრების მოსამზადებლად მოწყობილ იქნა კურსები, კოლმეურნცენტრის ხაზით დაარსდა 4 საოლქო და 1 სამაზრო კოლმეურნკავშირი, 4 კოლმეურნსექცია მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებებთან და 3 კოლმეურნკავშირი ავტონომიურ რესპუბლიკებში და სხვ.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შრომის სწორ ორგანიზაციას, სანარდო სისტემის ფაქტიურად დანერგვას, ნამუშევარის აღრიცხვის მოწესრიგებას, მოსავლისა და შემოსავლის განაწილების პრინციპების ზუსტად დაცვას და სხვ. ამ საკითხების გაშუქებას ფართოდ უთმობდა ადგილს მაშინდელი პრესა.

საკოლმეურნეო შრომის სწორი ორგანიზაციის დანერგვისათვის მნიშვნელოვან მითითებებს იძლეოდა სსრ კავშირის საბჭოების მე-6 ყრილობა, რომელიც მოწვეული იქნა 1931 წლის 8 მარტს[3].

ყრილობის მომენტში საბჭოთა კავშირის მარცვლეულის ძირითად რაიონებში კოლექტივიზირებული იყო ღარიბი და

---

[1] საქართველოს კოლმეურნცენტრის დადგენილებაში „შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება კოლმეურნეობებში“ ნათქვამი იყო: „შრომის სანარდო ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით ჩატარებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ტარიფიკაცია, რისთვისაც ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის დაწესებულ იქნეს გამომუშავების ნორმა და ტარიფიკაციაქმნილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები თანრიგებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში მონაწილეთა კვალიფიკაციის შიჩედვით“ (გვ. 7).

[2] საქართველოს კოლმეურნცენტრის დადგენილება „შრომის აღრიცხვა კოლმეურნეობებში“; იხ კოლმეურნის თანამგზავრი, 1930, გვ. 232.

[3] С'езд Советов СССР, в постановлениях и решениях, 1931.

საშუალო გლეხობის 74 პროცენტი. ამგვარად, სოციალისტური სექტორი ბატონდებოდა სოფლის მეურნეობაშიც.

დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების უზრუნველსაყოფად როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში წარმოადგენდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება «კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მორიგ ღონისძიებათა შესახებ»[1].

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ამ დადგენილების რეალიზაციისათვის. იგი დიდად დაეხმარა კოლმეურნეობებს შრომის სწორი ორგანიზაციის დანერგვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, გაუპიროვნების ლიკვიდაციის და სხვათა განხორციელების საქმეში.

---

[1] კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისთვის, კრებული, 1932, გვ. 4.

თავი IV

პირველი ხუთწლედის შედეგები

პირველი ხუთწლედის განმავლობაში ძირეული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. შექმნილ იქნა მძლავრი საკოლმეურნეო სექტორი, შეიქმნა ახალი და განმტკიცდა ძველი საბჭოთა მეურნეობანი, გაფართოვდა მტს-ების ქსელი, ძირითადად აღმოფხვრილ იქნა ექსპლოატატორული კლასების ბატონობა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარების სურათს ნათლად გვიჩვენებდა კაპიტალდაბანდებათა ზრდა, თუ აღდგენით პერიოდში სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 15466 ათას მანეთს უდრიდა, პირველ ხუთწლედში იგი შეადგენდა 217,01 მილიონ მანეთს, ე. ი. გაიზარდა 14-ჯერ[1]. აქედან საკოლმეურნეო მშენებლობას მოხმარდა 31 209 ათასი მან., მტს-ების მშენებლობას 6 806 ათასი მან., კოლხიდის მშენებლობას 9454 ათასი მან., დანარჩენი დაბანდება შეადგენდა 264 464 მანეთს[2].

სოფლის მეურნეობაში მთელ კაპიტალდაბანდებათა რაოდენობიდან ხუთწლედის პირველ 1928 — 1929 წელს დაი-

---

[1] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, 1934, стр. 108.

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ფ. 48, ტ. 18.

ხარჯა 13,3 მილიონი მანეთი, 1929 — 1930 წელს 38,0 მილ. მანეთი, 1931 წელს 59,6 მილ. მანეთი, 1932 წელს 106,1 მილ. მანეთი. ზრდა 1932 წლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობისა 1928 — 1929 წლების მიმართ შეადგენდა 695,5 პროცენტს[1].

1932 წელს კოლექტივიზირებული იყო საქართველოს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის 36,1 პროცენტი, 1933 წელს 39,1 პროცენტი, ნაცვლად 1928 წლის 0,9 პროცენტისა. 1932 წელს საქართველოში იყო 3425 კოლმეურნეობა 165671 ინდივიდუალური მეურნეობის ნაცვლად, 1933 წელს 3481 კოლმეურნეობა — 179389 მეურნეობით, ნაცვლად 1928 წლის 239 კოლმეურნეობებისა მასში გაერთიანებული 3574 მეურნეობით[2].

სათანადოდ გამსხვილდა კოლმეურნეობები. 1928 წელს თვითეულ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 15 მეურნეობა, 1932 წელს 48,4 მეურნეობა, 1933 წელს კი — 51 მეურნეობა. 1 კოლმეურნეობაზე მოდიოდა გაერთიანებული ნათესები: 1928 წელს — 9,2 ჰექტარი, 1932 წელს — 70.8 ჰექტარი, 1933 წელს — 79,6 ჰექტარი. აქედან 1 მეურნეზე მოდიოდა ნათესი 1928 წელს — 0,6 ჰექტარი, 1932 წელს — 1,5 ჰექტარი.

გლეხური სექტორის მიმართ კოლმეურნეობების ნათესების ხვედრიწონა შეადგენდა 1928 წელს — 0,3 პროცენტს, 1932 წელს — 29,6 პროცენტს, 1933 წელს — 31,4 პროცენტს[3].

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 პარტკონფერენციის დადგენილებაში ნათქვამი იყო: «კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და კოლმეურნეთა ფართო მასების სოციალისტური აღზრდა ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს დაყენებული მეორე ხუთწლედში»[4].

ამ მითითების რეალიზაციის აშკარა მაჩვენებელს წარმოადგენდა ის, რომ სულ უფრო გაბატონებულ ფორმად

---

[1] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, стр. 108.

[2] საბჭოთა საქართველოს 13 წელი, 1934, გვ. 81.

[3] იქვე.

[4] Резолюция XVII Конференции ВКП (б), 1932, стр. 27.

იქცეოდა სასოფლო-საძეურნეო არტელები, რომელთა რიცხვი საქართველოს სსრ-ში 1932 წელს უდრიდა 2887-ს, 1933 წელს 2977-ს, ნაცვლად 1928 წლის 13 პროცენტისა, მაშინ როცა კომუნების რიცხვი 1932 წელს უდრიდა 30-ს, საზიარო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობის რიცხვი 508-ს [1].

ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებდა აგრეთვე იმას, თუ რა გადაჭარბებით იქნა შესრულებული საკოლმეურნეო მშენებლობის მაჩვენებლები. პირველ ხუთწლედში მომზადებული და გადამზადებული იქნა კოლმეურნეობის მასობრივი კვალიფიკაციის კადრი 10 ათასზე მეტი მუშაკის რაოდენობით.

ასეთივე წარმატებებს ადგილი ჰქონდა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაშიც. საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 1932 წელს უდრიდა 192-ს 34,1 ათასი ჰექტარი ნათესით. სულ საბჭოთა მეურნეობების მიწის ფართობი შეადგენდა 295700 ჰექტარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 62106 ჰექტარისა[2].

ხუთწლიანი გეგმა ავალებდა საბჭოთა მეურნეობებს გაეფართოებიათ საკუთარი მეურნეობა, მეტი დახმარება გაეწიათ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, აგროტექნიკური ზეგავლენა მოეხდინათ გლეხურ მეურნეობებზე, ხელი შეეწყოთ მევენახეობის აღდგენისათვის, ხეხილის ბაღების განვითარებისათვის, მოსახლეობისათვის ჯიშიანი ნერგების მიწოდების გზით, მოეწყოთ სანერგეებისა და სათესლე მეურნეობა და სხვ. ამ დავალებათა შესასრულებლად საბჭოთა მეურნეობები დიდ მუშაობას ატარებდნენ.

1932 წელს მტს-ების რიცხვი უდრიდა 26-ს 664 ტრაქტორით. რომლის სიმძლავრე 10109 ცხ. ძალას შეადგენდა. თუ როგორი იყო მტს-ებისა და მათი ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა, ნათლად გვიჩვენებს ის, რომ 1930 წელს მათი რიცხვი უდრიდა 5-ს 172 ტრაქტორით, 2456 ცხ. ძალის სიმძლავრით, ხოლო

---

[1] საბჭოთა საქართველოს 13 წელი, გვ. 81.

[2] იქვე, გვ. 80.

1931 წელს 7-ს 214 ტრაქტორით, 3094 ცხ. ძალის სიმ-ძლავრით[1].

პირველი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ხუთწლედის ბოლოს, ე. ი. 1933 წელს საქართველოში უნდა ყოფილიყო ტრაქტორი — 714 ცალი, ფაქტიურად 1932 წელს იყო — 1305 ცალი ტრაქტორი; კომბაინი სრულებით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად გვქონდა — 18 ცალი[2]; უნდა ყოფილიყო გუთანი — 10700 ცალი, ფაქტიურად გვქონდა — 73400 ცალი; უნდა ყოფილიყო რკინის ფარცხი—4700 ცალი, გვქონდა — 23612 ცალი; უნდა ყოფილიყო კულტივატორი — 19448 ცალი, გვქონდა — 22500 ცალი; უნდა ყოფილიყო სამკელი მანქანები — 700 ცალი, გვქონდა—715 ცალი; უნდა ყოფილიყო სათიბი მანქანები — 1425 ცალი, გვქონდა — 1471 ცალი; უნდა ყოფილიყო ტრიერი — 710 ცალი, გვქონდა — 471 ცალი; უნდა ყოფილიყო სანიავებელი მანქანები — 1000 ცალი, გვქონდა — 3770 ცალი; უნდა გვქონოდა სათესი მანქანა 2700 ცალი, ფაქტიურად მივიღეთ 5275 ცალი და ა. შ.[3]

თუ როგორი იყო სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, რა ტემპს შეადგენდა, ნათლად დავინახავთ ამ მონაცემების 1928 წლის, ე. ი. ხუთწლედის დასაწყისის მონაცემებთან შედარებით. 1928 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში იყო: ტრაქტორი 175 ცალი, კომბაინი — არც ერთი ცალი, გუთანი — 9 ათასი ცალი, რკინის ფარცხი — 1050 ცალი, კულტივატორი — 5 ათასი ცალი, სამკელი მანქანა — არც ერთი ცალი; სათიბი მანქანა — 350 ცალი, ტრიერი — 250 ცალი, სანიავებელი მანქანა 400 ცალი, სათესი მანქანა — 90 ცალი[4].

---

[1] Социалистическое строительство ЗСФСР, стат. ежегодник, 1935, стр. 76; აგრეთვე. Материалы по отчету Правительства ССР Грузии к VII съезду Советов (1931 — 1934 гг.), 1935, стр. 71.

[2] 1930 წელს პირველად იქნა საბჭოთა კავშირში დამზადებული კომბაინი სულ 347 ცალის რაოდენობით. 1933 წელს კი დამზადდა 10000 ცალი (იხ. В. Зыбковец. От сохи к трактору. 1934, стр. 42). ამან საშუალება მისცა საბჭოთა მთავრობას კომბაინების გარკვეული რაოდენობა მიეწოდებია მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკისათვისაც.

[3] გაზ. კომუნისტი, 1933, 1 იანვარი.

[4] იქვე.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით მომარაგების პირველი ხუთწლიანი გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა ოთხ წელიწადში.

რესპუბლიკის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული 4 წელიწადში მეურნეობის სხვა დარგებშიც, მაგალითად, ტექნიკური კულტურების მთელი რიგი სახეების მიხედვით. ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

ხუთწლედის ბოლოს ტექნიკური კულტურების ფართობი საქართველოს სსრ-ში

	1928 წ.	1932 წ.	ხუთწლიანი გეგმა-ზე ნაკლები (—) ან მეტი (+)	ხუთწლიანი გეგმის შეს. %
ტექნიკური კულტურების ნათესი (ათ ჰექტ.)	23,8	61,6	54,6	111
აქედან:				
ბამბა	7,8	24,9	22,4	107
თამბაქო	13,0	22,1	21,7	105
შაქრის ჭარხალი	0,1	3,8	4,1	93
მზესუმზირა.....	1,4	5,8	4,0	150
კარტოფილი.....	8,0	14,3	20,0	—
ბალჩა-ბოსტანი	5,9	22,4	13,0	106

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კულტურების ფართობის თვალსაჩინო ზრდას ჰქონია ადგილი. ამასთან გაფართოება მოდიოდა უმთავრესად განსაზოგადოებული სექტორის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით. ამას გვიჩვენებს ტექნიკური კულტურების ხვედრიწონის ზრდა ნათესების საერთო ფართობის მიმართ.

1928 წელს განსაზოგადოებული სექტორის ტექნიკური კულტურების ხვედრიწონა საერთო ფართობის მიმართ შეადგენდა საბჭოთა მეურნეობებში—1,0 პროცენტს, 1932 წელს—12,3 პროცენტს, კოლმეურნეობებში შესაბამისად—2,2 პრო-

ცენტს და 39 პროცენტს. სულ განსაზოგადოებულ სექტორში შესაბამისად — 3,2 პროცენტს და 51,3 პროცენტს[1].

ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში კი მისი ხვედრიწონა შემცირდა. იგი უდრიდა აღნიშნულ წლებში შესაბამისად 96,8 პროც. და 48,7 პროცენტს[2].

პირველი ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენდა კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების შექმნა, 1932 წელს კოლმეურნეობებში იყო 262 მესაქონლეობის ფერმა — 27240 სული პირუტყვით; 142 მეცხვარეობის ფერმა — 111 343 სული ცხვრით; 132 მეღორეობის ფერმა — 11606 სული ღორით; 20 მეცხენეობის ფერმა — 1025 სული ცხენით; 28 მეფრინველეობის ფერმა — 9775 ფრთა ფრინველით; 181 მეფუტკრეობის ფერმა — 6395 ფუტკრით[3].

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების ზრდა და მათში პირუტყვის სულადობის რაოდენობრივი გადიდება მტკიცე საფუძველს ქმნიდა მეცხოველეობის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ ხუთწლიანი გეგმა შესრულებული ვერ იქნა მეცხოველეობის ზოგიერთი სახის მიხედვით. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი უნდა ყოფილიყო ხუთწლიანი გეგმით 1795,6 ათასი სული, ფაქტიურად 1932 წელს იყო 1563,2 ათასი სული. მათ შორის: მუშაპირუტყვი უნდა ყოფილიყო 579,9 ათასი, ფაქტიურად 1932 წელს იყო 501,2 ათასი; უნდა ყოფილიყო ძროხა და ფურკამეჩი 555,5 ათასი, ფაქტიურად იყო 517,5 ათასი სული; ცხვარი და თხა უნდა ყოფილიყო 2809,3 ათასი სული, ფაქტიურად იყო 1391,3 ათასი სული; ღორი უნდა ყოფილიყო 990,0 ათასი სული, ფაქტიურად იყო 438,6 ათასი სული[4].

გადაჭარბებას ადგილი ჰქონდა მეცხენეობაში. ხუთწლე-

---

[1] საბჭოთა საქართველოს 13 წელი, გვ. 64,

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] გაზ. კომუნისტი, 1933, 1 იანვარი.

დის ბოლოს გეგმით უნდა ყოფილიყო 100,1 ათასი სული, 1932 წელს იყო 129,9 ათასი სული ცხენი[1].

მეცხოველეობაში პირველი ხუთწლიანი გეგმის შეუსრულებლობა აიხსნებოდა ზოგიერთი ინდივიდუალური გლეხის მიერ პირუტყვის განადგურებით (დაკვლა და სხვ.), რაც გამოწვეული იყო კულაკების პროვაკაციით. ეს ნაწილობრივ შემდეგშიც გრძელდებოდა.

სოციალისტური სექტორის წარმატებებმა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მტკიცე საფუძველი შეუქმნა მის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. სოციალისტური სექტორი იქცეოდა გაბატონებულ ფორმად, საკითხი «ვინ-ვის» სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა სოფლის მეურნეობაშიც.

სოციალისტური სექტორის გამარჯვებამ უზრუნველყო სახელმწიფოს ვალდებულებათა შესრულება როგორც საბჭოთა მეურნეობების, ისე კოლმეურნეობების მხრივ. კოლმეურნეობები სახელმწიფოს ამჯერად გაცილებით მეტს აბარებდნენ პურს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს, ვიდრე წინათ.

---

[1] გაზ. კომუნისტი, 1933, 1 იანვარი.

თავი V

საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების ამოცანები

წარმატებები საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე ნათლად გვიჩვენებდა პარტიის პოლიტიკის სისწორეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ განგვემტკიცებია ეს წარმატებები, აგვემაღლებია კოლმეურნეობების საწარმოო მაჩვენებლები, კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიგვექცია კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ყოველივე ეს მოითხოვდა კოლმეურნეობებიდან მტრული ელემენტების განდევნას, გადამჭრელი ზომების მიღებას კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის და სხვ.

კოლმეურნე გლეხთა ზრდადი ენთუზიაზმი

მეორე და მესამე ხუთწლედებში კიდევ უფრო ვითარდებოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა; იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები; ამაღლდა გლეხების ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი საარსებო პირობები.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, კოლმეურნეობათა

მომსახურე მტს-ებში პოლიტგანყოფილებათა შექმნამ. პოლიტგანყოფილებები შეიქმნა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტგანყოფილებებმა როგორც მტს-ებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოს სსრ-შიც, სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, მათ დიდი მუშაობა ჩაატარეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად. გაუმჯობესდა მანქანა-იარაღების მოვლა-გამოყენება, დიდი ყურადღება მიექცა მექანიკოსთა კადრების მომზადებას. 1933 წელს მოწყობილი იქნა კურსები ხონში, ხაშურში და თბილისში. სულ 1931-1934 წლებში სპეციალურ კურსებზე მომზადებული იქნა 3463 ტრაქტორისტი.[1] მტს-ები გადაიქცნენ სოფლის მეურნეობის ენერგეტიკისა და კულტურის ცენტრებად. პოლიტგანყოფილებები ამხილებდნენ შენიღბულ კლასობრივ მტრებს და აძევებდნენ მათ კოლმეურნეობებიდან, იბრძოდნენ კოლმეურნეთა აქტივის აღზრდისათვის, გეგმების მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის; ისინი ნამდვილად იყვნენ პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენი პუნქტები სოფლად, პარტიის უძლიერესი ბერკეტები კოლმეურნეთა სოციალისტური აღზრდის საქმეში.

შეასრულეს რა თავისი ამოცანა, შემდეგში პოლიტგანყოფილებები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებით გარდაიქმნენ ტერიტორიულ პარტიულ ორგანოებად[2].

კოლმეურნე გლეხთა მასების მობილიზაციისათვის საკოლმეურნეო წარმოების ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამკვრელ-კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობას, რომელიც 1933 წლის თებერვალში შედგა[3].

---

[1] Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов, 1935, стр. 66.

[2] გაზ. კომუნისტი, 1934, ნოემბერი.

[3] გაზ. კომუნისტი, 1933, 20 თებერვალი.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სასოფლო და რაიონული მიწათმოქმედების ორგანოების საშუალებით, საბჭოთა სახელმწიფო წარმატებით ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას.

1933 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მომსახურებას უწევდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის 3481 კოლმეურნეობიდან 1398 კოლმეურნეობას, ე. ი. 40,1 პროცენტზე მეტს[1].

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას, რომელიც 1935 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე იქნა მიღებული[2].

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება უმძლავრეს იარაღს წარმოადგენდა კოლმეურნეობების შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში, მან კოლმეურნეობაში მტკიცედ დააკანონა ძირითადი სოციალისტური პრინციპი: გლეხურ მეურნეობათა წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზოგადოება, კოლმეურნეთა პირადი ინტერესების შეხამება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ინტერესებთან[3]. ის შეადგენდა კოლმეურნეობების განმტკიცების გასაღებს, რაც ხაზგასმით იყო აღნიშნული დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებამ დააკანონა აგრეთვე შრომის სოციალისტური ორგანიზაციის. შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპები, განამტკიცა პირველ რიგში სახელმწიფოს ვალდებულების შესრულების აუცილებლობის შეგნება. ჩამოაყალიბა კოლმეურნეობათა მართვის დემოკრატიული საფუძვლები და სხვ.

წესდებაში აღნიშნული და ფიქსირებული იყო სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისათვის მიწების უფასო და უვადო

---

[1] საქართველოს სსრ მიწსახკომის მასალების მიხედვით.

[2] სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, 1947.

[3] ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის შესახებ, 1935.

სარგებლობაში გადაცემა, განსაზღვრული იყო კოლმეურნეობის მრავალდარგიანი მეურნეობის განვითარების, კოლმეურნეობრივი საკუთრების განმტკიცების, შინაგანი დაგროვების გადიდების, საზოგადოებრივი ფონდების ზრდის ამოცანები და სხვ.. ამასთან წესდება გამსჭვალული იყო სულისკვეთებით — გადაგვექცია ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურად და ყველა კოლმეურნე შეძლებულად, მაღალ კულტურულ, სოციალისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელ მუშაკებად.

როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება შეიცავდა უაღრესად დიდმნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპებს საკოლმეურნეო წყობილების განსამტკიცებლად, კოლმეურნე გლეხობის სოციალისტურად გარდაქმნის უზრუნველსაყოფად.

ამით აიხსნება, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას ფართოდ გამოეხმაურა მთელი საბჭოთა გლეხობა, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკის გლეხობაც.

წესდებამ საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ გამარჯვების ღრმა რწმენა ჩაუნერგა არა მარტო კოლმეურნეებს, არამედ ინდივიდუალურ გლეხებსაც, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით დააგვიანეს კოლმეურნეობებში შესვლა.

საქართველოს კოლმეურნე გლეხები ფართოდ შეუდგნენ წესდების შესწავლას და თავიანთი მეურნეობის გადაყვანას წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებათა საფუძველზე. ამ გარემოებამ გააძლიერა ინდივიდუალური გლეხობის ახალი ტალღა კოლმეურნეობებისაკენ.

1935 წლის მარტო იანვარ-თებერვალში საქართველოს სხვადასხვა რაიონში 70-ზე მეტი ახალი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, ხოლო წლის ბოლოს, ე. ი. 1936 წლის 1 იანვრისათვის კოლექტივიზაციის დონემ მიაღწია 74,4 პროცენტს, ნაცვლად 1935 წლის 1 იანვრის 38,5 პროცენტისა. აქედან კახეთის რაიონების კოლექტივიზაცია 1936 წლის 1 იანვრისათვის უდრიდა 74,5 პროცენტს, გუდაუთის რაიონის — 89,2 პროცენტს, ახალციხის — 40,8 პროცენტს და სხვ.

თუ როგორ ინტერესს იჩენდნენ ინდივიდუალური გლეხები კოლმეურნეობებისადმი, ამას გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი: აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოს მცხოვრები ერთპიროვნული გლეხი ტ. კუჭუხიძე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საანგარიშო კრებაზე შემდეგი განცხადებით გამოვიდა: «ხუთი წელია ვუყურებ კოლმეურნეობის მუშაობას და გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩემი კერძო მეურნეობით საჭირო და სასურველ შედეგებს ვერ მივაღწიე. ვხედავ საუცხოო მაგალითებს კოლმეურნეობის მუშაობაში, მრცხვენია, რომ აქამდე არ ჩავები საკოლმეურნეო მშენებლობაში. დღეიდან არ მინდა ვიყო ერთპიროვნული მეურნე და კრებას ვთხოვ მიმიღოს კოლმეურნეობის წევრად»-ო.

კრების შემდეგ კიდევ რამდენიმე გლეხმა შეიტანა განცხადება კოლმეურნეობაში შესასვლელად. რაიონში 15 თებერვლისათვის მიღებული იყო 428 ახალი წევრი, მოეწყო ორი ახალი კოლმეურნეობა.

ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც. მაგალითად, საგარეჯოს რაიონში იანვრიდან მარტამდე კოლმეურნეობებში შევიდა 800 ახალი წევრი. ქობულეთის რაიონში 1935 წლის გაზაფხულზე მარტო წესდების დამუშავების პერიოდში კოლმეურნეობაში შევიდა 96 ახალი წევრი. კრებაზე სოფელ გვარში, სადაც წესდება მუშავდებოდა, 14 ინდივიდუალურმა მშრომელმა გლეხმა განაცხადა კოლმეურნეობაში შესვლის სურვილი. ახალი წევრები შეემატა აგრეთვე სოფ. ქვემოკვირიკეს, ხუცუბნის, ბუკნარის, ვოროშილოვკის, ახალი სოფლის და სხვ. კოლმეურნეობებს.

1935 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაერთიანდა 30 ათასი მეურნეობა, კოლექტივიზირებული იყო სოფლის გლეხურ მეურნეობათა 43 პროცენტი.

იმავე წლის სექტემბრიდან დაწყებულ იქნა სახელმწიფო აქტით მიწის სამუდამო სარგებლობისათვის კოლმეურნეობებზე გადაცემა, რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სერიოზულ მონაპოვარს წარმოადგენდა.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოწინავე მუშაკთა თათბირებმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან, რომელიც ჩატარდა კრემლში 1935 წლის ნოემბერში, დეკემბერში, 1936 წლის იანვარსა და მარტში.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მოსავლიანობის ოსტატების მიღწევებს.

პირველ ხუთასეულთა მოძრაობის შესახებ, რომელიც მოწინავე ქალთა გმირული შრომით გაჩაღდა უკრაინაში, ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: «მხოლოდ თავისუფალ შრომას, მხოლოდ საკოლმეურნეო შრომას შეეძლო წარმოეშვა შრომის ასეთი გმირი ქალები სოფლად.

ასეთი ქალები არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ძველ დროში».

ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილ სახელებს წარმოადგენდნენ ისეთ ნოვატორთა სახელები, როგორიც იყვნენ პ. ანგელინა, მ. განატენკო, ა. კოშევაია და სხვ.

აღნიშნულმა თათბირებმა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტური მინღვრების მოწინავენი საქართველოდანაც, აგრეთვე მაღალმოსავლიანობის უკრაინელ ნოვატორთა მოწინავე გამოცდილებამ, უდიდესი დამრაზმავი როლი შეასრულა, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა საქართველოს კოლმეურნეობებშიც, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი და დამკვრელები ყველგან ბრღვევდნენ ძველ ნორმებს და ახალი, მაღალი ნორმების შესრულების საუკეთესო მაჩვნებლებს გვაძლევდნენ. მაგალითად, 1935 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის წევრი ნუცა ჯანაშვილი ნემსავდა 35-40 ძაფ თამბაქოს. 1936 წელს კი ვალდებულება იკისრა აენემსა 60 ძაფი თამბაქო. ეს დაპირება მან გადაჭარბებით შეასრულა. ასეთივე გადაჭარბებით ასრულებდნენ ახალ ნორმებს აღნიშ-

ნული კოლმეურნეობების დამკვრელები ი. და შ. გამეზარდა-შვილები, მ. გლადინკინა, ე. კაპანაძე და სხვები, რომლებმაც არა ნაკლებ 350-360 შრომადღე გამოიმუშავეს თვითეულმა, შრომადღეზე მიიღეს 10 მან. 80 კ.ბ. ფულად და 5 კგ. მარცვლეული თვითეულმა. ასეთი ფაქტები მრავალი იყო სხვა კოლმეურნეობებშიც.

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი და დამკვრელები ყველგან გვიჩვენებდნენ შრომის ნაყოფიერების გადიდების, ახლებურად მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს.

თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა «მოწინავე»-ს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება ეშუშავნათ უკეთესად, გაუმჯობესებული მეთოდებით და ამის მიაღწიეს კიდეც. მაგალითად, სანერგეს მეურნეობაში წინათ მუშაობდნენ შემდეგნაირად: ერთი ამყნობდა ნერგს, მეორე ნამყენს ყუთში ალაგებდა, მესამე სათბურში უვლიდა. ყველა თავის ნორმას ასრულებდა, მაგრამ ნამყენის გახარებაზე ფაქტიურად არავინ ზრუნავდა.

ახლებურად მუშაობის შედეგად ეს წესი შემდეგნაირად შეიცვალა: მყნობელს კიდეც უნდა დაემყნა, ლერწისათვის თავებიც წაეჭრა, ყუთებშიც ჩაელაგებინა, სათბურშიც მოევლო, სანერგეშიც გადაეტანა და გახარებაზეც ეზრუნა.

მყნობელს წინათ შრომას უნაზღაურებდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენს დაამყნიდა. ამჯერად კი უნაზღაურებდნენ არა ნამყენის რაოდენობის, არამედ გახარებული ნერგის რაოდენობის მიხედვით.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში კოლმეურნეებს შორის სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა გაშლილი იყო სხვა დარგის სამუშაოებშიც. აი, მაგალითად, რაჟდენ ჯაჭვაძე. მას კოლმეურნეები ზედმეტ სახელად «ტრაქტორას» ეძახდნენ. მართლაც, ტრაქტორივით დაუღალავად აბრუნებდა იგი ვენახისათვის მიწას 60 სანტიმეტრის სიღრმეზე. ნორმა იყო 8 კვადრატული საჟენი, რ. ჯაჭვაძე კი თითქმის სისტემატურად აბრუნებდა 26 კვადრატულ საჟენს. მეორე დამკვრელი კოლმეურნე ალ. ჩაფიძე ნორმას ორნახევარჯერ გადაჭარბებით

ასრულებდა. იყვნენ მაღალი მოსავლის ოსტატებიც. ბრიგადირ გიო ოთიაშვილს ვენახის 1 ჰექტარზე უნდა მოეწურა ღვინო 500 ვედრო. მან მოწურა 1000 ვედრო ღვინო.

სოციალისტური შრომის სხვა ოსტატებმა, რომლებიც სანერგეში მუშაობდნენ, 80-90 პროცენტით გაახარეს ნამყენი. 1935 წელს მათ შრომადღეზე მიიღეს 25 მანეთი, 1936 წელს კი 40 მანეთი და ა. შ.

მახარაძის რაიონის სოფელ გომის კოლმეურნეობაში 1935 წლის შემოდგომაზე სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადების მხოლოდ ხუთდღიურში კოლმეურნე ვ. სვანიძემ გამოიმუშავა 48 შრომადღე, ე. ი. 5 შრომადღე ერთ ფაქტიურ სამუშაო დღეში. მან გამომუშავების ნორმებს 5-6-ჯერ გადააჭარბა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ კოლმეურნეობამ 1935 წელს 1 შრომადღეზე გასცა 5 მანეთი ფულად და ნატურით 3 კილოგრამი სიმინდი, გამოდის, რომ ვ. სვანიძემ დამკვრელურ ხუთდღიურში გამოიმუშავა 240 მანეთი ფულად და 9 ფუთი მარცვლეული და სხვა პროდუქტები.

1936 წელს თელავის რაიონში გათვალისწინებული იყო ვენახის გაშენება 35 ჰექტარზე. ახალ ვითარებასთან დაკავშირებით გეგმა გაადიდეს 300 ჰექტარამდე, ნამყენის გახარების ვალდებულება 40-45 პროცენტიდან 70 პროცენტამდე გაადიდეს (ნორმა კი იყო 50 პროცენტი), იკისრეს 300 ჰექტარი მიწის გადაბრუნება 25 იანვრისათვის და სხვ.

მშრომელ მასებში დიდ ენთუზიაზმსა და სიხარულს იწვევდა 1935 წელს კრემლში გამართულ ზემოაღნიშნული თათბირების მონაწილეთა შეხვედრები კოლმეურნეებთან, მათი მოწოდებები კოლმეურნეებისადმი და ახალი ვალდებულებები, რომელსაც ისინი აღუთქვამდნენ პარტიას და მთავრობას.

1935 წლის დეკემბერში საკოლმეურნეო მინდვრების მაღალმოსავლიანობისადმი მიძღვნილი თათბირის მონაწილეთა წინაშე დაყენებულ იქნა ამოცანა უახლოეს 3-4 წელიწადში 7-8 მილიარდი ფუთი პურის მიღების შესახებ. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ფართოდ დაირაზმნენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და მტს-ები მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც. მშრომელები ყველგან თავდადე-

ბით იბრძოდნენ მოსავლიანობის გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად დიდი სიხარული გამოიწვია საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1935 წლის 15 მარტის ბრძანებულებით, საბჭოთა კავშირის სხვა მოწინავე რესპუბლიკებთან და მხარეებთან ერთად, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოვებამ. ლენინის ორდენით დაჯილდოებულ იქნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაც.

დაჯილდოების საფუძველს წარმოადგენდა მთელი რიგი წლების მანძილზე აღნიშნული რესპუბლიკების თვალსაჩინო წარმატებები როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის დარგში. მაღალი ჯილდო აღაფრთოვანებდა საქართველოს მშრომელ მოსახლეობას, ახალი სამეურნეო მიღწევების მოპოვებისათვის.

სიღნაღის რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა «შრომის» დამკვრელ კოლმეურნეთა მიმართვაში საქართველოს ყველა კოლმეურნეობისადმი, ნათქვამი იყო; «საქართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიბრძოლებთ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას, სანიმუშოდ ჩავატარებთ თესვის კამპანიას, შრომადღეებზე მივიღებთ 14 კილოგრამ მარცვალს, მთლიანად უზრუნველვყოფთ სახელმწიფოს ყველა ვალდებულების შესრულებას»[1]. და სხვ.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევდა სოციალისტურ სოფლის მეურნეობას — კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ებს. სახელმწიფო დიდ სახსრებს აბანდებდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ემყარებოდა რა სოციალისტური ინდუსტრიის სიმძლავრის განუხრელ ზრდას, სახელმწიფო სულ უფრო მეტ ახალ ტექნიკას გზავნიდა სოციალისტურ სოფელში, იზრდებოდა კოლმეურნეობები-

[1] გაზ. კომუნისტი, 1936, 11 თებერვალი.

სა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობა. ფართო მასშტაბით ხდებოდა მექანიზატორების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარებისა და სხვა კადრების მომზადება, მტკიცდებოდა მიწათმოქმედების ორგანოები.

ომამდელი ორი ხუთწლედის — I და II ხუთწლედების განმავლობაში საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს მიერ დაბანდებული იყო 776,9 მილიონი მანეთი. აქედან პირველ ხუთწლედში — 217 მილიონი მანეთი, მეორე ხუთწლედში — 559,9 მილიონი მანეთი [1]. შემდეგში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა კიდევ უფრო გაიზარდა. მარტო მესამე ხუთწლედის ორი წლის განმავლობაში დაბანდებული იქნა 441,6 მილიონი მანეთი, ე. ი. პირველ და მეორე ხუთწლედებში კაპიტალდაბანდებების 57,1 პროცენტი. 1940 წელს დაბანდებული იქნა 306,1 მილიონი მანეთი, ე. ი. იმავე ხუთწლედების კაპიტალდაბანდების 69,3 პროცენტი [2].

სულ ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში 1939 წლამდე სოფლის მეურნეობის ხაზით გაწეული კაპიტალდაბანდებიდან, რომელიც 1320,5 მილიონ მანეთს უდრიდა, მტს-ებზე მოდიოდა — 62,4 მილიონი მანეთი, კოლმეურნეობებზე — 517,7 მილიონი მანეთი [3].

1930-1934 წლებში რესპუბლიკის მთელი რიგი კოლმეურნეობები შესამჩნევად დაწინაურდნენ, შესანიშნავ მაჩვენებლებს იძლეოდნენ წარმოების ყველა დარგში. ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობას წარმოადგენდა მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის «კომუნისტის» სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც 1930 წლის თებერვალში დაარსდა [4].

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხასიათდებოდა გორის რაიონის სოფელ მერეთის «წითელი მერეთის» კოლმეურნეობა. მან მნიშვნელოვნად გაადიდა როგორც ნათესი ფარ-

---

[1] საქ სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ფ. 48, ც. 18, გვ. 25.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ყველა უნდა იცნობდეს მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილებას, 1933, გვ. 10.

ობი, ისე მოსავლიანობა. გაბატონდა კოლმეურნეობა შემოსავალი ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით[1].

მთელი ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით და მის გარეთაც ცნობილი გახდა ლუქსემბურგის რაიონის, ლუქსემბურგის სოფსაბჭოს კოლმეურნეობა «ანფანგი»[2].

აღსანიშნავი იყო თავისი მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით და მდიდარი გამოცდილებით ბორჩალოს რაიონის «კომუნიზმის» სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც განთქმული იყო მთელი რესპუბლიკის მასშტაბით[3].

1930-1934 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში სერიოზული მიღწევები მოპოვებულ იქნა სხვა დარგშიც. ამ პერიოდში შეიქმნა და სერიოზულ ძალად იქცა ბევრი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ კოლექტივიზაციის განვითარებაზე, კოლმეურნეობათა გამსხვილებაზე, კოლმეურნეების ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის კოლექტივისტურად გარდაქმნაზე.

შემდგომი სამეურნეო განვითარება

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის წარმატებები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი განვითარების დიდ შესაძლებლობას იძლეოდა. ფართო შესაძლებლობა შეიქმნა ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური, აგრეთვე სუბტროპიკული კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ევკალიპტის, იაპონური ხურმის, ფეიხოას, დაფნის, გერანის, არახისის, ლუფას, ეთერ-ზეთოვანი და სხვ. კულტურების განვითარებისათვის.

---

[1] ა. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ფ. კ ე შ ე ლ ა ვ ა, მოსავლის სანიმუშო განაწილებისათვის, 1934.

[2] ყველა უნდა იცნობდეს მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილებას, ლუქსემბურგის კოლმეურნეობა „ანფანგი", 1933, გვ. 8.

[3] ა ლ. გ ო ნ ა შ ვ ი ლ ი, ა ლ. ნ ა კ ა ი ძ ე, შრომის ორგანიზაცია მებამბეობის კოლმეურნეობაში, 1933.

ნათესი ფართობი ყველა კატეგორიის მეურნეობაში საქართველოს სსრ-ში 1913—1940 წწ.
(ათას ჰექტარობით)

კ ულ ტ უ რ ე ბ ი	1913[1]	1928[1]	1932[2]	1934[3]	1935[1]	1936[3]	1937[3]	1938[3]	1939[1]	1940[3]
სულ ნათესი ფართობი	716,5	788,1	851.6	975,8	964,3	979,7	1003,5	985,7	956,8	895,7
მათ შორის:										
1. მარცვლეული და ცერცვოვანი	697,9	744,9	729,3	830,9	838,7	837,9	861,9	849,0	821,0	748,4
2. ტექნიკური	186	238	61,1	73,3	45,5	49,5	52,5	51,4	51,3	51,6
მათ შორის:										
თამბაქო	104	130	22,1	19,8	19,7	20,4	21,1	21,1	21,0	20,9
შაქრის ჭარხალი	—	0,1	3,8	5,0	5,8	5,8	5.5	5,5	5,5	5.5
მზესუმზირა	—	1,4	5.8	8,6	10,6	12,7	13,5	13,6	14.7	15,5
3. კარტოფილი	—	8,0	14,3	20,2	21,0	23,1	21,7	23.0	23,6	24,6
4. ბოსტანი	—	4,5	19,6	20,3	20,0	18,2	17,5	14,7	15,4	14,5
5. ბაღჩა	—	1,5	2,8	3,2	3,5	3,9	3,7	4,3	4,6	4,0
6. საკვები	—	2,8	24,5	27,8	35,1	47.1	46,2	43,1	40,9	52,6
7. დანარჩენი ნათესი	—	2,6	—	1,1	0,5	—	—	0,2	—	—

1 საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გვ. 168.
2 საბჭოთა საქართველოს 13 წელი. გვ 62 53.
3 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, 88. ფ. 48, ც. 5, გ. 12.

მთელი ნათესი ფართობი რესპუბლიკაში გაიზარდა 695,7 ათას ჰექტარამდე 1940 წელს. ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლიანობა და მთლიანი პროდუქცია. ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები (იხ. გვ. 108):

როგორც მონაცემებიდან ვხედავთ მნიშვნელოვნად იზრდებოდა სხვადასხვა კულტურების ნათესი ფართობი. ამ ზრდას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით განსაზოგადოებულ სექტორში—კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი რიგი კულტურები წინათ თავიანთ სამრეწველო მნიშვნელობით სრულებით არ იცოდა საქართველოს სოფლის მეურნეობამ, იგი მოგვეველინა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, კერძოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირობებში.

თუ როგორ იზრდებოდა ნათესების ფართობი კოლმეურნეობებში ვხედავთ შემდეგი მონაცემებიდან:

ნათესი ფართობის ზრდა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1934 — 1940 წწ. (ათას ჰექტარობით) [1]

კულტურები \ წლები	1934	1935	1936	1937	1938	1939	1940
სულ ნათესი ფართ.	313,0	348,1	637,4	639,7	727,0	755,1	790,6
მათ შორის:							
1. მარცვლეული და ცერცვოვანი ...	253,5	292,4	546.8	591,6	627,5	649.3	654,0
2. ტექნიკური.....	32,1	23,9	39,3	44,3	43,9	46,6	49,6
მათ შორის:							
თამბაქო	7,6	8,9	16,0	16,7	16,5	13,2	20,2
შაქრის ჭარხალი	3,6	3,7	5.2	5.3	5,5	5,5	5,5
მზესუმსირა ..	3,2	5,0	9,9	11,7	12,5	13,6	14,7
3. კარტოფილი	5,4	4,4	6,0	7,2	10,2	12,5	16,1
4. ბოსტნები	4,3	5.4	6,7	6,6	5.6	7,4	9,0
5. ბაღჩა	1,2	1,6	2,7	2.4	2.9	3,2	3,3
6. საკვები	16,2	20,1	33,9	37,6	36,7	35,1	48,0

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ფ. 48, ც. 6, გვ. 13.

მონაცემები ნათლად გვიჩვენებს საკოლმეურნეო სექტორში ნათესების მკვეთრ ზრდას, განსაკუთრებით მესამე ხუთწლედის პირველ წლებში, რაც აიხსნებოდა კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებით.

თუ რა წილს შეადგენდა კოლმეურნეობების ნათესები ჩვენი რესპუბლიკის მთელ ნათესებში გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

კოლმეურნეობების ნათესების ხვედრიწონა საქართველოს სსრ-ის მთელ ნათესებში 1934 — 1940 წწ. (პროცენტებში)[1]

კულტურები \ წლები	1934	1935	1936	1937	1938	1939	1940
სულ სათესი ფართ.	32,1	36,1	65,1	68,7	73,8	78,9	87,1
მათ შორ ს:							
1. ბარცვლოვანი და ცერცვოვანი	33,5	34,9	65,3	68,6	73,9	79,1	87,4
2. ტექნიკური.....	43,8	52,5	79,4	84,4	85,4	90,8	96,1
მათ შორის:							
თაბაკო.....	35,9	45,2	78,4	83,9	73,5	85,7	96,7
შაქრის ჭარხალი	72,0	63,3	89,7	100,0	100,0	100,0	100,0
მზესუმზირა ...	37,2	47,2	78,0	86,7	91,9	92,5	94,8
3. კარტოფილი	25,7	21,0	26,0	33,2	44,3	53,0	63,4
4. ბოსტნეული.....	21,2	27,0	36,8	37,7	38,1	43,1	62,1
5 ბალჩა	37,5	45,7	69,2	64,9	67,4	69,5	82,5
6. საკვები.....	59,4	57,3	72,0	81,4	85,2	88,3	92,4
7. დან. ნათესი	—	60,0	—	—	100,0	—	—

დამახასიათებელია, რომ პურეულ კულტურებს შორის თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იკერდა საშემოდგომო ნათესები, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა პურეულის საგაზაფხულო ნათესების ფართობს.

უეჭველია, ეს აიხსნებოდა საშემოდგომო ნათესების შეუფასებლობით, რასაც უდავოდ ჰქონდა ჩვენში ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ეითარდებოდა მრავალწლი-

[1] გაანგარიშებულია ეკონომიკის ინსტიტუტის № 29 ფონდის მასალების მიხედვით.

ანი ნარგავების ფართობიც. ამას ნათლად გვიჩვენებს [illegible] მონაცემები:

მრავალწლიანი ნარგავების ფართობი საქართველოს სსრ-ში 1913 — 1940 წწ. (ათას ჰექტარებით)[1]

კულტურები	1913 წ.	1928 წ.	1932 წ.	1937 წ.	1940 წ.[2]
ვენახი	49.4	33,4	35,7	45.0	54,8
ხეთილის ბაღი	30.8	1о,6	39,2	59.7	66,4
ციტოუსები (მანდარინი, ლიმონი, ფოთოლალი, გრეიპფრუტი)	0,2	0.8	2,0	5,7	24.6
ჩაი	0,9	3,5	2о,5	41.7	49,6
ტუნგო	—	—	0,1	9,4	12.0
ევკალიპტი (ათ. ძირ.)	—	—	0,7	2.о	21,0
ბამბუკი	—	—	0,о	0.6	0,4
დ ფნ	—	—	1,0	1,о	1,4*
სუბტროპიკ. ხილი (იაპ. ხურმა, ფეიხოა, მუშმალა, მასლინა)	—	—	2,0	0,8	—

როგორც ვხედავთ, მრავალწლიანი ნარგავების ფართობის მნიშვნელოვან გადიდებას აქვს ადგილი, განსაკუთრებით ომისწინა ხუთწლედების განმავლობაში. ეს გაფართოება ჩატარდა უფრო მეტად ახალი, ყამირი მიწების ათვისების, ბუჩქნარებისაგან გაწმენდილი ტერიტორიის, ამოშრობის შედეგად მიღებული ნიადაგების და სხვ. ხარჯზე.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ და მეორე ხუთწლედებში კოლხიდის დაბლობის ამოშრობას 17 ათას ჰექტარ ფართობზე, სადაც ჯერ კიდევ 1935 წელს მოეწყო მთელ საბჭოთა კავშირში გრეიპფრუტის პირველი საბჭოთა მეურნეობა.

გრეიპფრუტი სავსებით ახალი კულტურაა ჩვენში, რომელიც შემოტანილ იქნა მეორე ხუთწლედის დასაწყისში ცენტრალურ ამერიკიდან — ფლორიდიდან.

პარტია და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ არა მარტო გრეიპფრუტის, არამედ მთლიანად სუბტროპიკული კულტურების განვითარებას საქართველოს სს რესპუბლიკაში.

---

* ცნობა შეეხება 1939 წელს.

[1] Грузинская ССР за 20 лет, 1941.

[2] საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით

როგორც ვიცით, შავი ზღვის ნაპირები დაწყებული თურქეთის საზღვრიდან სოჭამდე წარმოადგენს მრეწველურ სუბტროპიკული მიწათმოქმედების ვრცელ რაიონს, სადაც დიდი რაოდენობით შეიძლებოდა განვითარებულიყო და განვითარდა კიდეც — ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ზეთოვანი ხილი, ეთეროვანი კულტურები, სუბტროპიკული ხილეული, ტუნგო, ქინაქინის და ლაქის ხე, წამლეულის მცენარეები და სხვ.

უძვირფასესი მცენარის — ტუნგოს ფართო მრეწველური გავრცელება საქართველოში იწყება მეორე ხუთწლედიდან. მართალია, ტუნგო კორდატას ჯიშის სახით ჩვენში შემოვიდა ჯერ კიდევ 1895 წლიდან, მაგრამ ჩაქვის საუწყებო მამულსა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში იგი მხოლოდ ძვირფას დეკორატიულ მცენარედ ითვლებოდა. ტუნგოს თვისებებისა და მისი მრეწველური მნიშვნელობით გამოყენების შესწავლა ჩვენში 1926 წლიდან დაიწყო. 1928 წელს ტუნგოს განვითარებით დაინტერესდა სსრ კავშირის ლაქსამღებრო მრეწველობა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ამ მცენარის ნარგავთა მდგომარეობა აჭარის ასსრ-ში[1].

1929 წლიდან დაიწყო ჩვენში ტუნგოს თესლის შემოტანა და ორივე ჯიშის — როგორც კორდატას, ისე ფორდიის პირველი საცდელი თესვა. მან დადებითი შედეგები მოგვცა, რამაც ფართოდ გადაშალა ამ კულტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1935 წლის 5 ნოემბერს მიიღეს დადგენილება: «საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი (1936-1940 წწ.) გეგმის შესახებ»[1].

---

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 16, ფ. 20, გვ. 2.

[2] საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი (1936 — 1940 წწ.) გეგმის შესახებ. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილება, იხ. აგრეთვე იმავე წლის 1 აპრილის დადგენილება «1935 — 1940 წწ. საქ. სსრ ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობის განვითარების გეგმის შესახებ».

ეს იყო მეტად საპატიო დავალება, რომლის შესასრულებლად ერთსულოვნად დაირაზმნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. აღნიშნული დადგენილების, აგრეთვე «1936-1940 წლებში საქართველოს სსრ ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობის განვითარების გეგმის შესახებ" დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კონკრეტული დავალება მისცეს შავი ზღვის სანაპიროებზე აღნიშნული კულტურების განვითარებისათვის თვითეულ კოლმეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობებს 5 წლის განმავლობაში.

სულ საქართველოს სსრ-ში 1940 წლისათვის ციტრუსოვანი კულტურების ფართობი უნდა გაზრდილიყო 20 ათას ჰექტარამდე. აქედან 1936 წელს გაშენებულ იქნა 3280 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 3200 ჰექტარისა, 1938 წელს გაშენდა 4338 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4000 ჰექტარისა, 1939 წელს გაშენდა 7189 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5000 ჰექტარისა, 1940 წელს გაშენდა 6500 ჰექტარი.

სულ 1940 წლის ბოლოსათვის ციტრუსოვანი კულტურების ფართობი გაიზარდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 20 ათასი ჰექტარის ნაცვლად 24,6 ათას ჰექტარამდე.

დიდი ყურადღება მიექცა ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდებას და მასზე მოსავლიანობის ზრდას. მართალია, ჩაი რევოლუციამდეც იყო ცნობილი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს რაიონებში, მაგრამ მას ეჭირა უმნიშვნელო ფართობი, ამასთან ჩაი კერძო პლანტატორების ხელში იყო და სამრეწველო მნიშვნელობა მას არ ჰქონდა.

ჩაის კულტურას სერიოზული ყურადღება მიექცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება ავალებდა ამიერკავკასიას, კერძოდ საქართველოს, 1937 წელს საკუთარი წარმოების ჩაით დაეკმაყოფილებია მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება. ეს იყო უდიდესი საბრძოლო ამოცანა, რომლის შესასრულებლად ერთსულოვნად დაირაზმნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ამის შე-

დეგად სწრაფად გაიზარდა ჩაის პლანტაციების ფართობი. მაგალითად, თუ იგი 1931 წელს უდრიდა 16 355 ჰექტარს, 1932 წელს ჩაის ფართობი გაიზარდა 25 531 ჰექტარამდე, ხოლო მეორე სუთწლედის ბოლოს — 1937 წელს 41 652 ჰექტარამდე. 1940 წელს კი 50 ათას ჰექტარს მიაღწია.

მეორე და განსაკუთრებით მესამე ხუთწლედებში კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცა ჩაის პლანტაციების ფართობის და მოსავლიანობის გადიდებას როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში.

1933 წლის 29 ივლისს მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ჩაის კულტურის განვითარების წარმატებებმა საფუძველი ჩაუყარა ჩაის წარმოების საქმეში საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას საზღვარგარეთისაგან. დადგენილება დავალებას იძლეოდა, რათა ჩაის დამუშავებისა და მოვლის გაუმჯობესების, სასუქის შეტანის, ჩაის ფოთლის მოკრეფისა და გადამუშავების სწორი ორგანიზაციით მიგვეღწია მოსავლიანობის გადიდებისათვის.

საქართველოს კპ (ბ) ც.კ-ის 1935 წლის 29—30 მაისის პლენუმი მთლიანად მიეძღვნა საქართველოში ჩაის მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებს. ამ პერიოდში ჩაის ფართობი ყველა სექტორში უდრიდა 34 ათას ჰექტარს. აღდგენილ იქნა 3 769 ჰექტარი, კაპიტალურად შეკეთებული 17 649 ჰექტარი. ჩაის პლანტაციები ჰქონდა 830 კოლმეურნეობას, რომლებიც აერთიანებდნენ 64 ათასზე მეტ კლეხურ მეურნეობას.

1937 წლის მარტში მიღებულ იქნა საქართველოს სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება: «სუბტროპიკული კულტურების განვითარების 1937—1940 წლების გეგმისა და ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ».

ამ დადგენილებით საქართველოს სსრ რაიონებზე განაწილებულ იქნა ჩაის გაშენების გეგმა წლების მიხედვით. ამასთან ჩაის გაშენება ნავარაუდევი იქნა ახალ რაიონებში.

საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების ერთ-ერთ დიდ ფაქტორს წარმოადგენდა ის წამახალისებელი ზომები და ხელსაყრელი პირობები, რომლებიც ჩაის მწარმოებელ რაიონებს პარტიამ და ხელისუფლებამ შეუქმნეს. წინათ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

კოლმეურნე გლეხები, რომლებიც ჩაიდან ფულად ანაზღაურების და სასურსათო მომარაგების მხრივ არაფერს არ ღებულობდნენ, ნაკლები ინტერესით ეკიდებოდნენ ამ ძვირფას კულტურას. მდგომარეობა გამოსწორდა მხოლოდ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ცნობილი დადგენილების შემდეგ, სადაც ნათქვამი იყო: «ვინაიდან ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარება დამოკიდებულია შესაფერი რაიონების პურით გეგმაშეზომილ მომარაგებაზე, წინადადება მიეცეს საკავშირო სახკომსაბჭოს ერთი დეკადის ვადაში განსაზღვროს 1932 წელს ამიერკავკასიაში პურის შეტანის გეგმა და 1932 წლის საკონტროლო ციფრებში გაითვალისწინოს პურის საწყობების და ელევატორების საჭირო ქსელის მშენებლობა ტექნიკური და სპეციალური კულტურების ყველა ძირითად რაიონებში»[1].

ამ დადგენილების შემდეგ ჩაის მწარმოებელ რაიონებში გაიზარდა დასაქონლების წესით პურის შემოზიდვა[2], გადიდდა მწვანე ფოთლის დასამზადებელი ფასები 70 კაპიკიდან 3 მანეთამდე და 1 ჰექტარი პლანტაციიდან საწარმოო დაკრედიტება — 920-დან 10 ათას მანეთამდე.

---

[1] გაზ. კომუნისტი, 1931, 4 ნოემბერი.

[2] შემოზიდული მარცვლეული ჩაის სპეციალიზებული რაიონების კოლმეურნე გლეხობის სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძირითად წყაროდ იქცა. მაგალითად, 1932 წელს წალენჯიხის რაიონში სიმინდის მოსავალი 522 ტონას შეადგენდა, ხოლო ჩაის მეურნეობისათვის შემოზიდული პური 1192 ტონას. 1933 წელს შესაბამისად — 731 ტონასა და 1527 ტონას; მახარაძის რაიონში 1932 წელს 15117 ტონასა და 5403 ტონას; 1933 წელს — 8854 ტონასა და 8728 ტონას; ლანჩხუთის რაიონში 1933 წელს—5863 ტონასა და 2962 ტონას (ა. ფ ა ც უ რ ი ა, ჩაის კულტურა და მისი პერსპექტივა საქართველოს სსრ-ში, იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1947, გვ. 76).

დასავლეთ საქართველოს ჩაის რაიონებმა მარტო 1935 წელს სახელმწიფოსაგან მიიღეს 57 მილიონ მანეთზე მეტი. აქედან ჩაის ნედლი ფოთლის რეალიზაციიდან 27 მილიონი მანეთი.

განმტკიცდნენ ჩაის საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებმაც 1934—1935 წლებში მთელი რიგი საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით (მწვანე ფოთლის მოსავლიანობა, ბუჩქის დამუშავება, გაფორმება, გასხვლა და სხვ.) უკვე წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს.

მიღებულ წამახალისებელ ღონისძიებათა შედეგად ჩაის კულტურა ფართოდ გავრცელდა არა მარტო მის ძველ რაიონებში, არამედ ახალ — წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის, აბაშის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, ქუთაისის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის და სხვ. რაიონებშიც.

ამ ახალი რაიონების უმეტესობაში ჩაის პლანტაციებით დაიფარა წინათ უვარგისად მიჩნეული ნიადაგები, გაუვალი ადგილები. ეს ადგილები საბჭოთა ხელისუფლების დროს ძვირფასი კულტურების ბაღნარად იქცა.

ჩაის კულტურის გაფართოებამ სათანადო ადგილი ჰპოვა მესამე ხუთწლედის დავალებებში, ამავე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო ციტრუსოვანი კულტურების, აგრეთვე მარცვლეული კულტურების ფართობების კიდევ უფრო გაფართოება. მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის, ე. ი. 1942 წლისათვის ჩაის ფართობი უნდა გაზრდილიყო 55 ათას ჰექტარამდე. მოსავალი განსაზღვრული იყო საშუალოდ 1 ჰექტარზე 2500 კგ, ნაცვლად 1937 წლის 2113 კილოგრამისა, საერთო მოსავალი უნდა გადიდებულიყო 79 743 ტონამდე, ნაცვლად 1937 წლის 27 232 ტონისა.

ციტრუსოვანი კულტურები 1941—1943 წლებში უნდა გაზრდილიყო 25087 ჰექტარამდე. ციტრუსების ნაყოფი განსაზღვრული იყო 1 027 570 ათასი ცალი. სუბტროპიკული მეხილეობის ფართობის გადიდება გათვალისწინებული იყო 7 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 1937 წლის 780 ჰექტარისა.

საგრძნობლად ფართოვდებოდა მრავალწლიანი ეთერ-ზეთოვანი კულტურების — დამასკოს ვარდის, ლიპიას, ნარინჯის, ჟასმინის და სხვ. ფართობი, რომელსაც ჩვენგან მოითხოვდა საკავშირო საპარფიუმერიო მრეწველობა. სულ ამ კულტურების ფართობის გადიდება ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებული იყო 3 343 ჰექტარამდე.

მესამე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების და დარგების გაფართოებას, ხოლო იმ კულტურებისათვის, რომელთა ფართობი უცვლელი რჩებოდა (თამბაქო, შაქრის ჭარხალი და სხვ.), გათვალისწინებული იყო მოსავლიანობის გადიდება 16—25 პროცენტით.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმატებები მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა მეურნეობების განვითარებამ. ეს განვითარება უმთავრესად წარიმართა მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების უზრუნველყოფით, საბჭოთა მეურნეობების რიცხობრივი შემცირებით და მათი თვისობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით.

1940 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში სოციალისტურ სექტორს აბსოლუტურად უპირატესი მდგომარეობა ეკავა ნათესი ფართობისა და მრავალწლიანი ნარგავების მიხედვით. მისი ხვედრიწონა მთელი ნათესი ფართობის მიხედვით შეადგენდა 88,2 პროცენტს, მათ შორის მარცვლეულის ფართობი — 88,1 პროცენტს, თამბაქოს ფართობი — 96,7 პროცენტს, შაქრის ჭარხალი — 100,0 პროცენტს, მზესუმზირას — 95,1 პროცენტს, კარტოფილის — 65,9 პროცენტს, საკვების — 98,4 პროცენტს, მრავალწლიანი ნარგავების: ჩაის ფართობი — 97,4 პროცენტს, ციტრუსების — 65,0 პროცენტს, ვენახების — 41,5 პროცენტს, ბაღების — 45,4 პროცენტს, ტუნგო — 96,4 პროცენტს, რამი — 100,0 პროცენტს.

ამასთან სოციალისტურ სექტორში კოლმეურნეობების ხვედრიწონა უდრიდა ჩაის ფართობში 80,4 პროცენტს, ციტრუსების ფართობში — 54,1 პროცენტს, ტუნგოს ფართობში — 82,0 პროცენტს და რამის ფართობში — 93,3 პროცენტს[1].

[1] Грузинская ССР за 20 лет, стр. 62.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა არა იმდენად ფართობის ან ნათესის მოცულობის (ამ მხრივ ისინი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ კოლმეურნეობებს), რამდენადაც მთლიანი პროდუქციისა და მისი ღირებულების მიხედვით. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საბჭოთა მეურნეობების წილად მოდიოდა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსური დარგების წარმოება, როგორიც არის—მევენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა და სხვ. ისინი სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგებს წარმოადგენენ.

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობა წარმოებდა მეცხოველეობის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება სასოფლო-სამეურნეო არტელის საფუძველზე, რომელიც სწორად ახამებს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ინტერესებს კოლმეურნეების ინტერესებთან, საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება, მეცხოველეობაში სახელმწიფოებრივი დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მილიონიანი მასების ჩაბმა მეცხოველეობის სახელმწიფოებრივი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი უდიდესი დახმარება მეცხოველეობის ფერმების განმტკიცებისა და კოლმეურნეთა უძრეხობის ლიკვიდაციის საქმეში — ყოველივე ეს დიდად აჩქარებდა მეცხოველეობის განვითარების ტემპებს როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიც.

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობაზე 1934 წელს აღნიშნული იყო: მეცხოველეობის საქმე თავის ხელში უნდა აიღოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა — პარტიულმა და უპარტიომ. ეს მითითება უდიდეს საბრძოლო ამოცანად გადაიქცა საქართველოს სს რესპუბლიკაშიც.

საქართველოს მეცხოველეებს, კოლმეურნეობებსა და საბ-ჭოთა მეურნეობებს დიდ სტიმულს აძლევდა ის ვალდებულ-ება, რომელიც მათ 1935 წლის გაზაფხულზე იკისრეს ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის დადებულ სოცი-ალისტური შეჯიბრების სელშეკრულებით. ამ შეჯიბრებას ჰქონ-და უდიდესი მნიშვნელობა. ამიერკავკასიის მეცხოველეთა დელეგაცია, რომელმაც 1935 წლის დეკემბერში შეამოწმა შე-ჯიბრების შედეგები ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობებ-თან. მდიდარი გამოცდილებით დაბრუნდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში და გაუზიარა ეს გამოცდილება მეცხოველეო-ბის მუშაკებს.

შემდეგ წლებში მეცხოველეობის საქმე კიდევ უფრო წა-ვიდა წინ. მაგალითად, 1934 წლიდან 1940 წლამდე საქართვე-ლოს სსრ რესპუბლიკაში ცხენების სულადობა გაიზარდა 151.8 ათასი სულიდან 165,2 ათას სულამდე, ე. ი. 8,8 პრო-ცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 1522,3 ათასი სულიდან 1556,9 ათას სულამდე, ე. ი. 2,2 პროცენტით, ცხვრი-სა და თხისა — 1381,7 ათას სულიდან 2029,0 ათას სულამდე, ე. ი. 46,6 პროცენტით, ღორისა — 435,6 ათასი სულიდან 615,1 სულამდე, ე. ი. 41,2 პროცენტით[1].

პირუტყვის რაოდენობრივ ზრდას ადგილი ჰქონდა მეცხო-ველეობის თითქმის ყველა სახის მიხედვით, განსაკუთრებით 1937 წლამდე. ამასთან განსაზოგადოებულ სექტორში ზრდა გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე ერთპიროვნულ, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვ. ჯგუფებს შორის, თუმცა ეს უკანასკნელნი ჯერ კიდევ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას ამ დარგში. მაგალითად, პირუტყვის სულ-ადობა კოლმეურნეობებში აღნიშნული წლების განმავლობაში გაიზარდა: ცხენებისა — 30,0 ათასიდან 95,5 ათას სულამდე, ანუ 22,7 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 196,3 ათასიდან 554,8 ათას სულამდე, ანუ 182,6 პროცენტით, ცხვრებისა და თხებისა — 199,2 ათასიდან 89,1 ათას სულამდე,

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29. ც. 9, გვ. 16.

ანუ 347,3 პროცენტით, ღორებისა — 20,0 ათასიდან 45,5 ათას სულამდე, ანუ 127,5 პროცენტით[1].

მეცხოველეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას განსაზოგადოებულ სექტორში უზრუნველყოფდა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების ფართო მშენებლობა.

დიდი მუშაობა წარმოებდა ჯიშების, ცხოველთა ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვისაც. უკვე 1937 წელს კოლმეურნეობებში ჯიშიანი და გაუმჯობესებული მწარმოებლებით დაგრილებულ იქნა ძროხების 42 პროცენტი, ცხვრისა და თხის 72,9 პროცენტი, ღორის 88,0 პროცენტი ფედაპირუტყვის ფაქტიური დასაგრილებელი კონტინგენტის ჰიმართ.

კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდასა და ხარისხობრივ გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც 1934 წლიდან 1938 წლამდე მიყიდეს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შეღავათიან ფასებში 4727 ძროხა და დეკეული, 13 219 ღორი და გოჭი, 94 637 ცხვარი და ბატკანი.

უდიდესი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეებს პირადი სარგებლობის პირუტყვის შეძენაში მეცხოველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებმა. 1934 წლიდან 1938 წლამდე ფერმებმა მიყიდეს კოლმეურნეებს 7 352 დეკეული, 51 024 გოჭი და 70 494 ცხვარი და ბატკანი. გარდა ამისა, პარტიისა და მთავრობის კრედიტებითა და სპეციალური შეღავათებით გაწეული დიდი დახმარების მეოხებით უძროხო კოლმეურნეებმა შეიძინეს კონტრაქტაციითა და ყიდვის გზით 62679 დეკეული, რის შედეგადაც უძროხობა კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანწილად ლიკვიდირებულ იქნა[2].

---

[1] საქ. სსრ მეც. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ც. 11, 12, 13, 14, 15, გვ. 18, 19, 20, 21, 22.

[2] გაზ. კომუნისტი, 1938, 8 ივლისი. «მთავრობის მიერ კოლმეურნეეთვის გაწეული უდიდესი დახმარების შედეგად, — ნათქვამი იყო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილებაში, — ლიკვიდირებულ იქნა კოლმეურნეთა უძროხობა და მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში

მაგრამ პირუტყვის რაოდენობრივი ზრდის ერთდროულად არ ხდებოდა მეცხოველეობის ყველა სახის რაოდენობრივი ზრდა. ეს შეიძლება ითქვას ძროხების შესახებ, განსაკუთრებით 1937 წლის შემდეგ.

1940 წელს ძროხების რაოდენობა საქართველოს სს რესპუბლიკაში უდრიდა 556,2 ათას სულს, ნაცვლად 1939 წლის 562,2 ათასი სულისა. ძროხების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ერთიპიროვნულ მეურნეობებში. მაგალითად, იგი 1934 წელს უდრიდა 281,1 ათასს, 1935 წელს — 151,5 ათასს, 1936 წელს 123,1 ათასს, 1937 წელს 123,0 ათასს, 1939 წელს 39,5 ათასს, ხოლო 1940 წელს 29,0 ათას სულს [1].

ასევე შემცირდა 1939 წელს 1936 — 1937 წლებთან შედარებით ღორის, თხის რაოდენობა. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა მოუსავლიანობა. გვალვამ ამ წელს ძალიან შეამცირა უხეში საკვები — ჩალა, ბზე; შემცირდა აგრეთვე თივისა და წვნიანი საკვების მასალის მოსავალი [2].

მაგრამ მთავარ მიზეზად უნდა ვაღიაროთ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების მოქმედი სისტემის მანკიერება. ამ სისტემის მიხედვით კოლმეურნეების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ოდენობის გამოანგარიშება ხდებოდა კოლმეურნეობათა ფერმებში არსებული პირუტყვის სულადობის რაოდენობის კვალობაზე და ამ სულადობის ზრდის შესაბამისად.

ეს სისტემა, რომლის მიხედვითაც ხორცის ჩაბარების ოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა იმ კოლმეურნეობებისათვის,

---

მყოფი ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა» (კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, 1939, გვ. 4.).

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ფ. 43, ც. 12, გვ. 19.

[2] მ. კ ა ხ ე თ ე ლ ი ძ ე, საქართველოს სსრ მსხვილფეხა რქიანი მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხისათვის, იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1957, გვ. 145.

რომელთა ფერმებში პირუტყვის სულადობა მატულობდა და მცირდებოდა იმ კოლმეურნეობებისათვის, რომელნიც ამცირებდნენ პირუტყვის სულადობას, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა მოწინავე კოლმეურნეობებს, სპობდა მათს დაინტერესებას საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდით და, პირიქით, შეღავათიან მდგომარეობაში აყენებდა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, რომელთაც არ ჰქონდათ მეცხოველეობის ფერმები ან რომელნიც არ იძლეოდნენ პირუტყვის სულადობის ზრდას ფერმებში.

გაითვალისწინა რა სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების მოქმედი სისტემის აღნიშნული ნაკლოვანება, სსრკ სახკომსაბჭომ და საკ.კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთი 1939 წლის 8 ივლისის დადგენილებით «კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ»[1] გააუქმეს იგი და მიღებულ იქნა ხორცის ჩაბარების უფრო პროგრესული სისტემა[2].

დადგენილებაში ნათქვამია: «გაუქმდეს არსებული სისტემა საკოლმეურნეო პირუტყვის სულადობის რაოდენობის მიხედვით სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გამოანგარიშებისა და 1940 წლის 1 იანვრიდან დაწესდეს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თვითეული ჰექ-

---

[1] კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება, 1939, სახელგამი.

[2] მეცხოველეობაში არსებულ ნაკლოვანებებთან ერთად დადგენილებაში ხაზგასმულია მიღწევებიც, აღნიშნულია, რომ მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების რაოდენობა გაიზარდა 400 ათასზე მეტად, ხოლო პირუტყვის სულადობა ფერმებში 1933 წლიდან 1938 წლამდე გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 79 პროცენტით, ცხვრისა, თხისა და ღორისა — 168 პროცენტით. 1939 წლის 1 იანვარს კოლმეურნეობრივ ფერმებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 12,9 მილიონი სული იყო, ცხვარი და თხა — 27,2 მილიონი, ღორი — 66 მილიონი სული.

ტარი მიწის ფართობის მიხედვით (სახნავები, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები)»[1].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დადგენილებით საფუძველი დაედო სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ჰექტარობრივ პრინციპს, რამაც უდიდესი როლი შეასრულა კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში, აგრეთვე კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში.

შემდგომში, ამ დადგენილების პრინციპის, ე. ი. კოლმეურნეობებზე მიმაგრებული სახნავი მიწის თვითეული ჰექტარის გათვალისწინებით, საკ. კ. პ. (ბ) ც.კ-მა და სსრკ სახკომსაბჭომ 1940 წლის აპრილში მიიღეს დადგენილება «ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში»[2].

აღნიშნულ დადგენილებებს ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მთელი კოლმეურნე გლეხობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, აგრეთვე კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ენერგიული დახმარებით, სოციალისტური შეჯიბრების და სხვ. მეთოდების გამოყენებით განუხრელად იზრდებოდა და ვითარდებოდა არა მარტო მეცხოველეობის დარგი, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, არამედ განუხრელად იზრდებოდა მოსავლიანობა ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტურ მინდვრებზე.

ამას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

---

[1] კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება, სახელგამი, 1939, გვ. 18.

[2] ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს 1940 წლის აპრილის დადგენილება.

მარცვლეულის და ძირითადი ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა უველა კატეგორიის მიხედვით საქართველოს სსრ-ში (ცენტნერებში 1 ჰექტარზე) [1]

მაჩვენებლები \ წლები	1913	1925	1936	1937	1938	1939	1940
I მარცვ. დ. პარკოსანი	10,0	9,6	12,1	11.5	8,3	10,9	8,4
მათ შორის:							
ხორბალი შემოდ.	8,5	8,0	11,3	9,5	8.5	8,8	5,8
„ გაზ. ფუ.	9,4	6.6	9,9	7.3	6,1	7,8	6,0
ქერი შემოდგომის	*)	8,4	15.0	10,5	9,3	13,7	7,7
„ გაზაფხულის	11,1*)	10,4	14,5	11,1	8,3	12,3	9,0
შვრია	—	8,3	10,7	8,2	5.8	9,0	6,8
სიმინდი	10,6	11,0	12,6	14,1	8,8	12,6	4,5
ლობიო წმინდა ნათესი	—	6,7	7,9	5,7	5,3	6,0	4,4
II მზესუმზირა	3,0	5,8	7,9	7,2	6,5	11,8	8,3
III შაქრის ჭარხალი	—	—	207,0	180,0	110,0	196,0	156,6
IV კარტოფილი	67,8	74,4	72,0	61,5	63,3	106,4	69,3

რრგორც ვხედავთ, მოსავლიანობის მხრივ თვითეულ ჰექტარზე ადგილი ჰქონდა ზრდას, მაგრამ ეს ზრდა არ მიდიოდა სისტემატური აღმავლობის გზით, არამედ ადგილი ჰქონდა ზიგზაგისებურ სვლას. მთელი რიგი კულტურები, მაგალითად, მარცვლეული და პარკოსანი, მზესუმზირა, კარტოფილი და სხვ. გვიჩვენებენ მნიშვნელოვან ზრდას 1913 და 1925 წლებთან შედარებით, მაგრამ 1940 წელს იძლეოდნენ საგრძნობ შემცირებას, რაც რესპუბლიკის მასშტაბით დიდი გვალვის შედეგს წარმოადგენდა. რაც შეეხება შაქრის ჭარხალს, იგი ჩვენ სრულებით არ გაგვაჩნდა 1913 წელს და არც 1925 წელს. 1936 წელს კი მისი მოსავალი სარეკორდო (207 ცენტნერი) იყო, ხოლო 1939 წელს შემცირდა 196 ცენტნერამდე, 1940 წელს კი უფრო მეტად.

---

* ქერი შემოდგომის და გაზაფხულის ერთად.

[1] საქართველოს სსრ მეც. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ფ. 48, გვ. 14.

1936 წელს მარცვლეულის მთლიანი მოსავალი რესპუბლიკაში შეადგენდა 10 389 ათას ცენტნერს, 1937 წელს 10064 ათას ცენტნერს, 1940 წელს მიუხედავად დიდი გვალვისა მარცვლეულის მთლიანი მოსავალი მაინც აჭარბებდა 1913 წლის მოსავალს.

ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი 1 ჰექტარზე შეადგენდა: 1932 წელს — 700 კილოგრამს, 1934 წელს — 1123 კილოგრამს, 1935 წელს — 1434 კილოგრამს, 1936 წელს — 1625 კილოგრამს, 1937 წელს — 2120 კილოგრამს, 1938 წელს — 2186 კილოგრამს, 1939 წელს — 2286 კილოგრამს, ხოლო 1940 წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა 2300 კილოგრამს.[1]

ზოგიერთმა კოლმეურნეობამ აიღო მეტიც — 3-4 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლი ფოთოლი 1 ჰექტარზე. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 1939 წელს მოკრიფეს 1 ჰექტარზე საშუალოდ 4 418 კილოგრამი ჩაის ნედლი ფოთოლი. ამ კოლმეურნეობაში 1936 წლიდან მოკიდებული, თვითეულ ჰექტარზე კრეფდნენ საშუალოდ 4 165 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. იმავე რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ერთმა ბრიგადამ 1935 წელს 1 ჰექტარზე საშუალოდ 5 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი აიღო.

ციტრუსოვანი კულტურების მოსავალი შეადგენდა 1937 წელს 293,5 მილიონ ცალს, 1938 წელს 251,2 მილიონ ცალს, 1939 წელს 445,7 მილიონ ცალს. მიუხედავად ამისა გეგმა (ნახევარი მილიარდი ცალი) ვერ იქნა შესრულებული.

1939 წელს 1 ჰექტარი ვენახიდან საშუალოდ მიღებული იქნა 60 ცენტნერი ყურძენი. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა ყურძნის გაცილებით მეტი მოსავალი მიიღეს 1 ჰექტარზე. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს «25 თებერვლის» კოლმეურნეობაში 1936 წლიდან ზედიზედ ყოველწლიურად ყურძნის არანაკლებ 85 — 89 ცენტნერი მიიღეს

---

[1] იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1947, გვ. 84.

საშუალოდ. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. ღონღაძემ 1937—1938 წლებში მიიღო 97,5 ცენტნერი, ხოლო 1939 წელს 125 ცენტნერი ყურძენი. ყურძნის მოსავლის ასეთ მაღალ დონეს მიაღწიეს აგრეთვე თელავის, გურჯაანის და სხვ. რაიონების კოლმეურნეობებმა.

ცალკეული კოლმეურნეობები და კოლმეურნეები მოსავლიანობის მაღალ დონეს აღწევდნენ თითქმის სოფლის მეურნეობის ყოველ დარგში. მგალითად, საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში 1935 წელს 5 ჰექტარ ფართობზე ორი მოსავალი აიღეს, ქერის შემდეგ დათესეს სიმინდი, 1 ჰექტარზე აიღეს 34 ცენტნერი ქერი და 2 ცენტნერი სიმინდი, სულ მიიღეს — 180 ცენტნერი, ე. ი. 1080 ფუთი ქერი და სიმინდი. ეს გამოცდილება შემდეგ ყოველწლიურად მეორდება სართიჭალის კოლმეურნეობაში. იგი გადატანილი იქნა სხვა რაიონების კოლმეურნეობებშიც.

ლაგოდეხის რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა აიღეს ჰექტარზე 30 — 33 ცენტნერი ხორბალი, ხოლო თამბაქო— 15 — 18 ცენტნერი.

1935 წელს ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ აიღეს ერთ ჰექტარზე — 17,5 ცენტნერი სიმინდი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა — 13 ცენტნერი, ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებმა — 12,6 ცენტნერი. ამ რაიონების ცალკეულმა კოლმეურნეობებმა აიღეს კიდევ უფრო მეტი მოსავალი. მაგალითად, ვანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 1 ჰექტარზე აიღო 20 ცენტნერზე მეტი სიმინდი. ლაგოდეხის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ — 20 ცენტნერი სიმინდი, სიღნაღის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ — 19 ცენტნერი, ბორჩალოს რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობამ — 17 ცენტნერი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობამ — 17 ცენტნერი და სხვ.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ფართო მასშტაბით წავიდა წინ სოფლის მეურნეობა, თუ რა პირობები შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ნამდვილი აღმავლობისათვის.

პირველი მილიონერი კოლმეურნეობები

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებამ, მისი ყველა დარგის ზრდამ, მოსავლიანობის ამაღლებამ გაადიდა საქონლიანობა და შემოსავლიანობა. წარმოიშვა მილიონერი კოლმეურნეობები. გაზრავლდა შეძლებულ კოლმეურნეთა რიცხვი.

1935 წელს საქართველოს სსრ-ში ითვლებოდა სულ 6 მილიონერი კოლმეურნეობა. მათ შორის იყვნენ: ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის კოლმეურნეობა, რომლის შემოსავალი უდრიდა 15 მილიონ მანეთს, ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა — 1800 ათასი მანეთის შემოსავლით, მახარაძის რაიონის სოფ. გურიანთის კოლმეურნეობა — 1030 ათასი მან. შემოსავლით, სოფ. ნატანების კოლმეურნეობა — 1 150 ათასი მან. შემოსავლით, ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა 1 მილიონი მანეთის შემოსავლით, აღბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის კოლმეურნეობა 2 300 ათასი მან. შემოსავლით.

1933 წელს სოფ. ასურეთის კოლმეურნეობის წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება შეადგენდა 850 ათას მანეთს, 1935 წელს 1 450 ათას მანეთს. მისი განუყოფელი ფონდი უდრიდა 1933 წელს 239 500 მანეთს, ხოლო 1935 წელს 317 ათას მანეთს.

1936 წელს აღნიშნულ კოლმეურნეობებს მიემატა კიდევ ახალი მილიონერი კოლმეურნეობები — თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის, ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახელობის, გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის და სხვ. კოლმეურნეობები.

შემდეგ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა მილონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. 1938 წლის ბოლოს მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი საქართველოში ურდიდა 19-ს, 1939 წლის ბოლოს — 37-ს, ხოლო 1940 წელს — 48-ს. მათი მთლიანი ფულადი შემოსავალი შეადგენდა 1938 წელს — 33,6 მილიონ მანეთს, 1939 წელს—60,7 მილიონ მანეთს. შრომადღეებზე განაწილდა 1938 წელს — 22,9 მილიონი მანეთი,

ე. ი. 68,1 პროცენტი, 1939 წელს — 40,6 მილიონი მანეთი, ანუ 66,9 პროცენტი[1].

გარდა აღნიშნული კოლმეურნეობებისა, დიდი სამამულო ომის წინა წლებში საქართველოს სსრ-ში მოწინავე სახელმოხვეჭილ კოლმეურნეობებს წარმოადგენდნენ ლაგოდეხის რაიონის სოფ. თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა[2], მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის შემოსავალი 1938 წელს 1168768 მანეთს შეადგენდა[3], გორის რაიონის სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა «განთიადი», რომელიც ხეხილის მოსავლის მაღალ მაჩვენებლებს აღწევდა[4], ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა[5] და სხვ.

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი იზრდებოდა შემდეგნაირად: 1934 წელს იგი უდრიდა — 130 190 481 მანეთს, 1935 წელს — 177 293 538 მანეთს, 1937 წელს — 316 093 093 მანეთს, 1940 წელს — 513 657 900 მანეთს.

ასევე იზრდებოდა კოლმეურნეობებში მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების საერთო მოსავალი. მაგალითად, 1934 წელს იგი უდრიდა — 2 554 939 ცენტნერს, 1935 წელს— 2 718 523 ცენტნერს, 1937 წელს — 5 143 518 ცენტნერს, 1940 წელს — 3 979 324 ცენტნერს.

დამახასიათებელია, რომ კოლმეურნეობები და სოფლები, რომლებიც ახლა მილიონერებია, წინათ ღარიბ-ღატაკი გლეხებისაგან შედგებოდა. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის მოსახლეობას რევოლუციამდე მუდამ აკლდა სიმინდი და იგი გარედან შემოჰქონდათ.

---

[1] Грузинская ССР за 20 лет, 1941, стр. 70.

[2] Колхоз им. Кирова сел. Тамариани Лагодехского района, 1940, Госиздат.

[3] Колхоз им. Орджоникидзе сел. Шрома Грузинской ССР, 1940, Госиздат.

[4] Колхоз „Гантиади" сел. Хелтубани горийского района, 1940, Госиздат.

[5] Колхоз им. Орджоникидзе Лагодехского района, 1940, Госиздат.

ლუკმა-პურის საძებნელად აქაური, ისე როგორც სხვა სოფლებისა და რაიონების გლეხები, სამუშაოდ მიდიოდნენ უმთავრესად ხე-ტყის დამზადებაზე, გემების დატვირთვაზე, ან ფაბრიკა-ქარხნების მუშებად ბათუმსა და ფოთში, ზოგჯერ საქართველოს გარეთაც. ბევრი მათგანი აქეთ-იქით ხეტიალის დროს იღუპებოდა და საშუდამოდ ეთხოვებოდა თავის საყვარელ კუთხეს.

მენშევიკების დროს გურიანთის გლეხები კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი ამჯერად მეფისდროინდელ მცირე საშოვარსაც მოკლებულნი იყვნენ. მათი უმრავლესობა უკიდურესად შიმშილობდა, ცხოვრობდნენ მამა-პაპურ ფაცხებში.

სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გურიანთელი გლეხები საბჭოთა წყობილების დროს. 1936 წელს სოფ. გურიანთის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 597 კომლი, მათ სახელმწიფო აქტით გადაეცათ 2 270 ჰექტარი მიწა, ამ ფართობზე კოლმეურნეებმა გააშენეს ძვირფასი კულტურები, საიდანაც შემოსავლის დიდ რაოდენობას იღებდნენ. 1934 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი შეადგენდა 265 ათას მანეთს, 1935 წელს 1 030 ათას მანეთს, 1936 წელს 1 300 ათას მანეთს. გაიზარდა შრომადღის ანაზღაურება, 1932 წელს იგი უდრიდა ფულად 1 მან. და 14 კაპიკს. 1936 წელს კი 8 მანეთს. ასევე გაიზარდა შრომადღეზე შემოსავალი ნატურითაც.

1936 წელს ყოფილმა ღატაკმა გლეხმა ვლადიმერ ჩხაიძემ შრომადღეებზე მიიღო ფულად 6 ათასი მანეთი, ხოლო 4 ტონა სიმინდი ნატურით. მან აიშენა ახალი სახლი და შეუდგა კულტურულ ცხოვრებას.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში შეძლებულები გახდნენ აგრეთვე სხვა წევრებიც, რომლებიც კეთილსინდისიერ შრომას ეწეოდნენ: ნიკოლოზ სურგულაძე, ეკა მალაზონია, ევტიხი ზაქარიაძე, ვარდო მალაზონია, სამსონ ჟღენტი, ელენე არაშიძე, პლატონ მუჯირი, კატუშა მეავია და სხვ.

თავისი შეძლებულობის შესახებ სოფ. გურიანთის კოლმეურნეობის წევრი ელენე ბაროშიძე წერდა:

«წინათ დასაძრახისად მიმაჩნდა გურიანთელობის გამოქექავნება, ახლა კი, როცა ჩვენი კოლმეურნეობა მილიონერი გახდა და დღითიდღე იზრდება, ჩემთვის საამაყოა, რომ გურიანთის მცხოვრები ვარ. მიმდინარე წელს 300 შრომადღე გამოვიმუშავე, მივიღებ 2 000 მანეთამდე ფულს და 1 200 კილო პროდუქტებს. კოლექტივში ფიზიკური მუშაობის გარდა, ვასრულებ მთელ რიგ საზოგადოებრივ დავალებებს, ვარ აგრეთვე სოფლსაბჭოს და კოლმეურნეობის გამგეობის წევრი. ვირიცხები კომპარტიის თანამგრძნობთა ჯგუფში. ვსწავლობ ბოლშევიზმის ისტორიას. მიხარია, რომ გურიანთის ბოლშევიკურ კოლმეურნეობაში მეც შეძლებულად მაქცია კოლექტიური შრომის ბრწყინვალე გამარჯვებამ. უდიდეს ბედნიერებას იმითაც ვგრძნობ, რომ მე, საკმაოდ ხანში შესულმა, ამ დღეებში ჩემი თვალით წავიკითხე ჩვენი ბედნიერებისა და სიხარულის უდიდესი დოკუმენტი — საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია.

ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ: ვიცოცხლო ხანგრძლივად, ვიმუშაო და სიხარულით ვუცქირო ჩვენს აყვავებულ სამშობლოს, ჩვენს სრულიად გამოცვლილ სოფელს და მის უბედნიერეს თაობას»[1].

ანდა ავიღოთ სხვა მილიონერი, ვთქვათ, ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. რევოლუციამდე ამ სოფლის მამაკაცები ლუკმაპურის საშოვნელად ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაეხეტებოდნენ. ქალთა უმეტესობა დაკავშირებული იყო პოპოვის ჩაის პლანტაციასთან ან სხვა მემამულეებთან, საიდანაც ღებულობდნენ მცირეოდენ საფასურს. ვინც სახლში რჩებოდა ეწერ მიწაზე დათესილ სიმინდს თოხნიდა დილიდან საღამომდე, მაგრამ მოსავალი ვერ მოჰყავდა. ეს მიწები უვარგის, მოუსავლიან მიწებად იყო მიჩნეული. მენშევიკების დროს კიდევ უფრო აუტანელი გახდა დაგველების მდგომარეობა.

---

[1] „ბაზ. კომუნისტი, 1936, 15 დეკემბერი.

მათი ნამდვილი ცხოვრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იწყება. საბჭოთა ხელისუფლება დაეხმარა სოფ. დაგვის გლეხკაცობას კრედიტებით ჩაის გასაშენებლად, მუშა პირუტყვის შესაძენად, სახლების ასაგებად და სხვ.. 1929 წელს ამ სოფლის რამდენიმე ოჯახი გაერთიანდა მიწის საერთო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობაში. 1931 წლის თებერვალში იგი გადავიდა სასოფლო-სამეურნეო არტელის საწესდებო ფორმაზე, რომელშიც გაერთიანდა 65 მეურნეობა.

1932 წლიდან კოლმეურნეობაში ახალი მეურნეობები გაერთიანდნენ. ამ წელს მასში გაერთიანებული იყო — 72 კომლი, 1933 წელს — 171 კომლი, 1934 წელს — 179 კომლი, 1935 წელს 205 — კომლი.

კოლმეურნეები შეუდგნენ ახლებურად შრომას, ხელი მიყვეს ძვირფასი კულტურების გაშენებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ სოფელში გაშენებული იყო ჩაის პლანტაცია სულ 7 ჰექტარზე, ციტრუსები 6,78 ჰექტარზე. 1931 წელს ამ კოლმეუნეობაში ჩაის პლანტაციის ფართობი უდრიდა 56 ჰექტარს, 1932 წელს—72 ჰექტარს, 1933 წელს — 121,8 ჰექტარს, 1934 წელს — 126 ჰექტარს, 1935 წელს — 127 ჰექტარს, 1936 წელს — 136 ჰექტარს და ა. შ.

ასევე გაიზარდა ციტრუსების ფართობი, გაიზარდა მოსავალიც. 1931 წელს ჩაის მოსავალი 1 ჰექტარზე შეადგენდა 736 კილოგრამს, 1936 წელს — 4 078 კილოგრამს. ცალკეულმა ბრიგადებმა, მაგალითად, პროკოფი გონიადის ბრიგადამ საშუალოდ 1 ჰექტარზე მოკრიფა — 5 672 კგ ჩაის ფოთოლი. ბრიგადირმა ივანე კაპასაკილდიმ — 4 675 კგ, ნიკოლოზ ნიანიდის ბრიგადამ 4 938 კგ, მიტიად სოდოპოპულოს ბრიგადამ — 5 160 კგ.

1935 წელს კოლმეურნეობამ მიიღო საერთო შემოსავალი — 1 800 ათასი მანეთი, მარტო ციტრუსებიდან მიიღეს — 414 986 მანეთი.

კოლმეურნეობის მაღალი შემოსავლის შედეგად წევრებმაც მაღალი შემოსავალი მიიღეს. ბევრი მათგანი შეძლებული გახდა. მაგალითად, ი. კაკოსიმიდის ოჯახმა მარტო ფუ-

ლად 25 ათასი მანეთი მიიღო, ააშენა 7 ოთახიანი შუშაბანდიანი სახლი, მოაწყო იგი ძვირფასი ავეჯით. ასეთი წევრი კოლმეურნეობაში ბევრი იყო.

იმავე რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობაში 1937 წელს შემოსავალი 1 მილიონ მანეთს შეადგენდა. კოლმეურნეობის წევრებმა 1 შრომადღეზე მარტო ფულად მიიღეს 12 მანეთი. კოლმეურნეობის 109 კომლიდან 90-ს გაყვანილი ჰქონდა ელექტრონი, 60 პროცენტს შეძენილი ჰქონდა პატეფონი, პიანინო და სხვ., 95 პროცენტს ჰყავდა ძროხა. კოლმეურნეთა უმეტესობამ ააგო ახალი სახლი. თვითეულ კოლმეურნეს გამომუშავებული ჰქონდა 300-დან 600-მდე შრომადღე. მიიღეს მარტო ფულად 10 — 12 ათასი მანეთი თვითეულმა.

ასეთი მოწინავე კოლმეურნეობები ბევრი იყო ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

თელავის რაიონის სოფელ ზემო-ალვანის გლეხები რევოლუციამდე თითქმის ყველა ღარიბი იყო. აქაური ბევრი გლეხი «სხვასთან მოჯამაგირეობაში» ატარებდა მთელ თავის სიცოცხლეს. ამ სოფლის მცხოვრები კ. ლაგაზიძე ძაღლურ ცხოვრებას ატარებდა მოჯამაგირეობაში კულაკ ჭყიპიშვილთან, რომელსაც 6 ათასი სული ცხვარი ჰყავდა. როცა 1930 წელს სოფ. ზემო-ალვანის 23-მა ყოფილმა მოჯამაგირემ და რამდენიმე სხვა გლეხმა კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს, მათ ჰყავდათ მხოლოდ 1 050 ცხვარი, 7 ცხენი, 2 სახედარი, 4 უღელი მუშა პირუტყვი, ჰქონდათ 15 ჰექტარი სახნავი მიწა. ეს იყო და ეს.

ამის გამო კულაკები მათ დამცინავი სიტყვებით მიმართავდნენ:

— ეს თქვენი ფარა რომელ მთაში უნდა გარეკოთ?

— არ გინდათ მწყემსად გამოგყვეთ?

— თქვენ ხომ ვერ მოუვლით მაგდენ პირუტყვს?

— ყველის გუდები და მატყლი რომელ სარდაფებში უნდა მოათავსოთ? სიცხეში გაგიფუჭდებათ.

კულაკების ირონია საფუძველმოკლებული აღმოჩნდა. კოლმეურნეობა ყოველდღიურად იზრდებოდა და მტკიცდე-

ბოდა. 1935 წელს კოლმეურნეობას უკვე ყავდა 11 048 ცხვარი და ბატკანი, 175 ცხენი, 155 პროდუქტიული წვრილფეხა რქიანი პირუტყვი. აღნიშნული წლის განმავლობაში 4 009 დედაცხვრისაგან საშუალოდ მიიღეს თვითეულისაგან 3,27 კილოგრამი მატყლი. კოლმეურნეობამ შრომის ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლები გვიჩვენა სხვა დარგშიც.

ყოველივე ეს მიღწეულ იქნა კოლმეურნეთა ენერგიული შრომის შედეგად. ამ კოლმეურნეობის წევრმა ყოფილმა მოჯამაგირემ კ. ლაგაზიძემ 1935 წელს გამოიმუშავა 406 შრომადღე, მიიღო 237 კილოგრამი ყველი, 422 კილოგრამი ხორცი, 68 კილოგრამი მატყლი, 500 კილოგრამი პური, 600 მანეთი. მას პირად სარგებლობაში ყავდა ორი ძროხა, 25 ცხვარი და თხა, 1 საჯდომი ცხენი და მრავალი შინაური ფრინველი, ჰქონდა 3 ოთახიანი სახლი, ნიკელირებული საწოლები და სხვ.. ყოველივე ამას კ. ლაგაზიძემ მიაღწია კოლმეურნეობაში კეთილსინდისიერი მუშაობით. კოლმეურნეობაში შეძლებულები გახდნენ სხვა კოლმეურნეებიც, მაგალითად, ანდრო ბარბაქაძე, ანდრო აფშინაშვილი, იოსებ ბასილაშვილი, გაბო ბორძიკიძე და სხვ.

აღნიშნული კოლმეურნეობის მაღალი სამეურნეო მაჩვენებლების გამო ამ კოლმეურნეობის წევრები კ. ლაგაზიძე და ანდრო ბარბაქაძე მოსკოვს გაიგზავნენ მეცხოველეობის მოწინავეთა თათბირზე.

ამ თათბირზე კ. ლაგაზიძემ თავის სიტყვაში პირობა დასდო, რომ 1936 წელს კოლმეურნეობა ერთი ცხვრისაგან მიიღებდა 3,5 კილოგრამ მატყლს, ყოველ 100 დედაცხვარზე გამოზრდიდა 107 ბატკანს, გამოზრდიდა 500 თუშურ ცხენს. ეს დაპირება კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა[1].

ბევრი სხვა მაჩვენებლების დასახელება შეიძლება კიდევ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე და მილიონერი კოლმეურნეობების წარმატების საილუსტრაციოდ, რაც უდავოდ გვიჩვენებს საკოლმეურნეო წყობილების უდიდეს მნიშვნელობას,

---

[1] გაზ. კომუნისტი, 1936, 28 მარტი.

ვის ცხოველმყოფელობას გლეხობის შეძლებული და კულტურული ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში.

უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა ის, რომ კოლმეურნეთაგან 1937 წელს თითქმის არ იყო არცერთი უძროხო კოლმეურნე. ეს უნახავი მოვლენა იყო ქართველი მშრომელი გლეხობის ისტორიაში.

კოლმეურნეთა მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ნათლად გვიჩვენებს ფულადი შემოსავლის ზრდა და სხვადასხვა საოჯახო ნივთებისა და მოწყობილობათა შეძენაზე გაწეული დანახარჯების ოდენობა.

1937 წელს ყოველ 100 მეურნეზე ფულადი შემოსავალი უდრიდა 268 252,2 მანეთს, 1938 წელს—335 746,6 მანეთს, 1939 წელს — 409 111,5 მანეთს, ე. ი. ზრდა შეადგენდა 1938 წელს 1937 წლის მიმართ — 125,2 პროცენტს, ხოლო 1939 წელს 1937 წლის მიმართ — 152,5 პროცენტს [1].

აქედან დახარჯული იქნა მთელი წლის განმავლობაში: 1937 წელს — 262 215,3 მანეთი, 1938 წელს — 329 472 მანეთი, 1939 წელს — 404 740,6 მანეთი, რაც შეადგენდა 1938 წელს 1937 წლის მიმართ — 125,6 პროცენტს, ხოლო 1939 წელს 1937 წლის მიმართ — 154,3 პროცენტს [2].

აღნიშნული თანხიდან დახარჯული იქნა სამრეწველო საქონლის შესაძენად: 1937 წელს — 88 999,2 მანეთი, ე. ი. 33,9 პროცენტი, 1938 წელს — 122 929,2 მანეთი, ე. ი. 37,3 პროცენტი, 1939 წელს — 170 688,2 მანეთი, ე. ი. 42,2 პროცენტი. ეს შეადგენდა 1938 წელს 1937 წლის მიმართ — 138,1 პროცენტს, 1939 წელს 1937 წლის მიმართ — 191,8 პროცენტს [3].

საქართველოს მშრომელ გლეხობას არაერთხელ გამოუთქვამს უდიდესი კმაყოფილება, თავისი მადლობა მშობლი-

---

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 17, ც. 2, ფ. 2.

[2] იქვე.

[3] იქვე, ც. 1, ფ. 2.

ური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი სასიხარულო ცხოვრების შექმნის, ნამდვილი ადამიანური ცხოვრების მოპოვებისა და მემამულეთა კაბალისაგან სამუდამოდ განთავისუფლებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დიდი მიღწევები ქართველმა მშრომელებმა ნათლად გამოხატეს 1936 წლის თავიანთ წერილში საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავზე. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სსრ მშრომელთა დიდ სამეურნეო წარმატებებს. ამ შესანიშნავი თარიღის გამო საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებისადმი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნათქვამია: «თავისი არსებობის 15 წლისთავზე საბჭოთა საქართველო სანიმუშო საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. მისი მზარდი მრეწველობა, მისი მზარდი სოფლის მეურნეობა იძლევიან ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორიცაა: მარგანეცი, იშვიათი ლითონი, ციტრუსოვანი კულტურები: ჩაი, ღვინო, თამბაქო, ბამბა, სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს მუშათა, კოლმეურნეთა, ყველა მშრომელის კულტურული დონე და მათი კეთილდღეობა».

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისათვის მიწების უსასყიდლოდ და სამუდამო სარგებლობაში გადაცემა, რომელიც 3 984 400 ჰექტარს შეადგენდა[1].

ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. ამის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომლის პირმშოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენს.

საუკეთესო, მოწინავე კოლმეურნეები, მაღალი მოსავლიანობის ოსტატები, ტრაქტორისტები, საბჭოთა მეურნეობის

---

[1] Павильон Грузинской ССР, путеводитель, 1955, стр. 12.

მუშაკები დაჯილდოებული იქნენ მთავრობის მაღალი ჯილდოებით — ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

საკოლმეურნეო წყობილებამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა განუხრელად ვითარდებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშაობაში ყველაფერი რიგზე იყო, ადგილი არ ჰქონდა ნაკლოვანებებს.

დიდ ნაკლოვანებას წარმოადგენდა ის, რომ კოლმეურნეობებში ყველგან ერთნაირად როდი წარმოებდა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, შეძლებული ცხოვრებისათვის. კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ იყვნენ მოკალათებულნი ზარმაცები. ბევრი კოლმეურნე განგებ არიდებდა თავს კოლმეურნეობაში მუშაობას.

1938 წელს მახარაძის რაიონში იყო 2 928 შრომისუნარიანი კოლმეურნე, რომლებსაც გამომუშავებული არ ჰქონდათ არც ერთი შრომადღე, და 4 865 კოლმეურნე, რომლებსაც გამომუშავებული ჰქონდათ მხოლოდ 1 — 50-მდე შრომადღე.

დიდ ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში ადგილი ჰქონდა საერთო კრების როლის უგულებელყოფას, არჩევნების პრინციპის დარღვევას, წევრთა მიღება-გარიცხვის წესის დამახინჯებას, ხშირად თავმჯდომარე და გამგეობა ანგარიშს არ აბარებდნენ საერთო კრებას; იყო შემთხვევები, როცა რაიაღმასკომების, ზოგჯერ რაიკომების მუშაკებიც ითვისებდნენ კოლმეურნეობის ქონებას.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება უხეშად ირღვეოდა იმითაც, რომ ყველგან არ გამოყოფდნენ კოლმეურნეობისათვის საჭირო ფონდებს. ცოტა არ იყო კოლმეურნეობის მიწების განიავების ფაქტებიც. მთელ რიგ კოლმეურნეობებში აღმოჩენილ იქნა ნორმის ზევით საკარმიდამო მიწების უკანონოდ მიზომვის ფაქტები. ზოგიერთი რაიონის, მაგალითად, ქობულეთის, ბათუმის და სხვ. კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა საკარმიდამო მიწების ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს. საკარმიდამო მიწების აზომვის შედეგად გა-

მოირკვა, რომ 195 955 საკოლმეურნეო კომლს ზედმეტი აღმოაჩნდა 42 748 ჰექტარი მიწა, ხოლო 81 180 ერთპიროვნულ მეურნეს 72 563 ჰექტარი მიწა.

1936 — 1937 წლებში ხალხის მტერმა ბერიამ თავისი პირადი კარიერისტული მიზნებით და პირადული განდიდებისათვის იერიში მიიტანა რესპუბლიკის საუკეთესო პარტიული და საბჭოთა კადრების მოსასპობად. სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების დარბევა დაეხმარა ჩვენი. მტრული ელემენტების, წამგლეჯების, მფლანგველების საქმიანობას, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს სოციალისტურ სახალხო მეურნეობას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 19 აპრილის დადგენილებას «კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ» და დადგენილებას «კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორად განაწილების შესახებ».

კოლმეურნეობებიდან ხშირად სავსებით უკანონოდ და შეუფერებლად რიცხავდნენ კოლმეურნეებს, ზოგჯერ კეთილსინდისიერ კოლმეურნეებსაც კი, რაც ძლიერ უარყოფით გავლენას ახდენდა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცების, კოლმეურნეთა სოციალისტური აღზრდის საქმეზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნულ დადგენილებათა შესაბამისად, საქართველოს კოლმეურნეობებში სასტიკად იქნა დაგმობილი კოლმეურნეობიდან წევრთა უკანონოდ გარიცხვა. გარიცხვის ზომა გამოიყენებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურული იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო-არტელის წესდებით გათვალისწინებული ყველა გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ხასიათის ზომა. მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული წესის სასტიკი დაცვით უნდა მომხდარიყო კოლმეურნეობიდან წევრთა გარიცხვა, ე. ი. განხორციელებულიყო წევრთა საერთო კრების გადაწყვეტი-

ლებით, რომელსაც დაესწრებოდა არტელის წევრთა საერთო რაოდენობის ²/₃ მაინც.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილებას «კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ»[1], რომელიც უმნიშვნელოვანეს მითითებებს იძლეოდა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მიწების განიავების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებათა რეალიზაციის მიზნით, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სძლევდნენ რა ყველა წინააღმდეგობას, იბრძოდნენ რა იმისათვის, რომ აღეკვეთათ ნაკლოვანება და დამახინჯებები, სოფლის მეურნეობის განვითარებას წარმართავდნენ პარტიის მიერ ნაჩვენები გზით — სოციალიზმის გზით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-13 ყრილობამ, რომელიც 1940 წლის 15 მარტს გაიხსნა, ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებში არსებულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოფხვრას და კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის 27 მაისის დადგენილების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს სს რესპუბლიკის საკოლმეურნეო კომლებს, ერთპიროვნულ მეურნეებს და სხვ., რომელთაც მიზომილი ჰქონდათ ზედმეტი საკარმიდამო მიწები, ჩამოეჭრათ ის 115 311 ჰექტარის რაოდენობით და მიეზომა კოლმეურნეობათა საერთო მიწებს — 75 698 ჰექტარი, ხოლო კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწების შესავსებად გადაცემულ იქნა 39 613 ჰექტარი.

---

[1] საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის სახელმძღვანელო მასალათა კრებული, 1954, გვ. 305.

გატარებულ იქნა აგრეთვე ღონისძიებანი კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის ამაღლების, მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის გაზრდისა და სხვ. მიმართულებით.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებამ, მათ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გადაქცევამ, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებამ შესაძლებელი გახადა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმის, კონტრაქტაციით გათვალისწინებული დამზადებების წარმატებით შესრულება.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ხუთწლედების განმავლობაში საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის დიდი მიღწევები და წარმატებები დემონსტრირებული იქნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში 1939 და 1940 წლებში.

საქართველოს სსრ პავილიონში ფართოდ იყო წარმოდგენილი რესპუბლიკის მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობა მისი საუკეთესო ნიმუშებით, ციტრუსოვანთა ნაყოფით, სხვადასხვა ხარისხის მზა ჩაით, ვაშლით, შავი ქლიავით, თხილით, ნუშით, ლეღვით, კაკალით, ჩურჩხელით, ღვინით, კონიაკით, ლიქიორებით, შამპანურით, ტკბილი კვერით, სხვადასხვა კონსერვებით, სხვადასხვა ხარისხის თამბაქოთი, ზეთოვანი კულტურების პროდუქციით, შაქრის ჭარხლით, სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულით, კარტოფილით, რძის პროდუქტებით და სხვ.

გამოფენაში მონაწილეობდა: 496 კოლმეურნეობა, 59 საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმა, 31 საბჭოთა მეურნეობა, 1 მტს-ი და 3 487 სოფლის მეურნეობის მოწინავე.

1939 და 1940 წლებში გამოფენის მონაწილეთაგან 1-ლი ხარისხის დიპლომით, მსუბუქი მანქანით და 10 ათასი მანეთით დაჯილდოებულ იქნა 33 კოლმეურნეობა, საბჭოთა

მეურნეობა[1] და მტს-ი[2], მათ შორის: ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოთარას სტალინის სახელობის, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის, და სხვ. კოლმეურნეობები, აგრეთვე ოჩხამურის, ურეკის ლიმონისა და მანდარინის[3] და ლაითურის საბჭოთა მეურნეობა.

მეორე ხარისხის დიპლომით, 5 ათასი მანეთით და მოტოციკლით დაჯილდოებულ იქნა წვერმაღალის საბჭოთა მეურნეობა, სოფ. ნატანების კოლმეურნეობა, ანასეულის ჩაის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მახარაძის რაიონული გაზეთი «ლენინის დროშა». სულ გაცემულ იქნა 102 მეორე ხარისხის დიპლომი.

კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, მტს-ების დირექტორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და სხვ. მოწინავეთაგან ოქროს დიდი მედლით დაჯილდოებულ იქნა 31 კაცი, ოქროს პატარა მედლით — 63 კაცი, დიდი ვერცხლის მედლით — 96 კაცი, პატარა ვერცხლის მედლით — 418 კაცი.

საქართველოს სსრ პავილიონი ერთ-ერთი საუცხოო და პოპულარული იყო მთელს გამოფენაზე. 1940 წელს იგი დაათვალიერა 4,5 მილიონმა მნახველმა. 1939 და 1940 წლებში გამოფენა საქართველოდან 10 ათასმა ექსკურსანტმა დაათვალიერა. გამოფენის მონაწილეებმა და ექსკურსანტებმა ხელი შეუწყეს საქართველოს სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

კოლხეთის განახლებულ მიწაზე

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1930 წლიდან 1940 წლამდე სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოებს შორის ყველაზე გრანდიოზული იყო კოლხეთის დაბლობის ამოსაშ-

---

[1] Джиханджурский Туговый совхоз, 1940.

[2] Уляновский МТС Сигнагского района, 1940.

[3] Лимонно-мандариновый совхоз „Урски", 1940.

რობი სამუშაოები. ამას ნათლად გვიჩვენებს მისი მასშტაბი და კაპიტალდაბანდებათა მოცულობა.

როგორც ცნობილია, კოლხიდის დაბლობის ტერიტორია შავი ზღვის ნაპირების გასწვრივ თითქმის 200 კილომეტრის მანძილზე 220 ათას ჰექტარს შეადგენს[1]. მთელ ამ სივრცეს მრავალი საუკუნის მანძილზე გაუვალი ჭაობები ფარავდა, რომელიც ავთვისებიანი მალარიის კერად იყო გადაქცეული.

აღნიშნული ჭაობის დაშრობის საჭიროებას ყოველთვის გრძნობდა ადამიანი, მაგრამ მის განხორციელებაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

კოლხიდის ჭაობის ამოსაშრობი სამუშაოები დაიწყო 1925 წელს, მაგრამ სრული მასშტაბით იგი გაიშალა 1932 წლიდან[2]. 1932 წლიდან — 1935 წლამდე ამოშრობაზე დაბანდებული იყო 29 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1925 — 1932 წლებში დახარჯული 4 300 ათასი მანეთისა, მარტო მეორე ხუთწლედში 67,6 მილიონი მანეთი. მესამე ხუთწლედის ორი — 1938 და 1939 წლების განმავლობაში დაიხარჯა 21,3 მილიონი მანეთი, ხოლო 1940 წელს 10 მილიონი მანეთი[3].

---

[1] ზოგიერთი მკვლევარი საქართველოს ტერიტორიის შავი ზღვის სანაპირო ჭაობების ამოსაშრობ ფართობს 138 272 დესეტინას ანგარიშობდა; იხ. ვ ა ს ი ლ ე ვ ს კ ი, შავი ზღვის ტბები და მათი დაშრობა, 1914.

[2] საბჭოთა ინჟინრის კუზნეცოვის მიერ შედგენილი პროექტი დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა ტექნიკურმა საბჭომ, რის შემდეგაც იგი საკონსულტაციოდ გადაეგზავნა მსოფლიოში კარგად ცნობილ იტალიელ ინჟინერ მელიორატორს პროფ. იმედეოსს. პროფ. იმედეოსს დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული იტალიაში, ბელგიაში, მექსიკაში, მაროკოში და სხვ. დიდი ჭაობების დაშრობის საქმეში. გაეცნო რა კოლხიდის ჭაობის დაშრობის საბჭოთა პროექტს, პროფ. იმედეოსმა აღნიშნა: „პროექტი გაკეთებულია განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით და საქმის ცოდნით. იგი იმდენად თვალსაჩინოდ არის შედგენილი და იმდენად მდიდარი ნახაზებით, რომ სრულ შესაძლებლობას იძლევა გაერკვე დეტალებში... იტალიაში ძნელია ინჟინრის პოვნა, რომელსაც შესწევდეს უნარი ასეთი დაუღალავი მუშაობისა. ჩვენ პირდაპირ უნდა ვიამაყოთ ასეთი ინჟინრებით“ (გაზ. კომუნისტი, 1930, 15 აგვისტო).

[3] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ფ. 48, ც. 18, გვ. 25.

პირველ და მეორე ხუთწლედებში დამრობილ იქნა 17 ათასი ჰექტარი ჭაობი, მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 44 ათასი ჰექტარის ამოშრობა.

ამოშრობილ ფართობიდან 1935 წელს 84 ჰექტარზე მოწყობილ იქნა საბჭოთა კავშირში გრეიპფრუტის პირველი საბჭოთა მეურნეობა.

ფოთის გარეუბნის და მახლობელი სოფლების მოსახლეობას ახლაც კარგად ახსოვთ, თუ რამდენი ადამიანი დაღუპულა წინათ იმ ადგილას, სადაც ახლა გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობა ჰყვავის. აქ ღარიბი მცხოვრებლები წურბელებზე «ნადირობდნენ». ისინი წვივებზე წაისვამდნენ ნიორს და გადაეშვებოდნენ ჭაობში. წურბელები, რომლებსაც იზიდავდა ნიორის სუნი, დაეხვეოდნენ მათ შიშველ წვივებზე, რითაც სარგებლობდა «მონადირე» და იპერდა მათ. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ასეთი «მონადირე» გაუვალ ჭაობში იღუპებოდა კიდეც. ყოველივე ეს ახლა მხოლოდ უსიამოვნო მოგონებად დარჩა.

კოლხიდის ამოშრობილ ტერიტორიაზე გაშენდა სუბტროპიკული კულტურები, ჩაი, ევკალიპტი და სხვ., მოეწყო ახალი კოლმეურნეობები, დამკვიდრდა ნამდვილი ცხოვრება

სხვადასხვა რაიონიდან კოლმეურნეების გადასახლებამ კოლხიდის დაბლობის რაიონებში და 15 კოლმეურნეობის შექმნამ 2 403 მეურნეობით ხელი შეუწყო ახალი ნიადაგების ათვისებას 10 116 ჰექტარი ფართობის რაოდენობით. ამ კოლმეურნეობებში აშენებულ იქნა 2 289 ახალი საცხოვრებელი სახლი.

საქართველოში ფართო მასშტაბით გაიშალა საგუშაოები სარწყავი სისტემის გასაფართოებლადაც. 1940 წლის ბოლოს სარწყავი ფართობი საქართველოს სსრ-ში უდრიდა 242 ათას ჰექტარს. უკვე აგებული იყო შემდეგი მძლავრი სარწყავი სისტემები: მაშველის 12,3 ათას ჰექტარის ფართობზე, ტირიფონის 26,6 ათას ჰექტარზე, ალაზნის 33,6 ათას ჰექტარ ფართობზე. საქართველოს სსრ მთელ სარწყავ ქსელში წვრილი შიდასამეურნეო ქსელის გარდა იყო სულ 2 153 სხვადასხვა

ირხი და კოლექტორი 6 921 კილომეტრის საერთო სიგრძისა. ამ არხებზე აგებული იყო 4 357 სხვადასხვა ნაგებობა, აგრეთვე საექსპლოატაციო ჰიდრომეტრის 695 საგუშაგო.

ამოშრობასა და მორწყვასთან ერთად საქართველოს სს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებდა წყალდაცვასთან საბრძოლველად. 1921 წლიდან 1941 წლამდე ამ საქმეშაოზე დახარჯული თანხა 35 მილიონ ნაბიჯს შეადგენდა. მდინარეთა ნაპირებზე აშენდა ბრავალი ყუბარი, ეაბსალი და სხვ. ნაგებობანი.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებდა პარტიისა და მთავრობის დიდ ყურადღებას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისადმი, ქართველი ხალხისადმი. იგი გვიჩვენებდა, თუ რა შორს წავიდა საქართველოს სს რესპუბლიკის განვითარება მოკლე დროის, სულ რაღაც 20 წლის განმავლობაში, თუ როგორ გადაიქცა იგი ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

თავი VI

კოლმეურნე გლეხობა სამამულო ომის პერიოდში

იმისათვის, რომ კიდევ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა გლეხობისათვის, საჭიროა ვიცოდეთ ის, თუ რა დიდი უპირატესობა და ცხოველმყოფელობა გვიჩვენა მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ დიდი სამამულო ომის დროს, როგორ უზრუნველყო გლეხობამ თავისი მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შენარჩუნება და რა დიდი დახმარება გაუწია მან ფრონტს მტერზე გასამარჯვებლად.

თუ საბჭოთა ხელისუფლება არა, თუ მშრომელებისადმი კომუნისტური პარტიის ზრუნვა არა, შეუძლებელი იქნებოდა კოლმეურნე გლეხობის დიდი შრომითი ენთუზიაზმი, უნახავი გმირული ბრძოლა როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

1941 წელი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისათვის განვითარების ახალი, კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით დაიწყო. უდიდეს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილების «საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ»[1], აგრეთვე 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების «საქარ-

[1] ჟურნ. საქართველოს სოციალისტური მეურნეობა, № 4, 1940.

თველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო-მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ»[1] — ურყევი გატარება ცხოვრებაში.

აღნიშნულ დადგენილებათა განხორციელების ვადები განსაზღვრული იყო 1944 — 1945 წლებამდე და წარმოადგენდნენ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი, სწრაფი განვითარების საქმეში.

უდიდეს საბრძოლო ამოცანად რჩებოდა სოციალისტური მინდვრების მოსავლიანობის გადიდება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის როგორც რაოდენობრივი, ისე პროდუქტიულობის ზრდა, მისი ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება.

კოლმეურნე გლეხობას დიდ მატერიალურ წამახალისებელ სტიმულს აძლევდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება «საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო _ კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ»[2].

ეს დადგენილება სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საშუალებას წარმოადგენდა; იგი ბოლოს უღებდა გათანაბრებას შრომის ანაზღაურებაში, ქმნიდა მძლავრ სტიმულს შრომის მწარმოებლურობის ასამაღლებლად, საკოლმეურნეო დისციპლინის განსამტკიცებლად, უყაირათო ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბუნებრივია, რომ ამ დადგენილებამ უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საქართველოს კოლმეურნეთა შორის,

---

[1] ჟურნ. საქართველოს სოციალისტური მეურნეობა № 9-10, 1950.

[2] ი ა ნ უ შ კ ი ნ ი და სხვ., შრომის ორგანიზაციის რგოლური სისტემა კოლმეურნეობებში. 1942. გვ 3.

ფართოდ ეწყობოდა სოციალისტური შეჯიბრება — რაიონებს, კოლმეურნეობებს, ბრიგადებსა და კოლმეურნეებს შორის.

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საკ.კ.პ.(ბ) XVIII პარტიული კონფერენცია, რომელიც 1941 წლის მარტში ჩატარდა. კონფერენციის გადაწყვეტილებებმა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის როგორც მუშებში, ისე კოლმეურნეებში. საგაზაფხულო სამუშაოები საქართველოს სსრ-ის ყველა რაიონში დიდი წარმატებით ჩატარდა, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ემზადებოდნენ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხალხთა, და მათ შორის საქართველოს მშრომელთა, მშვიდობიანი ცხოვრება დაარღვია 1941 წლის 22 ივნისს ჩვენს დიად სამშობლოზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მსგავსად საქართველოს სსრ მთელი ეკონომიკა გარდაქმნილ იქნა სამხედრო ყაიდაზე, დამორჩილებულ იქნა ფრონტის მოთხოვნილებისადმი, დროებით შეწყდა მშვიდობიანი შრომა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანას შეადგენდა შეგვენარჩუნებინა ჩაის, ციტრუსების, ვენახების და სხვ. მრავალწლიანი ნარგავების არსებული მდგომარეობა, შეგვენარჩუნებინა სოფლის მეურნეობის მიღწეული დონე და მიგვეწოდებია საბჭოთა არმიის, მოსახლეობისა და ჩვენი ქვეყნის მრეწველობისათვის ის პროდუქტები, რომლებიც საბჭოთა საქართველოში მზადდებოდა.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ქართველი მშრომელი გლეხების ენერგიული და თავდადებული შრომის შედეგად კი არ შემცირდა სოფლის მეურნეობის ძირითადი

მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი, არამედ გადიდდა კიდეც, მთელ რიგ კულტურების დარგში კი არ შემცირდა მოსავლიანობა, გაიზარდა კიდეც, წარმატებები იქნა მიღწეული მეცხოველეობის სულადობრივი ზრდის მხრივაც.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობები სამამულო ომის განმავლობაში ფრონტს აწვდიდნენ დიდი რაოდენობით პურს, ხორცს, კვერცხს, ჩაის, ციტრუსებს, ხილს და სხვ.; ნედლეულს აწვდიდნენ მრეწველობას, სახელმწიფოს აბარებდნენ გაცილებით უფრო მეტ პროდუქტებს, ვიდრე ომის წინ.

სულ საქართველოს სსრ-ში მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესი შეადგენდა: 1942 წელს — 813,8 ათას ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 748,4 ათასი ჰექტარისა, 1943 წელს — 869,0 ათას ჰექტარს, 1945 წელს — 827,6 ათას ჰექტარს[1].

ომისწინა წელთან შედარებით მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობი 1945 წლისათვის გადიდდა 80,1 ათასი ჰექტარით. აქედან: 1945 წელს ხორბლის ნათესი უდრიდა 285,3 ათას ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 268,4 ათასი ჰექტარისა, ე. ი. გაიზარდა 6,3 პროცენტით, ქერის ნათესი უდრიდა 88,8 ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 75,7 ათასი ჰექტარისა, ე. ი., გაიზარდა 3,6 პროცენტით. სიმინდის 436,3 ათას ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 276.0 ათასი ჰექტარისა, ე. ი. გაიზარდა 58,1 პროცენტით[2]. მარტო კახეთის რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის ნათესი გაიზარდა 1940 წელს 18,4 ათასი ჰექტარიდან 1943 წლის 23,15 ათას ჰექტარამდე და 1945 წლის 27 ათას ჰექტარამდე[3].

---

[1] ეურ. ბოლშევიკი, 1947, № 5; აგრეთვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი № 29, ფ. 48, ც. 5, გვ. 12.

[2] საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალების მიხედვით; აგრეთვე სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ფონდი, № 1, ფ. 1.

[3] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივ ძალთა შემსწავლელი საბჭოს მასალების მიხედვით.

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1945 წელს ყველა ძირითადი კულტურის ნათესი ფართობი შეადგენდა 946,8 ათას ჰექტარს, რაც 102.0 ათასი ჰექტარით, ანუ 12,3 პროცენტით აღემატებოდა ომისწინა პერიოდის დონეს.

ნათესი ფართობის გადიდება ხდებოდა უმთავრესად ახალი მიწების ათვისების, ყამირების გატეხვის, ბუჩქნარების ამოძირკვის და სხვ. გზით, რასაც კოლმეურნეობები აღწევდნენ მტს-ების დახმარებით. ომის დროს კოლმეურნეებმა მოსავალი მიიღეს იმ მიწებიდანაც, რომლებიც წინათ უვარგისად ითვლებოდა.

1942 წლის გაზაფხულზე გერმანიის ფაშისტური არმია, მიუხედავად მისი სერიოზული დამარცხებებისა დონის როსტოვთან და ტიხვინთან, ყირიმში და მოსკოვთან ახალ შეტევას ამზადებდა ჩვენს წინააღმდეგ. მთელს ჩვენს ქვეყანაში დაძაბული მდგომარეობა იყო. ამ დროს საქართველოს კოლმეურნეები, რომლებსაც კარგად ესმოდათ შექმნილი ვითარების სერიოზულობა, მხურვალედ გამოეხმაურენ კრასნოდარელ კოლმეურნეთა მოწოდებას თავდაცვისა და გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან დაზარალებული რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდის შექმნის შესახებ.

საქართველოს კოლმეურნეები ჩაებნენ რა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში, 1942 წელს წარმატებით ჩაატარეს თავთავიანი კულტურების თესვა და გეგმის გადაჭარბებით თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში დათესეს 5300 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. სულ გეგმა შეასრულეს 11 ათასი ჰექტარის გადამეტებით.

ომის პერიოდში სერიოზულ ამოცანას წარმოადგენდა ტექნიკური კულტურების — მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს და სხვ. თესვა. ამ მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკაში შემდეგ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი: მართალია, აღნიშნული კულტურების ნათესი ფართობი 1945 წელს 1941 წელთან შედარებით შემცირდა 19,9 პროცენტით[1],

[1] საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალების მიხედვით.

მაგრამ ასე არ იყო მთლიანად რესპუბლიკის ყველა რაიონის კოლმეურნეობებში. მაგალითად, 1945 წელს კახეთის რაიონის კოლმეურნეობებში ტექნიკური კულტურების ფართობი უდრიდა 19,67 ათას ჰექტარს, ნაცვლად 1932 წლის 2,67 ათასი, 1937 წლის 16,02 ათასი, 1940 წლის 19,8 ათასი და 1943 წლის 22,23 ათასი ჰექტარისა[1].

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ რაიონში 1945 წელს ტექნიკური კულტურების ნათესი შემცირდა 1943 წელთან შედარებით, მაგრამ იგი მაინც მეტი იყო ომის წინა წლებთან შედარებით. მთლიანად რესპუბლიკაში ტექნიკური კულტურების ნათესები 1945 წელს უდრიდა 42,4 ათას ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 51,6 ათასი ჰექტარისა, ე. ი. შემცირდა 17,8 პროცენტით.

ზოგიერთი კულტურა გეგმური წესით მცირდებოდა. მაგალითად, თამბაქოს ნათესი ფართობი 1945 წელს უდრიდა 15195 ჰექტარს, ნაცვლად 1941 წლის 20128 ჰექტარისა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ 1944 წელს სსრ კავშირის მთავრობის ნებართვით საქართველოს სს რესპუბლიკაში თამბაქოს სათესი ფართობი 5 ათასი ჰექტარით იქნა შემცირებული. მაგრამ რესპუბლიკის კოლმეურნეების ენერგიული მუშაობით მოსავალი შემცირებულ ფართობზე არათუ არ შემცირდა, გადიდდა კიდეც. მაგალითად, 1945 წელს თამბაქოს აღნიშნულ ფართობიდან სახელმწიფოს ჩაბარდა 10237 ტონა თამბაქო, ე. ი. დაახლოებით ცოტა იმაზე ნაკლები, ვიდრე 1943 წელს, ხოლო იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე 1944 წელს[2].

დიდი სამამულო ომის პირობებში მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურებთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას იძენდა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების — ბადრიჯანის, კარტოფილის, კომბოსტოს, ხახვის, კიტრის, საზამთროს, სტაფილოს და სხვ. თესვა, მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის

---

[1] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივ საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს მასალების მიხედვით.

[2] ეურნ. ბოლშევიკი. 1947, № 3, გვ. 20.

ბრძოლა. ამ პროდუქტებს დიდი რაოდენობით მოითხოვდა ფრონტი და ქალაქები, მთელი მოსახლეობა.

ომის წლებში კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ნათესები ჩვენს რესპუბლიკაში კი არ შემცირებულა, გაიზარდა კიდეც ომის წინა წელთან შედარებით. მთლიანად რესპუბლიკაში ყველა სექტორში კარტოფილის და ბოსტნეულ კულტურების ნათესები 1945 წელს, ე. ი. ომის უკანასკნელ წელს უდრიდა 42,9 ათას ჰექტარს, რაც 47 პროცენტით აღემატებოდა ომისწინა დონეს.

სამამულო ომის წლებში საქართველოს კოლმეურნე გლეხობის სოფლის მეურნეობის მუშაკების უდიდეს საპატიო ამოცანას წარმოადგენდა მრავალწლიან ნარგავთა — ვაზის, ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების, ხეხილის ბაღების არსებული ფართობების შენარჩუნება და მოსავლიანობის გაზრდებისათვის ბრძოლა. ამას ჰქონდა მნიშვნელობა არა მარტო ამ კულტურების პროდუქტთა ფრონტისათვის მეტი რაოდენობით მიწოდების თვალსაზრისით, არამედ თვით კოლმეურნეების მატერიალური პირობების გაუმჯობესებისთვისაც. ისე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისადმი, პარტია და მთავრობა ამ დარგის მიმართაც იჩენდა დიდ მზრუნველობას და დახმარებას.

საქართველოს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი დიდ დახმარებას წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის დადგენილება ჩაის, ყურძნის, თამბაქოს და სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ სხვა პროდუქტებზე ფასების გადიდების შესახებ. ამ დადგენილებით ჩაის ფოთლისა და ყურძნის ფასები გადიდდა ერთისამად, თამბაქოსი ერთიორად. აღნიშნულ პროდუქტებზე ჩასაბარებელი ფასების გადიდებამ უაღრესად დააინტერესა კოლმეურნეები ამ დარგის კულტურების წარმოებით, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

1944 წელს კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსათვის ჩაის, თამბაქოს და ყურძნის ჩაბარებული პროდუქციიდან 400 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს. ძველი ფასებით კი ისინი მიიღებდნენ 164 მილიონ მანეთს. ამასთან

აღნიშნული კულტურების მწარმოებელი რაიონების კოლმეურნეებისათვის მისაყიდად მთავრობამ გამოყო სათანადო რაოდენობის მარცვალი.

ამ და მთელი რიგი სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად სუბტროპიკული კულტურების ფართობები ძირითადად შენარჩუნებულ იქნა ომის წლებში და იგი გაცილებით აღემატებოდა ომისწინა 1940 წლის დონეს. ეს შეეხება უწინარეს ყოვლისა ჩაის.

თუმცა ჩაის ფართობი ომის წლებში არ გაზრდილა, მაგრამ იგი არსებული ფართობითაც აღემატებოდა ომამდელ დონეს. მაგალითად, 1943 წელს ჩაის ფართობი უდრიდა 51 532 ჰექტარს, ე. ი. ომისწინა პერიოდის დონესთან შედარებით გაიზარდა 3,8 პროცენტით. ზრდას ადგილი ჰქონდა როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში. 1945 წელს მისი ფართობი არ შეცვლილა 1943 წელთან შედარებით, იგი უდრიდა 51 532 ჰექტარს.

ციტრუსოვანი კულტურების ფართობი ომის პირველ წლებში საგრძნობლად შემცირდა. მასზე დიდი უარყოფითი გავლენა იქონია ომის პირობებმა და 1941-1942 წლების მძაფრმა ყინვებმა. მაგრამ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად საქართველოს კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების თავდადებული შრომით ციტრუსოვანი კულტურები მალე იქნა აღდგენილი და 1943-1945 წწ. საგრძნობლად აღემატებოდა 1940 წლის დონეს.

პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა ტუნგოს ნარგავები. 1941 წელს ტუნგოს პლანტაციების ფართობი უდრიდა 16675 ჰექტარს, აქედან 14317 ჰექტარი გაშენებული იყო კოლმეურნეობებში. 1944 წლისათვის ტუნგოს ნარგავთა ფართობი შემცირდა 12 803 ჰექტარამდე, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ კულტურის მოვლისა და შემდგომი განვითარების საქმე განიხილა საქართველოს კ პ (ბ) ც. კ-ის 1944 წლის სექტემბრის პლენუმმა, ტუნგოს ფართობი ისევ იწყებს ზრდას, გაიზარდა მისი მოსავლიანობაც.

სამამულო ომის წლებში მუშახელის, საჭირო ქიმიკატების და პრეპარატის ნაკლებობის გამო დროზე და ხარის-

ხიანად არ ტარდებოდა ვენახებში და ამერიკული ვაზის საღე-
დეებში აგროტექნიკური ღონისძიებანი. ამის შედეგად ერთ-
გვარი ზიანი განიცადა ვაზის კულტურამ, აგრეთვე ხეხილის
ბაღებმა. 1945 წელს სრულიად დაუმუშავებელი დარჩა 1200
ჰექტარი ვენახი.

თუმცა ომის დასასრულს ვენახის ფართობი მეტი იყო
ომის წინაწელთან შედარებით, მაგალითად, 1945 წელს ივი
უდრიდა 59209 ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 54748 ჰექ-
ტარისა, მაგრამ ომის წლებში მევენახეობა საგრძნობლად
შეფერხდა, გაიზარდა ვენახების მეჩხერიანობა, დიდად შემ-
ცირდა მოსავალიც.

დიდი სამამულო ომის წლებში სოფლის მეურნეობაში
უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა მეცხოველეობის
სამუშაოების წესიერად შესრულება, შემდგომი წარმატებების
მიღწევა ამ დარგში, მისი პროდუქტიულობის გადიდება და
ფრონტისათვის მეცხოველეობის პროდუქტების მეტი რაო-
დენობით მიწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს მეცხოველეობას მთე-
ლი რიგი სიძნელეები ეღობებოდა, როგორიც იყო, მაგალი-
თად, მომვლელთა სიმცირე, საკვები ბაზის მოუწესრიგებლო-
ბა, დაბრკოლებები ზოოვეტმომსახურების, სადგომთა მშენებ-
ლობის, ახალი ჯიშების შეძენის და სხვ. მხრივ, ამ დარგის
შემდგომი განვითარების ამოცანები ძირითადად წარმატებით
იქნა გადაწყვეტილი. განსაზოგადოებული მეცხოველეობა ისე
როგორც წინა წლებში, ომის წლებშიც აღმავალი ხაზით ვი-
თარდებოდა. ეს აიხსნებოდა ამ დარგისადმი პარტიისა და
მთავრობის შეუნელებელი ყურადღებითა და მზრუნველო-
ბით.

1942 წლის 12 მარტს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და
საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა მიიღეს დადგენილება «კოლმეურნეობებსა
და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და
პირუტყვის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესა-
ხებ», რომელიც ითვალისწინებდა მეცხოველეობის დარ-
გის მომუშავეთა მთელ რიგ შეღავათებს და დახმარებას, შე-
ნარჩუნებულ პირუტყვზე წამახალისებელი ზომების გატარე-

ბას. იგი კონკრეტულ დავალებას აძლევდა თვითეულ რესპუბლიკას, ოლქს, მხარეს პირუტყვთა ცალკეული სახის გამოზრდის და შენარჩუნებისათვის[1]. ეს დადგენილება მეცხოველეობის დარგში ომის პერიოდის ძირითად საბრძოლო პროგრამას წარმოადგენდა, რომლის განხორციელებასაც უნდა უზრუნველეყო საბჭოთა არმია, ქალაქები და სამრეწველო ცენტრები ხორცის, ერბო-კარაქის, ტყავის, მატყლის და სხვ. პროდუქტების მომარაგებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა რესპუბლიკის პარტიულ- და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით დიდი მუშაობა ჩაატარეს ამ დადგენილების განსახორციელებლად.

ჯერ კიდევ 1941 წელს კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 1,3 პროცენტით გაიზარდა. აქედან ძროხის სულადობა — 8 პროცენტით, ცხვრისა — თხისა — 12,9 პროცენტით, ღორისა — 2,3 პროცენტით.

შემდეგ წლებში მიუხედავად მწვავე საომარი მოქმედებისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწეოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობა კიდევ უფრო გაიზარდა, გაიზარდა მისი პროდუქტიულობაც. მაგალითად, 1944 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში გაიზარდა 4,5 პროცენტით. მათ შორის: ძროხისა და ფურ-კამეჩისა — 0,4 პროცენტით, ცხენისა — 6,7 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 18,5 პროცენტით, ღორისა — 4,4 პროცენტით.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა გადიდდა — 5,7 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 15 პროცენტით, ცხენისა — 7 პროცენტით.

1944 წელს კოლმეურნეობებში 912 ათასი ცენტნერით, ანუ 9,3 პროცენტით მეტი უხეში საკვები დააგროვეს, ვიდრე

---

[1] გაზ. Правда, 1942, 13 მარტი.

1943 წელს, გადაჭარბებით შეასრულეს სილოსის ჩადების გეგმა.

სამამულო ომის პერიოდში კოლმეურნე გლეხები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უდიდეს შრომით აღმავლობას გვიჩვენებდნენ. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენდა რაიონებისა და კოლმეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის სამუშაოთა შესრულების ვალდებულებათა აღება, ამ ნიადაგზე მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა და სხვ.

1943 წლის 20 თებერვალს ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა დასავლეთ საქართველოს რაიონების ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიმართეს მოწოდებით გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის, ციტრუსების, მარცვლეულის მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამავე წლის 6 მარტს მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის მიზნით სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიმართეს ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა. აღნიშნული რაიონების კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ვალდებულებას კისრულობდნენ, ვადაზე ადრე დაამთავრებდნენ თესვას, კარგად მოუვლიდნენ ნათესებს, განავითარებდნენ მეცხოველეობას, აამაღლებდნენ მოსავლიანობას, უდანაკარგოდ აიღებდნენ მოსავალს, ჩააბარებდნენ სახელმწიფოს მეტ მარცვლეულს, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსებს, მეცხოველეობის პროდუქტებს და სხვ.

1944 და 1945 წლებში მსგავსი ვალდებულებები აიღეს გორის, ზუგდიდის, მახარაძის, ბათუმის, ლაგოდეხის, წითელწყაროს და სხვ. რაიონებმა, რომლებიც მთელი სამამულო

ომის პერიოდში სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში იდგნენ.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებს ამშვენებდნენ აგრეთვე კასპის, ამბროლაურის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ხაშურის, გურჯაანის, წალენჯიხის, გალის, ლენინგორის და სხვ. რაიონის კოლმეურნეობები.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობები შეჯიბრებაში იწვევდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებს, რაიონებს და ცალკეულ კოლმეურნეობებს.

ომის მთელ პერიოდში, ისე როგორც ომის წინ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნეობები.

1943 წელს საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისა და მოსავლიანობის გადიდების მიზნით საქართველოს კოლმეურნეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სვერდლოვსკის ოლქის კამიშლოვსკის რაიონის სოფ. საკამიშლოვსკოეს კოლმეურნეობა «ნოვაია ჟიზნ»-ი.

1944 წელს, როგორც კი უკრაინის სსრ განთავისუფლდა გერმანელ ფაშისტთა ურდოებისაგან, განახლდა ომის დროს შეწყვეტილი სოციალისტური შეჯიბრება მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შორის.

ამ ორი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მძლავრი კოლმეურნეობების შეჯიბრება ჩაისახა ჯერ კიდევ ომის წინ. შეჯიბრებამ ტრადიციული მეგობრობის ხასიათი მიიღო არა მარტო ამ კოლმეურნეობების წევრთა შორის, არამედ მან კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს, კიდევ უფრო შეამჭიდროვა ერთმანეთთან ქართველი და უკრაინელი ხალხები.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ომის დროს, როცა უკრაინა გერმანელი ფაშისტების მიერ იყო დროებით დაპყრობილი, გენიჩესკელმა ბევრმა კოლმეურნემ სოფ. შრომის კოლმეურნეობაში ჰპოვა თავშესაფარი, სამშობლოს მოცილებული კოლმეურნეების მეორე სამშობლოდ სოფ. შრომის

კოლმეურნეობა გახდა, აქ შრომობდნენ და ეხმარებოდნენ ისინი ფრონტს და ზურგს.

როგორც კი 1943 წლის 30 ოქტომბერს საინფორმაციო ბიუროს ცნობა გამოცხადდა, რომ წითელმა არმიამ ფაშისტური უღლისაგან გაანთავისუფლა გენიჩესკის რაიონი, სოფ. შრომის კოლმეურნეებმა უკრაინელი ძმების დასახმარებლად სწრაფად შეაგროვეს და გასაგზავნად მოამზადეს საჩუქრები. მათ გენიჩესკელ მეგობრებს გაუგზავნეს 5 ტონა სიმინდი, 1300 ლიტრი ღვინო, 9 ლიტრი არაყი, 69 აბრეშუმის საბანი, ამდენივე ლეიბი, 79 საბანი, 138 ზეწარი, 138 ბალიში, 143 წყვილი ხალათი და შარვალი, 72 წყვილი თეთრეული, 100 ცალი თეფში და ამდენივე კოვზი, ჭიქა, 20 წყვილი მატყლის წინდა, 80 წყვილი ხელთათმანი და სხვ. გენიჩესკის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის აღსადგენად გამოყოფილი იქნა აგრეთვე 4 ბუღა, 7 ცხენი, 6 ძროხა, 6 სული ღორი, აგრეთვე 1 ვაგონი ხილი და სხვ.[1].

1944 წლის თებერვლის ბოლოს საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, კოლმეურნე ქალებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ახალი, დიდი ვალდებულება იკისრეს პარტიისა და მთავრობის წინაშე. მათ წერილში ნათქვამი იყო: «ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ 1944 წელს დროულად და მაღალ ხარისხოვნად ჩავატაროთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, მოვაწყოთ ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების სანიმუშო მოვლა, გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფოს ვალდებულებანი მარცვლეული კულტურების, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის მოსავლიანობის დარგში; ვადაზე და უფრო მეტი რაოდენობით მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული მრეწველობისათვის, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს მეცხოველეობის განვითარებაში»[2].

---

[1] ე ვ. ლ ი ტ ო ვ ჩ ე ნ კ ო, მ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე, ორი კოლმეურნეობის შემოქმედებითი თანამეგობრობა და შეჯიბრება, 1954, გვ. 49.

[2] გაზ. კომუნისტი, 1944, 29 თებერვალი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეები დაუღალავ შრომას ეწეოდნენ ამ და ყველა სხვა ვალდებულებათა ბოლშევიკურად განაღდებისათვის, იბრძოდნენ მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის გასაავითარებლად, მისი პროდუქტიულობის ასამაღლებლად, რითაც უდიდეს დახმარებას უწევდნენ ფრონტს.

საქართველოს კოლმეურნეებმა სამამულო ომის პერიოდში მარცვლეული კულტურების არა მარტო ფართობი, არამედ მოსავლიანობაც გაადიდეს.

1943 წელს საქართველოს კოლმეურნეებმა 18 ათასი ტონით მეტი პური ჩააბარეს სახელმწიფოს, ვიდრე 1940 წელს. ისინი არ დაკმაყოფილდნენ გეგმის გადაჭარბებით და თავიანთი გარდამეტიდან სახელმწიფოს მიყიდეს 550 ათას ფუთზე მეტი პური, გარდა ამისა, 1944 წლის გეგმის ანგარიშში სახელმწიფოს ავანსად ჩააბარეს 1000 ტონაზე მეტი მარცვლეული.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მხრივ ზოგიერთი კოლმეურნეობა კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევდა.

პარტიამ და მთავრობამ დიდი ღონისძიება მიიღეს მრავალწლიანი ნარგავების — ჩაის, ვენახის, ციტრუსების და სხვ. დარგში მოსავლიანობის გადიდებისათვის. მიუხედავად ამისა. სამამულო ომის ბოლო წლებში, კერძოდ 1945 წელს, სახელმწიფოს ჩაბარდა ჩაის მწვანე ფოთოლი 20 ათასი ტონის რაოდენობით, ე. ი. გაცილებით იმაზე ნაკლები ვიდრე 1940 წელს იქნა ჩაბარებული, ამასთან, 1945 წელს სავსებით შეწყდა მესამე ხარისხის ფოთლის კრეფა.

ომის წლებში ჩაის ბუჩქების გადაჭარბებულმა ექსპლოატაციამ და მოვლის გაუარესებამ გამოიწვია ჩაის ბუჩქების რამდენადმე დაკნინება და დაუძლურება, რომელმაც, ბუნებრივია, ომის უკანასკნელ წელს მიგვიყვანა მოსავლიანობის მკვეთრ შემცირებამდე. ეს გრძელდებოდა ომისშემდგომ 1946 — 1947 წლებშიც.

ბევრ კოლმეურნეობაში სახელი გაითქვეს ჩაის კრეფის ოსტატებმა, რომლებიც 100-200 პროცენტით და უფრო მე-

ტად აჭარბებდნენ კრეფის დადგენილ ნორმებს. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სიამაყე იყო ჩაის ცნობილი მკრეფავი ქალი ლ. ხურციძე, რომელმაც პირველად შემოიღო სამგანყოფილებიანი კალათა. ერთსა და იმავე დროს იგი კრეფდა და კიდევაც ახარისხებდა მწვანე ფოთოლს. 1943 წლის კრეფის სეზონში ლ. ხურციძემ 14 500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და გამოიმუშავა 815 შრომადღე.

კრეფის მაღალ მაჩვენებლებს აღწევდნენ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა «ინგირის» წევრი ქ. სარსანია, იმავე რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვ. ყუფუნია, მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი დ. ტაკიძე და სხვ.

საქართველოს სსრ კოლმეურნე გლეხობამ თავისი მამაცური შრომით ჯერ კიდევ 1942 წელს დაიმსახურა მთავრობის მადლობა. 1942 წელს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ბენედიქტოვის 12 აგვისტოს ბრძანებით სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით სოფლის მეურნეობაში საუკეთესო მუშაობისათვის ნიშნით «სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული» დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

დიდი სიხარული განიცადა საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა, როცა მათი დიდი ჯგუფი 525 კაცის რაოდენობით საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

საქართველოზე უფრო ადრე მთავრობის მაღალი ჯილდო მიიღეს აზერბაიჯანის და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეებმა, კოლმეურნე ქალებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა.

გაზეთი «იზვესტია» 1944 წლის 8 იანვრის თავის მოწინავე სტატიაში «საქართველოს კოლმეურნეთა შრომითი მამაცობა» წერდა: «ომის განმავლობაში საქართველოს კოლ-

მეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 80 ათასი ჰექტარით გაადიდეს მარცვლეულის ნათესი.

ნათესთა ზრდას თან ახლდა ბეჯითი, შეუპოვარი შრომა. მიმართული იმისაკენ, რომ განუწყვეტლივ გაადიდონ ნიადაგის ნაყოფიერება, აითვისონ მოწინავე აგროტექნიკა, წლითიწლობით უფრო და უფრო უხვი მოსავალი მიიღონ.

ამის შედეგად მარცვლეულის მოსავლიანობა ომის განმავლობაში საშუალოდ რესპუბლიკაში 1,5 ცენტნერით გადიდდა თვითეულ ჰექტარზე.

პურის მოყვანის გადიდებისათვის ბრძოლამ რეალური ნაყოფი გამოიღო. 1944 წელს საქართველომ 18 500 ტონით მეტი პური ჩააბარა სახელმწიფოს, ვიდრე 1940 წელს.

საქართველოს კოლმეურნეობები და კოლმეურნეები არ დასჯერდნენ პურის ჩაბარების სავალდებულო გეგმების შესრულებას და, გარდა ამისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს კიდევ 524 ათასი ფუთი მარცვლეული...

საქართველო არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც კი ასრულებს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებს და ომის განმავლობაში რესპუბლიკის ჯოგებს 620 ათას სულზე მეტი შეემატა. მარტო მსხვილფეხა რქიანი საქონლის ჯოგს შეემატა 120 ათასი სული, ცხვრისა და თხის ჯოგს 500 ათასი სული»[1].

გარდა ამისა, გაზეთი დაწვრილებით ჩამოთვლიდა მიღწევებს საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფოსათვის ჩაის მწვანე ფოთლის, ციტრუსოვანთა კულტურების ნაყოფის და სხვ. ჩაბარების შესახებ და განაგრძობდა: «სოფლის მეურნეობის განვითარების მთელი ეს წარმატებანი უზრუნველყვეს საქართველოს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ადამიანებმა — რესპუბლიკის მშვენებამ და სიამაყემ, მისმა დიდებამ და ღირსებამ»[2].

ლენინის ორდენით დაჯილდოებულთაგან იყვნენ: გორის რაიონის კოლმეურნეობა «განთიადის» თავმჯდომარე ა. ბე-

---

[1] გაზ. Известия, 1944, 8 იანვარი.

[2] იქვე.

რაშვილი, გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჯგუბურია, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ვ. ყუფუნია, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე, სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტი სოფიო უსენაშვილი, გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა «გლეხთა გაერთიანების» თავმჯდომარე ილია ჩიგიტაშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჯიქია, ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ჯიჯავაძე, წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქავთარაძე და სხვ.

დაჯილდოებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საქართველოს კოლმეურნე გლეხებს შორის, მათ კიდევ უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდეს ხელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად; ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რაიონებს შორის. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის.

სამამულო ომის პერიოდში დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა ჰქონდათ დაკისრებული რესპუბლიკის მტს-ებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მტს-ების პარკის გარკვეული ნაწილი არმიას გადაეცა, ნაწილიც გაცვდა და არ ხდებოდა მისი ამორტიზაცია. მიუხედავად იმისა რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ მამაკაცების არმიაში გაწვევის გამო, დავალება ეი არ შემცირებულა, გაიზარდა კიდეც. ასეთ პირობებში უდიდესი როლი უნდა შეესრულებინათ მტს-ებს.

საქმეს ართულებდა ისიც, რომ მტს-ების საუკეთესო სპეციალისტები, ტრაქტორისტები, მექანიზატორები, კომბაინერები და სხვ. ფრონტზე იყვნენ გაწვეულნი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები განიცდიდნენ მუშახელის დიდ ნაკლებობას.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის, კოლმეურნე ქალთა პატრიოტიზმმა აქაც აშკარად იჩინა თავი. არმიაში გა-

წვეულ ტრაქტორისტებს, კომბაინერებს ცვლიდნენ ქალები, მტს-ებში სამუშაოდ დაბრუნდნენ ძველი მუშაკები.

1941 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში 2907 ტრაქტორისტი მომზადდა, მათ შორის 1366 ქალი იყო. 1942 წელს მომზადდა 1445 ტრაქტორისტი, მათგან 50 პროცენტი ქალი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მუშები და მოსამსახურეები ენერგიულად შეუდგნენ სოფლის მეურნეობის სამუშაოების აგრონომიული და ზოოვეტერინარული წესების შესწავლას.

საქართველოს სსრ მშრომელთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ — შეგვეცვალა საბჭოთა არმიაში გაწვეული ამხანაგები, უფრო მეტად დავხმარებოდით ფრონტს და ქვეყანას სასურსათო პროდუქტების მიწოდებით, უფრო მეტად უზრუნველგვეყო მრეწველობა ნედლეულით.

ამ მოწოდების საპასუხოდ მტს-ში დაბრუნდა მრავალი მუშაკი. მაგალითად, გორის მტს-ში დაბრუნებულმა ამხ. ზ. ნაზარაშვილმა სამუშაოდ მოიყვანა თავისი და, რომელსაც ტრაქტორისტობა შეასწავლა. აქვე მტს-ში სამუშაოდ დაბრუნდნენ ი. ფარეხაშვილი, ი. შუღლიაშვილი. ხაშურის მტს-ში დაბრუნდნენ მ. ცხოვრებაძე, დ. იმერლიშვილი, შ. ფხიკიძე, ა. ქიმერიძე, დ. გელაშვილი, შ. კუჭაიძე, ვ. ქიმერიძე და სხვ.

მახარაძის რაიონის მტს-ში დაბრუნდნენ ყოფილი ტრაქტორისტები — მ. ფურმანი (რომელიც 300 პროცენტით ასრულებდა საწარმოო დავალებას), ლ. ტუღუში და ტ. ჩხაიძე. ამ უკანასკნელებმა ვალდებულება იკისრეს, უავარიოდ ამუშავებდნენ ტრაქტორებს და 20 — 25 პროცენტით დაზოგავდნენ საწვავს. ასეთი მაგალითი მრავალი იყო.

1942 წლის მარტში ორჯონიკიძის მხარის ტრაქტორისტმა ქალებმა საბჭოთა კავშირის ქალებს მიმართეს მოწოდებით — მონაწილეობა მიეღოთ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში სოფლის მეურნეობის სამუშაოთა წარმატებით ჩასატარებლად. ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს ქალები, განსაკუთრებით ტრაქტორისტი ქალები.

ქალები მტს-ებში მუშაობდნენ არა მარტო ხვნის სამუშაოებზე, არამედ რემონტზეც. ქალები ინიშნებოდნენ აგრეთვე კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად, ბრიგადირებად. მაგალითად, 1942 წლის გაზაფხულზე გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში თავმჯდომარეებად მუშაობდა 6 ქალი.

სოფლის მეურნეობის სამუშაოთა წარმატებით შესასრულებლად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ტრაქტორების, კომბაინების და სხვ. მანქანა-იარაღების რემონტს, მათ მომზადებას სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩასატარებლად. ამ საქმეში ხშირად ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეფერხებას. მუშახელის გარდა იგრძნობოდა დიდი ნაკლებობა რემონტისათვის საჭირო მასალებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ დაბრკოლებასთან გვქონდა საქმე 1942 წლის გაზაფხულზე. მაგრამ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ეს ამოცანაც წარმატებით იქნა გადაჭრილი. საქმეს დიდად დაეხმარა ის, რომ საქართველოს თითქმის მთელი ახალგაზრდობა, სტალინგრადის ოლქის ილოვლინსკაიას კომკავშირის და ახალგაზრდობის მოწოდების საპასუხოდ ფართოდ ჩაება ტრაქტორთა რემონტისათვის ყველა საჭირო მასალის ადგილობრივ მოპოვებისა და შეგროვების კამპანიაში.

მტს-ებმა დიდი სამამულო ომის წლებში შესაძლებლობა მისცეს კოლმეურნეობებს გაედიდებიათ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი ყამირის გატეხვის, ბუჩქნარების გაკაფვის, წინათ უვარგისად მიჩნეული და მიტოვებული მიწების გამოყენებისა და სხვ. გზით.

სამამულო ომით გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად, საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობების საერთო სიმჭლავრე, გაიზარდა მილიონერ კოლმეურნეობათა რაოდენობა, გადიდდა კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება, განუყოფელი ფონდების მოცულობა.

1944 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ითვლებოდა 4041 კოლმეურნეობა 455 100 მეურნით, ე. ი. გლეხურ მეურნეობათა 97,2 პროცენტი კოლმეურნეობებში იყო გაერთიანებული.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი შეადგენდა 1941 წელს 511 482 ათას მანეთს, 1943 წელს—1 091 242 ათას

მანეთს, 1944 წელს — 1 330 024 ათას მანეთს, 1945 წელს — 1113179 ათას მანეთს.

1 კოლმეურნეობაზე მოდიოდა საშუალოდ 1932 წელს — 13,4 ათასი მანეთი, 1941 წელს — 123,6 ათასი მანეთი, 1943 წელს — 263,2 ათასი მანეთი, 1944 წელს — 329,1 ათასი მანეთი.

კოლმეურნეობათა დაჯგუფება შემოსავლის მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებს[1]:

	1941 წ	1943 წ.	1944 წ
კოლმეურნეობათა რაოდენობა ..			
500 ათას მანეთამდე	3274	3631	5264
1 მილიონ მანეთამდე	121	353	512
1 მილიონზე ხევით.....	43	162	265

როგორც ვხედავთ, ომის წლებში მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი გაიზარდა. 1944 წელს მათი შემოსავალი საშუალოდ 2 900 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო 1 შრომადღის ფულადი ანაზღაურება გადიდდა 90 კაპიკიდან 4,4 მანეთამდე, ე. ი. თითქმის 5-ჯერ 1932 წელთან შედარებით.

1932 წელს გამომუშავებული იყო 19,6 მილიონი შრომადღე, 1944 წელს — 133 244 ათასი. 1 კოლმეურნეზე მოდიოდა საშუალოდ 1932 წელს — 72 შრომადღე, 1941 წელს — 126 შრომადღე, 1944 წელს — 145 შრომადღე.

სამამულო ომის წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება. 1945 წელს იგი შეადგენდა 1 589 235 ათას მანეთს, ნაცვლად 1941 წლის 909 570,1 ათასი მანეთისა და 1944 წლის 1 397 766 ათასი მანეთისა.

კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდების მოცულობა უდრიდა 1945 წელს — 1 829 630 ათას მანეთს, ნაცვლად

[1] შედგენილია კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მიხედვით.

1941 წლის 792055,9 ათასი მანეთისა და 1944 წლის 1 613 945 ათასი მანეთისა.

როგორც ვხედავთ, სამამულო ომის პერიოდში ადგილი ჰქონდა განუყოფელი ფონდების მნიშვნელოვან ზრდას, რაც კოლმეურნეობების გაძლიერების საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს. კოლმეურნეობები გაცილებით მეტ სასაქონლო პროდუქციას იძლეოდნენ ომის პერიოდში, ვიდრე ომამდე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ფრონტის შეუფერხებლად მომარაგებისათვის.

საკოლმეურნეო წარმოების საქონლური პროდუქციის ზრდამ, რამაც გაადიდა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა, კოლმეურნეთა მატერიალური პირობების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა კოლმეურნეები თავიანთი პირადი დანაზოგიდან ფართოდ დახმარებოდნენ ფრონტს როგორც ფულით, ისე ნატურით.

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს ცნობით 1942 წლის 20 თებერვლისათვის საქართველოს კოლმეურნეებს თავდაცვის სახალხო ფონდში, გარდა ფულის, ძვირფასი ნივთებისა და სახელმწიფო სესხთა ობლიგაციებისა, შეტანილი ჰქონდათ მარცვლეული 959,5 ტონა, კარტოფილი — 208,1 ტონა, ხორცი — 3693,6 ცენტნერი, სხვადასხვა ფრინველი — 47 ცენტნერი, კვერცხი — 20 395 ცალი, რძე — 376,8 ცენტნერი, ყველი — 284,8 ცენტნერი, ერბო-კარაქი — 14,5 ცენტნერი, მატყლი — 17,2 ცენტნერი, ახალი ხილი — 26,9 ტონა, სხვადასხვა ბოსტნეული და ბაღჩეული — 87,5 ტონა, კაკალი და წაბლი — 19,1 ტონა, მრავალი ტონა ხმელი ხილი, თაფლი, ლობიო და სხვ.

კოლმეურნეების საჩუქრები და დახმარება ფრონტისადმი უდიდეს აღფრთოვანებას იწვევდა საბჭოთა არმიის მებრძოლებში.

ქართველი კოლმეურნეების უდიდეს პატრიოტულ საქმეს წარმოადგენდა სატანკო კოლონის «ქართველი კოლმეურნის» ფონდში, აგრეთვე მთელ ქართველ მშრომელებთან ერთად,

თვითმფრინავთა ესკადრილიების «საბჭოთა საქართველოს» ასაგებ ფონდში, თანხების, სხვადასხვა ფასეულობათა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეტანა.

როგორც ვიცით, ამ მოძრაობის ერთ-ერთი დამწყები იყო ტამბოვის ოლქის ცნობილი კოლმეურნე თერაპონტე გოლოვატი, რომელმაც სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში 100 ათასი მანეთი შეიტანა. ამხ. თ. გოლოვატის კეთილშობილურ მაგალითს ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლეხობა, მათ შორის საქართველოს გლეხობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კოლმეურნეებმა მარტო სატანკო კოლონის «საქართველოს კოლმეურნის» ასაგებ ფონდში შეიტანეს 1,00 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა გააჩაღეს სახელმწიფო ფასებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარება საბჭოთა არმიისათვ და მრეწველობის მუშებისა და ინტელიგენციის ათვის.

1949 წლის 7 იანვრისათვის კოლმეურნეებმა, რომლებსაც შესრულებული ჰქონდათ ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე დამზადებათა დარგში, თავიანთი გარდამეტიდან ჩააბარეს გეგმის ზევით 248 ათასი ფუთი სასურსათო პროდუქტები, მათ შორის მარცვლეული — 168 ათასი ფუთი, ხორცი — 17 ათასი ფუთი, ერბო-კარაქი და ყველი — 1900 ფუთი, ბოსტნეული და კარტოფილი — 45 ათასი ფუთი და სხვ.

ნეტად დიდი თანხები შეჰქონდათ სატანკო კოლონის «ქართველი კოლმეურნის» ასაგებ ფონდში ცალკეულ კოლმეურნეებს. გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ჯგუბურიამ შეიტანა 300 ათასი მანეთი, გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. ტატიაშვილმა შეიტანა 120 ათასი მანეთი, ხოლო ამ კოლმეურნეობის ბუჰხალტერმა — 40 ათასი მანეთი, წალკის რაიონის კოლმეურნეობა «სოვეტაკან ვრასტანის» სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — 100 ათასი მანეთი და სხვ.

საქართველოს კოლმეურნეებმა დიდი თანხა შეიტანეს აგრეთვე თვითმფრინავთა ესკადრილიების «საბჭოთა საქართველოს» ასაგებ ფონდში. სულ საქართველოს მშრომელების მიერ ამ მიზნით შეგროვილ 261 მილიონ მანეთიდან კოლმეურნე გლეხობაზე მოდიოდა 211 მილიონი მანეთი, დანარჩენი შეიტანეს მუშებმა და ინტელიგენციამ.

ცხადია, მშრომელი მასების ასეთი პატრიოტიზმი, მათი ღრმა შეგნება სამშობლოს გადასარჩენად, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც მშრომელებმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ ნამდვილად გაიგეს საბჭოთა წყობილების ძალა და მნიშვნელობა, სადაც მათ ნამდვილად დაინახეს სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

თავის სიტყვაში 1919 წლის 16 აპრილს მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: «ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას»[1].

საქართველოს კოლმეურნე გლეხობისათვის დიდ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა დახმარება წითელარმიელთა ოჯახებისათვის. მარტო 1943 წელს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების ფონდში შეგროვებული იყო ხორბალი — 2229 ტონაზე მეტი, კარტოფილი — 204 ტონაზე მეტი, ლობიო — 38 ტონა, ცხიმეული — 3,5 ტონა, სხვადასხვა პროდუქტები — 97 ტონაზე მეტი. ფრონტელთა ოჯახებს დაურიგდა 1000-მდე სული პირუტყვი. გარდა ამისა, მათ კოლმეურნეები ეხმარებოდნენ შრომით, ფინანსურად და სხვ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 370.

1943 წლიდან საქართველოს კოლმეურნეები სისტემატურ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევის შედეგად გერმანელ-ფაშისტ ურდოებისაგან განთავისუფლებულ მოსახლეობას. ამ მიზნით ისინი ათასობით ჰექტარზე დამატებით თესდნენ მარცვლეულს, ბოსტნეულს და სხვა კულტურებს. მაგალითად, 1943 წელს განთავისუფლებული ბოძმე ხალხთა დასახმარებელი ფონდისათვის დაითესა 5500 ჰექტარი მარცვლეული და ბოსტნეული კულტურები, ჩაბარდა 1150 ტონაზე მეტი პური, გადაცემული იქნა 9 ათასი სული პირუტყვი და სხვ.

1944 წელს ქართველმა კოლმეურნე გლეხობამ ვალდებულება იკისრა გადაეცა განთავისუფლებულ ძმებისათვის 18 ათასი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 5 ათასი ცხვარი და თხა, 3 ათასი სული ღორი, 300 ცხენი.

ყველა ეს დაპირება მათ გადაჭარბებით შეასრულეს.

გარდა ამისა, შეასრულეს რა პურის ჩაბარების გეგმა, საქართველოს კოლმეურნეებმა 550 ათას ფუთზე მეტი მარცვლეული მიყიდეს სახელმწიფოს.

ყოველივე ეს აშკარად მეტყველებს იმის შესახებ, თუ, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობის მსგავსად[1], როგორი პატრიოტული გრძნობებით განიმსჭვალა საბჭოთა საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სამამულო ომის პერიოდში, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა იგი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

მეურნეობის სოციალისტური ფორმების — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამარჯვებამ, სოფლის მეურნეობის აღშურვამ რთული მანქანა-იარაღებით — ტრაქტორებით, კომბაინებით და სხვ. უდიდეს ციხე-სიმაგრედ აქცია საბჭოთა სოფელი. ჩვენმა სოციალისტურმა სოფელმა არა მარტო გაუძლო ომის სიძნელეებს და მის რთულ პირო-

---

[1] ი. ლ ა პ ტ ე ვ ი, საკოლმეურნეო წყობილება სამამულო ომის პირობებში, 1944, გვ. 27.

ბებს, არამედ განმტკიცდა კიდეც, მიაღწია ახალ სამეურნეო მაჩვენებლებს.

უეჭველია, ჩვენს სოფლის მეურნეობას, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს კიდევ უფრო მეტი წარმატებები ექნებოდათ, ისინი კიდევ უფრო სასურველ შედეგებს მიაღწევდნენ, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ყველა შესაძლებლობა. თქმა არ უნდა, რომ ბევრ კოლმეურნეობაში სათანადოდ არ იბრძოდნენ მოსავლის გადიდებისათვის, არ იყენებდნენ ამისათვის თუნდაც ნაკელს და სხვა ადგილობრივ სასუქებს, როგორც მოსავლიანობის გადიდების ძვირფას საშუალებებს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო განვითარებას, მუშახელის ნაკლებობისა და ტექნიკური აღჭურვილობის განსაზღვრულობის გარდა, დიდად უშლიდა ხელს ზოგიერთი ზარმაცი და წამგლეჯი ელემენტის უყაირათო მუშაობა, შრომის დისციპლინის შესუსტება, ზოგიერთ კოლმეურნეობისადმი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ნაკლები ყურადღება და კონტროლი.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პარტიისა და მთავრობის დადგენილება «კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ» [1] მთელი რიგი რაიონის კოლმეურნეობებში ზოგიერთი კოლმეურნე თავს არიდებდა საზოგადოებრივ შრომას და არ უზრუნველყოფდა შრომადღეების მინიმუმის გამომუშავებასაც კი. მაგალითად, 1944 წელს ლანჩხუთის რაიონში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა 16 პროცენტს, საჩხერის რაიონში — 28,8 პროცენტს, აბაშის რაიონში — 28 პროცენტს.

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობა «1 მაისში» გამგეობაზ 415 კოლმეურნიდან შრომის უნარმოკლებულთა კატეგორიას მიაკუთვნა 208 კაცი. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ზო-

---

[1] კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ, 1942.

ვიერთ სხვა კოლმეურნეობებშიც, რასაც ხშირად არ უწევ-დნენ სათანადო წინააღმდეგობას.

საქმეს დიდად უშლიდა ხელს ისიც, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათანა-დოდ ვერ იბრძოდნენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სა-მეურნეო განმტკიცებისათვის, მტს-ების მუშაობის გაუმჯობე-სებისათვის, ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს, სათანადო პასუხს არ თხოვდნენ გაიძვერა და წამგლეჯ ელემენტებს, ზოგჯერ თვითონ ექცეოდნენ მათ გავლენაში; როგორც ზემო-თაც აღვნიშნეთ, ზოგიერთი რაიკომისა და რაიაღმასკომის მუშაკი თვითონ ეწეოდა კოლმეურნეობათა დოვლათის მითვი-სებას, საკოლმეურნეო მიწების დატაცებას[1].

უდავოა, რომ ეს გარემოება მოითხოვდა გადამჭრელი ზო-მების მიღებას, მაგრამ საქართველოს ზოგიერთი ხელმძღვანე-ლი პარტიული და საბჭოთა მუშაკი წაყრუებას ინენდა ასეთი ელემენტებისა და მახინჯი მოვლენების მიმართ.

ცხადია, ყოველივე ამის გამოსწორება, სოფლის მეურნეო-ბის შემდგომი განვითარება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმ-ტკიცება, მშრომელი მასების მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესება წარმოადგენდა სერიოზულ ამოცანას, რასაც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მტკიცედ მოჰკიდეს ხელი დიდი სამამულო ომის დამთავრების დღიდანვე.

---

[1] კოლმეურნეობათა და საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, 1944.

თავი VII

კოლმეურნე გლეხობა ომისშემდგომ პერიოდში

გერმანიის პირსისხლიან ფაშიზმთან და იაპონიის აღვირახსნილ იმპერიალისტებთან ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, განსაკუთრებით იმ რესპუბლიკებს, რომლებიც დროებით ოკუპირებულნი აღმოჩნდნენ ფაშისტი ბარბაროსების მიერ.

საქართველოს, მართალია, არ განუცდია საომარი მოქმედებით უშუალო ნგრევა, ოკუპაცია, მაგრამ ომმა მის ეკონომიკასაც სერიოზული ზიანი მიაყენა.

ომის შედეგების ლიკვიდაცია პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა, საჭირო იყო უახლოეს დროში სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის მიღწევა და მისი შემდგომ მძლავრი განვითარების უზრუნველყოფა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლება.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა მოკლე დროში ამის განხორციელების სრულ შესაძლებლობას იძლეოდა.

ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის, საქართველოს კოლმეურნე გლეხებისთვისაც ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მისი განვითარების ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად საპროგრამო დოკუმენტებს წარმოადგენდა ი. ბ. სტალინის გამოსვლა

წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს[1], «კანონი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ»[2], რომლის შესაბამისად შედგენილ იქნა «კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ»[3], საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1947 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება «ომისშემდგომ პერიოდში, სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ»[4], სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 თებერვლის დადგენილება «კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების ღონისძიებათა შესახებ"[5].

ამათ გარდა საქართველოს სსრ-სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 15 თებერვლის დადგენილებას «საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ» და სხვ.

ახალი წარმატებანი

1946 წელი საქართველოსათვის ხელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატური პირობებით დაიწყო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სხვა რესპუბლიკებისა და მხარეებისათვის (უკრაინა, ყირიმი, მოლდავეთი, პოვოლოჟიე, ცენტრალური შავნიადაგიანი რაიონები) 1946 წელი დიდი მოუსავლიანობით ხასიათდებოდა, რამაც საბჭოთა კავშირის მას-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, 1953.

[2] კანონი სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, 1946.

[3] კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, 1946.

[4] იხ. ომისშემდგომ პერიოდში პარტიული მუშაობის საკითხი, დოკუმენტების კრებული, 1949.

[5] საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის სახელმძღვანელო მასალათა კრებული, 1954, გვ. 335.

შტაბით დიდად შეამცირა სასოფლო-სამეურნეო კულტურეების მოსავლიანობა, გააუარესა მეცხოველეობის საკვები ბაზის მდგომარეობა, მაგრამ განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებით გვალვის შედეგები მალე იქნა აღმოფხვრილი. ამან ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა მისცა 1947 წელს წარმატებით შესდგომოდა სუთწლიანი გეგმის შესრულებას როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

საქართველოს სსრ-ში ომის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა კულტურის ნათესი ფართობი, მათ შორის მარცვლეულისაც. მთელ ნათესებში მარცვლეულ კულტურებს ეჭირა გაბატონებული ადგილი. მაგალითად, მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ხვედრიწონა მთელ ნათესებში უდრიდა 1946 წელს 86,8 პროცენტს, 1947 წელს 84,2 პროცენტს, 1948 წელს 84,5 პროცენტს, 1949 წელს 84,6 პროცენტს, 1950 წელს 85,2 პროცენტს.

1946 — 1950 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ტექნიკური კულტურების — თამბაქოს, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის და სხვ. ფართობი, რამაც 1950 წელს 42 500 ჰექტარი შეადგინა, მაგრამ ჩამორჩებოდა 1940 წლის დონეს, როცა იგი 49,6 ათას ჰექტარს უდრიდა, ჩამორჩებოდა აგრეთვე თვით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებასაც, როცა მას 48 ჰექტარისათვის უნდა მიეღწია. ამის მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს მაშინდელი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ სოფლის მეურნეობაში დაშვებული შეცდომები, რომლის მიხედვით მიღებული იყო, რომ საქართველოს მოსახლეობას თავისი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია საკუთარი წარმოების პურით. ამისათვის გათვალისწინებულ იქნა ხორბლეულის ნათესი ფართობის მნიშვნელოვნად გადიდება, რაც რამდენადმე ჩატარდა ტექნიკური კულტურების ფართობის შემცირების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა მრავალწლიან ნარგავებს, მათ შორის — ჩაის, ციტრუსებს, ვენახს, ხეხილის ბაღებს და სხვ.

საქართველოს სს რესპუბლიკა ციტრუსოვანთა ნაყოფით საბჭოთა კავშირის მომარაგების მთავარი რაიონია. ამიტომ ბუნებრივია, პარტიამ და მთავრობამ ომის დამთავრებისთანავე ამ დარგს სერიოზული ყურადღება მიაქცია.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ ითვალისწინებდა 1950 წლის დამლევისათვის საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების ფართობი აყვანილი ყოფილიყო — 29 ათას ჰექტარამდე. 1946 — 1950 წლებში უნდა გაშენებულიყო ციტრუსოვან კულტურების ახალი პლანტაცია — 11 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის ფორთოხალისა — 3 ათასი ჰექტარი, ლიმონისა — 3 ათასი ჰექტარი. ხოლო მანდარინისა — 5 ათასი ჰექტარი. წლების მიხედვით უნდა გაშენებულიყო: 1946 წელს — 1 ათასი ჰექტარი, 1947 წელს — 1500 ჰექტარი, 1948 წელს — 2700 ჰექტარი, 1949 წელს — 3750 ჰექტარი, 1950 წელს — 2250 ჰექტარი.

დადგენილება სერიოზულ ყურადღებას აქცევდა სუბტროპიკული კულტურების ჯიშების გადაჭრით გაუმჯობესებას ყინვაგამძლე, დიდმოსავლიან, ადრემომწიფების და საუკეთესო გემოს მქონე ჯიშების გამოვლინებას. ამ მიზნით იმ სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, რომლებიც სუბტროპიკული კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანაზე მუშაობდნენ, დაწესდა პრემიები; გათვალისწინებული იყო მაღალხარისხოვანი ჯიშების გამოყვანისათვის ერთდროული პრემიების გაცემა: ფორთოხალსა და ლიმონზე 100 ათას მანეთამდე, მანდარინისა და სხვა სუბტროპიკული ხეხილის კულტურებზე 50 ათას მანეთამდე. ამასთან გათვალისწინებული იყო ციტრუსების დარგში მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების ძირეულად გაუმჯობესება, სათანადო სასურსათო მომარაგება, ბინებით დაკმაყოფილება და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს სსრ-ში ჩაის პლანტაციები დაზიანდა იმით, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის განოყიერებას

სასუქებით. მუშახელის სიმცირე საშუალებას არ იძლეოდა პლანტაციების ნიადაგის სისტემატურ გაფხვიერებისათვის, ნაკლებად ტარდებოდა ფუმიგაცია, ხდებოდა ბუჩქების გადაჭარბებული ექსპლოატაცია, გაიზარდა მეჩხერიანობა და სხვ.

1945 წლიდან ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შემცირებამ მესამე ხარისხის მწვანე ფოთლის ხარჯზე, ხოლო 1946 წლიდან ჩაის პლანტაციების სათანადო მოვლამ, მინერალური სასუქების გამოყენებამ და სხვ. საგრძნობლად გააუმჯობესა ჩაის პლანტაციების მდგომარეობა.

1946 წელს ჩაის მწვანე ფოთლის პირველი ხარისხის გადაჭარბებით შესრულების შედეგად ჩაის რაიონების კოლმეურნეობებმა მხოლოდ პრემია დანამატის სახით 9600 ათასი მანეთი მიიღეს.

მიუხედავად ამისა ჩაის პლანტაციების მდგომარეობა კიდევ არ იყო სავსებით გამოსწორებული, აღმოფხვრილი არ იყო მეჩხერიანობა, რასაც ყურადღება მიაქცია საკ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის 1947 წლის თებერვლის პლენუმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ «1947—1948 წლების განმავლობაში ბოლო მოეღოს ჩაის პლანტაციების სიმეჩხერეს...»[1]. თებერვლის პლენუმმა უდიდეს საბრძოლო ამოცანად დასახა, რათა 1948 წლისათვის ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის რაოდენობას ომამდელ დონისათვის გადაეჭარბებია.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით კი 1950 წელს ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავალი აყვანილი უნდა ყოფილიყო — 70 ათას ტონამდე, მათ შორის ძირითადი ფოთლისა — 60 ათას ტონამდე და უხეშისა — 10 ათას ტონამდე[2]. ხუთწლედის ეს დავალება გადაჭარბებით იქნა შესრულებული. 1950 წელს მოკრეფილი იქნა 83 724 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 1913 წლის დაახლოებით 500 ტონისა.

---

[1] ომისშემდგომ პერიოდში პარტიული მუშაობის საკითხები, 1949, გვ. 155;

[2] კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გვ. 22.

ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რა გიგანტური განვითარება მიიღო ჩაის კულტურამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს და კოლმეურნეთა რა დიდი შემოსავლის წყაროდ იქცა იგი.

1946 წელს ჩაის რაიონების კოლმეურნეობათა შემოსავალი მეჩაიობიდან შეადგენდა 173 830 ათას მანეთს, ანუ მთელი შემოსავლის 41 პროცენტს. ჩაის ძირითად რაიონებში კი მეჩაიეობიდან შემოსავლის ხვედრიწონა კიდევ უფრო მაღალი იყო. ასე, მაგალითად, 1946 წელს იგი უდრიდა მახარაძის რაიონში 39 მილიონ მანეთს, ანუ მთლიანი შემოსავლის 62,4 პროცენტს, ქობულეთის რაიონში — 25 მილიონ მანეთს, ანუ შემოსავლის 61 პროცენტს და ა. შ.

მრავალწლიან ნარგავთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მეხილეობა. ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, ლეღვის, ბროწეულის, ნუშის, კომშის და სხვათა ფართობების შემდგომი გადიდება მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა.

1946 წელს ხეხილის ბაღების ფართობი საქართველოში შეადგენდა 79644,4 ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 66348 ჰექტარისა, 1949 წელს იგი უდრიდა 89293,0 ჰექტარს, 1950 წელს 90091,2 ჰექტარს, ე. ი. 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 26,3 პროცენტით.

ხეხილის შემდეგ ყველაზე დიდი ფართობი ეჭირა ვენახს. როგორც აღნიშნული იყო, ვაზის კულტურა სამამულო ომის პერიოდში საგრძნობლად დაზიანდა, ვენახის ნაწილი დაიღუპა, მოსავალი შემცირდა. 1946 წლიდან იწყება ვენახის აღდგენა. მარტო 1947 წელს გაშენდა — 1116 ჰექტარი ვენახი, 1948 წლის დასაწყისისათვის გვქონდა დაბლარი ვენახი 48 501 ჰექტარზე. აქედან კოლმეურნეობაში — 18000 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში — 2196 ჰექტარი. მაღლარს ეჭირა 10 ათასი ჰექტარი. 1950 წელს ვენახს ეჭირა 53 838 ჰექტარი, ნაცვლად 1949 წლის 52 ათასი ჰექტარისა, ე. ი. ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს, როცა ვენახის ფართობი უდრიდა 54 748 ჰექტარს.

უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ომისშემდგომ პერიოდში

წარმოადგენდა მეცხოველეობის როგორც რაოდენობრივი, ისე პროდუქტიულობის მხრივ აღდგენა და შემდგომი განვითარება. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა საშუალება იქნა გამოყენებული რესპუბლიკაში მეცხოველეობის ნამდვილი აღმავლობისათვის. მეცხოველეობის ზოგიერთი სახის მიხედვით ხუთწლედის ბოლოს ზრდის ნაცვლად ადგილი ჰქონდა კლებას, რაც აიხსნებოდა ამ დარგში სუსტი მუშაობით.

სოფლის მეურნეობის ხაზით საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მუშაობის მანკიერებას ისიც გვიჩვენებდა, რომ სიტყვით თუმცა ლაპარაკი იყო მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე, ნამდვილად კი ძლიერ ცოტა კეთდებოდა ამ მიმართულებით.

დიდ ნაკლს წარმოადგენდა ისიც, რომ რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა «გათანაბრებას» განაწილებაში, რაც კეთილსინდისიერ მესაქონლე კოლმეურნეებს სტიმულს უკარგავდა შრომაში, პირუტყვის ნამატის შენარჩუნებაში, მოზარდეულის გამოზრდაში და საერთოდ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში.

ხშირი იყო პირუტყვის განიავების, დატაცების, დაცემის შემთხვევა, დიდ პროცენტს შეადგენდა ბერწიანობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1949 წლის 21 აპრილს მიიღო დადგენილება «საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოზარდეულის გამოზრდის, მოზრდილი პირუტყვის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დარგში დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებით ანაზღაურების შესახებ». ამ დადგენილებით რჩევა ეძლეოდათ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს, 1949 წლიდან მიეცათ კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე დაწესებული ანაზღაურების გარდა დამატებითი ანაზღაურება მოზარდეულის გამოზრდის, მოზრდილი პირუტყვის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დარგში დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. დადგენილებით განსაზღვრული იყო ის ნორმები, რაც პირუ-

ტყვის მომვლელებს დამატებით უნდა მიეღოთ შრომადღეებზე პროდუქტი ნატურით: რძის, ხბოების, ბატკნების, გოჭების და ფრინველების სახით, იმის მიხედვით, თუ ვინ როგორი მაჩვენებლებით მუშაობდა აღნიშნულ დარგებში.

ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების თვალსაზრისით, არამედ მეცხოველეობაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საერთოდ ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

მოსავლიანობის გაზრდების ამოცანა

1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოფლის მეურნეობის ხაზით წარმოადგენდა მოსავლიანობის ყოველმხრივი ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდება, მიწათმოქმედების კულტურის და მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გამოყენების გზით[1].

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ერთ-ერთ დიდ წამახალისებელ ღონისძიებას წარმოადგენდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1947 წლის 29 მარტის თარიღით ბრძანებულების გამოცემა ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ. ამ ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების, ორდენებისა და მედლების მიღება შეეძლო ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ყველა მუშაკს, თვითეულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაკს, რომლებიც თავს გამოიჩენდნენ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში, დააჩქარებდნენ სოფლის მეურნეობის აღმავლობას. ბრძანებულებით

---

[1] კანონი სსრკ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, 1946, გვ. 21.

დაწესებული მოსავლიანობის მაჩვენებლები მისაწვდომი იყო ფართო მასებისათვის და ქმნიდა მემინდვრეობისა და ტექნიკური კულტურების დარგში მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების მძლავრ სტიმულს[1].

ამით აღფრთოვანებულმა საბჭოთა კავშირის მილიონობით კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა გაშლილი ფრონტით დაიწყეს შეტევა პარტიისა და მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესრულებისათვის. ამ შეტევის შედეგი იყო სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდება, პურის დაბზადების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, სასურსათო ბარათების გაუქმება, ფასების შემცირება, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლება და სხვ.

სოციალისტურმა მიწათმოქმედებამ 1947 წელს მარცვლეულის პროდუქცია 58 პროცენტით გაადიდა. ამის შედეგად სახელმწიფოს დაახლოებით იმდენივე პური ჩაბარდა, რამდენიც მას ომამდელ საუკეთესო წლებში ბარდებოდა.

სოფლის მეურნეობის ამ აღმავლობაში უდიდესი როლი სოციალისტურმა შეჯიბრებამ შეასრულა, რომელშიც ჩაბმული იყო ყველა რესპუბლიკა, ოლქი, რაიონი, კოლმეურნეობა. საბჭოთა მეურნეობა.

1948 წელს შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დიდ ჯგუფს 1395 კოლმეურნის, ტრაქტორისტის და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკების შემადგენლობით (მხოლოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში) სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ათეულ ათასობით მოწინავე დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლამ ფართო გაქანება მიიღო საქართველოს სსრ რესპუბლიკაშიც. ამის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ვალდებულებანი, რომლებიც საქართველოს სსრ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეო-

---

[1] გაზ. Правда, 1947, 31 მარტი.

ბებისა და მტს-ების მუშაკებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა აიღეს 1947 წლის აპრილში.

ამ პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში სერიოზული წარმატებები იყო მიღწეული. მაგალითად, 1947 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა 50 ათასი ტონით გადააჭარბა 1945 წლის მოსავალს. სახელმწიფოს ჩაბარდა 31,5 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს. მიღებულ იქნა ციტრუსოვანთა ნაყოფის მაღალი მოსავალი და სახელმწიფოს ჩაბარდა 578 მილიონ ცალზე მეტი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი.

კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს დიდი გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები. სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა შესრულებულ იქნა 119 პროცენტით, დამზადდა 27 600 ტონაზე მეტი ყურძენი, ე. ი. გეგმის 102,4 პროცენტი. სახელმწიფოს ჩაბარდა 11 300 ტონა თამბაქოს ნედლეული, ე. ი. 107,7 პროცენტი.

საქართველოს სოფლის მუშაკთა და სპეციალისტთა მიერ ამ ვალდებულების აღების გამო გაზეთი «პრავდა» თავის 1947 წლის 17 აპრილის მოწინავე სტატიაში წერდა: «საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდ მიზნებსა და ამოცანებს ისახავენ. ისინი ისწრაფვიან სოფლის მეურნეობაში ახალი პოზიციების დაპყრობისაკენ. ისინი დიდ პასუხისმგებლობას კისრულობენ და ცოტა სიძნელის გადალახვა როდი მოუხდებათ ახალი აღმავლობისათვის, თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პლანტაციების ახალი აღვაღებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ისინი გამსჭვალული არიან რწმენით თავისი ძალებისადმი და არ დაიშურებენ ენერგიას, რათა შეასრულონ პარტიისათვის მიცემული პირობა. წარმატების საწინდარს წარმოადგენს მათი თავდადებული შრომა»[1].

პარტიისა და მთავრობისადმი ამ დაპირების შესასრულებ-

---

[1] გაზ. Правда, 1947, 17 აპრილი.

ლად საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურ-ნეობებისა და მტს-ების მუშაკები მიმართავდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რაიონებს, კოლმეურნეობებს, ბრიგადებს შორის; იწვეოდა თათბირები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხზე სოფ-ლის მეურნეობის პრაქტიკოსების მონაწილეობით როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, იმართებოდა კოლმეურნეთა, საბ-ჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა შეკრებები და ახალ ვალდებულებათა აღება. ამის შედეგად მათ ნაკისრი ვალდებულება წარმატებით შეასრულეს: ჩაის, ციტრუსოვან-თა ნაყოფის, ყურძნის, თამბაქოს, მარცვლეული კულტურე-ბის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ზეთოვანი და სხვ. კულტუ-რების მაღალი მოსავალი იქნა მიღებული.

რესპუბლიკაში მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარ-და 35320 ტონა ჩაის ძირითადი ფოთოლი, ვალდებულებით კი გათვალისწინებული იყო 31 ათასი ტონის მოკრეფა და ჩა-ბარება, სოლო გეგმა ითვალისწინებდა 30 ათასი ტონის ჩაბა-რებას, ანუ გეგმა შესრულებული იქნა 3,3 პროცენტის გადა-ჭარბებით.

1947 წელს მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეციტრუსეებ-მაც. ამ წლის ციტრუსოვანი კულტურების მოსავალი ყველა წინა წლის მოსავალზე მაღალი იყო. დამამზადებელი ორგანი-ზაციებისათვის 600 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

მიღწეულ იქნა ვენახების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება. ამის შედეგად 1-ლ ნოემბრისათვის სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა 32742 ტონა ყურძენი, გეგმის 100,4 პროცენ-ტი, სულ ყურძენი ჩაბარებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაჭარ-ბებით. ზესტაფონის, გურჯაანის, ყვარლის, ამბროლაურის, ცაგერის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძისა და თელავის რაიონების კოლმეურნეებმა ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს და ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს.

1947 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურების ნათეს თვითეულ ჰექტარზე გაცილებით მეტი

მოსავალი იქნა აღებული, ვიდრე ყველა მოსავლიან წლებში ომამდე. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, რასაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში, მოლიანად რესპუბლიკაში მიღებულ იქნა თავთავიანი კულტურების მაღალი მოსავალი. მაგალითად, კოლმეურნეობებმა 1947 წელს მიიღეს 3 053 ათასი ცენტნერით მეტი მარცვლეულის საერთო მოსავალი, ვიდრე 1940 წელს. მარცვლეული და ბარკოსანი კულტურების საშუალო მოსავალი თვითეულ ჰექტარ ნათესზე შეადგენდა 1940 წელს 8,4 ცენტნერს, 1946 წელს 9,4 ცენტნერს, 1947 წელს 12,4 ცენტნერს და 1948 წელს იგივე 12,4 ცენტნერს.

1947 წელს რესპუბლიკაში მიღებულ იქნა სიმინდის ისეთი მოსავალი, როგორიც საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს არასოდეს არ მიუღიათ. ცხაკაიას, აბაშის, ფოთის, ლანჩხუთის, ხობისა და ქუთაისის რაიონებში აღებულ იქნა სიმინდის 3—4-ჯერ მეტი მოსავალი, ვიდრე 1946 წელს. ხოლო გალის, ზუგდიდის, ოჩამჩირის, გულრიფშის, მახარაძის, ყვარლის, კაპრეთის, ვანის, მარნეულისა და სხვ. რაიონებში აღებული იქნა 1946 წელთან შედარებით 2—3-ჯერ მეტი მოსავალი.

1947 წელს საქართველოს სსრ-ში თამბაქოს უხვი მოსავალი იქნა მიღებული. 1 ნოემბრისათვის აღებული იყო 139 მილიონი ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი, ე. ი. გეგმაზე 33 მილიონი ზონარმეტრით მეტი.

განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთის მეთამბაქოებმა.

1947 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების მხრივაც. მაგალითად, კარტოფილი თვითეულ ჰექტარზე აიღეს 100 ცენტნერზე მეტი. წინა წელთან შედარებით მაღალი მოსავალი მიიღეს ბოსტნეულის, ლობიოს, მზესუმზირას, სოიას, და სხვ. კულტურებიდანაც.

აღნიშნული წარმატებები მოსავლიანობის გადიდების საქმეში 1947 წელს აიხსნებოდა არა მარტო ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, როგორც ამის შესახებ ფიქრობდნენ მაშინ

ზოგიერთები, არამედ კოლმეურნეთა და საერთოდ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ბეჯითი შრომით.

1947 წელს უხვი მოსავლის მიღებამ სოფლის მეურნეობის კულტურების თითქმის ყველა დარგში შესაძლებლობა მოგვცა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეგვესრულებია სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმები.

1948 წელს უხვი მოსავლის მისაღებად, ახალი შრომითი აღმავლობის ფართოდ გასაშლელად საქართველოს კოლმეურნეებმა, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს. ისინი პირობას იძლეოდნენ მიაღწევდნენ ახალ, უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებებს მთელი საბჭოთა კავშირისათვის ძვირფასი ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, თამბაქოს, ხორბლის, სიმინდის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღების და პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

ამ მხრივ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის დიდ წამახალისებელ ზომას წარმოადგენდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილის ბრძანებულება «ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, ბრინჯის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სამყურას, იონჯისა და ტიმოთელას უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ» და იმავე წლის 25 მაისის ბრძანებულება «ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ», აგრეთვე 2 ივნისის ბრძანებულება «ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ» და ბრძანებულება «თამბაქოსა და წეკოს უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ».

ამ დოკუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მთელ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას საქართველო ამარაგებდა ჩაით, ლიმონით, ფორთოხლითა და მანდარინით, აგრეთვე მაღალხარისხოვანი თამბაქოთი. ეს ბრძანებულებები ახალი, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო უხვი მოსავლისათვის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოფლის მშრომელთა გმირული ბრძოლის საქმეში.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვა ღონისძიებათა შორის დიდად უწყობდა ხელს მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და ცალკეული მეცნიერ მუშაკების მიერ კვლევითი მუშაობის შედეგად მიღებული დასკვნები.

საქართველოს მეცნიერ მუშაკებმა და პრაქტიკოსებმა მიჩურინული ბიოლოგიის საფუძველზე შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს მცენარეებისა და ცხოველების ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში. მაგალითად, საქარის საცდელმა სადგურმა გამოიყვანა ვაზის ახალი ძვირფასი ჯიშები; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალმა გამოიყვანა ქართული ჩაის ახალი ჯიშები № 1 და № 2 და წარმატებით შეუდგა მუშაობას საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებისათვის ყინვა-გამძლე ჩაის ჯიშების გამოსაყვანად[1]. სახელმწიფო სასელექციო სადგურმა რესპუბლიკის მთიანი რაიონებისათვის გამოიყვანა და წარმოებაში დანერგა საგაზაფხულო ხორბალი «დიკა», უდაბნოს

---

[1] მ. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი, ჩაის ქართული ჯიშების წარმოებაში დანერგვის პერსპექტივები, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1950, გვ. 5.

საცდელ-სასწავლო მეურნეობაში გამოყვანილ იქნა ცხვრის ახალი ქართული ჯიში ადგილობრივი თუშური ცხვრის საუკეთესო თვისებებით და მერინოსის ნახევრად წმინდა მატყლით[1]; ტენიან სუბტროპიკულ სასელექციო სადგურში დაწყებულ იქნა მუშაობა ციტრუსოვანი და სხვ. კულტურების ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციის დარგში.

მიჩურინელმა პრაქტიკოსმა, მებაღე-მეხილე ვასილ ბესტავაშვილმა გამოიყვანა ატმისა და ყურძნის ახალი ჯიშები «ბესტავაშვილი» და «ცოდისური», მეაბრეშუმეობის ინსტიტუტმა გამოიყვანა თუთის 6 ახალი ჯიში, თუთის აბრეშუმის ჭიის ორი ახალი ჯიში და სხვ.

ყოველივე ეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს დიდად უადვილებდა ბრძოლას მაღალი მწარმოებლური შედეგების მისაღწევად. მეცნიერების მოწინავე გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელი ხდებოდა სოფლის მეურნეობაში ანგარიში არ გაგვეწია ბუნების კაპრიზებისათვის და უზრუნველგვეყო მაღალი მოსავალი ყველა კულტურის მიხედვით.

---

[1] ამას წინათ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ამოწმებდა ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დამსახურებული ზოოტექნიკოს—ბონიტერის ი. ბაძოშვილის მიერ გამოყვანილი ახალი ცხვრის სანაშენო და პროდუქტიულ თვისებებს.

კომისიის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლ. კ. გრებენმა აღნიშნა:

ელდარის საბჭოთა მეურნეობაში თითქმის ოცი წლის მუშაობის შედეგად შექმნილია ახალი ჯიშის ნაზმატყლიანი, დუმიანი ცხვარი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ცხვარი პირველია მსოფლიოში, რადგან ამ ცხვარში შეხამებულია ნაზი, რბილი ელასტიური მატყლი და დიდი მსუქანი დუმა. ახალი ჯიშის ცხვარი ამტანია და კარგად ეგუება მთის საძოვარზე შენახვას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ახალი ჯიშის ცხვრებსა და ყოჩებს პირველი ხარისხის დიპლომები მიენიჭა. ცალკეული ეგზემპლარები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენების ჩემპიონებად აღიარეს, (იხ. გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1957, 1 მაისი).

ბევრმა კოლმეურნეობამ მაღალი სამეურნეო მაჩვენებლების შედეგად დიდად გაიუმჯობესა მდგომარეობა, აიმაღლეს მატერიალურ-კულტურული დონე.

1948 წელს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 9 235 ათასი კილოგრამი ჩაის მაღალხარისხის ფოთოლი, 1028 ათასი კილოგრამით მეტი. ვიდრე 1947 წელს; სეზონის ბოლომდე იკისრეს ჩაებარებიათ კიდევ 2 100 ათასი კილოგრამი, რაც მთლიანად გაანაღდეს. მარტო 1947 წელს მათ ჩაიდან მიიღეს 57 982 533 მანეთი. მთელი შემოსავალი კი უდრიდა 77 198 434 მანეთს.

ლანჩხუთის რაიონს აღებული ჰქონდა ვალდებულება სახელმწიფოსათვის ჩაებარებია 2 440 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად ჩააბარა 2 910 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, აქედან 86,4 ათასი პირველი ხარისხისა იყო.

კოლმეურნეობებმა 1948 წელს ჩაიდან მიიღეს—27 210 790 მანეთის შემოსავალი, მთელი შემოსავალი კი 41 897 ათას მანეთს შეადგენდა. 1946 წელს ჩაიდან შემოსავალი შეადგენდა 11 321 019 მანეთს, ხოლო მთელი შემოსავალი 23 125 560 მანეთს.

იმავე რაიონის სოფ. ლესის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის კომუნისტ მ. მშვილდაძის რვოლს ვალდებულება ჰქონდა აღებული 1 ჰექტარ ფართობზე მოეკრიფა — 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფა — 18 ათასი კილოგრამი, ხოლო 8 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 8 ათასი კილოგრამი ჩაი.

მაღალ მოსავალს ღებულობდნენ საქართველოს სსრ კოლმეურნეობები მევენახეობის, მეციტრუსეობის და სხვ. დარგში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებული შრომა საბჭოთა მთავრობის მიერ სათანადოდ იქნა შეფასებული. 1947—1950 წლებში ჩაის მწვანე ფოთლის, თამბაქოს, ყურძნის, ხორბლის, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიღების საქმეში თვალსაჩინო წარმატებათა მოპოებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის დარგში

მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფისათვის მთავრობის ზემოხსენებულ ბრძანებულებათა შესაბამისად სხვადასხვა ჯილდო მიიღო რესპუბლიკის თითქმის 9 500 კაცმა, აქედან სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 1025 კაცს.

სოციალისტური შრომის გმირთა შორის იყვნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირები და მერგოლურები[1], რომლებმაც მნიშვნელოვანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს სიმინდის მოსავალი 80-დან 136 ცენტნერამდე, ხორბალი—30—40 ცენტნერამდე, ჩაის მწვანე ფოთოლი 10 200-დან 16 ათას კილოგრამამდე, თამბაქო 20-დან 30 ცენტნერამდე. ყურძნისა — 100 ცენტნერი, და სხვ.

სოციალისტური შრომის გმირთა და დაჯილდოებულთა შორის იყვნენ აგრეთვე რაიონის სპეციალისტები — აგრონომები, ზოოტექნიკოსები, განყოფილებათა გამგეები, პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოთა მუშაკები. რომლებმაც თავიანთი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს მაღალი მოსავლის მიღება.

კოლმეურნეობათა საწარმოო ფონდების ზრდა

სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებამ, მოსავლიანობის გადიდებამ, საკოლმეურნეო შრომის მწარმოებლურობის განუხრელმა ზრდამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კოლმეურნე გლეხობის მატერიალური მდგომარეობა, გაადიდა შრომადღის ანაზღაურება, კიდევ უფრო განამტკიცა საკოლმეურნეო წარმოება.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებამ «კოლმეურ-

---

[1] იხ. მაგ., ს ტ ე ფ ა ნ ე კ ო ბ ა ი ძ ე, სოციალისტური შრომის გმირის გამოცდილება, 1950; ა ლ ი ო ა დ ა მ ი ა, სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ გოგოხია, 1949; ს. ბ უ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი, საშემოდგომო ხორბლისა და სიმინდის მაღალი მოსავლისათვის, 1949.

ნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ»[1].

ეს დადგენილება იმით იყო გამოწვეული, რომ ომის დამთავრებისთანავე მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში გამომჟღავნდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევის ფაქტები, რაც გამოიხატებოდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცებით და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების გადიდებით, საკოლმეურნეო ქონების მითვისებით, შრომადღეების არასწორი ხარჯვით, დემოკრატიული მმართველობის უგულვებელყოფით და სხვ.

სულ საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში უკანონოდ გაცემული და განიავებული აღმოჩნდა 1200 ტონაზე მეტი სხვადასხვა პროდუქტი, 12 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, 8180 ათასი მანეთი ფული, გარდა ამისა სხვადასხვა პირებზე და ორგანიზაციებზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება 73 მილიონი მანეთის რაოდენობით[2].

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის ზემოაღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად და კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების უზრუნველსაყოფად საქართველოს სს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა ჩატარდა. დაუყოვნებლივ დაიწყო კოლმეურნეობების მუშაობაში ნაკლოვანებათა გამომჟღავნება, უკანონო ხარჯების, ქონების გაფლანგვა-განიავების, საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწების დატაცების და საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის შემთხვევების ულმობელი მხილება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს უკვე დაუბრუნდათ ცალკე პირებზე, სხვადასხვა ორგანიზაციებზე უკანონოდ გადაცემული 40 ათას ჰექტარზე

---

[1] იხ. ომისშემდგომ პერიოდში პარტიული მუშაობის საკითხები, დოკუმენტების კრებული, 1949, გვ. 86.

[2] ჟურნ. ბოლშევიკი, 1946, № 12, გვ. 32 — 33.

მეტი მიწა, 8 ათასზე მეტი სხვადასხვა პირუტყვი, 4 მილიონ მანეთამდე ფული, 800 ტონაზე მეტი სხვადასხვა პროდუქტი და სხვ.

მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი მნიშვნელოვან ზრდას გვიჩვენებდა. იგი შეადგენდა: 1946 წელს — 108 992 ათას მანეთს, 1948 წელს — 1 186 311 ათას მანეთს, 1949 წელს — 1 324 674 ათას მანეთს, 1950 წელს — 1 477 320 ათას მანეთს.

იზრდებოდა კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო საშუალებები და განუყოფელი ფონდები.

ძირითადი საწარმოო საშუალებები გაიზარდა უმთავრესად მუშა-პირუტყვის, პროდუქტიული პირუტყვის, მრავალწლიანი ნარგავების, ინვენტარისა და მოწყობილობის, ტრანსპორტის საშუალებების, ელექტროსადგურების, დამხმარე საწარმოების, მეცხოველეობის შენობების და სხვ. ხარჯზე, რაც ნათლად გვიჩვენებს კოლმეურნეობათა განვითარებას გაფართოებული აღწარმოების გზით.

სულ კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო საშუალებანი 1950 წელს 1946 წელთან შედარებით გაიზარდა 690 302 ათასი მანეთით, ანუ 39,1 პროცენტით. ცალკე სახეების მიხედვით მდგომარეობა წარმოგვიდგება შემდეგნაირად: პროდუქტიული პირუტყვის, ფრინველის და ფუტკარის ღირებულება იმავე წლების მიხედვით გაიზარდა 108 909 ათასი მანეთით, ანუ 43,1 პროცენტით და მთელ წარმოების საშუალებათა ღირებულებაში მისი ხვედრიწონა შეადგენდა: 1946 წელს 14,3 პროცენტს, 1950 წელს 14,7 პროცენტს.

ინვენტარისა და მოწყობილობის ღირებულება გაიზარდა 61 129 ათასი მანეთით, ანუ 61,9 პროცენტით და მთელი წარმოების საშუალებათა ღირებულებაში მისი ხვედრიწონა შეადგენდა 1946 წელს 5,6 პროცენტს, 1950 წელს 6,5 პროცენტს.

ელექტროსადგურების, დამხმარე საწარმოების, მეცხოველეობის შენობების ღირებულება გაიზარდა 239 987 ათასი მანეთით, ანუ 547,0 პროცენტით, ხოლო მისი ხვედრი წონა

შეადგენდა მთელ წარმოების საშუალებათა ღირებულებაში 1946 წელს 2,5 პროცენტს, 1950 წელს 11,6 პროცენტს.

კოლმეურნეობისათვის განუყოფელ ფონდებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. იგი კოლმეურნეობათა სიმდიდრის შემდგომი ზრდის, სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების ძირითადი წყაროა. ამიტომ მის შევსებას და ზრდას ყოველთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების შესავსებად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1946 წელს გადარიცხული იყო 165 237 ათასი მანეთი, 1947 წელს 194 270 ათასი მანეთი, 1948 წელს 182 675 ათასი მანეთი, 1949 წელს 205 314,5 ათასი მანეთი, 1950 წელს კი 228 710,6 ათასი მანეთი.

როგორც ვხედავთ, ადგილი ჰქონდა განუყოფელ ფონდების მნიშვნელოვან ზრდას, რაც აიხსნებოდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ზრდით, მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებით.

კოლმეურნეობათა ფულადი და ნატურალური შემოსავლის ზრდის შედეგად მნიშვნელოვანი ოდენობით გაიზარდა შრომის ანაზღაურება, ამაღლდა შრომადღის ღირებულება.

კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქებისათვის

კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქებისა და მწარმოებლურობის გადიდების საქმეში დიდ როლს ასრულებდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომელთა რაოდენობა საქართველოს სს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ომისშემდგომ წლებში. მაგალითად, 1950 წელს საქართველოში იყო 71 მტს-ი. ნაცვლად 1946 წლის 60-სა; მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრაქტორების რაოდენობაც. რესპუბლიკაში ტრაქტორები (15 ძალიანზე გადაყვანით) ითვლებოდა: 1946 წელს — 2 495 ცალი, 1948 წელს — 2724 ცალი, 1950 წელს — 4961 ცალი.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო 1950 წელს საქართველოს მტს-ებმა მიიღეს 671 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 5 კომბაინი, 994 გუთანი, 300 სათესი და სხვა მრავალი მანქანა. ტრაქტორების საერთო სიმძლავრე იზრდებოდა შემდეგნა-

ირად: 1946 წელს იგი უდრიდა 37 428 ცხ. ძალას, 1948 წელს 40 856 ცხ. ძალას, 1950 წელს 74 257 ცხ. ძალას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მტს-ების როგორც საწარმოო, ისე საწარმოო-სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითადი საშუალებანი. იგი უდრიდა 1946 წელს 48 479 ათას მანეთს, 1948 წელს 59 697 ათას მანეთს, 1950 წელს 158 168 ათას მანეთს, ანუ 1946 წელთან შედარებით გაიზარდა 226,3 პროცენტით, 1940 წელთან შედარებით კი — 215,6 პროცენტით[1].

საქართველოს სს რესპუბლიკის მტს-ებში ტრაქტორების რაოდენობის ზრდა უმთავრესად ახალი მუხლუხა ტრაქტორების ხარჯზე მოხდა. მაგალითად, მტს-ების სატრაქტორო პარკში დიზელ-ძრავიანი მუხლუხა ტრაქტორები შეადგენდა 1946 წელს 5,7 პროცენტს, ნაცვლად 1940 წლის 4,4 პროცენტისა. 1948 წელს იგი გაიზარდა 11,1 პროცენტამდე, 1950 წელს კი 49,1 პროცენტამდე[2].

მტს-ების სატრაქტორო პარკის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისაბმელ მოწყობილობათა—კომბაინების, ავტოპარკის, გუთნების და სხვ. რაოდენობა. მაგალითად, კომბაინების რაოდენობა მტს-ებში უდრიდა: 1946 წელს — 468-ს, 1950 წელს — 512-ს; რთული სალეწი მანქანების რაოდენობა უდრიდა: 1946 წელს 353-ს, 1950 წელს — 423-ს; ტრაქტორების გუთნების რაოდენობა უდრიდა: 1946 წელს 1482-ს, 1950 წელს 3105-ს; სატვირთო ავტომობილების რაოდენობა უდრიდა; 1946 წელს 190-ს, 1950 წელს 303-ს.

მტს-ების ავტოპარკის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა სარემონტო სახელოსნოების რაოდენობა.

დიდ არმიად იქცნენ მტს-ების ტექნიკური კადრები — ტრაქტორისტები, მექანიზატორები, კომბაინერები და სხვ.. 1946 წელს მტს-ების ტექნიკურ-მუშაკთა რაოდენობა უდრიდა 5182 კაცს, ნაცვლად 1933 წლის 1058 კაცისა და 1937 წლის

---

[1] იხ. საქართველოს სსრ მტს-ბის სათანადო წლების წლიური ანგარიშგებები.

[2] საქართველოს სსრ მტს-ების სათანადო წლების ანგარიშგებები.

4184 კაცისა, ხოლო 1948 წელს ტექნიკური მუშაკების რაოდენობა გაიზარდა 8431 კაცამდე. 1946 წელს მომზადებული იქნა 449 მექანიზატორი, 1950 წელს 1775 მექანიზატორი. გარდა ამისა, ამ წელს გადამზადებულ იქნა აგრეთვე 770 კაცი.

მტს-ების რაოდენობისა და მათი ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მათი მომსახურეობის კოლმეურნეობათა რაოდენობაც. მაგალითად, 1946 წელს რესპუბლიკის 4070 კოლმეურნეობათაგან მტს-ების მომსახურებაში იმყოფებოდა 1539 კოლმეურნეობა, ანუ 37,8 პროცენტი, 1949 წელს 3892 კოლმეურნეობიდან 1715 კოლმეურნეობა, ანუ 44 პროცენტი, 1950 წელს 2538 კოლმეურნეობიდან 1591 კოლმეურნეობა, ანუ 62,6 პროცენტი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ პერიოდში მაღალი იყო სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მუშაობის მაღალ მაჩვენებლებს იძლეოდნენ ცალკეული მტს-ები. საერთოდ კი მექანიზაციის დონე შეადგენდა 1949 წელს 39,2 პროცენტს, ხოლო 1950 წელს — 44 პროცენტზე მეტს. ცალკეულ სამუშაოთა მიხედვით მექანიზაციის დონე კოლმეურნეობებში 1950 წელს უდრიდა მზრალად ხვნისა — 70 პროცენტს, ანეულის ხვნისა — 72 პროცენტს, საგაზაფხულო კულტურების თესვისა — 17 პროცენტს, საშემოდგომო კულტურების თესვისა — 54 პროცენტს, კომბაინებით მარცვლეულის აღება — 18 პროცენტს, შაქრის ჭარხლის აღება—76 პროცენტს, მზესუმზირის აღება— 82 პროცენტს და სხვ.[1] მაგრამ ეს კიდევ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო დამაკმაყოფილებლად, მით უფრო, რომ მტს-ები ჯერ კიდევ ვერ ასრულებდნენ მათთვის გათვალისწინებულ სოფლის მეურნეობის ყველა ძირითად სამუშაოებს.

მტს-ები ასრულებდნენ უმთავრესად შემდეგ სამუშაოებს: საგაზაფხულო ხვნას, ანეულის კულტივაციას, მზრალად ხვნას და საშემოდგომო თესვას, მაგრამ ვერ ასრულებდნენ გეგმებს ან სრულებით არ მონაწილეობდნენ კოლმეურნეობათა

---

[1] საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

სხვა სამუშაოების შესრულებაში. მართალია, ცალკეულ, კერძოდ სუბტროპიკულ კულტურების რაიონებში, მტს-ები მონაწილეობდნენ სამუშაოთა სახეების გაცილებით მეტი რაოდენობის შესრულებაში, მაგალითად, ნიადაგის მომზადება ჩაის ახალი პლანტაციებისათვის, ჩაის პლანტაციების კულტივაცია და ფუმიგაცია, ხეხილის ბაღებისა და ციტრუსოვანთა ნარგავების შეწამვლა, სოიას ლეწვა და სხვ., მაგრამ ეს არ იყო საკმარისი.

იმისათვის, რომ ფართოდ დანერგილიყო რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უფრო ეფექტურად ყოფილიყო მანქანა-იარაღები გამოყენებული, პარტიამ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება წვრილი კოლმეურნეობების გაერთიანების შესახებ. ამ მხრივ ჩვენში ფართოდ გაიშალა მუშაობა 1949 — 1950 წლებში. ამის შედეგად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1949 წელს გვქონდა 3892 კოლმეურნეობა, ხოლო 1950 წელს 2535 კოლმეურნეობა, ნაცვლად 1946 წლის 4070 კოლმეურნეობისა.

კოლმეურნეობების გამსხვილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მექანიზაციის დონის ამაღლების უზრუნველყოფის, არამედ კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში. კოლმეურნეობების გამსხვილებამ აუცილებელი გახადა ხელმძღვანელობის კიდევ უფრო გაუმჯობესება. ამისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ რეკომენდებულ იქნა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად უმაღლესი და საშუალო განათლების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სათანადო მცოდნე, უნარიანი და გამოცდილი მუშაკები.

1950 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებიდან უმაღლესი განათლების მქონე იყო 283 კაცი, საშუალო განათლებით 1015 კაცი, ე. ი. ნახევარზე მეტი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები საშუალო და უმაღლესი განათლების იყვნენ.

კულტურული მიწათმოქმედების მძლავრი საშუალება

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მაღალი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მორწყვის გაფართოებისა და საერთოდ მელიორაციული სამუშაოების ჩატარებას. ამ მხრივ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მუშაობა ომისშემდგომ პერიოდში.

1950 წლისათვის უკვე აშენებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული იყო მთელი რიგი ახალი სარწყავი სისტემები.

წყალთა მეურნეობის სამუშაოები დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ დარგში 1950 წლამდე, სამგორისა და კოლხიდის გამოკლებით, 108,9 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. დიდი სარწყავი სისტემების მაგისტრალური არხების საერთო სიგრძე 205 კილომეტრს შეადგენდა, მთელი სარწყავი ქსელის სიგრძე კი 5 ათას კილომეტრს აღწევდა.

1950 წლისათვის სარწყავი ფართობი საქართველოში 285,1 ათას ჰექტარს შეადგენდა, 1955 წელს იგი 306,7 ათას ჰექტარამდე გადიდდა. მათ შორის კოლმეურნეობებში იყო — 293,1 ათასი ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში — 13,6 ათასი ჰექტარი.

ითვალისწინებდა რა სარწყავი სისტემის გაფართოების უდიდეს მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, საქართველოს კომპარტიის (ბ) XIV ყრილობამ მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია: «გატარდეს ღონისძიებანი წყალთა მეურნეობის სამუშაოთა გასაძლიერებლად, ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობის გასაფართოებლად იმ ვარაუდით, რომ უახლოესი 7 — 8 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის მთელი დაბლობი ნაწილის მორწყვა».

ამ დარგში პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ზემოსამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის, როგორც სახალხო მშენებლობის, წარმატებით დამთავრება.

ყველა სარწყავ სისტემათაგან თავისი გრანდიოზულობითა და სპეციფიკური პირობებით, როგორც საირიგაციო, ისე ჰიდროტექნიკური და ენერგეტიკული ელემენტების შემადგენლობით, კომპლექსურობით ყველაზე ურთულეს სამუშაოს სამგორის სარწყავი სისტემა წარმოადგენდა. სამგორის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

საქართველოს რელიეფის თავისებურებათა პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის აგვისტოს დადგენილებას: «სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენებისა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და მექანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ».

საქართველოს სს რესპუბლიკაში ახალი წესით მორწყვა გათვალისწინებული იყო 200 ათას ჰექტარ ფართობზე. აქედან 1950 წლისათვის დაგეგმილი იყო 20 ათასი ჰექტარი, 1951 წელს — 70 ათასი ჰექტარი, ხოლო 1952 წელს — 110 ათასი ჰექტარი.

აღნიშნული დადგენილება იძლეოდა ჩვენს ქვეყანაში რწყვის განვითარების ვრცელ პროგრამას, რაც სავსებით შეესაბამებოდა მსხვილ მექანიზებულ სოციალისტურ მიწათმოქმედებას.

ყველა ის წარმატება და მიღწევები, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას აქვს, აიხსნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით გლეხობისადმი, ეს არის სოფლის მეურნეობისადმი დიდი დახმარების შედეგი.

საბჭოთა ხელისუფლება რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა, კერძოდ საქართველოს მრავალდარ-

გიანი სოფლის მეურნეობა, არათუ აღდგენილი არ იქნებოდა, ვერ გაუძლებდა ომის პერიოდის სიძნელეებსაც კი. იგი ჩაკვდებოდა, გაჩანაგდებოდა, გლეხობა აუტანელ სიღატაკეში ჩავარდებოდა ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩვენში ბურჟუაზიული მთავრობების დროს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ დახმარებას სოფლის მეურნეობისადმი გვიჩვენებს გაწეული ხარჯები საკოლმეურნეო მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობის ახალი დარგებისა და კულტურების შემოტანის, ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფის, მოსავლიანობის გადიდების საშუალებების შექმნის და სხვ. საქმეებზე.

საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობაზე დახარჯული იყო: 1946 წელს 93 763 ათასი მანეთი, 1947 წელს 131 666 ათასი მანეთი, 1948 წელს 170 694 ათასი მანეთი, 1949 წელს 261 922 ათასი მანეთი, 1950 წელს 236 711 ათასი მანეთი.

გარდა ამისა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეებზე დიდი თანხები იხარჯებოდა აგრეთვე საკავშირო ბიუჯეტიდან.

მნიშვნელოვან წილს კოლმეურნეობათა საშუალებებიდან, რომლებიც კაპიტალურ დაბანდებებს ხმარდებოდა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტები შეადგენდა. 1946 წელს კოლმეურნეობათა კაპიტალურ დაბანდებათა 476 072 ათას მანეთიდან გრძელვადიანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი შეადგენდა 14 003 ათას მანეთს, ანუ 2,9 პროცენტს. 1949 წელს კი კაპიტალური დაბანდების 514 449 ათასი მანეთიდან გრძელვადიანი კრედიტი უდრიდა 85 970 ათას მანეთს, ანუ 16,7 პროცენტს. დაკრედიტება ხდებოდა მეცხოველეობის, მემცენარეობის დარგში, მინერალური სასუქების შესაძენად, სოფლის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის საქმეებზე და სხვ.

კოლმეურნეობები სარგებლობდნენ მოკლევადიანი კრედიტებითაც. 1950 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ

გაცემული კრედიტები შეადგენდა 25 279 ათას მანეთს, ნაცვლად 1947 წლის 7 711 ათასი მანეთისა, ხოლო სახელმწიფო ბანკის მიერ გაცემული — 18 632,3 ათას მანეთს, ნაცვლად 1947 წლის 6 223,3 ათასი მანეთისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებისათვის მინერალური სასუქების მიწოდებას. ამ მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკაში შემდგომ მდგომარეობასთან გვქონდა საქმე: 1946 წელს შემოზიდული იყო 65 159 ტონა მინერალური სასუქი, 1947 წელს — 63 624 ტონა, 1948 წელს — 82 584 ტონა, 1949 წელს — 139 831 ტონა, 1950 წელს — 291 729 ტონა.

1950 წელს მინერალური სასუქების დიდი რაოდენობით შემოტანა აიხსნებოდა იმით, რომ ფაქტიურად ლიკვიდირებულ იქნა თესლბრუნვები და მოსავლიანობის გადიდების მთავარ საშუალებად აღიარებულ იქნა სასუქების მეტი რაოდენობით გამოყენება.

თუ წინათ სასუქების შეტანა ძირითადად ჩაის პლანტაციებში ხდებოდა, 1949 და 1950 წლებში იგი დიდი რაოდენობით შეჰქონდათ მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების ნათესებშიც.

მოსავლიანობის გადიდების ბუნებრივ საშუალებათა შეცვლა ხელოვნური საშუალებებით, ამ უკანასკნელისათვის დიდი უპირატესობის მინიჭება, როცა პირველი მათგანი უგულვებელყოფილი იყო, არაფრით არ შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო. ეს წესი შემდეგში აუცილებლად უნდა შეცვლილიყო.

თესლბრუნვისა და საერთოდ ნათესბალახიანი სისტემის ფართოდ დანერგვას სოციალისტურ მიწათმოქმედებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის, რაშიც სოციალისტური მიწათმოქმედების ერთ-ერთი დიდი უპირატესობა ვლინდება კაპიტალისტურ მიწათმოქმედებასთან შედარებით.

ამ და მთელ რიგ სხვა მონაცემების მიხედვით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობამ ახალი ნაბიჯი გადადგა წინ,

როგორც პროდუქტთა სიუხვის, ისე საქონლიანობის გადიდებისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ნათქვამიდან არ გამომდინარეობს, რომ რაკი ომისშემდგომ პერიოდში ფართოდ გაიშალა მუშაობა სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის და ამ მიმართულებით სათანადო წარმატებებიც იქნა მიღწეული, ადგილი არ ჰქონდა ნაკლოვანებებს.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე დიდ სამეურნეო მიღწევებს ყოველთვის თან ახლდა ნაკლოვანებებიც. ასე იყო ომისშემდგომ პერიოდშიც.

მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რაიონებიც კი, დაბალ სამეურნეო მაჩვენებლებს იძლეოდნენ, ბევრგან იგრძნობოდა სუსტი პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რის შედეგადაც ჩამორჩებოდა მარცვლეულის, ხორცის, რძის და სხვ. პროდუქტების წარმოება. ხშირ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელი იყო მტს-ების მომსახურება კოლმეურნეობებისადმი.

ეს გარემოება მოითხოვდა კიდევ უფრო სერიოზულ ყურადღებას სოფლის მეურნეობისადმი. ამოცანა ის იყო, რომ მკვეთრად აგვემაღლებია სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, კიდევ უფრო გაგვედიდებია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ამას მოითხოვდა როგორც საბჭოთა მშრომელი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სურსათით, ისე მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულით.

თავი VIII

კოლმეურნეობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის წარმატებებს ჰქონდა და აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამავე დროს მას ჰქონდა განუსაზღვრელი მნიშვნელობა თვით კოლმეურნე მასების მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მისი ძირეულად შეცვლის თვალსაზრისითაც. ამას ნათლად გვიჩვენებს სინამდვილე, საკოლმეურნეო წარმოების მთელი პრაქტიკა.

მკვეთრი აღმავლობის გზით

ომისშემდგომი პერიოდის ხუთწლიანი (1946 — 1950 წწ.) გეგმა წარმატებით იქნა შესრულებული. ეს წარმატებები ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში: «საქართველოს სსრ 1946—1950 წლების მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ»[1].

უეჭველია, ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მშრო-

---

[1] საქართველოს სსრ 1946—1950 წლების მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, გაზ. კომუნისტი, 1951, 4 ივლისი.

მელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

1951 წლიდან საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა კურსი აიღეს უპირატესად მარცვლეული მეურნეობის გაფართოებისაკენ. ამის მიხედვით რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს მარცვლეულის ნათესი უნდა გაედიდებიათ ისე, რომ მან 1957 წლისათვის მიეღწია 1070 ათას ჰექტარისათვის, ნაცვლად 1953 წლის 627 ათასი ჰექტარისა. მათ შორის ხორბლის ნათესი უნდა გაზრდილიყო 770 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 1950 წლის 264 ათასი ჰექტარისა, ხორბლის საშუალო მოსავლის ზრდა ჰექტარზე ნავარაუდევი იყო 22 — 25 ცენტნერამდე.

ამ კურსმა გარკვეული ზიანი მიაყენა ჩვენს სოფლის მეურნეობას, ვინაიდან იგი რამდენადმე უგულვებელყოფდა ტექნიკური კულტურების, მრავალწლიანი ნარგავების და სხვ. დარგების განვითარებას, ამასთან ამცირებდა კოლმეურნეობათა შემოსავალს.

ამ ღონისძიებების შედეგად, მართალია, 1951—1953 წლებში გაიზარდა მარცვლეული კულტურების ნათესები, მაგრამ შემცირდა ტექნიკური კულტურების — თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და სხვ. ნათესი ფართობი. მარცვლეული კულტურების ნათესების გაფართოების მიზნით ზოგან კოლმეურნეებმა იწყეს მრავალწლიანი ნარგავების აჭრა, საბალახო და სათიბი ნაკვეთების მოხვნა, სამრეწველო ტყის გაკაფვა, ქარსაფარი ზოლების შევიწროება და სხვ.. ამ წლებში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა არც სხვა მხრივ იყო დამაკმაყოფილებელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად ამ გარემოებაზე გარკვევით მიუთითა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ოქტომბრის პლენუმმა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობამ, რომელიც შედგა 1954 წლის თებერვალში.

სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული რომ საბჭოთა კავშირის ბევრ კოლმეურნეობასა და

საბჭოთა მეურნეობაში, რაიონებსა და ოლქებში დაბალი იყო მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების — მარცვლეულის, ბურღულეული კულტურების, სელის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი და სხვა კულტურების მოსავალი; სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა, მეცხოველეობის განვითარება, კარტოფილის, ბოსტნეულის, საბოჭკოე სელის, საფურაქე და სხვ. საკვები კულტურების წარმოება არ შეესაბამებოდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდ ნაკლს წარმოადგენდა სერიოზული ჩამორჩენა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში. სუსტი იყო მტს-ების მიერ კოლმეურნეობების მომსახურება, შექმნილი არ იყო მანქანების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციას, მთელი შესაძლებლობით არ ხდებოდა მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევების დანერგვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების საქმიანობაში უშუალოდ ჩაბმული არ იყვნენ მაღალკვალიფიციური კადრები — აგრონომები, ზოოტექნიკოსები, აგროტექნიკოსები, მექანიზატორები და სხვ., რომლებსაც შეეძლებოდათ მაქსიმალური ენერგიით, საქმის მთელი ცოდნით ებრძოლათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალი მოსავლიანობის მისაღწევად.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავლიანობის ძირითადი მიზეზი იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შესრულებულ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, ბევრი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გულგრილი დამოკიდებულება აგროტექნიკის საკითხებისადმი.

უეჭველია, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა ნაკლები ყურადღებით და დაუინტერე-

სებლობით შეიძლებოდა ახსნილიყო ის, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სამარცხვინოდ ჩამორჩებოდნენ ან ნაკლებად ცდილობდნენ ჩამდგარიყვნენ მოწინავეთა რიგებში, მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ მშრომელთა საარსებო პირობები. მაგალითად, ბევრ კოლმეურნეობაში ურიგდებოდნენ იმას, რომ შემოსავალს შრომადღეებზე წლითიწლობით არ ანაწილებდნენ ან უმნიშვნელო რაოდენობით ანაწილებდნენ. ასეთი კოლმეურნეობები საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაშიც.

1954 წლის დასაწყისისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდათ გარკვეული წარმატებები. მაგალითად, წინა წლებთან შედარებით მიღებულ იქნა ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და სხვ. მაღალი მოსავალი, გაიზარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ჩააბარეს სახელმწიფოს, ვიდრე წინათ, გაიზარდა კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი და კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდები.

მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობაზე იყო აღნიშნული, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ იყვნენ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და რაიონებიც კი. ეს ჩამორჩენა იმაში მდგომარეობდა, რომ იყო სერიოზული ნაკლოვანებები ისეთი მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების მოვლისა და განვითარების საქმეში, როგორიცაა: ჩაი, ვენახი, ხეხილი, აგრეთვე თამბაქო, აბრეშუმი და სხვ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, სუსტად სრულდებოდა დავალება მეცხოველეობის განვითარების, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობისა და სხვა დარგში. დაბალი იყო პირუტყვის პროდუქტიულობა, სერიოზულ ჩამორჩენას ადგილი ჰქონდა ბოსტნეული კულტურების და კარტოფილის მოყვანაში, არადამაკმაყოფილებ-

ლად ინერგებოდა მექანიზაცია კარტოფილისა და მებოსტნეობის წარმოებაში.

ყრილობაზე აღინიშნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ გადამწყვეტ ძალას სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, სუსტად იყო მექანიზებული მეცხოველეობის შრომატევადი სამუშაოები, დაბალი იყო მანქანა-ტრაქტორთა პარკის მწარმოებლურობა.

ყოველივე ამას არ შეეძლო სათანადო გავლენა არ მოეხდინა კოლმეურნეთა მასების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებაზე, კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაზე. მართლაც, თუ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს უდისციპლინობას, შრომის მოუწესრიგებლობას, საზოგადოებრივი ქონების განიავებას, კოლმეურნეობას თუ სუსტად ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, გამგეობა, სუსტია ბრიგადირების ხელმძღვანელობა ბრიგადებისადმი, უმოქმედობას იჩენს სარევიზიო კომისია, სუსტია საზოგადოებრივი კონტროლი, სათანადო სიმაღლეზე არ დგას პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეებს შორის, სუსტია ბრძოლა მოსავლიანობის გადიდებისათვის, გაუპიროვნების ლიკვიდაციისათვის, გეგმების განაღდებისათვის, სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისათვის და სხვ., მაშინ ფუჭია კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაზე ლაპარაკი, იმაზე ფიქრი, რომ კოლმეურნეები მიიღებენ მაღალ ანაზღაურებას, საკოლმეურნეო შრომის სასურველ შედეგს.

სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება უდიდეს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა, რომელსაც მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საქართველოს სსრ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის და მომდევნო პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად უკანასკნელ ხანებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში, კერძოდ კოლმეურნეობებში, მნიშვნელოვნად

შეიცვალა ნათესი ფართობების სტრუქტურა. რამდენადმე შემცირდა მარცვლეულის, კერძოდ ხორბლის, ნათესები. სამაგიეროდ გაიზარდა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბაღჩეულ-ბოსტნეულის და საკვები კულტურების ფართობები.

მაგალითად, 1955 წელს თამბაქოს ნათესი უდრიდა 14,5 ათას ჰექტარს, დამზადებული იყო 14 604 ტონა თამბაქოს ნედლეული. 1954 წელს რესპუბლიკაში კარტოფილის ნათესი უდრიდა 27,7 ათას ჰექტარს, 1955 წელს — 30,9 ათას ჰექტარს. ამ დროის განმავლობაში ბოსტნეული კულტურების ნათესი გაიზარდა 17,9 ათასი ჰექტარიდან 19,7 ათას ჰექტარამდე, საკვები კულტურებისა — 57,2 ათას ჰექტარამდე და სხვ.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს მარცვლეული მეურნეობისადმი ყურადღების შენელებას. იგი ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ კოლმეურნე გლეხობის მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის ამაღლების ურყევ საფუძველს წარმოადგენს ისეთი დარგები, როგორიცაა, მაგალითად, მეხილეობა, მევენახეობა და სხვ.

1955 წელს საქართველოში ვენახი გაშენებული იყო 57 ათას ჰექტარზე, 1956 წელს — 59 160 ჰექტარზე. 1954 წელს დამზადებული იყო 133 ათასი ტონა ყურძენი, ორჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს. ასევე ვითარდება მეხილეობა, რომელსაც 1955 წელს 104 540 ჰექტარი ფართობი ეჭირა, ნაცვლად საბჭოთამდელი 30,8 ათასი ჰექტარისა. მეხილეობის აღნიშნულ ფართობიდან კოლმეურნეობებზე მოდიოდა 35 147 ჰექტარი.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან ზრდას გვიჩვენებს ჩაი, რომელიც 1956 წელს 66 109 ჰექტარს უდრიდა. საქართველოს სსრ მთელი საბჭოთა კავშირის ჩაის პროდუქციის 97,8 პროცენტზე მეტს იძლევა. 1955 წელს ჩვენმა რესპუბლიკამ სახელმწიფოს ჩააბარა 117 453 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1956 წელს 106 413 ტონა, ნაცვლად 1950 წლის 83 700 ტონისა.

როგორც ვხედავთ, 1956 წელს მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ჩაის ფოთოლი მეტი მოიკრიფა, ვიდრე 1950 წელს.

მიუხედავად 1949 — 1950 და 1953 — 1954 წლების დიდი ყინვებისა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა ციტრუსების მეურნეობა, იგი მაინც ინარჩუნებს საპატიო ადგილს საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. 1955 წელს მისი ფართობი უდრიდა 15 500 ჰექტარს, 1956 წელს 16 312,5 ჰექტარს. 1955 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 400 მილიონზე მეტი ციტრუსოვანი ნაყოფი. 1956 წელს დამზადების გეგმა 24 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

სუბტროპიკულ-ტექნიკურ კულტურებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტუნგოს. 1956 წელს საქართველოს სსრ-ში ტუნგო გაშენებული იყო 13 414,4 ჰექტარზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა. უკანასკნელ წლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და 1954 წლის იანვრის პლენუმების შემდეგ მეცხოველეობა რამდენადმე წავიდა წინ, მიუხედავად ამისა ეს დარგი ჯერ კიდევ წარმოადგენს ჩამორჩენილ უბანს. დიდ შემოსავლიან დარგებს წარმოადგენენ: მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვ., რომლებიც ფართოდ ვრცელდება კოლმეურნეობებში.

სოფლის მეურნეობის დარგებზე ჩვენ იმიტომაც შევჩერდით, რომ ზოგი მათგანი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში წარმოიშვა და გაიფურჩქნა. ან კი როგორ არ გაიფურჩქნებოდა, როცა საბჭოთა ხელისუფლების დროს კულტურულ მიწათმოქმედებას, მიწის რაციონალურ გამოყენებას, მოწინავე აგროტექნიკის, მეცნიერების მიღწევების დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მიწის განოყიერება როგორც მინერალური, ისე ორგანული სასუქებით ჩვენში წესად იქცა.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა ამჟამად ჩვენი სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგებისა და კულტურების მოვლა-პატრონობას თავის ღვიძლ საქმედ თვლის. ან კი როგორ არ ჩათვლის, როცა ეს დარგები მის ძირითად საარსებო

საშუალებას წარმოადგენენ. ახლა ცოტა არაა ჩვენში კოლმეურნეები, რომლებიც ათასობით მანეთს იღებენ — ჩაიდან, ციტრუსებიდან, ვენახიდან, მეცხოველეობიდან, აბრეშუმიდან, ტექნიკური კულტურებიდან, მებოსტნეობიდან და სხვ.

კოლმეურნეობა მრავალდარგიანი მეურნეობაა. ამასთან თვითეული დარგი რენტაბელური, მაღალშემოსავლიანი უნდა იყოს. ეს კი დამოკიდებულია კოლმეურნეობის საწარმოო საშუალებათა და შრომის რაციონალურ გამოყენებაზე, შრომის დისციპლინასა და სამუშაოთა სწორ ორგანიზაციაზე, ბრძოლაზე პროდუქციის თვითღირებულებისა და წარმოების ფულად-მატერიალურ დანახარჯთა შემცირებაზე და სხვ.

საბჭოთა მთავრობა ამ საქმის მოგვარებას კოლმეურნეობებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რითაც დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეებს მათი მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების საქმეში. გასაგებია, მთავრობის ასეთი ზრუნვა სოფლის მეურნეობისადმი, გლეხობისადმი ოქტომბრის რევოლუციამდე გაუგონარი იყო როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში. იგი მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს წარმოადგენს.

კოლექტიური შრომის ნაყოფი

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელ სისტემაში კოლმეურნეობებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ კოლმეურნეობებმა დიდად უზრუნველყვეს ჩვენში სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა განვითარება, უზრუნველყვეს მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობა, მტკიცე საფუძველი შექმნეს მოსავლიანობისა და საქონლიანობის განუხრელი ზრდისათვის, აამაღლეს კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის დონე, ძირფესვიანად შეცვალეს სოფლის ძველი, დამყაყებული ცხოვრება და ტრადიციები.

საკოლმეურნეო წყობილება უდიდეს შესაძლებლობას იძლევა მოსახლეობისათვის სასურსათო პროდუქტებისა და მსუ-

ბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შესაქმნელად. ამიტომ კოლმეურნეობები იყო და ყოველთვის აქვნება საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისათვის ერთ-ერთი დიდი ყურადღების გამოხატულებას წარმოადგენს მიწის უფასოდ და უვადო სარგებლობაში გადაცემა, რომელიც 1955 წელს 4047,6 ათას ჰექტარს უდრიდა.

უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებები დაისახა კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, მათი საწარმოო დონის ამაღლებისათვის. ეს გარემოება სათანადო გამოხატულებას პოულობს კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა და განუყოფელი ფონდების გადიდებაში.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები შეადგენდა 1950 წელს 2 674,0 მილიონ მანეთს, 1951 წელს 2 899,9 მილიონ მანეთს, 1952 წელს 3 079,1 მილიონ მანეთს, 1953 წელს 3 284,4 მილიონ მანეთს, 1955 წელს 3 608,7 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1940 წლის 699,5 მილიონი მანეთისა, ე. ი. გაიზარდა 415,9 პროცენტით.

ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შედეგად გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი, განმტკიცდა საკოლმეურნეო შრომადღე. 1954 წელს კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი 200 მილიონზე მეტით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ამან კოლმეურნეობებს შესაძლებლობა მისცა 28,4 მილიონი მანეთით გაედიდებიათ ანარიცხები განუყოფელ ფონდებში და კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე მიეცათ 95 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

1955 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. საკმარისია ითქვას, რომ მახარაძის, სიღნაღის, გურჯაანისა და წითელწყაროს რაიონებში ახლა ყველა კოლმეურნეობა მილიონერია. ამ რაიონებში და ზოგიერთ სხვა რაიონში ბევრ საკოლმეურნეო ბრიგადას მილიონიანი შემოსავალი აქვს.

ახლა (ოტა არაა ჩვენში ისეთი კოლმეურნეობები, სადაც შრომადღეზე 25—35 მანეთი ნაწილდება ფულად, ხოლო 8—10 კილოგრამი ნატურით. ბევრი კოლმეურნე თავისი კეთილსინდისიერი შრომით კოლმეურნეობაში შეძლებული გახდა.

სოციალისტური მიწათმოქმედება მაღალი სასაქონლო პროდუქციისა და შემოსავლის ზრდის მძლავრი საშუალებაა. მთელი რიგი კოლმეურნეობები და კოლმეურნეები მოსავლიანობის ზრდის სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან, რაც, უეჭველია, საფუძვლად ედება როგორც სასაქონლო პროდუქციის ზრდას, ისე კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის გადიდებას, კოლმეურნეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

საყოველთაოდ ცნობილია გალის რაიონის სოფ. ქვემობარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის, სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატის ძ. რიგვავას სახელი. მან 1953 წელს ერთ ჰექტარიდან 1358 ფუთი სიმინდი მიიღო. ასევე საქვეყნოდ არიან ცნობილი იმავე რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის ლაურეატი ჩოკოლი ქვაჩახია, რომელმაც 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 54 ცენტნერი სიმინდის მოსავალი მიიღო; გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი, ლენინის ორდენოსანი გიორგი კუტიბაშვილი, რომელმაც 1954 წელს ურწყავ ფართობებზე საშუალოდ ჰექტარზე 126 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 67 ცენტნერისა. ყურძნის უფრო დიდი მოსავალი მიიღო გიორგი კუტიბაშვილის ბრიგადის ცალკეულმა რგოლმა.

მსგავსი ფაქტების დასახელება ბევრი შეიძლება. აღნიშნულ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მისი პროდუქტიულობის კიდევ უფრო გაზრდისათვის, კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის ამაღლებისათვის.

ამ მხრივ ძლიერ დამახასიათებელია ზუგდიდის რაიონის სოფელი რუხი. ჩვენს რესპუბლიკაში იგი ცნობილი გახდა თავისი მძლავრი, ჭეშმარიტად მოწინავე კოლმეურნეობით. ამ კოლმეურნეობის მოწინავეობის შესახებ მჭევრმეტყველურად მეტყველებს მონაცემები, რომელიც მას აქვს წარმოების ყველა დარგში. კოლმეურნეობა ძირითადად ჩაის მიმართულებისაა, მაგრამ იგი მოწინავეა პროდუქტიული პირუტყვის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, სუბტროპიკული კულტურებისა და სხვ. მხრივაც.

აღნიშნული კოლმეურნეობის უდავო წარმატების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და შემოსავლიანობის განუხრელი ზრდა, საქონლიანობის მაღალი დონე. კოლმეურნეობას აქვს ჩაის პლანტაცია 295 ჰექტარის რაოდენობით. მასზე ჩაის ნედლი ფოთლის მთლიანი მოსავალი 1952 წლის 7 811 ცენტნერიდან 1954 წელს 12 860 ცენტნერამდე გაიზარდა, 1 ჰექტარზე ჩაის ნედლი ფოთლის მოსავალი უდრიდა საშუალოდ 1952 წელს 26,5 ცენტნერს, 1954 წელს — 41,9 ცენტნერს.

ასევე შეიძლება ითქვას მოსავლის განუხრელი ზრდის შესახებ სიმინდის წარმოების დარგშიც. მაგალითად, 1952 წელს 260 ჰექტარიდან სიმინდის საერთო მოსავალი კოლმეურნეობაში შეადგენდა 1 581 ცენტნერს, 1954 წელს კი 230 ჰექტარიდან 4 743 ცენტნერს. მოსავალი საშუალოდ 1 ჰექტარზე 1952 წელს უდრიდა 6,8 ცენტნერს, 1954 წელს კი 20,6 ცენტნერს.

კოლმეურნეობას სერიოზული წარმატებები აქვს მეცხოველეობის როგორც სულადობრივი, ისე პროდუქტიულობის ზრდის საქმეში, იგი გეგმებს ამ მხრივაც გადაჭარბებით ასრულებს. მაგალითად, 1 საფურაქე ძროხაზე მიღებული იყო 1952 წელს საშუალოდ 567 ლიტრი რძე, 1953 წელს — 675 ლიტრი, 1954 წელს — 1100 ლიტრი.

კოლმეურნეობა, როგორც წესი, გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოს ყველა დავალებას — საავალდებულო ჩაბარების,

კონტრაქტაციის, აგრეთვე მტს-ების ნატურანაზღაურების და სხვ. სახით.

კოლმეურნეობას დიდი წარმატებები აქვს განუყოფელი ფონდებისა და ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულების, აგრეთვე კოლმეურნეებზე როგორც ფულადი, ისე ნატურის სახით გასანაწილებელი ფონდის გადიდების საქმეში. მაგალითად, მისი ფულადი შემოსავალი 1952 წლის 8 160 385 მანეთიდან 1953 წელს 12 438 332 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო 1954 წელს 14 228 955 მანეთამდე. იგი შეადგენდა თვითეულ 100 ჰექტარ სავარგულზე 1952 წელს 281 392 მანეთს, 1953 წელს 428 908 მანეთს, 1954 წელს 491 240 მანეთს. ხოლო თვითეულ 100 ჰექტარ სახნავზე შეადგენდა 1952 წელს 1 483 706 მანეთს, 1953 წელს 2 261 515 მანეთს, 1954 წელს 2 583 446 მანეთს.

განუხრელად იზრდება შემოსავალი საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი დარგებიდან — მემცენარეობიდან და მეცხოველეობიდან. მაგალითად, მემცენარეობიდან შემოსავალი 1952 წელს უდრიდა 7 442 073 მანეთს, 1953 წელს — 11 161 832 მანეთს, 1954 წელს კი — 12 674 092 მანეთს. მეცხოველეობიდან შემოსავალი კი გაიზარდა 1952 წლის 555 045 მანეთიდან 1 186 694 მანეთამდე 1954 წელს.

კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავლის ზრდის შედეგად განუხრელად იზრდებოდა განუყოფელი ფონდები და ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება. მაგალითად, განუყოფელი ფონდები უდრიდა 1952 წელს 9 474 783 მანეთს, 1953 წელს — 10 695 295 მანეთს, 1954 წელს — 12 201 748 მანეთს. აქედან 1 შრომისუნარიანზე მოდიოდა 1952 წელს 16 252 მანეთი, 1953 წელს — 17 855 მანეთი, 1954 წელს — 19 648 მანეთი. ასევე გაიზარდა წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულებაც. იგი უდრიდა 1952 წელს 6 573 789 მანეთს, 1953 წელს — 8 231 100 მანეთს, 1954 წელს — 8 893 350 მანეთს. 1 შრომისუნარიანზე იგი შეადგენდა 1952 წელს 11 275 მანეთს, 1953 წელს — 13 741 მანეთს, 1954 წელს — 14 321 მანეთს.

კოლმეურნეობაში განუხრელად იზრდება შრომადღის ანაზღაურება, სისტემატურად უმჯობესდება კოლმეურნე-

თა საყოფაცხოვრებო პირობები, ბევრი კოლმეურნე ნამდვილად შეძლებული გახდა. შრომადღეებზე განაწილებული იქნა 1952 წელს 3 797 829 მანეთი, 1953 წელს — 7 559 919 მანეთი, 1954 წელს — 7 934 095 მანეთი. კოლმეურნეობის მთელი ფულადი შემოსავლიდან შრომადღეებზე განაწილებული იქნა 1952 წელს 46,5 პროცენტი, 1953 წელს — 58,0 პროცენტი, 1954 წელს — 59,0 პროცენტი. 1952 წელს შრომადღეს მოუწია ფულად 18 მან., 1954 წელს — 32 მანეთი.

კოლმეურნე ვალერიან როგავას ოჯახმა, რომელიც 4 სულისაგან შედგება, 1953 წელს მიიღო ფულად 48 636 მანეთი, ნატურით 3306 კილოგრამი მარცვლეული, 1954 წელს მიიღო ფულად 56 045 მანეთი, მარცვლეული 4557 კილოგრამი. კოლმეურნე ზარნაბა თოდუას ოჯახმა, რომელიც 3 სულისაგან შედგება, მიიღო ფულად 1953 წელს 45 100 მანეთი, მარცვლეული 3 615 კილოგრამი. 40-დან 45 ათასამდე მანეთი მიიღო კოლმეურნე შ. ბახტაძის, მ. ფარულავას, დ. ოკუჯავას და სხვ. ოჯახებმა.

მრავალია ისეთი კოლმეურნე, რომლებსაც შრომადღეებზე მიღებული აქვთ 20 ათასი მანეთიდან 30 და 40 ათას მანეთამდე, მათ მიიღეს აგრეთვე რამდენიმე ტონა მარცვლეული. ბევრ კოლმეურნეს კოლმეურნეობაში პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომით აშენებული აქვს ლამაზი და ნათელი სახლი, შეძენილი აქვს პიანინო, რადიომიმღები, მსუბუქი ავტომანქანა, ველოსიპედი. ელექტროფიცირებულია კოლმეურნეობის წევრთა სახლები.

კოლმეურნეობას აქვს ბიბლიოთეკა 14 ათასი წიგნით, საავადმყოფო 54 საწოლით, საბავშვო სახლი 130 და სეზონური საბავშვო ბაღი 225 ბავშვისათვის; აქვს სადალაქო, სამი მსუბუქი ავტომანქანა, ეტლი ბრიგადების მომსახურებისათვის და სხვ.

როგორ მიაღწია რუხის კოლმეურნეობამ ასეთ წარმატებებს? როგორ ხდებიან რუხელი კოლმეურნეები შეძლებული? მნახველი ერთი შეხედვით დარწმუნდება, რომ რუხის

კოლმეურნეობაში კოლექტიური შრომა ნამდვილ ძალად გადაქცეულა.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მტკიცე დისციპლინა კოლმეურნეთა შორის. აქ იშვიათად ან სრულებით ვერ ნახავთ ისეთ კოლმეურნეს, რომელსაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ ჰქონდეს გამომუშავებული. ყველა ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმას. სანიმუშოდაა დაყენებული შრომის ორგანიზაცია, ნამუშევრის აღრიცხვა, სისტემატურად მოწმდება გამომუშავების ნორმები. მტკიცედ იცავენ დამატებითი ანაზღაურების წესებს, დროზე ამჟღავნებენ მუშაობისადმი ზოგიერთ კოლმეურნეთა თავის არიდების შემთხვევებს, ფართოდაა გამოყენებული მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების განზოგადების პრაქტიკა. ყოველივე ეს დიდ მაორგანიზებელ გავლენას ახდენს კოლმეურნეთა შრომითი ენთუზიაზმის ამაღლებაზე.

სოფ. რუხის კოლმეურნეობა ერთეული როდია. ასეთი კოლმეურნეობები ახლა ბევრია ჩვენს რესპუბლიკაში, ზოგიერთი მათგანის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. მაგალითად, მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილია მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1938 წლიდან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან.

ავიღოთ საქართველოს სხვა რაიონების — გალის, ქობულეთის, გორის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხისა და სხვ. კოლმეურნეობები. ყველგან მკაფიოდ ჩანს სოციალისტური შრომის ნაყოფი, ყველგან ვხედავთ, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს კოლმეურნეობებმა კეთილსინდისიერი, ბეჯითი და თავდადებული შრომით.

დიდი ხანია დაივიწყეს წყეული წარსული, ღატაკური ცხოვრება, მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეებმა. ამ კოლმეურნეობის წევრის გ. გველუკა-

შვილის ოჯახმა გასულ წელს 1 611 შრომადღე გამოიმუშავა და პროდუქტებისა და ფულის სახით 52 781 მანეთი მიიღო. გ. გველუკაშვილის ოჯახი დიდად ბედნიერია და ამაყობს თავისი შრომის შედეგით.

წინათ, ბატონყმობის დროს, ამ სოფლის ზოგიერთი გლეხი არა ერთხელ გაყიდულა ვალში, არა ერთხელ აუწიოკებიათ გლეხთა ოჯახები თავიანთ მებატონეებს სხვა ვალდებულებათა მოხდისთვისაც. მაგრამ ეს იყო წინათ, რევოლუციამდე.

დღეს სოფ. ჩუმლაყის გლეხობა, ისე როგორც ყველგან ჩვენში, თვითონ არის თავისი ბატონ-პატრონი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იგი აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის დიად მშენებლობაში. ერთ დროს დამონებული სოფ. ჩუმლაყის გლეხობა დღეს წელში გამართული, შეძლებული, მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით, ყოველწლიურად მონაწილეობს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეთა შემოსავლის მძლავრ წყაროდ იქცა მევენახეობა. აქ მთელი ფართობის სრულმოსავლიანი ვენახიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 122 ცენტნერი ყურძენი. 1951 წელს კოლმეურნეობამ მიიღო 1 791 491 მანეთი შემოსავალი. აქედან ვენახზე მოდიოდა ერთ მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო 1954 წელს, როცა კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა 2 295 553 მანეთი შეადგინა, ამ თანხის 63 პროცენტი ვენახზე მოდიოდა. კოლმეურნეობა პირნათლად ასრულებს ყველა ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე.

საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრეს 1956 წელი თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა. სოფ. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ლადო კობიაშვილის ოჯახმა გამოიმუშავა 1948 შრომადღე, რომლის მიხედვითაც მიიღო ფული 4792 მანეთი, ნატურით — ხორბალი 1947,3 კილოგრამი, სიმინდი 898,44 კილოგრამი, ღვინო 300 ლიტრი, ყველი 65,6 კილოგრამი, ხორცი 136,2 კილოგრამი, არაყი 17,9 ლიტრი, ზეთი 37,45 ლიტრი და სხვ.; სანდრო სუმბაძის ოჯახმა გამოიმუშავა 1 850 შრომადღე, რომლის მიხე-

დვითაც მიიღო ფულად 5 918 მან., ნატურით—ხორბალი 2 403 კილოგრამი, სიმინდი 1 177 კილოგრამი, ღვინო 360 ლიტრი, ყველი 80,7 კილოგრამი, ხორცი 167,5 კილოგრამი, არაყი 22,16 ლიტრი, ზეთი 46,21 ლიტრი და სხვ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება არა მარტო ამ კოლმეურნეობებიდან, არამედ რაიონის სხვა კოლმეურნეობებიდანაც.

აქედან ვხედავთ, როგორი შეიძლება იყოს კოლექტიური შრომის ნაყოფი, თუ, რა თქმა უნდა, კოლმეურნე კეთილსინდისიერად შრომობს.

არ იქნება სწორი, თუ ვიტყოდით, რომ კოლმეურნეობის ყველა წევრი ერთნაირად ცხოვრობს; ზოგი მათგანი მოსაღლისა და შემოსავლის ნაკლებ რაოდენობასაც იღებს და ასეთ შემთხვევებს არაიშვიათად აქვს ადგილი. მაგრამ ამის მიზეზი ისიცაა, რომ ზოგიერთი კოლმეურნე სრული მონდომებით არ მუშაობს კოლმეურნეობაში, მეტ დროს ანდომებს საკარმიდამო მეურნეობას ან სავსებით გაურბის შრომას. ასეთ ელემენტთა წინააღმდეგ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა, რასაც მოწინავე კოლმეურნეობებში ეწევიან კიდეც კეთილსინდისიერი, ბეჯითი კოლმეურნეები.

პარტია და მთავრობა დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეებს მატერიალური დაინტერესების საქმეში. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი უდიდეს როლს ასრულებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან. «დამკვრელობა, — ამბობდა ლენინი, — ეს არის ყველა აუცილებელი საწარმოდან ერთისათვის უპირატესობის მინიჭება მისი უაღრესად საარსებო მნიშვნელობის გამო... ხოლო უპირატესობის მინიჭება მოხმარების გარეშე არარაა... უპირატესობა დამკვრელობაში არის უპირატესობა მოხმარებაშიც. უამისოდ დამკვრელობა ოცნებაა, ღრუბელია, ჩვენ კი, რაც უნდა იყოს, მატერიალისტები ვართ. მუშებიც მატერიალისტე-

ბი არიან; თუ ამბობ — დაშკვრელობაო, პურიც მიბოძე, ტანისამოსიც და ხორციც...»[1].

როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა თავის დადგენილებაში სერიოზული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების საკითხს. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობაში დარღვეული იყო პრინციპი მუშაკთა მატერიალური დაინტერესებისა წარმოების განვითარებით, მისი მოსავლიანობის გადიდებით, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მატერიალური დაინტერესების ეს პრინციპი, რომელიც წარმატებით გამოყენებულია ბამბის, შაქრის ჭარხლის, ჩაის, ციტრუსოვანთა წარმოებაში, არ ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი დარგების მიმართ.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად და აღნიშნული პრინციპის შემდგომი მტკიცე დაცვის უზრუნველსაყოფად პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ ხანებში მრავალი ახალი ღონისძიება გაატარეს. ერთ-ერთ დიდ ღონისძიებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის მარტის დადგენილება «სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ» და «კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ»[2].

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას «სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 13—14.

[2] გაზ. კომუნისტი, 1956, 10 მარტი.

სახებ»[1]. იქ, სადაც ამ დადგენილებებს ნამდვილად, ქმედითად იყენებენ, შედეგებიც კარგი აქვთ[2].

საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების საქმეში დიდ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, რომელიც სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის განვითარების, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოების, საბჭოთა ვაჭრობის გაშლისა და სხვა საკითხებზე, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ღონისძიებებს, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პარტიისა და მთავრობის ამ მშობლიური ზრუნვისა და დახმარების პასუხად საქართველოს სსრ კოლმეურნეები კიდევ უფრო აუმჯობესებენ თავიანთ საქმიანობას, იჩენენ თავდადებას შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის, გეგმების გა-

---

[1] სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ, 1955.

[2] როგორც ეს გათვალისწინებულია აღნიშნული დადგენილებით და გამოცდილებამ უკვე დაგვანახა, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლამ ფართო ინიციატივა მისცა კოლმეურნეობებს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უფრო სრულად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა; დადგენილებამ გააძლიერა თავმჯდომარეების, გამგეობების პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო წარმოების გაფართოების, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი გადიდების და სხვ. საქმეში. დაგეგმვის ახალი წესის ძალა იმაშია, რომ სახელმწიფო შემდგომშიც ახორციელებს კონტროლს ძირითადი პროდუქტების წარმოებაზე იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსამარაგებლად, ვაჭრობის საჭიროებისა და სათანადო მარაგის შესაქმნელად.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ზოგან სწორად ვერ გაიგეს აღნიშნული დადგენილების შინაარსი. იმის ნაცვლად, რომ დაგეგმვის საქმეში მინიჭებული ინიციატივა უკეთესი ხერხების გამოსანახავად და სოფლის მეურნეობრივი პროდუქტების წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად გამოიყენონ, ითვალისწინებენ პროდუქციის უმნიშვნელო გადიდებას, ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც ამცირებენ წარმოებას მიღწეულ დონესთან შედარებით.

ცხადია, ასეთი პრაქტიკა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

დაჭარბებით შესრულებისათვის, სახელმწიფოს ვალდებულებათა დროზე განაღდებისათვის, რითაც, გასაგებია, იმაღლებენ თავიანთ მატერიალურ-კულტურულ კეთილდღეობასაც.

საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთი კოლმეურნეობა უკვე შეუდგა ავანსების ყოველთვიურ გაცემას, ბევრიც უკვე ნიადაგს ამზადებს ამისათვის. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვემო აკეთის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ 1956 წლის მარტიდან გადავიდნენ კოლმეურნეთათვის ავანსების ყოველთვიურად მიცემაზე. პირველად თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებმა ავანსის სახით მიიღეს 10 მანეთი, შემდეგ თვეში — 13 მანეთი, ივნისში — 16 მანეთი და ა. შ. ამ ღონისძიებას კოლმეურნეები უდიდესი მოწონებით შეხვდნენ. მან გაზარდა შრომადღის როლი, აამაღლა მშრომელთა დაინტერესება საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში.

სოფ. რუხის კოლმეურნეობაში დიდ მატერიალურ წამახალისებელ ზომას წარმოადგენს მოკრეფილი ჩაის ნედლი ფოთლის თვითეულ კილოგრამზე ყოველწლიურად 1 მანეთის ავანსად გაცემა შრომადღეების ანგარიშში. ამის მიხედვით ხშირია შემთხვევა, როცა ზოგიერთი კოლმეურნე მოკრეფილი ჩაის ფოთლის კვალობაზე ყოველდღიურად ავანსის სახით 20 — 30 მანეთს და მეტსაც კი ღებულობს. № 5 ბრიგადის წევრმა ედელინა ფარცვანიამ ამ წესით 1954 წლის მაისის თვეში მიიღო 1 900 მანეთზე მეტი, № 1 ბრიგადის წევრმა მარო კევლიშვილმა — 800 მანეთი, № 13 ბრიგადის წევრმა მორი ჭკადუამ — 900 მანეთი, მთელმა მისმა ოჯახმა კი — 1700 მანეთი.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში სხვა მნიშვნელოვან დადებით გამოცდილებასაც ვხვდებით, რაც დიდად უწყობს ხელს კოლმეურნეთა დაინტერესებას საკოლმეურნეო წარმოებაში. მაგალითად, ბრიგადებისათვის მინდვრად სხვადასხვა ადგილას მოწყობილია სასადილო. სადილობის დროს კოლმეურნეები ისმენენ საუბრებს, მოხსენებებს, კითხულობენ კედლის გაზეთებსა და საბრძოლო ფურცლებს, ეცნობიან აგრეთვე დაფაზე მოთავსებულ მოწინავე და ჩამორჩენილ მკრეფავებს და სხვ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ ყველა კოლმეურნე თავდადებით იშრომებს, თუ კოლმეურნეობაში ადგილი არ ექნება ზარმაცობას და წამგლეჯობას, თუ სწორად იქნება დაყენებული შრომა, მაღალი იქნება დისციპლინა და სხვ., კოლმეურნეობა მალე მძლავრი ხდება, კოლმეურნეები მკვეთრად იუმჯობესებენ მდგომარეობას.

საჭიროა ეს მტკიცედ დავიხსომოთ, ვინაიდან ჩვენი მტრები ხშირად ავრცელებენ ჭორებს და ზოგიერთ ჩამორჩენილ კოლმეურნეებს არწმუნებენ, თითქოს კოლმეურნეობაში შეუძლებელია უზრუნველყოფილი ცხოვრება, თითქოს კოლმეურნეობაში არ შეიძლებოდეს მაღალი მოსავლისა და შემოსავლის მიღება. ასეთ ვაჟბატონებს ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ: გინდათ იცოდეთ, როგორ ცხოვრობენ კოლმეურნეები? წადით და ნახეთ ჩვენი რესპუბლიკის მრავალი მოწინავე კოლმეურნეობა, რომლებიც იმის ნამდვილ ნიმუშებს გვიჩვენებენ, თუ რა არის და როგორი შეიძლება იყოს საკოლმეურნეო შრომის ნაყოფი.

მექანიზაციის ძალა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები მექანიზაციის მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებებით ხასიათდება. ამჟამად საკოლმეურნეო წარმოებას მომსახურებას უწევს 103 მანქანა-ტრაქტორთა და მეცხოველეობის სამანქანო სადგური. ისინი დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეებს შრომის შემსუბუქებაში.

ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ მანქანები სსრ კავშირში საზოგადოებას ყოველთვის უზოგავენ შრომას... მანქანები არათუ ზოგავენ შრომას, არამედ ამასთან ერთად აადვილებენ მუშაკების შრომას, რის გამოც ჩვენს პირობებში, კაპიტალიზმის პირობებისაგან განსხვავებით, მუშები დიდი ხალისით იყენებენ მანქანებს შრომის პროცესში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მანქანები თავმოყრილია ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელში და ისინი მათთვის გადაქცეულია მშრომელთა მასების ექსპლოატაციის საშუალებად.

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში, მაგალითად, ტრაქტორები ფერმერთა ერთი მესამედის ხელშია თავმოყრილი, ორი მესამედი კი მოკლებულია მას. ღარიბ და საშუალო ფერმერთა უმეტესი ნაწილი სასტიკ ექსპლოატაციას განიცდის. მშრომელ ფერმერებს კაბალაში აყენებენ მანქანების გამქირავებელი პუნქტები, რომლებსაც აარსებენ როგორც მსხვილი მემამულეები — ვაჭრები, საკრედიტო ამხანაგობანი, ისე ბანკები. ამ პუნქტებში თავს იყრის როგორც შესყიდული, ისე გაკოტრებული ფერმერების მანქანები.

მანქანების გამქირავებელი პუნქტების მიერ ფერმერთა დავალიანება შემდეგნაირად ხდება: ფერმერები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი მანქანები, ხვნის დროს ქირაობენ ტრაქტორებს, გუთნებს, სათესებს, კულტივატორებს, ასევე ქირაობენ მოსავლის აღებისა და ლეწვისათვის საჭირო მანქანებს. აღნიშნულ მანქანებზე ტარიფები იმდენად მაღალია, რომ ხშირად პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული თანხები არაა საკმარისი მათ დასაფარავად. ფერმერს, რომელიც ხვნის დროს ქირაობს მანქანებს, არ შეუძლია გაითვალისწინოს, თუ როგორი ფასები იქნება სამეურნეო წლის ბოლოს. მაგრამ, როდესაც ბაზარს ყოველი მხრიდან მოაწვება სასოფლო-სამეურნეო საქონელი და თავს იჩენს ჭარბწარმოება, ფერმერისათვის ნათელი ხდება, თუ რა მაღალი წარმოების ხარჯების პირობებში უქირავებია მანქანა. ფერმერი ვარდება ფინანსური კაპიტალისა და მევახშეების მუდმივ კაბალაში.

სულ სხვა მდგომარეობაა მეურნეობის სოციალისტური წესის პირობებში. აქ ყველა ღონისძიებაა მიღებული იმისათვის, რომ მანქანამ აამაღლოს შრომის მწარმოებლურობა და მაქსიმალურად უზრუნველყოს სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

პარტიამ და მთავრობამ უზრუნველყვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ.

საქართველოს სსრ მტს-ებში ამჟამად თავმოყრილია 7130-ზე მეტი ტრაქტორი, 900-ზე მეტი კომბაინი, აგრეთვე მრავალი სატვირთო მანქანა და სხვ.

1950 წელთან შედარებით 1956 წელს ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა დამატებით მიიღეს 2 198 ტრაქტორი (15 ძალიანზე გადაყვანით), 368 მარცვლეულის ასაღები კომბაინი, ნიადაგის დასამუშავებელი სათესი და სხვა მანქანა-იარაღები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მტს-ების განმტკიცებას კადრებით. საკმარისია ითქვას, რომ სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მტს-ებში მუდმივ სამუშაოდ ჩარიცხულ იქნენ: ტრაქტორისტი — 5 271 კაცი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი — 676 კაცი, ბრიგადირის თანაშემწე — 487 კაცი, კომბაინერი — 849 კაცი, კომბაინერის თანაშემწე — 693 კაცი. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან მტს-ებში მუდმივ სამუშაოდ დაბრუნდა: ტრაქტორისტი და კომბაინერი — 91, სპეციალისტი — 155, მათ შორის 60 ინჟინერ-მექანიკოსი[1].

მტს-ები დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდის და მისი პროდუქტიულობის ამაღლების, მიწათმოქმედების საერთო და სასაქონლო პროდუქციის ზრდის და სხვ. საქმეში. ამავე დროს მტს-ებმა მემინდვრეობაში უნდა განახორციელონ სამუშაოთა მთლიანი მექანიზაცია, ფართოდ უნდა გააჩაღონ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, დანერგონ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

---

[1] იხ. გაზ. კომუნისტი, 1954, 18 თებერვალი, გვ. 3.

როგორც ვხედავთ, პარტიისა და მთავრობის მიერ მტს-ებს რთული და მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა აქვთ დაკისრებული.

იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულდეს, პარტიამ და მთავრობამ უზრუნველყვეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რაოდენობის გადიდება, მათი აღჭურვა ახალი რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარღებით და კვალიფიციური კადრებით. სოციალისტური მრეწველობის უდიდესმა წარმატებებმა, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ შესაძლებელი გახადა ჩვენი სოფლის მეურნეობის მაღალი მექანიზაციის განხორციელება.

მტს-ები, განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში, შეივსო ახალი, მძლავრი, რთული მანქანა-იარაღებით, როგორიცაა, მაგალითად, დიზელძრავიანი მუხლუხა ტრაქტორი «სტალინეც-6», თვითმავალი კომბაინი, ახალი კონსტრუქციის საკიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. უკანასკნელ წლებში მტს-ების პარკს შეემატა ტრაქტორები—«ბელარუსი», «ხტზ-7», კარტოფილის სარგავი და ასაღები, კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები, კულტივატორები, სიმინდის ასაღები კომბაინები, არხის მთხრელი, თივის ასაღები, შემგროვებელი, დამზვინავი, საძირკვავი, ჩაის სასხლავი და სხვა მანქანა-იარაღები.

1953 წელს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში გაზაფხულისა და შემოდგომის კულტურების თესვა მექანიზებული იყო 87,6 პროცენტით, კომბაინებით მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება — 79 პროცენტით (ნაცვლად 1952 წლის 70 პროცენტისა), მზრალად ხვნა — 98 პროცენტით. თითქმის მთლიანად მექანიზებული იყო შაქრის ჭარხლის თესვა, 1953 წელს იგი 95 პროცენტს უდრიდა. ასევე თითქმის მთლიანად მექანიზებულია ბამბის თესვა და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე საათანადოდ ამაღლდა ჩვენს რესპუბლიკაშიც[1], თუმცა იგი ჯერჯერობით მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. მაგალითად,

[1] ამის შესახებ ფართოდ იხ. ბ. ხ ა ს ი ა, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის როლი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, 1954.

1953 წელს ყველა სახის ხვნა მექანიზებული იყო 84,8 პროცენტით, თესვა — 49,5 პროცენტით, კომბაინებით მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება — 64,7 პროცენტით, კომბაინებით მზესუმზირას აღება — 67 პროცენტით, სათოხნი კულტურების — 10,6 პროცენტით.

1955 წელს თითქმის მთლიანად მექანიზებული იყო მზრალისა და ანეულის ხვნა, საშემოდგომო კულტურების თესვა — 84 პროცენტით, მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება — 72 პროცენტით და დასილოსება — 65 პროცენტით და ა. შ.

ჯერ კიდევ დაბალია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე მეცხოველეობაში, ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობაში, აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების წარმოებაში.

მტს-ებს სერიოზული ამოცანები აქვთ დაკისრებული მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ამ დარგში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ასამაღლებლად შეიქმნა მთელი რიგი ახალი კონსტრუქციის მანქანები — სილოსის საჭრელი, საკვების დასამზადებელი კომბაინი, ძირხვენების საჭრელი, ჩალის საკუწი, ელექტროსაწველი აგრეგატი, საკვების საფქვავი და დასაორთქლებელი, ელექტროსაპარსი მოწყობილობა და სხვ.. 1956 წელს საკვების დასილოსების მექანიზაციამ 90 პროცენტს მიაღწია. 1950 წელს კომბაინებით მოსავალი აღებული იქნა 114 483 ჰექტარზე, 1956 წელს კი 240 128 ჰექტარზე.

მტს-ების როლის გაძლიერება კოლმეურნეობების შრომატევად სამუშაოების მექანიზაციის, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში აპირობებს საკოლმეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში კვალიფიციური მუშების შრომის მზარდი მასშტაბით გამოყენებას. კიდევ მეტი: იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდება მტს-ების წილი საკოლმეურნეო პროდუქციის წარმოებაში, იზრდება მასში საჭრეწველო მუშების, ინდუსტრიული შრომის წილი.

ეს გარემოება შესაძლებელს ხდის, რათა სოციალისტურმა სახელმწიფომ მტს-ების საშუალებით კიდევ უფრო გააძლიე-

როს საწარმოო კავშირი საკოლმეურნეო სოფელთან, მუშებსა და კოლმეურნე გლეხებთან, ხელი შეუწყოს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობის პროცესს.

სახელმწიფო ეხმარება კოლმეურნეობებს არა მარტო მტსების საშუალებით, არამედ უშუალოდ მანქანა-იარაღების, სასუქების და სხვ. შეძენითაც. ამჟამად კოლმეურნეობებში ჩვენ ნაკლებად შევხვდებით ძველ შუასაუკუნეობრივ ხის კავს და ახლო მომავალში სოფლის მეურნეობის ეს ტრადიციული იარაღი სამუზეუმო სანახაობად გადაიქცევა.

ამჟამად კოლმეურნეობების ძირითადი საწარმოო საშუალებებია რთული იარაღები — ტრაქტორები, კომბაინები, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები და სხვ.. თანდათანობით გამოდის მწყობრიდან ურემი, რომელსაც წინათ გარდა ხარებისა საცოდავად მიათრევდა სახედარიც.

ზიდვის მთავარი სიმძიმე წინათ საკუთარ მხრებზე აწვა გლეხს. სოფლიდან ქალაქში, ქალაქიდან სოფლად ჭირნახული თუ სხვა საოჯახო პროდუქტები, შეშა, ფქვილი, მარილი და სხვ. უმეტესად მას მხრით გადაჰქონდა. გლეხი ხშირად ფეხით ხუთ ათეულ და ასეულ კილომეტრსაც გაივლიდა. განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება მაღალ მთის რაიონების — სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, თიანეთის, წალკის და სხვ. რაიონების გლეხებს, რომლებიც სამაზრო ცენტრებს, აგრეთვე ქალაქებს — თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, ცხინვალს და სხვ. დიდი მანძილით იყვნენ დაცილებულნი. მრავალი გლეხი შორს მანძილზე მგზავრობიდან ზოგჯერ ოჯახში ცოცხალიც ვერ ბრუნდებოდა, იგი ბუნების სტიქიური უბედურების მსხვერპლი ხდებოდა.

ვის არ უნახავს წინათ სოფლებიდან ურმით ჩამოყვანილი ავადმყოფი გლეხი ქალაქში სამკურნალოდ? ყოველივე ეს ახლა მოგონებადღა დარჩა. როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე, როგორც სამეურნეო, ისე პირადი საჭიროებისათვის გლეხს ახლა მატარებლის გარდა ემსახურება ავტომანქანა, ემსახურება მოტოციკლი, ველოსიპედი, თვითმფრინავი და სხვ.

ჩვენს კოლმეურნეთა დიდ ნაწილს საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა აქვს შეძენილი. გადაჭარბებული არ იქნება თუ

ვიტყვით: რომ შეიძლებოდეს ყველა მსურველის დაკმაყოფილება აეტომანქანაზე, მოტოციკლზე, ველოსიპედზე და სხვ. კოლმეურნე გლეხთა ცხრა მეათედი ორ-სამ წელიწადში მთლიანად «ბორბლებზე» გადაჯდებოდა.

საბჭოთა სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს კოლმეურნე გლეხთა ეს მოთხოვნილებაც.

ილიჩის ნათურა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფლად იშვიათად თუ არსებობდა ან არ არსებობდა ელექტრონათურა. ელექტროენერგიის გამოყენება ძლიერ უმნიშვნელო იყო ქალაქებშიც. ყველა უწყების ელექტროსადგურთა სიმძლავრე 8 ათას კილოვატს შეადგენდა[1]. ბევრ გლეხს საერთოდ ელექტრონათურა თვალითაც არ ენახა[2].

---

[1] ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, საკოლმეურნეო წარმოების ელექტროფიკაცია, 1955, გვ. 11.

საქართველოში მოქმედ უძველეს ელექტროსადგურთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ახალი ათონის მონასტრის ჰესი 150 კილოვატის სიმძლავრით, აგებული 1902 წელს; ქ. სოხუმის ელმომარაგების მიზნით მდინარე ბესლეთკაზე 1908 წელს აგებული ბესლეთჰესი — 250 კილოვატის სიმძლავრით; კურორტ ბორჯომის — ბორჯომჰესი 290 კილოვატის სიმძლავრით, აგებული 1898 წელს; გაგრაჰესი — 600 კილოვატის სიმძლავრით, აგებული 1904 წელს და სხვ. ყველა ეს ჰიდროელსადგური კერძო პირთა მფლობელობას შეადგენდა და საზოგადოების პრივილეგიური ფენის (სასულიერო პირთა, მეფის მოხელეთა, თავადაზნაურთა და სხვ.) გაბატონებულ ნებასურვილის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა (იქვე, გვ. 11).

[2] მახსოვს ერთხელ 1911 წელს, ერთ კვირადღეს სოფ. ფარცხანაყანევის (წყალტუბოს რაიონი) ეკლესიის ეზოში გლეხები შეკრებილიყვნენ, ერთმანეთს ახალ ამბებს მოუთხრობდნენ. ერთმა მათგანმა—სიმონ ფხაკაძემ განაცხადა, რომ მან ქალაქში (იგულისხმება ქ. თბილისი) ყოფნის დროს ნახა, თუ როგორ განათლდა ფოლაქზე თითის დაჭერით უეცრად მთელი სახლი, და მას ელექტრონი ქვიაო — ამბობდა იგი. როგორც ამბობენ, მისთვის ასანთი საჭირო არ არისო, დაუმატა მეორემ — ბესარიონ ნუცუბიძემ. ნეტავი ოდესმე იგი სოფლად თუ გავრცელდება? — ჩაილაპარაკეს სხვებმა.

ელექტრონია თუ რაღაც, მე არ მინახავს, მაგრამ რაც ვნახე, ამის შესახებ მოგახსენებთ, წამოიძახა მესამე გლეხმა — გერასიმე ძნელაძემ და

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად დიდი ყურადღება მიაქციეს ქვეყნის ელექტროფიკაციის განხორციელებას, ელექტროენერგიის გამოყენებას საოჯახო და საწარმოო მიზნით. მაგრამ ამ რთული პრობლემის გადაწყვეტა მეტად ძნელი იყო.

1927 — 1928 წელს საქართველოში სოფლის ელექტრომოხმარება მოსახლეობის 1 სულზე შეადგენდა მხოლოდ 0,1 კლვ. საათს, 1928 — 1929 წელს — 0,4 კლვ. საათს, 1929 — 1930 წელს — 0,5 კლვ. საათს [1].

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმე მნიშვნელოვნად წავიდა წინ ომამდელი ხუთწლედების პერიოდში. 1933 წელს ექსპლოატაციაში იქნა გადაცემული ერთ-ერთი პირველი სასოფლო ელექტროსადგური მაიაკოვსკჰესი (მაიაკოვსკის რაიონი), 1937 — 1938 წწ. აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა სასოფლო-სახელმწიფო და საკოლმეურნეო ელსადგურები: რიცეულჰესი — 500 კილოვატის სიმძლავრით (ამბროლაურის რაიონი), დმანისის რაიონში — დმანისჰესი — 400 კილოვატის, ბოლნისის რაიონში — დაშტიკულიარჰესი — 88 კილოვატის, დუშეთის რაიონში — ბარისახო — 38 კილოვატის, მესტიის რაიონში — მესტიაჰესი — 88 კილოვატის სიმძლავრით და სხვ.

1941 წელს 1 იანვრისათვის სასოფლო ელექტროსადგურების რიცხვი 28-ს აღწევდა 2200 კილოვატის დადგმული სიმძ-

---

უამბო შეკრებილთ, რომ მან ნახა ოთხ ბორბალზე მოწყობილი დიდი «კასრი», რომელსაც არც ცხენი ეწევა და არც ხარები, თავისთავად გარბის. იგი მეც მინახავს, მას ავტომობილი ქვიაო — წამოილაპარაკა მეოთხე გლეხმა. ჩვენი შვილები და შვილიშვილები, ალბათ, ელექტრონთან ერთად «კასრსაც» მოესწრებიან ჩვენს სოფელშიო, ჩაილაპარაკეს სხვა გლეხებმა.

მე მაშინ პატარა ვიყავი და ინტერესით ვუსმენდი ამ სიახლეთა ამბებს, ვფიქრობდი იმ გლეხებიკით ნეტავი როდის ვნახავ რაღაც «ელექტრონი» რომ ყოფილა, რომელსაც ასანთი არ ესაჭიროება, როდის ვნახავ ბორბლებზე დადგმულ დიდ «კასრს», რომელიც თავისთავად მიქრის.

ეს ეპიზოდი დღემდე მტკიცედ მაქვს აღბეჭდილი მეხსიერებაში.

[1] საქართველოს სსრ მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ელემენტები, 1929, გვ. 24.

ლავრით. ამავე დროისათვის სასოფლო ელექტროსადგურებისა საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურების ენერგიის ბაზაზე ელექტროფიცირებული იყო 116 კოლმეურნეობა და 15 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. აგებული იქნა 8 800 კილოვატის საერთო მომხმარებელთა 170 ქვესადგური და 420 კილომეტრი სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი[1].

შემდეგ წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმე კიდევ უფრო სწრაფად წავიდა წინ.

1950 წლისათვის რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მნიშვნელოვანი ნაწილი ელექტროფიცირებული იყო.

ამ დროისათვის ელექტროსადგური აგებული ჰქონდა რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების (მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურის და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობები და მტს-ი), აგრეთვე აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის სს ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს.

1956 წელს საქართველოში 161 საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელსადგური ითვლებოდა, მათი სიმძლავრე 11 849 კილოვატს შეადგენდა, გარდა ამისა იყო აგრეთვე 1 568 სამომხმარებლო ქვესადგური 72 250 კილოვატი სიმძლავრის, 34 სასოფლო სახელმწიფო ჰიდროელსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 20 316 კილოვატს უდრიდა.

1957 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში სულ კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების 279 ელექტროსადგური მუშაობდა 37 ათასი კილოვატის სიმძლავრით. მათ შორის 167 სადგური 14 800 კილოვატის ენერგიით აგებული იყო კოლმეურნეობების სახსრებით. ამ სადგურების ელექტროენერგიის ბაზაზე ელექტროფიცირებული იქნა 869 კოლმეურნეობა ანუ 42 პროცენტი, 95 მტს-ი ანუ 9,8 პროცენტი, 84 საბჭოთა მეურნეობა ანუ 89 პროცენტი.

რესპუბლიკის 485 ათასი გლეხურ კომლიდან ელექტრო-

---

[1] ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, საკოლმეურნეო წარმოების ელექტროფიკაცია, 1955, გვ. 13 — 14.

ენერგიას ღებულობს 165 200 კომლი, ე. ი. 34 პროცენტი. სოფლის მეურნეობაში დაყენებულია 5 023 ელექტროძრავი.

1956 წელს სასოფლო ელექტროსადგურების გამომუშავებამ 120 მილიონ კილოვატსაათს მიაღწია. 1963 წლისათვის გათვალისწინებულია ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდოს 130 მილიონ კილოვატსაათამდე.

განუხრელად იზრდება ელექტროენერგიის გამოყენება მეცხოველეობის, მემცენარეობისა და დამხმარე საკოლმეურნეო საწარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში.

1956 წლის დასაწყისში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საწარმოო პროცესების ელექტროფიცირებისათვის მუშაობდა 3 ათასზე მეტი ელექტრომოტორი. რამდენიმე ათასი კოლმეურნის საცხოვრებელი სახლი, კლუბები, კულტურის სახლები, სამკითხველოები, მეცხოველეობის ფერმები და სხვ. გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურით.

ელექტრონის შუქი შეიჭრა მთიანი რაიონების კოლმეურნეობებშიც. მაგალითად, 1956 წელს ელექტროშუქი მიიღეს ისეთმა მაღალმა მთიანმა სოფლებმა, როგორიც არის: ახალციხის რაიონის დიდი და პატარა პაამაჯი, ორალი, კულალესი; ასპინძის რაიონის — თმოგვი, ერკოტა, ძველი ჭობარეთი; ახალქალაქის რაიონის — ხორენია, დახჩო, ალავერდი და სხვ.

დიდხანია ელექტროფიცირებულია დუშეთის რაიონის ჟინვალის, არაგვისპირის, ჯავახიანთკარის, ბაზალეთის, პირმისაანთკარის, მჭადიჯვრის და სხვ. კოლმეურნეობები.

ელექტროენერგია სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის, საწარმოო მიზნით (ლეწვა, მარცვლის წმენდა და დახარისხება, მარცვლის გაშრობა, მორწყვა, საკვების დასილოსება, საკვების მომზადება, მეცხოველეობის ფერმების წყლით მომარაგება, ძროხის წველა, პარსვა და სხვ.), რაც დიდად ამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას, აუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს. აიაფებს ცხოვრების ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთის, თელავის რაიონის სოფ. აკურის «მოწინავის», სოფ. რუისპირის «ყურძნის თავთავის», გაგრის რაიონის სოფ. ლესელიძის და ბოლნისის რაიონის სოფ. ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში დადგმულია 24 — 33 ელექტრომოტორი. 1956 წელს ამ კოლმეურნეობებმა ელექტროენერგიის საწარმოო პროცესების მექანიზაციით თვითეულმა მიიღო 20 — 28 ათასი შრომადღის ეკონომია, ე. ი. მნიშვნელოვნად შეიმსუბუქა ტვირთი, აამაღლა შრომის მწარმოებლურობა.

ყოველივე ეს მხოლოდ ოცნება იყო რევოლუციამდელ საქართველოში, რაც ამჟამად, საბჭოთა ხელისუფლების დროს სინამდვილედ იქცა. ოცნება სინამდვილედ გადაექცა სოფ. ფარცხანაყანევის გლეხობასაც, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ სოფლის 3 კოლმეურნეობიდან ორი მთლიანად ელექტროფიცირებულია, ერთის ელექტროფიცირება დამთავრების პროცესშია.

ჯანმრთელობის დაცვა

ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლის გახანგრძლივება ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია კარგი კვება და საერთოდ ცხოვრების ნორმალური პირობები, აუცილებელია დროზე დასვენება და გარკვეული რეჟიმი.

მაგრამ ყოველივე ამის გარდა ადამიანის ჯანმრთელობის დარაჯად ჯერ-ჯერობით მაინც რჩება ექიმი, ჯანმრთელობის «რემონტის» ადგილად — საავადმყოფო, სანატორიუმი. ჩვენი სოფლის მოსახლეობა საბჭოთამდელ საქართველოში ამ მხრივ მეტად ღარიბი იყო.

1913 წელს საქართველოში სულ 461 ექიმი ითვლებოდა. ისინი ემსახურებოდნენ უმთავრესად ქალაქის მოსახლეობას. სოფლად ექიმს იშვიათად ნახავდით. თუ ათასში ერთხელ რომელიმე გლეხი ქალაქიდან სოფლად ეტლით ან ცხენით ექიმს

ჩამოიყვანდა, ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედებოდა მთელ სოფელს, ეს იყო სენსაცია. შორეულ სოფელში ექიმის სახელიც კი არ იცოდნენ.

ქ. დუშეთის ერთ-ერთი ძველი ექიმი საინტერესო ცნობას იძლევა რევოლუციამდელი სოფლის მოსახლეობის საექიმო მომსახურეობის შესახებ.

პირველი ჩანაწერი: «1900 წელი. მთელ დუშეთის მაზრას ჰყავს მხოლოდ ერთი ექიმი. იგი ცხოვრობს ჩვენი სახლის მეორე სართულზე. აქვე მთელ მაზრაში ერთადერთი აფთიაქია...»[1].

მეორე ჩანაწერი: «1912 წელი. დუშეთის მიდამოებში განსაკუთრებით ჭოპორტსა და ბულაჩაურში, გავრცელებულია მალარია. ამას გარდა ტიფი, ყვავილი და სხვა სნეულება ანაღგურებს მოსახლეობას. ავადმყოფებს არავითარი დახმარება არ ეწევათ. მათი «მკურნალი» მხოლოდ მკითხავი და ექიმბაშია...».

ასეთი იყო მდგომარეობა წინათ. სოფლის რამდენი მცხოვრები სხვადასხვა ინფექციური ავადმყოფობით წუთისოფელს გამოსალმებია. საქმისათვის ვერ უშველია ექიმბაშების «ნამლებს», შელოცვებს, ე. წ. «ხატის ნაბანს» და სხვა მისთანებს. წინათ ავადმყოფის მკურნალობა კერძო პირთა გამდიდრების წყაროდ იყო გადაქცეული.

სულ სხვაგვარია მდგომარეობა ამჟამად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველდღეებიდან ვე მთავრობამ მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, მშრომელთა უფასო მკურნალობა თავის მთავარ საზრუნავ საქმედ აქცია და ამ მხრივ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. ახლა იშვიათია ჩვენში სოფელი, კოლმეურნეობა ექიმისა და აფთიაქის გარეშე.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1940 წელს ითვლებოდა 4 736 ექიმი, 1950 წელს 9 379 ექიმი, 1955 წელს 11 769 ექიმი ე. ი. დაახლოებით იმის ნახევარი, რაც მთელი რუსეთის იმპერიაში იყო (23 143 ექიმი) რევოლუციამდე. საქართველო ყვე-

---

[1] დუშეთის მაზრაში შედიოდა ახლანდელი თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგისა და ლენინგორის რაიონების ტერიტორიის ნაწილი.

ღაზე უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი ექიმებით არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. 1956 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში თვითეულ ექიმზე მოდიოდა — 340 კაცი, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში ერთ ექიმზე მოდიოდა — 640 კაცი, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი გაცილებით უფრო მეტი [1].

1956 წელს საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე 22 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი. ექიმებისა და აღნიშნული სამედიცინო პერსონალის დიდი რაოდენობა სოფლად მუშაობს. რესპუბლიკის სოფლებისა და კოლმეურნეობების დიდ ნაწილში საკუთარი აფთიაქი, საავადმყოფო და სხვ. აქვთ.

მოვუსმინოთ დუშეთის ექიმის ჩანაწერებს, რომელიც შეეხება საბჭოთა პერიოდს.

მესამე ჩანაწერი: «1952 წელი. ახლა მარტო დუშეთის რაიონში არის 10 საექიმო უბანი, 2 საექიმო პუნქტი, 8 საფერშლო საბებიო პუნქტი, რაიონული საავადმყოფო, სამალარიო სადგური, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური. ქალაქში მოქმედებს რენტგენის კაბინეტი, რაიონის მშრომელებს ემსახურება 110 ექიმის თანაშემწე, 64 უმცროსი სამედიცინო მუშაკი, 6 აფთიაქი. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ეპიდემიური დაავადება რაიონში არ ყოფილა. იყო მალარიით დაავადების მხოლოდ ორი შემთხვევა. ექიმები ამბობენ, ეს ჩვენი ბრალია და ასეთი რამ მომავალში არ უნდა განმეორდესო» [2].

თუ გავითვალისწინებთ იმას რომ დუშეთის რაიონი მის ყოფილ მაზრაზე გაცილებით ნაკლებია, ცხადია აღნიშნული მონაცემები მაზრის მასშტაბით გაცილებით მეტი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ მხრივ მდგომარეობა უარესი არ არის რესპუბლიკის სხვა რაიონებში, გასაგები უნდა იყოს, თუ რას მივაღწიეთ ჩვენ ამ მიმართულებით.

ჩვენში ახლა აშკარად იგრძნობა, რომ ზოგიერთი ავადმ-

---

[1] პროფ. დ. მ ა მ ა მ თ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ამოცანების წინაშე, იხ. ჟურნ. საბჭოთა მედიცინა, № 1, 1957, გვ. 4.

[2] ა. ო ო მ ა ძ ე, სოფლის ექიმი; იხ. კომუნისტი, 1952, 26 აპრილი.

ყოფობა როგორიცაა, მაგალითად, ხოლერა, ყვავილი, ჭირი და სხვ. სრულებით მოისპო, ზოგიერთიც კი ისე შემცირდა და გადაგვარდა, რომ ის საშიში არ არის. წინათ თუ გაიგებდნენ, რომ ვინმე ტიფით არის ავად, იმ ქუჩაზე არავინ გაივლიდა, მას «შავ ჭირად» თვლიდნენ, ვინაიდან ამ ავადმყოფობას ნაკლებად გადაურჩებოდა ადამიანი.

ცნობილია, თუ რა მძიმე ავადმყოფობად ითვლებოდა წინათ ტუბერკულოზი, ფილტვების ანთება და სხვ. ახლა ამ ავადმყოფობით ჩვენში იშვიათად თუ მოკვდება ვინმე.

ჩვენი გამოჩენილი ხირურგები სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ანთელავა, პროფესორები ე. ფიფია, ა. ღვამიჩავა, მ. ჩაჩავა და სხვ. ხომ სასწაულებს ახდენენ. რამდენი ადამიანის, კოლმეურნე გლეხის სიცოცხლე მათ გადაურჩენიათ! ცნობილი ადამიანები— ხირურგები, თერაპევტები, გინეკოლოგები, სტომატოლოგები და სხვ. ახლა ემსახურებიან თვითეული რაიონის მშრომელებს — მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას. ფაქტების ჩამოთვლა ჩვენ შორს წაგვიყვანდა. ივი ყველასათვის კარგად არის ცნობილი.

ავადმყოფისათვის სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად ახლა არათუ რაიონის ცენტრი, თბილისიც კი არ არის დაშორებული. ამ საქმეს ემსახურება და მეტად აადვილებს ავტომანქანები, თვითმფრინავები. მატარებლები და სხვ. აბა ვის უნახავს ახლა სოფლიდან ქალაქში ურმით ჩამოყვანილი ავადმყოფი?

მაგრამ ასე არ არის კაპიტალისტურ ქვეყნებში. ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაშიც კი, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ფერმერთა საექიმო მომსახურება მეტად დაბალ დონეზე დგას. აქ ბევრ შტატში სოფლად ერთ ექიმსაც ვერ ვნახავთ. ფერმერთა შორის მრავალი მწვავე ავადმყოფობაა გავრცელებული.

ორკარ ამერინგერი, რომელმაც იმოგზაურა ოკლაჰომას შტატში, აგვიწერს ფერმერი მოსახლეობის გაჭირვების და ავადმყოფობის საშინელ სურათს. მე ვნახე, ამბობს იგი, უკბილო ბებერი დედები გამხდარ მკერდში ჩაკრული ჩვილი ბავშვე-

ბით. მე ვნახე კიდევ მოხუცი, რომელსაც ჯერ 30 წლისათვის არ მიუღწევია, ხელები კი ეგზემით ჰქონდა შეშმული. მე ვნახე ჭიებით, უშმელობით და პელაგრით გამოფიტული მოზარდები და ყმაწვილები, რომლებიც ჯერ 20 წლისაც კი არ იყვნენ და რომელთაც არ ჰქონდათ კბილები. მე ვნახე სისუსტისაგან დაუძლურებული მამაკაცები, რომელთაც მუხლებზე ეჭირათ 14 წლის ცოლებისაგან შობილი ბავშვები. მე ვნახე ადამიანები, რომლებიც დაცემისა და განადგურების ყველაზე დაბალ დონეზე იყვნენ დასულნი...[1].

ფერმერთა უზრუნველყოფის ადმინისტრაციის მთავარი ექიმის მოტის ცნობით ფერმერთა ცოლების 40 პროცენტს მშობიარობის დროს არავითარ საექიმო დახმარებას არ უწევენ, რის გამო ბევრი მათგანი იღუპება. ფერმერი ქალებისა და კაცების 19 პროცენტი დაავადებულია ვენის სიგანივრით და სხვ. ფერმერთა ბავშვების 10 პროცენტი ფიზიკურად სავსებით გამოფიტულია, ფერმერთა ოჯახების 15 პროცენტი დაავადებულია სისხლნაკლებობით, 65 პროცენტს დამპალი კბილები აქვს. 48 პროცენტს ჯირკვლების გადიდება აქვს. თვითეულ კაცზე საშუალოდ 3 ავადმყოფობა მოდის.

დაავადების ასეთი მაღალი პროცენტი ამერიკის მოსახლეობაში ბუნებრივიც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი უდიდესი ნაწილი სიღატაკეში ცხოვრობს და მოკლებულია საექიმო მომსახურებას.

ჯერომ დევისი წიგნში «კაპიტალიზმი და მისი კულტურა» მოგვითხრობს, რომ გეორგიის შტატის ერთ ოლქში, მაგალითად, 12 ათას კაცზე 7 ექიმი მოდიოდა, მონტანას შტატში 5 500 ათას აკრ ფართობზე არც ერთი საავადმყოფო არ იყო და რეგისტრირებული იყო მხოლოდ 3 ექიმი. ყველა ოჯახის ერთ მესამედზე მეტი ექიმიდან დაშორებული იყო 20 მილის მანძილით, ზოგიერთები კი — 50 — 200 მილითაც.

რა გასაკვირია, ამიტომ, თუ ზოგიერთმა ფერმერმა, რომელსაც ექიმი არასოდეს არ უნახავს, არც კი იცის რა არის და ვინ არის ექიმი.

---

[1] იხ. Марк Вильямс, Бедствующая земля, 1949, стр. 243.

ტეხასის შტატში თვითეულ სულზე წლიურად გაწეული საექიმო ხარჯი 3,5 ცენტს უდრის, ე. ი. იმდენს, რამდენიც იხარჯება ღორების ვეტერინალური მეთვალყურეობისათვის.

მსგავსი მაგალითების დასახელება მრავალი შეიძლება როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე სხვა კაპიტალისტური ქვეყნების გლეხური მოსახლეობიდან.

როგორ არ წააგავს ეს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას? ჩვენში ასეთი ცხოვრების სურათი დიდი ხანია წაშლილია. ამას ჩვენ ვუმადლით საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ერთი ინტერესი აქვს — ემსახუროს ხალხის კეთილდღეობას.

კულტურული აღმავლობა

სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემის — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი სოფლის სახე.

ჯერ კიდევ 1934 წელს საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: «...შეიცვალა სოფლის სახე. ქრება ძველი სოფელი, თავისი საყდრით ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, ურიადნიკის, ხუცესისა და კულაკის საუკეთესო სახლებით პირველ ადგილზე, თავისი ნახევრად დანგრეული გლეხური ქოხებით უკანა რიგზე. მის ადგილას ჩნდება ახალი სოფელი, თავისი საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაგებობებით, თავისი კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, ბიბლიოთეკებით და ბაგებით, თავისი ტრაქტორებით, კომბაინებით, სალეწი მანქანებით, ავტომობილებით. გაქრა ძველი წარჩინებული ფიგურები კულაკ-ექსპლოატატორისა, მევახშე წურბელისა, ვაჭარ-სპეკულანტისა, ხუცეს-ურიადნიკისა. ახლა წარჩინებული ადამიანები არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სკოლებისა და კლუბების მოღვაწეები, უფროსი ტრაქტორისტები, კომბაინერები,

ბრიგადირები, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგში, საკოლმეურნეო მინდვრების საუკეთესო დამკვრელნი»[1].

1956 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სსრ სოფლის მშრომელ მოსახლეობას — კოლმეურნეებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, ინტელიგენციას მომსახურება უწევდა სხვადასხვა ტიპის 2 299 ბიბლიოთეკა, მათ შორის 55 საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში იმყოფებოდა.

აღნიშნულ ბიბლიოთეკებში ირიცხებოდა სულ 5 626 828 წიგნი, ბროშურა და ჟურნალი[2]. სოფლის ბიბლიოთეკების რაოდენობა განსაკუთრებული სისწრაფით გაიზარდა საკოლმეურნეო წყობილების ფართოდ გაშლასთან დაკავშირებით. მაგალითად, 1927 წელს იგი უდრიდა 229-ს 99 ათასი წიგნით, ბროშურით და ჟურნალით, 1940 წელს კი 1 332-ს 642 ათასი წიგნით, ბროშურით და ჟურნალით.

მოთხოვნილება და ინტერესი სოფლად წიგნზე, ჟურნალებსა და გაზეთებზე გაიზარდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლიკვიდირებული იქნა წერა-კითხვის უცოდინარობა.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, წინათ, რევოლუციამდელ სოფელში პირდაპირ სიბნელე სუფევდა. ახლაც ბევრს ახსოვს შემთხვევა, როცა სოფელში არა მარტო გაზეთის, წერილის წამკითხველსაც იშვიათად ნახავდით. ბევრგან კარგ წამკითხველად ითვლებოდა მხოლოდ დიაკვანი ან მღვდელი, აგრეთვე სოფლის მწერალი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ, ვის არ უნახავს კოლმეურნე, რომელსაც გამოწერილი აქვს არა მარტო ქართული გაზეთები, არამედ რუსულიც. არაფერს ვამბობთ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა დიდ ნაწილზე, რომელსაც გამოწერილი აქვს გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. მეტიც: ბევრი მათგანი კონკრე-

---

[1] ი. სტალინი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობას საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, 1952, გვ. 119 — 120.

[2] Культурное строительство СССР, стат. сборник, 1956, გვ. 96.

ტული ეკონომიკის, ზოგჯერ თეორიულ საკითხებზეც კი, საუკეთესო ლექციებსა და მოხსენებებს ატარებენ.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში რევოლუციამდე იშვიათად თუ ნახავდით გაზეთს, წიგნს, ჟურნალებს[1]. ახლა ასეთი მდგომარეობაა: ამ სოფლის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ღებულობს გაზეთ «კომუნისტს» 200 ცალს, «საბჭოთა აჭარას» 240 ცალს. დიდი რაოდენობით «ზარია ვოსტოკას», «პრავდას», «ბატუმსკი რაბოჩის», «ახალგაზრდა კომუნისტს», «ლელოს», «ქობულეთელ კოლმეურნეს», «ლიტერატურულ გაზეთს», «ლიტერატურნაია გაზეტას», «სახალხო განათლებას», «იზვესტიას», «კომსომოლსკაია პრავდას», «სელსკოე ხოზიაისტვოს», «დრუჟბას» (ჩინეთიდან); ჟურნალებს «დროშას», «საქართველოს კომუნისტს», «აგიტატორის ბლოკნოტს», «საქართველოს კოლმეურნეს», «ნიანგს», «მნათობს», «კომუნისტს» (რუსულად), «სუბტროპიკულ კულტურებს», «მეცნიერებას და ტექნიკას», «კომუნისტური აღზრდისათვის», «კრესტიანკას» და სხვ.[2].

აღნიშნულ კოლმეურნეობას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა რამდენიმე ათასი წიგნით. ამ კოლმეურნეობის თითქმის თვითეულ წევრს კარგად მორთულ სახლებში აქვთ რადიომიმღები, პიანინო, რკინის საწოლები და სხვ. მსუბუქი მანქანა, ველოსიპედი, მოტოციკლი აქ ახლა ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც კოლმეურნეებს აქვთ.

---

[1] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, მოუნაევი სოფელი და კოლმეურნეობა (ისტორიული-ეკონომიური ნარკვევი), ეკონომიკის ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი, 1945.

[2] ოქტომბრის რევოლუციამდე მთელ რიგ ეროვნებებს, თუმცა საკუთარი ენა ჰქონდათ, მაგრამ მათ ენაზე არავითარი ლიტერატურა არ იცემოდა. ასეთი იყო, მაგალითად, ენები: აბაზური, ადიღური, ასირიული, ბაშკირული, ბელუჯური, ბურიატული, დუნგანური, ინგუშური, ყაბარდო-ჩერქეზული, კალმიკური, ყარა-კალპაკური, კარელიის, ყირგიზული, ყირიმის თათრული, კუმიკური, ქურთული, ლეკური, მოლდავური, ტუვინური, ტატური, ტაჯიკური, თურქმენული, ჩეჩნური, ესკიმოსური, ბოშური, უდეური, ჩუკოტკური, ტაბასარანული, საამისური და მრავალი სხვ. (იხ. Культурное строительство СССР, 1940, გვ. 208). ამ ხალხებმა თავიანთი საკუთარი დამწერლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოიპოვეს.

არავის არ აკვირვებს არც საუკეთესო კინოფილმების ჩვენება, რომელიც აქ აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა.

1952 წელს კოლმეურნეობამ ააგო კლუბი 400 ადგილით. კვირაში ორჯერ ან ერთხელ მაინც უჩვენებენ კინოსურათებს, მართავენ თვითმოქმედების საღამოებს და სხვ.

კოლმეურნეობამ მოაწყო საკუთარი რადიოკვანძი, საიდანაც კოლმეურნეები რადიოთი ბინაში ისმენენ კონცერტებს, მოხსენებებს, ლექციებს კოლმეურნეობის გამგეობა უკავშირდება კოლმეურნეობის თვითეული წევრის ოჯახს.

ის ადგილი, სადაც ახლა კოლმეურნეობის ორსართულიანი ლამაზი კანტორის შენობაა მოთავსებული, სულ რაღაც 10—12 წლის წინათ ტყითა და ჭაობით იყო დაფარული. ახლა იგი ვაჩირაღდნებულია ელექტრონით, გამწვანებულია დეკორაციული მცენარეებით, კანტორის წინ გაშენებულია საუკეთესო ბაღი, მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულია ლენინისა და სტალინის შესანიშნავი ძეგლები, იქვე გამოფენილია მოწინავე კოლმეურნეების, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანების სურათები და სხვ. [1].

კოლმეურნეობაში არის ორი დიდი სასადილო, რომლებიც მომსახურებას უწევენ კოლმეურნეობის წევრებს.

თავისი კეთილმოწყობის მხრივ სოფ. ხუცუბნის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა გამონაკლისი როდია. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საგრძნობი ნაწილი ახლა არათუ ჩამოუვარდება სოფ. ხუცუბნის კოლმეურნეობას, არამედ მნიშვნელოვნად აღემატება მას.

ავიღოთ, მაგალითად, იმავე რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. იგი ჩამოყალიბდა 1931 წელს. წინათ ამ სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ღარიბი იყო. ამის გამო პირველხანებში აღნიშნული კოლმეურნეობაც სუსტი იყო. ახლა იგი ერთ-ერთი ძლიერი კოლმეურნეობაა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში. 1956 წელს მისი შემოსავალი 11 მილიონ მანეთს უდრიდა. თვითეულ შრომა-

---

[1] ნ. მ ა ლ ა ზ ო ნ ი ა, ასმათ ჯიჯავაძე, ნარკვევი, 1950.

დღეზე კოლმეურნეებმა ფული მიიღეს 33 მანეთზე მეტი. საბჭოთა ხელისუფლების დროს ძლიერ გალამაზდა სოფ. დაგვა. დაგველმა კოლმეურნეებმა გაიშენეს ლამაზი სახლები, გაიყვანეს სასოფლო წყალსადენი, ააშენეს საკუთარი ჰიდროელსადგური, რომლის ბაზაზეც მოწყობილია საკოლმეურნეო რადიოკვანძი, სახერხი ქარხანა, წისქვილი, სამჭედლო, საზეინკლო და მექანიკური სახელოსნოები, აშენებენ კოლმეურნეობის კანტორის სამსართულიან შენობას, კულტურის სასახლეს მაყურებელთა 700-ადგილიანი დარბაზით, ააშენეს 8-წლიანი სკოლის ახალი შენობა. სოფლის ცენტრში მუშაობს საავადმყოფო ფიზიოკაბინეტით, აქვთ საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა, დამთავრებულია კოლმეურნეობის სრული ტელეფონიზაცია[1] და სხვ.

ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ქ. ლავასის ამას წინათ ამ თანამდებობაზე მუშაობის 25 წელი შეუსრულდა, რომელიც დიდი ზეიმით აღნიშნეს სოფ. დაგვისა და მთელი რაიონის მშრომელებმა. მას დაენიშნა პენსია და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა საპატიო სიგელით. მსგავსი ფაქტების დასახელება მრავალი შეიძლება საქართველოს სსრ სხვა რაიონებიდანაც.

რევოლუციამდელმა სოფელმა სრულებით არ იცოდა კლუბების, კულტურის სახლების არსებობა. ესენი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაჩნდნენ სოფლად, რომლებიც კულტურულ-აღმზრდელობით ცენტრს წარმოადგენენ კოლმეურნე გლეხობისათვის, სოფლის ინტელიგენციისათვის.

ახლა ხშირია შემთხვევა, როცა კლუბების, კულტურული სახლების ხელმძღვანელები სასოფლო-სამეურნეო კამპანიების დროს მინდვრადაც კი აწყობენ მხატვრულ აგიტპროპაგანდას, კონცერტებს; კოლმეურნეებს უჩვენებენ კინოსურათებს, უკითხავენ მოხსენებებს, ლექციებს და სხვ.

---

[1] მოწინავე კოლმეურნეთა და მტს-ების გამოცდილება, 1954, გვ. 81.

საქართველოს სსრ-ის სოფელ ადგილებში ითვლებოდა. საკლუბო დაწესებულებები: 1922 წელს — 170; 1929 წელს — 521; 1930 წელს — 617; 1935 წელს — 1003[1]; 1956 წლის 1 იანვრისათვის 1 063. აქედან საკოლმეურნეო კლუბების რაოდენობა შეადგენდა 62-ს. მათში ფასიანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკები ითვლებოდა 56.

საკოლმეურნეო კლუბებთან მოწყობილია სხვადასხვა თვითმოქმედი წრე. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში დიდ როლს ასრულებენ თვითმოქმედების საღამოები კოლმეურნე ახალგაზრდობის მონაწილეობით.

კლუბების უმეტეს ნაწილში დადგმულია საკუთარი კინოდანადგარი. გარდა ამისა, სოფლად დიდ როლს ასრულებს მოძრავი ელექტროსადგურები, კომპლექსური გამაძლიერებელი მოწყობილობები და სხვ., რაც ხელს უწყობს კინოსურათების რეგულარულ ჩვენებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

1941 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფელში ითვლებოდა 194 კინოდანადგარი, მათ შორის მოძრავი იყო 95, შემდეგ წლებში იგი იზრდებოდა შემდეგნაირად:

კინოდანადგარების ზრდა საქართველოს სსრ-ში 1946—1955 წწ.[2]

წლები	კინოდანადგარი	მათ შორის მოძრავი
1946	151	96
1951	329	198
1954	515	284
1955	564	281

[1] Культурное строительство СССР, 1940, стр. 164.

[2] Культурное строительство СССР. стат. сборник, 1956, стр. 308 — 309.

როგორც ვხედავთ კინოდანადგარები სოფლად, მათ შორის მოძრავი, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ჯერჯერობით ამ მხრივ დიდი ნაკლოვანებებიც გაგვაჩნია, მაგრამ იგი თანდათან სწორდება და სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურება მალე კიდევ უფრო გაუმჯობესდება, რაც ნათლად არის გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში.

საკოლმეურნეო წყობილების პირობებში თავისუფლად ამოისუნთქა ქალმაც. იგი რამდენადმე განთავისუფლდა ოჯახზე, როგორც იტყვიან «კერიაზე» მიჯაჭვულობისაგან. ქალები უდიდეს ძალად იქცნენ კოლმეურნეობაში. ამას დიდად ეხმარება საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაღების მოწყობა, რომლებიც ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა.

1955 წელს სოფლად ითვლებოდა სულ 189-ზე მეტი საბავშვო ბაღი, სადაც მოთავსებული იყო 4,4 ათასი ბავშვი, ნაცვლად 1927 წლის 10 საბავშვო ბაღისა 500 ბავშვით.

საბჭოთა სოფლის სახე დიდად შეცვალა ახალმა საზოგადოებრივმა შენობებმა, ნაგებობებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოებმა, სახელოსნოებმა. სოფლად თანდათანობით ქრება წინანდელი გლეხური ქოხმახები, იგება ახალი საცხოვრებელი სახლები. სათანადო მონაცემები გვიჩვენებენ, რომ 1921 — 1948 წლამდე ყველა მეურნეობის დაახლოებით 50 პროცენტმა აიშენა სოფელში ახალი სახლები, შემდეგ წლებში ეს პროცესი კიდევ უფრო მძლავრი ტემპით წავიდა წინ.

დიდ მუშაობას სოფლად ეწევიან ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, მასების კომუნისტურ აღზრდას. საბჭოები რაზმავენ მშრომელებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიისა და მთავრობის დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის.

საბჭოთა სოფლის კეთილმოწყობის ზრდის უდავო ფაქტს გვიჩვენებს ახალი გზების, ბევრგან კანალიზაციის, მრავალ

სოფელში სასმელი წყლის გაყვანა და სხვ. ეს საკითხები საუკუნეების მანძილზე აწუხებდა მოსახლეობას სოფლების დიდ ნაწილში. მაგრამ მათ მის მოგვარებაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

ახლა მრავალ სოფელს საუკეთესო, სწორი, ასფალტირებული გზა აშშვენებს.

სოფლად ბევრ მდინარეზე აიგო ახალი ხიდები, გაკეთდა ჯებირები, სოფელს შეემატა ახალი სახმარი მიწები, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონდა.

საკოლმეურნეო სოფელში ელექტრონთან ერთად ფართოდ დაინერგა ტელეფონიზაცია, რადიოფიკაცია; უკვე ინერგება ტელევიზაცია, რაც გაუგონარ მოვლენას წარმოადგენს ისტორიაში.

რაც დრო გადის, მით უფრო სუფთა და ლამაზი ხდება საკოლმეურნეო სოფელი, ბევრ კოლმეურნეობაში კარგ ინიციატივას იჩენენ როცა აგებენ აბანოებს, საავადმყოფოებს, საერთო სამრეცხაოებს, სტადიონებს.

მთელი რიგი სოფლებისა და კოლმეურნეობების სიამაყეს წარმოადგენენ საუკეთესო ფიზკულტურელები —ფეხბურთელები, მოჭადრაკეები, ცხენოსნები, მსროლელები, მოკრივეები, ფრენბურთლები, კალათბურთელები, მოცურავეები, მოჭიდავენი, მძლეოსნები და სხვ.

საბჭოთა სოფლის კულტურული აღმავლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფაქტს წარმოადგენს დაწყებითი და საშუალო განათლების ქსელის გაფართოება. სოფლის მოსწავლეთა რიცხვი 1927 — 1928 წლების 193,7 ათასიდან 1955 — 1956 წწ. გაიზარდა 438,1 ათასამდე.

კოლმეურნეობის წევრთა შვილები საშუალო და უმაღლეს დამთავრებულები ბრუნდებიან თავიანთ კოლმეურნეობებში — ექიმებად, მასწავლებლებად, ტექნიკოსებად, აგრონომებად და სხვ.

საკოლმეურნეო სოფლის, კოლმეურნე გლეხობის კულტურული დონის ზრდის დასახასიათებლად კიდევ ბევრი ფაქტის დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია

იმის ნათელსაყოფად, თუ რას მივაღწიეთ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების დროს, რა შორს წავიდა საერთოდ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სსრ განვითარება.

ყოველივე ეს განხორციელდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, მათი ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად. ამის შესაძლებლობა შექმნა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

თავი IX

შემდგომი განვითარების პერსპექტივები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ფართო ღონისძიებები დასახა ჩვენი ქვეყნის ახალი, მძლავრი განვითარებისათვის. ამის შესაძლებლობას იძლევა ის დიდი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულ იქნა განვლილი წინა ხუთწლედების განმავლობაში.

ყრილობის დირექტივებში «სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ» ნათქვამია: «საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მიღწეული დონე შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა სახელმწიფოს სწრაფი ტემპით განავითაროს არა მარტო წარმოების საშუალებათა წარმოება, რაც იყო და კვლავ არის მთელი სახალხო მეურნეობის ურყევი საფუძველი, არამედ აგრეთვე სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, მნიშვნელოვნად გაამრავლოს საზოგადოებრივი სიმდიდრე და ამით კიდევ უფრო წინ წავიდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით»[1].

აღსანიშნავია, რომ მარტო განვლილ ხუთწლედში სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 85 პროცენტით, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გადიდდა 91 პროცენტით, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდა-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციები, 1956, გვ. 37.

მუშავების პროდუქციის საერთო მოცულობა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 2,2-ჯერ.

1955 წელს სამრეწველო პროდუქცია გამოშვებულ იქნა 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი მძიმე მრეწველობის პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა — ფოლადის, ნაგლინის, ქვანახშირის, ნავთობის, ელექტროენერგიის, ცემენტის, ალუმინის, ავტომობილების, ტრაქტორებისა და ბევრ სხვა სახეობის პროდუქციის დარგში.

XX ყრილობის წინა წლებში სოციალისტური ეკონომიკის განვითარების, შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და საცალო ფასების შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, აგრეთვე კოლმეურნეების შემოსავალი, გაიზარდა მშრომელი მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. მაგალითად, მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის ზრდა არა ნაკლებ 35 პროცენტით, კოლმეურნეების შემოსავალი არანაკლებ 40 პროცენტით, ნამდვილად კი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი გაიზარდა 39 პროცენტით, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი კი 50 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული იყო ნაციონალური შემოსავლის ზრდა 60 პროცენტით, ფაქტიურად კი იგი 1951 — 1955 წლებში გაიზარდა 60 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი უკანასკნელი წლების (1953 — 1955) პლენუმებზე განიხილა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უაღრესად აქტუალური საკითხები, ფართო პროგრამა შეიმუშავა მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების საქმეში. ჩატარებულ იქნა დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი თავმინებებული დარგების ასამაღლებლად და მთლიანად სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით საბჭოთა სახელმწიფომ მნიშვნელოვნად გაადიდა სოფლის მეურნეობისათვის

დახმარება. მარტო 1954 და 1955 წლებში სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდება შეადგენდა 34,4 მილიარდ მანეთს, ე. ი. კაპიტალდაბანდების მთელი ჯამის 138 პროცენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელი მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში. მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო მეოთხე ხუთწლედთან შედარებით სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდების გადიდება 2,1-ჯერ, ფაქტიურად კი იგი გაიზარდა 2,5-ჯერ[1].

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის მწარმოებლურობის გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

მეექვსე ხუთწლედში სოფლის მეურნეობამ ახალ მკვეთრ აღმავლობას უნდა მიაღწიოს. თუ, მაგალითად, მეხუთე ხუთწლედში სოფლის მეურნეობამ მიიღო 824 ათასი ტრაქტორი და 217 ათასი მარცვლეულის კომბაინი, მეექვსე ხუთწლედში სოფლის მეურნეობა მიიღებს 1 650 ათას ტრაქტორს (15 ძალიანზე გადაყვანით), 560 ათას მარცვლეულის კომბაინს, 180 ათას მარცვლეული კულტურების შერჩევით სამკელს (ვინდროუერს) და სხვ.

მეექვსე ხუთწლედში სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდება თითქმის ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში და 14-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში. დიდად გაიზრდება მინერალური სასუქების შეტანა სოფლის მეურნეობაში. 1960 წლისათვის მინერალური სასუქების გამომუშავება გაიზრდება 19,6 მილიონ ტონამდე. რაც თითქმის

---

[1] Н. Анисимов, Сельское хозяйство СССР в шестой пятилетке, 1956, გვ. 5.

6,5-ჯერ აღემატება 1940 წელს მინერალური სასუქების გამომუშავების, ხოლო 2-ჯერ 1955 წლის გამომუშავების დონეს.

მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე. ამ დარგში მიღწეული წარმატებები შესაძლებლობას იძლევა მოკლე დროში გადავწყვიტოთ სამუშაოთა ცალკეული სახეების მექანიზაციიდან კომ-კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლის საკითხი.

უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ დიდი მუშაობა ჩაატარეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განმტკიცებ-ს უზრუნველსაყოფად. მტს-ებში შექმნილია მუდმივ მუშათა კადრები, მათში მრეწველობიდან გაიგზავნენ 29 ათასზე მეტი ინჟინერი და ტექნიკოსი, აგრეთვე მრავალი ათასი აგრონომი. ზოოტექნიკოსი და სხვ.. ქალაქებიდან კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაიგზავნა 120 ათასი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, აგრეთვე 20 ათასი კომუნისტი, რომლებიც რეკომენდებულ იქნენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად.

1955 წელს სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 400 ათასზე მეტი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი და ინჟინერ-ტექნიკოსი უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლებით. მათი ძირითადი მასა — 330 ათასზე მეტი, უშუალოდ კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სატყეო მეურნეობებში მუშაობენ. კოლმეურნეთა თავმჯდომარეების რაოდენობა უმაღლესი განათლებით 1952 — 1955 წლებში გაიზარდა თითქმის 2-ჯერ[1].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესაბამისად სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ნათესი ფართობის, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოების გაფართოება, რაც უმთავრესად ახალი, ყამირი და

---

[1] Анисимов, Сельское хозяйство СССР в шестой пятилетке, стр. 8.

ნასვენი მიწების ათვისების ხარჯზე მოხდა. ამ ღონისძიებამ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს უკვე მოგვცა თავისი ბრწყინვალე შედეგი. მარტო აკაზახეთის საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა ვადამდე — 1956 წლის 10 ოქტომბერს შეასრულეს სამშობლოს წინაშე ნაკისრი ვალდებულება, სახელმწიფოს ჩააბარეს 1 მილიარდ 340 ათასი ფუთი პური, ე. ი. 402 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო სახელმწიფო გეგმით.

პურისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ყაზახეთის მშრომელთა ასეთი დიდი გამარჯვება მოწმობს კომუნისტური პარტიის სწორ პოლიტიკას მარცვლეულის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში.

მეექვსე ხუთწლედში სერიოზულ ნაბიჯებს დგამს წინ საქართველოს სოფლის მეურნეობაც. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სახელმწიფოსათვის, არამედ, კოლმეურნე გლეხობისა და მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის. ეგი კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ მდგომარეობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

საქმე ის არის, რომ თავისი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა სპეციალიზირებულ იქნება უფრო მეტად მაღალშემოსავლიანი დარგებისა და კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ხილის, ეთერ-ზეთოვან, აგრეთვე თამბაქოს და სხვ. კულტურების განვითარებით, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს კოლმეურნე გლეხობის შემოსავალს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიან შემოსავალში ამ დარგების ხვედრიწონა შეადგენს 60 პროცენტს, საქონლურ პროდუქციაში კი 75 პროცენტზე მეტს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი და რენტაბელური დარგი, რომელიც უაღრესად განვითარდა საქართველოს სსრ-ში, მის 30 ადმინისტრაციულ რაიონში არის მეჩაიეობა. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია ჩაის კიდევ უფრო განვითარება.

1956 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოში უდრიდა 66 109 ჰექტარს, რაც საბჭოთა კავშირის ჩაის პლანტაციების 90 პროცენტს შეადგენს. ჩაის ნედლი ფოთლის მთავარი მწარმოებლები ჩვენში ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არიან. 1956 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში უდრიდა 54 500 ჰექტარს, საბჭოთა მეურნეობებში კი 10 779 ჰექტარს, დანარჩენი მოდიოდა საკარმიდამო მეურნეობებზე.

მეექვსე ხუთწლედში ჩაის წარმოება 1,3-ჯერ უნდა გაიზარდოს, ამის შესაბამისად ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება მიაღწევს 165 ათას ტონას.

ამ ამოცანის განხორციელება გათვალისწინებულია ძირითადად ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებით, რაც 1960 წლისათვის საშუალოდ ჰექტარზე 2 800 კილოგრამს მიაღწევს, ნაცვლად 1956 წელს მიღებული 2 330 კილოგრამისა. ეს უზრუნველყოფს მასზე არა მარტო საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ გატანილიც კი იქნება საზღვარგარეთ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო მნიშვნელობის დარგს მეციტრუსეობა წარმოადგენს. იგი ჩაისთან ერთად საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. თუ 1955 წელს მისი ფართობი 15 500 ჰექტარს, ხოლო 1956 წელს — 16 312,5 ჰექტარს უდრიდა, მეექვსე ხუთწლიანი გეგმით ციტრუსოვანთა ნარგავების გაფართოება ნავარაუდევია 6 ათასი ჰექტარით.

მეექვსე ხუთწლედში ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდება ნავარაუდევია იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის მის ჩაბარებას არა ნაკლებ 600 მილიონი ცალისა.

საქართველოს სსრ კოლმეურნე გლეხობის მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის ამაღლების ურყევ საფუძველს წარმოადგენს ისეთი დარგები, როგორიცაა, მაგალითად, მევენახეობა, მეხილეობა და სხვ.

1955 წელს ვენახის ფართობი საქართველოს სსრ-ში უდრიდა 55,3 ათას ჰექტარს, 1956 წელს დაახლოებით 60 ათას ჰექტარს. მეექვსე ხუთწლედის ბოლოს გათვალისწინებულია ვენახის ფართობი გაიზარდოს 80 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1965 წელს 120 ათას ჰექტრამდე.

როგორც ვხედავთ, ეს სერიოზული დავალებაა, რომლის შესრულებაც უდიდესი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს ჩვენი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციებისაგან.

მეექვსე ხუთწლედში ნავარაუდევია ხეხილის ბაღების ფართობი გადიდდეს 120 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 1955 წლის 101,8 ჰექტარისა. უახლოეს წლებში გაშენებულ უნდა იქნას 17 ათას ჰექტარზე მეტი ახალი ბაღები და უნდა მივაღწიოთ ჰექტარზე სულ ცოტა 40—45 ცენტნერ მოსავლიანობას. ამისათვის დიდი ყურადღება მიექცევა მებაღეობის კულტურის ამაღლებას, ბაღების მოვლის გაუმჯობესებას და სხვ.

მეექვსე ხუთწლედში სერიოზული ყურადღება ექცევა ტექნიკური კულტურების, კერძოდ, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის და სხვ. განვითარებას. მათ ჩვენი სოფლის მეურნეობის ზოგიერთ სხვა კულტურებთან ერთად საკავშირო მნიშვნელობა აქვთ. საქართველოს თამბაქოს ნედლეულის პაპიროსად გადამუშავებაზე მუშაობს საბჭოთა კავშირის თითქმის თამბაქოს ყველა ფაბრიკა.

1960 წლისათვის გათვალისწინებულია საქართველოს სსრ თამბაქოს მოსავლიანობის გადიდება 21,1 ათას ტონამდე, ნაცვლად 1955 წლის 14,5 ათასი ტონისა. თამბაქოს უმთავრესი მწარმოებლებია აფხაზეთი, აჭარა, აგრეთვე ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის და სხვ. რაიონები.

რაც შეეხება შაქრის ჭარხალს, მისი წარმოება 1960 წლისათვის უნდა გადიდდეს 150 ათას ტონამდე. ამასთან კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნეს საქართველოსა და სამხრეთის სხვა რაიონებისათვის, დაწყებული 1956 წლის მოსავლი-

ლან დაეწესებიათ ფასი ერთ ცენტნერ შაქრის ჭარხალზე 21 მანეთის რაოდენობით.[1]

სხვა კულტურებთან და დარგებთან ერთად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარებისათვის სერიოზული ყურადღება მიექცევა მარცვლეულის მეურნეობას. მარცვლეული კულტურები სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს წარმოადგენენ. მეექვსე ხუთწლედში მარცვლეულის წარმოება უნდა გავადიდოთ დაახლოებით 1,3-ჯერ, მათ შორის სიმინდისა — 1,4-ჯერ. 1960 წლისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მარცვლეულის საერთო მოსავალი აყვანილ უნდა იქნას 62 მილიონ ფუთამდე. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც მოსახლეობის სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ისე მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

მეექვსე ხუთწლედში სერიოზული ამოცანებია დასმული მეცხოველეობის წინაშე, განსაკუთრებით ამ დარგის პროდუქტიულობის ამაღლების, ჯოგის სტრუქტურის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. საზოგადოებრივ მეცხოველეობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება დედაპირუტყვის ხვედრიწონა. მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო ამოცანების შესაბამისად დიდი ყურადღება მიექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

ნავარაუდევია, რომ 1960 წლისათვის კოლმეურნეობებში საკვები კულტურების ნათესი ფართობი გადიდდეს 110 ათას ჰექტარამდე, ხოლო სილოსის დამზადება 1,5 მილიონ ტონამდე. მეექვსე ხუთწლედში ხორცის წარმოება გათვალისწინებულია გადიდდეს — 1,7-ჯერ, რძისა — 2-ჯერ და მატყლისა — 1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 1,5-ჯერ. ასეთი ზრდის შედეგად 1960 წელს მიღებულ იქნება საერთო პროდუქცია: ხორცისა — 145 ათასი ტონა, რძისა — 771 ათასი ტონა, მატყლისა — 4 500 ტონა, კვერცხისა — 675 მილიონი ცალი.

მეექვსე ხუთწლედში დიდი ყურადღება ექცევა სარწყავი

---

[1] Грузинская ССР, под редакцией проф. П. Гугушвили, 1957, стр. 146.

სისტემისა და სამელიორაციო სამუშაოების გაფართოებას. XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია განხორციელდეს სარწყავი ქსელის მშენებლობა 40 ათას ჰექტარ ფართობზე და ამოსაშრობი ქსელისა — 10 ათას ჰექტარზე; გათვალისწინებულია დამთავრდეს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რისთვისაც გაუვანილ იქნება სარწყავი ქსელი 25 ათას ჰექტარზე და აიგება სიონის წყალსაცავი მდინარე იორზე [1]. გარდა ამისა, დამთავრდება მთელი რიგი სარწყავი სისტემები (ტაშისკარის, მუხრანის, საგურამოს, თეზამის, აშურიანის და სხვ.)[2], რომლის შედეგად 1960 წლისათვის სარწყავი ფართობი გაიზრდება 40 ათასი ჰექტარით. ამას გარდა კოლხიდის ამოშრობა მოგვცემს დამატებით 10 ათას

[1] როგორც აღნიშნული იყო, ახლა სამგორის ველზე ირწყვება სულ 20 ათასი ჰექტარი მიწა. მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის ეს ფართობი გადიდდება 48 ათას ჰექტარამდე. 1957 წელს მარტო ახალი სარწყავი არხებით მოირწყვება 6 ათასი ჰექტარი მიწა.

არხების მშენებლობაზე გაცხოველებული მუშაობაა. განახლებულ მიწებზე ეწყობა ახალი მეურნეობები. 1 200 ჰექტარზე მეტი უჭირავს სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელიც სამი წლის წინათ შეიქმნა. ამ საბჭოთა მეურნეობამ უნდა მიიღოს 1 მილიონამდე კვერცხი, 420 ტონა ფრინველის ხორცი.

1 300 ჰექტარი მიწა უჭირავს მეხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ჩვენს ქვეყანაში. 1957 წელს მეურნეობა ქვეყანას მისცემს 7 ათას ცენტნერზე მეტ რძეს.

სამგორის ველზე დაარსებულმა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელსაც 300 ჰექტარი მიწა უჭირავს, 1956 წელს ყურძნის პირველი მოსავალი მიიღო ჰექტარზე 15 ცენტნერის რაოდენობით. 1957 წლის გაზაფხულს სამგორის ველზე კიდევ 2 ახალი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა დაიწყო. ორიეე მეურნეობაში ვაზი დაიჭერს 1 200 ჰექტარს, ხეხილის ბაღი — 200 ჰექტარს. სამგორის ველზე დაიწყო აგრეთვე რესპუბლიკაში პირველი პომოლოგიური ხეხილის ბაღის გაშენება. აქ უნდა დაირგოს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული ხეხილის ჯიშები.

მოსავლიანობის გადიდებისათვის მაღალ ბრძოლისუნარიანობას იჩენენ სამგორში ახლად შექმნილი სოფლების — გამარჯვებისა და ახალი სამგორის კოლმეურნეობები, აგრეთვე სამგორის სარწყავ სისტემაში შემავალი ყველა კოლმეურნეობა.

[2] Советская Грузия., под редакцией проф. П. Гугушвили, стр. 148.

ჰექტარ ნაყოფიერ მიწას[1]. შესრულებულ იქნება საინჟინრო ტიპის ნაპირსამაგრო სამუშაოები (მდ. ბოროხი, რიონი, ცხენისწყალი და სხვ.) და სხვ.[2].

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მიღწევები დემონსტრირებულ იქნა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 1954 — 1956 წლებში. 1956 წელს გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს 89 კოლმეურნეობა და მეცხოველეობის ფერმა, 4 მტს-ი, სხვადასხვა მეცნიერულ-კვლევითი ორგანიზაცია და სასწავლო დაწესებულება, აგრეთვე 1 757 მოწინავე კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, მეცნიერული მუშაკები და ახალგაზრდა ნატურალისტები. ზოგიერთი ამათგანის ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა სათანადოდ არის ასახული ჩვენს პრესაში — სტატიების, ბროშურების და სხვ. სახით[3].

მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთ დიდ და სერიოზულ დავალებას სოფლის მეურნეობის ხაზით, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოში, წარმოადგენს კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. ამის შესახებ XX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: «უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გადიდება მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანერგვის, მუშახელის რაც შეიძლება უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენების, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების საფუძველზე. ფართოდ იქნას გამოყენებული კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება, როგორც

---

[1] Советская Грузия, под редакцией проф. П. Гугушвили, 1957, გვ. 148.

[2] ირ. მიქელაძე, საქართველოს სახალხო მეურნეობა - მეექვსე ხუთწლედში, 1956, გვ. 40.

[3] ი. ქაჩიბაია, ლ. ბერძენიშვილი, მოწინავე მტს-ის მთავარი აგრონომის მუშაობის გამოცდილება, 1955; შ. ჯოჯუა, სოციალისტური შრომის გმირთა ოჯახი, 1955; ი. ორაგველიძე, მოწინავეთა რიგებში, 1955; მ. გურგენიძე, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მეცხოველეები, 1955.

კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდ-მნიშვნელოვანი სტიმული. გაგრძელდეს მუშაობა კოლმეურ-ნეობების განსამტკიცებლად ხელმძღვანელი კადრებით, გაუმ-ჯობესდეს მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების ხარისხი»[1].

უეჭველია, კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება დიდად შეუწყობს ხელს შემოსავლია-ნობის ზრდას და კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. ამ მხრივ ბევრია დამოკიდებული თვით კოლმეურნეებზე.

უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობის თვითეულ წევრს, კოლმეურნეობის თვითეულ ხელმძღვანელ მუშაკს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-სა-მეურნეო განმტკიცებისათვის აუცილებელია, რათა კოლმეურ-ნეობა პირველ რიგში ასრულებდეს სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულებას, სისტემატურად ამაღლებდეს მიწათ-მოქმედების კულტურას, მეცხოველეობის პროდუქტიულობას, ადიდებდეს მოსავლიანობას და შემოსავლიანობას, უზრუნველ-ყოფდეს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ყო-ველმხრივ გადიდებას და სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების განუხრელ ზრდას, ნერგავდეს ახალ გაუმჯობე-სებულ ჯიშებს, როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეო-ბაში, მაქსიმალურად იყენებდეს მოწინავე მეცნიერების ყველა დადებით გამოცდილებას, განამტკიცებდეს შრომის დისციპლინას, აღრიცხვას, აღკვეთდეს უყაირათო, ზარმაცი და წამგლეჯი ელემენტების საქმიანობას და სხვ.

გარდა ამისა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მიზნით საჭიროა კოლმეურნეობის წევრთა კომუნისტური შეგნების ამაღლება, სოციალისტური საკუთრე-ბისა და შრომისადმი ახალი დამოკიდებულების დანერგვა, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიისა და ხელმძღვანელობის დემოკრატიული ფორმების გაძლიერება და სხვ.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუ-ციები, გვ. 81.

როგორც ვხედავთ, ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხები კოლმეურნეობათა მუშაობის მთავარი საკითხებია, ამიტომ ისინი წარმატებით უნდა გადაჭრან თვით კოლმეურნეებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, რაც მეექვსე ხუთწლედის მთელს მანძილზე და შემდეგაც უაღრესად სერიოზულ საბრძოლო ამოცანას შეადგენს.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ამოცანის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების წესიერ, მაღალმწარმოებლურ მუშაობაზე.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია, კიდევ უფრო აძაღლდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი კოლმეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში, გადიდდეს მათი პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებისათვის, მემცენარეობისა და მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, უზრუნველყოფილ იქნას მტს-ების მუდმივი მუშების სრული გამოყენება მთელი წლის განმავლობაში მექანიზატორთა პროფესიების ფართოდ შეთავსებისა და კოლმეურნეობებისადმი საწარმოო დახმარების გაფართოების გზით.

საქართველოს სსრ მტს-ების როლის გაძლიერება კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში ნათლად შეიძლება დავინახოთ იმ ფაქტიდან, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაიზარდოს მათი საქმიანობა. მაგალითად, 1960 წელს ტრაქტორების სამუშაოთა მოცულობა (რბილ ხვნაზე გადაყვანით) გაიზრდება 3 200 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 1955 წლის 2 837 ათასი ჰექტარისა. ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე, კიდევ უფრო შემსუბუქდება კოლმეურნეთა შრომა, გაიზრდება მოსავლიანობა, მიწათმოქმედების კულტურა.

მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება მტს-ების პარკის სიმძლავრე, გაიზრდება მათი ტექნიკური აღჭურვილო-

ბა, რაც უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემის ახალ აღმავლობას.

* *
*

ყოველივე ის, რასაც საქართველოს სს რესპუბლიკამ, ჩვენმა შრომისმოყვარე ხალხმა დღემდე მიაღწია, შესაძლებელი შეიქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, რომელმაც ფართოდ გაუხსნა გზა ეკონომიური და კულტურული განვითარებისაკენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას.

ოქტომბრის რევოლუციის განმათავისუფლებელი გავლენის შედეგს წარმოადგენს ის, რომ კაპიტალისტებისა და მემამულეების საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან სამუდამოდ გაინთავისუფლეს თავი აგრეთვე ევროპისა და აზიის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას. ოქტომბრის რევოლუციის დროშით იმპერიალისტური მონობის მძიმე უღლის გადასაგდებად წარმატებით იბრძვიან მშრომელები ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ამიტომ არის, რომ ოქტომბრის რევოლუცია ასე ძვირფასია მსოფლიო პროლეტარიატისათვის, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანისათვის; ამიტომ არის, რომ ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავი საყოველთაო-სახალხო ზეიმს წარმოადგენს როგორც ჩვენში — საბჭოთა კავშირში, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის დროშით, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდიან წინ — კომუნიზმისაკენ.

შინაარსი

წინასიტყვაობა		3
შესავალი		5
თავი I.	როგორ ცხოვრობდნენ გლეხები ოქტომბრის რევოლუციამდე	9
	გლეხობის მდგომარეობა მეფის რუსეთში	9
	გლეხობის მდგომარეობა საქართველოში	14
	ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ	22
თავი II.	რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს გლეხობას	29
	პირველი დახმარება გლეხობისადმი	29
	ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის	36
	ტექნიკური აღჭურვილობისათვის ზრუნვა	44
	პირველი საბჭოთა მეურნეობები	47
	სოფლის გლეხური მოსახლეობის კოოპერირება	51
	პირველი კოლმეურნეობები	55
	სარწყავი სისტემის აღდგენა-გაფართოება	60
თავი III.	გზა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისაკენ	65
	ახალი ღონისძიებანი	65
	საბჭოთა მეურნეობების როლი	72
	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამაღლება	75
	დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები	80
	საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება	83
თავი IV.	პირველი ხუთწლედის შედეგები	90
თავი V.	საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების ამოცანები	97
	კოლმეურნე გლეხთა შრომითი ენთუზიაზმი	97
	შემდგომი სამეურნეო განვითარება	107
	პირველი მილიონერი. კოლმეურნეობები	127

	საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე	139
	კოლხეთის განახლებულ მიწაზე	140
თავი VI.	**კოლმეურნე გლეხობა სამამულო ომის პერიოდში .**	144
თავი VII.	**კოლმეურნე გლეხობა ომისშემდგომ პერიოდში**	170
	ახალი წარმატებანი . .	171
	მოსავლიანობის გადიდების ამოცანა	177
	კოლმეურნეობათა საწარმოო ფონდების ზრდა	188
	კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქებისათვის .	189
	კულტურული მიწათმოქმედების მძლავრი საშუალება	193
თავი VIII.	**კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება**	198
	მკვეთრი აღმავლობის გზით	198
	კოლექტიური შრომის ნაყოფი	205
	მექანიზაციის ძალა	217
	ილიჩის ნათურა	223
	ჯანმრთელობის დაცვა	227
	კულტურული აღმავლობა	232
თავი IX.	**შემდგომი განვითარების პერსპექტივები**	241

რედაქტორი ნ. კუპრავა
მხატვარი რ. რევაზიშვილი
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი თ. სახურია

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VIII-1957 წ. ანაწყობის ზომა 5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108. ტირაჟი 4000.
უე 03236. შეკვეთის № 658.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.